ომარ გოგიაშვილი

პოლიტიკური იდეოლოგიები

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი 2004

უაკ (VDC) 32.001
გ 596

ნაშრომი, უპირველეს ყოვლისა, მიზნად ისახავს მკითხველის გაარკვევას კოლიტიკური იდეოლოგიების არსში და მისი საჭიროების თუ ზედმეტობის დასაბუთებას, რაც ჩვენს ტრანსფორმირებად საზოგადოებაში კამათისა და დავის საგნად იქცა. ავტორი ნეიტრალური პოზიციიდან გადმოსცემს გავრცელებულ თვალსაზრისებს ამ პრობლემასთან დაკავშირებით და აანალიზებს დღეისათვის ყველაზე ავტორიტეტულ კოლიტიკურ იდეოლოგიებს - ლიბერალიზმს (ნეოლიბერალიზმს), კონსერვატიზმს (ნეოკონსერვატიზმს), სოციალ-დემოკრატიზმს (დემოკრატიულ სოციალიზმს) ნაშრომში ასევე გადმოცემულია ტოტალიტარული კოლიტიკური იდეოლოგიების არსი და მასზე დამყარებული კოლიტიკური რეჟიმების (იტალიური ფაშიზმის, გერმანული ნაციზმის, ლენინურ-ბოლშევიკური ერთპარტიული დიქტატურის) ძირითადი ნიშნები და მახასიათებლები. ნაშრომის დასკვნით ნაწილში მოცემულია კოლიტიკურ იდეოლოგიებში უკანასკნელ ათწლეულებში მიმდინარე ტრანსფორმაციისა და კონვერგენციის პროცესები, მოკლედ გადმოცემულია კოლიტიკური კულტურის ზოგიერთი ნიშანი და იდეოლოგიების არაარსებითი როლი საზოგადოებასა და კოლიტიკურ სპეჭტრზე დღევანდელ საქართველოში.

განკუთვნილია სტუდენტების, მაგისტრანტებისა და ალნიშნული პრობლემით დაინტერესებული მკითხველისათვის

რედაქტორი **პროფ. ავთანდილ ტუკვაძე**

რეცენზენტები: **პროფ. თამარ კიკნაძე**
პროფ. გურამ აბესაძე

© **თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004**

ISBN 999 40-20-98-6

I. გვჭირდება თუ არა იდეოლოგია?

ამ ბოლო დროს ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი აზრის ყურადღების ცენტრში მოექცა უმნიშვნელოვანესი თეორიული და პრაქტიკულ-გამოყენებითი ღირებულების, ეროვნული იდეოლოგიის შემუშავების საკითხი. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარი ქვეყნისათვის ეს სრულიად ბუნებრივია და ამ მხრივ საქართველო გამონაკლისი არ არის. ქვეყნის შემდგომი განვითარებისათვის ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული პრიორიტეტების, ღირებულებებისა და პრინციპების შერჩევა – დამკვიდრების მტკიცნეული პროცესი გაიარა დღეს განვითარებულმა ყველა სახელმწიფომ. შემთხვევითი არ არის, რომ ჩვენს ქვეყანაში დისკუსიამ ამ პრობლემებთან დაკავშირებით თითქმის საყოველთაო-სახალხო სასიათი მიიღო და თავისი აზრის გამოთქმა დაივალდებულა ზოგ შემთხვევაში თავისი მოღვაწეობის დარგში აეტორიტეტულმა პიროვნებამ, მაგრამ იდეოლოგიის რთულ პრობლემატიკაში ჩაუსედაემა და არაკომპეტენტურმა ადამიანებმა, რაც გარკვეულწილად ასახავს ჩვენი ეროვნული მენტალიტეტის დღევანდელ სპეციფიკას და პოლიტიკური კულტურის დონეს.

საბჭოთა სისტემის და მისი უზრუნველმყოფი ტოტალიტარული იდეოლოგიის კრახმა, ერის პოლიტიკურ კულტურაში ჯერ კიდევ დამორცხვებულ მდგომარეობაში მყოფმა დასავლური, პლურალისტური დემოკრატიის იდეალებმა და მისი სოციალიზაციის მხოლოდ საწყისმა ეტაპმა, საქართველო, მთელ პოსტსაბჭოურ სივრცესთან ერთად, მთავარი მიზნის, მაგისტრალური იდეის გარეშე დატოვა. დამოუკიდებლობის მოპოვების წინა და შემდგომ პირველ წლებში ეროვნული სუვერენიტეტისა და თვითდამკვიდრების მარადიული, გენეტიკური ღირებულებები,

ერის ცნობიერების განმსაზღვრელი, გენერალური და ფაქტობრივად ერთადერთი მიზნობრივი ორიენტირი გახდა გარკვეულ ისტორიულ პერიოდში. ამასთან იყო დაკავშირებული ჯერ კიდევ ტოტალიტარულ საზოგადოებაში ფესვგადგმული და გარკვეულად ვოლუნტარისტული რწმენა იმისა, რომ დამოუკიდებლობა ავტომატურად მოგვიტანდა წარმატებებსა და კეთილდღეობას. როგორც მოსალოდნელი იყო (ეს ისტორიის ფილოსოფიის ანბანია), რეალობა გაცილებით რთული, წინააღმდეგობრივი და მკაცრი აღმოჩნდა, ვიდრე ეს ეროვნული ცნობიერების რომანტიკული აღმავლობის პერიოდში ჩანდა. მალე გამოჩნდა, რომ დამოუკიდებლობა კეთილდღეობის გარანტი არ არის და რომ ობიექტური რეალობა ადამიანთა ცნობიერებიდან „უხეშად დევნის“ საბჭოური მენტალიტეტის ისეთ არსებით ნიშანს, როგორიც სახელმწიფოსა და მისი სტრუქტურისადმი იძულებითი ნდობა ან ბრმა მიმნდობლობა იყო. გაცნობიერებულმა მკაცრმა სინამდვილემ მოსახლეობა აიძულა უფრო აქტიურად იბრძოლოს საკუთარი მოთხოვნილებებისა და ინტერესების დასაკმაყოფილებლად, ადეკვატურად შეაფასოს რეალური პირობები და საკუთარი შესაძლებლობები. მოსახლეობის გარკვეული, დიდი ნაწილი უმწეო და დაუცველ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რამაც განაპირობა გარკვეული ცვლილებები ადამიანების პოლიტიკურ მენტალიტეტში, მათში ინდივიდუალისტური განწყობილებებისა და მისწრაფებების პრიმატი, რომელიც აუცილებლად გულისხმობს ცალკეული სოციალური ჯგუფების კოოპერირებას ერთობლივი ძალისხმევისათვის. გარდამავალი პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის მქონე ქვეყნებისათვის, ეს პოლიტიკური ცივილიზაციისაკენ გადადგმული ნაბიჯია, რომელსაც ლოგიკურად მივყავართ გარკვეულ პოლიტიკურ იდეოლოგიაზე დაფუძნებულ პოლიტიკურ ჯგუფებში გაერთიანებისაკენ.

დღეს პოლიტიკურ მეცნიერებაში საყოველთაოდ მიღებულია აზრი იმის შესახებ, რომ იდეოლოგია საზოგადოებრივი ცნობიერების ერთ-ერთი ძირითადი ფორმაა, ისევე როგორც ხელოვნება, მეცნიერება, რელიგია და სხვა. არც იმაზეა კამათი, რომ იდეოლოგია არის შეხედულებათა, იდეებისა და კონცეფციების სისტემა, რომელიც დაკავშირებულია საზოგადოებრივი განვითარების მრავალმხრივ პროცესებთან და გაზიარებულია ერთეული ინდივიდის, სოციალური ჯგუფის, მოსახლეობის გარკვეული ნაწილის მიერ.

სახელგანთქმულ ფრანგ პოლიტოლოგს მ. დიუვერჟეს იდეოლოგია პოლიტიკური სისტემის უმთავრეს ელემენტებში შეყავს ღირებულებათა სისტემასთან და კულტურულ ტრადიციებთან ერთად (რა თქმა უნდა, პოლიტიკური და ეკონომიკური ინსტიტუტები ამ სისტემის შემადგენელი ელემენტები არიან).

ჩვენ შეგნებულად არ ვჩერდებით იდეოლოგიის ცნების დეფინიციაზე, რადგან ყველასთვის მისაღები და გაზიარებული თვალსაზრისი ამ საკითხზე სამეცნიერო ლიტერატურაში არ არსებობს. ჯერ კიდევ 1906 წელს მაკლეინი აღნიშნავდა „იდეოლოგიის“ ცნების 26 ინტერპრეტაციას. ამის გამო უმჯობესია ვიმსჯელოთ მის არსობრივ და ფუნქციურ მახასიათებლებზე, რაც ასევე კამათს იწვევს, მაგრამ მეცნიერთა დიდი ჯგუფების მიერ გაზიარებულია. ამასთან ძირითადი პოლიტიკური იდეოლოგიების შემადგენელი კონცეფციების განხილვისას იდეოლოგიის ზოგადი არსი, მისი ფუნქციები, მიზნები და დანიშნულება უკეთესად გამოჩნდება.

ყველა იდეოლოგია, მიუხედავად მისი მიმართულებისა, დაფუძნებულია პოლიტიკური სისტემის გარკვეული კონცეფციებისა და კომპონენტების აღიარებაზე ან უარყოფაზე, მოქმედი პოლიტიკური ინსტიტუტების ქმედითუნარიანობის შეფასებაზე.

იდეოლოგია, ზოგადად, საზოგადოებაში ერთ-დროულად თამაშობს ორმაგ როლს – შემაკავ-შირებელს და გამყოფს. ერთი მხრივ, მას შეუძლია შეაკავშიროს, გააერთიანოს მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ძალისხმევა გარკვეული პოლიტიკური ჯგუფის (პარტიის) გარშემო. აძავე დროს ის არის გარკვეული წყალგამყოფი სხვა პოლიტიკურ მიმდი-ნარეობებთან და მათი იდეოლოგიური პრინციპების გამომხატველ პარტიებთან. იდეოლოგია, რომელიც რაც შეიძლება მეტი სოციალური ფენების და ჯგუფების გაერთიანებას უწყობს ხელს, რომელშიც მინიმუმამდეა დაყვანილი „განყოფის თესლი“ (ილია), რომელიც კრავს ერთი მიზნისაკენ ერის ჯანსაღ ნაწილს და ნაკლებად კონფრონტაციულია, არბილებს და არიგებს ობიექტურად არსებულ წინააღმდეგობებს საზოგადოებაში, ქვეყნისა და ერისათვის უფრო მისა-ღებია.

იდეოლოგია განსხვავებული ზომით დამახასია-თებელია ადამიანთა ნებისმიერი ასოციაციისათვის – მიუხედავად მისი დანიშნულებისა და მიზნებისა. იდეამ, იდეათა სისტემამ, შეიძლება დიდი როლი ითამაშოს სახელმწიფოებრივი წყობის რეორგანიზაციაში, გახდეს მისი რევოლუციური შეცვლის ან მშვიდობიანი რეფორმირების (რაც უფრო მისაღებია) თეორიული ბაზა. მაგრამ, როგორც შემტევი, ხშირად აგრესიული, მასობრივი ცნობიერების აღზრდისა და არსებული პოლიტიკური რეჟიმის სოციალიზაციის ბერკეტი, ის სახელმწიფოს ხელში ხდება.

1 მცირე ისტორია

დასავლურ პოლიტიკურ მეცნიერებებში გაზიარე-ბულია აზრი, რომ მოძღვრება იდეოლოგიის შესახებ შეიქმნა ბურჟუაზიული განმანათლებლობის პერიოდში

და ამ პერიოდიდან შემოვიდა სამეცნიერო ლიტერა-ტურაში ცნება „იდეოლოგია“. კერძოდ, იდეოლოგიის პრობლემებში დღესაც ავტორიტეტული კ. მანჰეიმი თვლიდა, რომ ამ მხრივ პრიორიტეტი ეკუთვნის XVII საუკუნის ინგლისელ ფილოსოფოს ფ. ბეკონს და მის მოძღვრებას „იდოლების“ შესახებ. თავად ტერმინი „იდეოლოგია“ ძველბერძნული წარმოშობისაა და შედგება ორი სიტყვისაგან – „იდეა“ და „ლოგოს“, რაც ნიშნავს მოძღვრებას იდეების შესახებ.

როგორც კ. მანჰეიმი აღნიშნავს, ამ სიტყვას თავიდან არ ჰქონია ონტოლოგიური მნიშვნელობა, რადგან აღნიშნავდა მოძღვრებას იდეების შესახებ. როგორც ცნობილია, იდეოლოგებს უწოდებდნენ საფ-რანგეთის ერთ-ერთი ფილოსოფიური სკოლის წარმო-მადგენლებს, რომლებმაც კონდილიაკის კვალდაკვალ უარყვეს მეტაფიზიკა და სცადეს დაეფუძნებინათ მეცნიერება სულის შესახებ ანთროპოლოგიური და ფსიქოლოგიური პოზიციებიდან.

სამეცნიერო ბრუნვაში ეს ტერმინი პირველად იხმარა ფრანგული განმანათლებლობის გვიანდელი თაობის წარმომადგენელმა ანტუან დესტუტ ლე ტრასიმ ნაშრომში „იდეოლოგიის ელემენტები“. მან და მისმა თანამედროვეებმა პიერ კაბანისმა და კონსტანტინ ვოლნეიმ შეიმუშავეს განსაკუთრებული „მეცნიერება იდეოლოგიის შესახებ“, ე.ი. მოძღვრება იმის გასარკვევად, როგორ ყალიბდება შეგრძნებითი აღქმებიდან იდეები, რომლებიც შემდეგ სისტემების სახით ფორმირდება. „პირველი იდეოლოგები“ თეო-რიულ მუშაობასთან ერთად აქტიური პოლიტიკური მოღვაწეები იყვნენ (თავად დე ტრასი ნაპოლეონის დროს იყო სენატორი და საფრანგეთის პერი რესტავრაციის პერიოდში) და ძირითადად ლიბერა-ლიზმის პრინციპებს იზიარებდნენ. ამან განაპირობა მათი თანდათანობითი დაპირისპირება ნაპოლეონის იმპერატორულ მისწრაფებებთან და ოპოზიციაში

გადასვლა (ესეც ერთი ისტორიული არგუმენტია მათ საწინააღმდეგოდ, რომლებიც ამტკიცებენ, რომ იდეოლოგია და იდეოლოგები ყოველთვის ხელისუფ-ლების მსახურები იყვნენ). ხელისუფლების სრული უზურპაციის შემდეგ, როცა სახელმწიფოში წესრიგისა და დისციპლინის აღდგენის მიზეზით დაიწყო მანამდე მოპოვებული თავისუფლებების გარკვეული შეზღუდვა, მათი დაპირისპირება გამწვავდა და 1812 წლის დეკემბერში სახელმწიფო საბჭოში გამოსვლისას ნაპოლეონმა ყველა უბედურება, რაც „მშვენიერ საფრანგეთს“ დაატყდა, იდეოლოგებს დააბრალა, უწოდა მათ „ბურუსიანი მეტაფიზიკოსები“. ამის შემდეგ მეცნიერებაში ჩამოყალიბდა იდეოლოგიის, როგორც აბსტრაქტული დოქტრინიორობის, ოცნების, ილუზიის უარყოფითი შეფასების ტრადიცია. ამ ტრადიციის გამგრძელებლები იყვნენ კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რომლებიც იდეოლოგიას მხოლოდ ნეგატიური აზრით იყენებდნენ და ამას გარკვეული საფუძველი ჰქონდა. თავიანთი მოღვაწეობის საწყის ეტაპზე მათ მოუწიათ ახალჰეგელიანელების წინა-აღმდეგ ბრძოლა; ისინი ჰეგელიანური ტრადიციით კაცობრიობის ისტორიას განიხილავდნენ როგორც იდეების, ფილოსოფიური დოქტრინების ისტორიას. კ. მარქსი კი ისტორიას განიხილავს არა როგორც სინამდვილეს, იდეებიდან გამომდინარე, არამედ როგორც იდეებს, სინამდვილიდან, პრაქტიკიდან გამომდინარე. მარქსიზმი ღირებულებათა თეორიას ობიექტურ, რეალურ შინაარსზე აგებს; ბურჟუაზიული მეცნიერება კი ღირებულებებს მთლიანად სუბიექტურ არეალში აქცევს. ასეთი მიდგომა დამახასიათებელია ნეოკანტიანელებისათვის, მ. ვებერის სოციოლოგი-სათვის, ნეოპოზიტივისტებისათვის (კ. პოპერი, ტ. გეიგერი, ე. ტოპიჩი და სხვები). ისინი აღიარებდნენ პრინციპულ განსხვავებას ობიექტური ფაქტების რიგსა და ღირებულებათა სფეროს შორის. ნებისმიერი

იდეალისტური ფილოსოფია ნებისმიერ იდეას ან იდეათა სისტემას განაკუთვნებს ადამიანთა მოაზროვნე კატეგორიის თავისუფალი შემოქმედების ნაყოფს, მარქსისტული ისტორიული მატერიალიზმი კი მიიჩნევს, რომ შემოქმედება და ცნობიერების ნებისმიერი ფორმა მხოლოდ შეცნობილი ყოფიერების ასახვაა.

კ. მარქსი და ფ. ენგელსი იდეოლოგიას განიხილავდნენ როგორც ყალბს, არამეცნიერულ, მისტიფიცირებულ, ილუზიორულ ცნობიერებას, ტერმინის ხმარებასაც ერიდებოდნენ და ამ პრობლემაზე სიცოცხლის ბოლომდე აზრი არ შეუცვლიათ.

იდეოლოგიის ილუზიასთან გაიგივების არგუმენტად ისინი იყენებდნენ „ახალჰეგელიანელი" იდეოლოგების (ძმები ბაუერები, მ. შტირნერი, დ. შტრაუსი) მოსაზრებებს იმის თაობაზე, რომ დღემდე არსებული კაცობრიობის ისტორია იდეების ისტორიაა და სწორედ იდეები, რომლებიც გამოხატულია თეორიულ დოქტრინებში, იდეოლოგიებში, არის ისტორიული პროცესის მამოძრავებელი ძალა, სწორედ იდეები მართავს ისტორიას, და არა ობიექტური, მატერიალური საფუძველი, საწარმოო ძალები და წარმოებითი ურთიერთობები, როგორც ეს კ. მარქსს წარმოედგინა. მას მიაჩნდა, რომ ეს იდეალისტი იდეოლოგები ობიექტურად ასახავდნენ გერმანიის სინამდვილეში ახალი, ჯერ მცირერიცხოვანი, მაგრამ აღმავალი კლასის, ბურჟუაზიის ინტერესებს, მიუხედავად იმისა, ეს ახალჰეგელიანელებს გაცნობიერებული ჰქონდათ თუ არა. ეს იყო მარქსის და ფ. ენგელსის „ანტიიდეოლოგიური" განწყობილების ძირითადი მიზეზი და ეს მჟღავნდებოდა არა იმდენად იდეოლოგიის კრიტიკაში ზოგადად, არამედ გარკვეული სოციალური და პოლიტიკური მიზნების მქონე კლასობრივ იდეოლოგიებთან ბრძოლაში.

სხვადასხვა კლასობრივ-პოლიტიკურ იდეოლოგიებთან დაპირისპირებაში გაატარეს კ. მარქსმა და ფ.

ენგელსმა მთელი სიცოცხლე. მაგრამ ამ ბრძოლის მიზანი არასოდეს არ ყოფილა ისეთი ზოგადეროვნული ან საყოველთაო ჰუმანიტარული და დემოკრატიული პრინციპების დამუშავება, რომელიც უზრუნველყოფდა ან ხელს შეუწყობდა სოციალური ზავისა და პარტნიორობის სულისკვეთების დამკვიდრებას. პირიქით, იდეოლოგიის კლასობრიობის წინააღმდეგ ბრძოლით საფუძველი ჩაუყარეს ახალ, ყველაზე რადიკალურ, კონფრონტაციულ, პროლეტარულ იდეოლოგიას, რომლის ქვაკუთხედი იმის აღიარება იყო, რომ ერთადერთი პროგრესული, მსოფლიო პოლიტიკური ცივილიზაციისაკენ გზისგამკვალავი კლასი პროლეტარიატია, რომლის ისტორიული მისიაა ებრძოლოს ქვეყანაში ყველა კლასს, სოციალურ ფენას, ჯგუფს, ყველა მეთოდით, რევოლუციითაც, სამოქალაქო ომითაც (რადგან ის არაფერს კარგავს, არც ქონებას, არც სამშობლოს!) და დაამყაროს ამ კლასის ბატონობა. კლასობრივი იდეოლოგიების წინააღმდეგ ბრძოლაში ახალი, გაცილებით რადიკალური იდეოლოგიის ჩამოყალიბება (განსხვავება მხოლოდ ისაა, რომელი კლასის ინტერესებს გამოხატავს) მარქსისტული თეორიის უდიდესი წინააღმდეგობა და ნაკლია, მაგრამ უბედურება ისაა, რომ ამ „ანტიიდეოლოგიურმა პროლეტარულმა იდეოლოგიამ“, ლენინური ინტერპრეტაციით კაცობრიობას სისხლიანი რევოლუციები, ძმათამკვლელი სამოქალაქო ომები, მასობრივი რეპრესიები, მცდარი ეკონომიკური და პოლიტიკური ექსპერიმენტები მოუტანა. იმის გასარკვევად, თუ „ანტიიდეოლოგიური“ მარქსიზმი როგორ ჩამოყალიბდა ახალ, წინააღმდეგობრივ და რადიკალურ იდეოლოგიად, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება კ. მანჰეიმის მოსაზრებები. მისი ანალიზით, ერთი პერიოდი ისე ჩანდა, რომ მოწინააღმდეგის აზროვნებაში იდეოლოგიური ასპექტის გამომჟღავნება დამახასიათებელი იყო მხოლოდ მებრძოლი პროლეტა-

რიატისათვის და მათი პრივილეგია იყო. მხოლოდ მარქსისტულ მოძღვრებაში ამ ტიპის აზროვნებამ მიიღო მეთოდური თანმიმდევრული დამუშავება, მხოლოდ აქ მოხდა შერწყმა ნაწილობრივი და ტოტალური იდეოლოგიის, სულ უფრო თანმიმდევ-რულად დამუშავდა მოძღვრება კლასობრივი ინტერე-სების შესახებ. მხოლოდ მარქსიზმში, მისი ჰეგე-ლიანური საფუძვლის გამო გადალახულია წმინდა ფსიქოლოგიური მიდგომა და პრობლემა გადადის ცნობიერების ფილოსოფიაში, იძენს ახალ აზრს. პოლიტიკური პრაქტიკა ეკონომიკასთან ერთად იმის ძირითადი კრიტერიუმი ხდება, რომ იდეების მთელი ერთობლიობა არის იდეოლოგია და მას აქვს რეალური მნიშვნელობა. ამიტომ არაფერია გასაკვირი, რომ იდეოლოგიის ცნების გაგება დაუკავშირდა, პირველ ყოელისა, აზროვნების მარქსისტულ-პროლეტარულ სისტემას, უფრო მეტიც, მოხდა მათი გაიგივება.

2. «ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲐ ᲣᲢᲝ�პᲘᲐᲐ!» (Კ. ᲞᲝ�პᲔᲠᲘ)

ამრიგად, იდეოლოგიის თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებელი კ. მარქსიც კი მასში წარმოებით ურთიერთობათა წინააღმდეგობებით გამოწვეულ ილუ-ზიორული ცნობიერების ფორმას ხედავდა, თუმცა შემდგომ მისმა ლენინელმა მემკვიდრეებმა იდეოლოგია წარმოადგინეს როგორც ეკონომიკური წყობის ზედნაშენი, პოლიტიკური, სამართლებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური, რელიგიური და ფილოსოფიური იდეების ერთიანი სისტემა. წარსულისა და თანამედროვეობის ბევრი მოაზროვნე იდეოლოგიებში სინამდვილის მცდარ ასახვას ხედავს და არცთუ უსაფუძვლოდ სოციალური დემაგოგიისა და უზნეობის სფეროს განაკუთვნებს.

სოციალური თანასწორობისა და საზოგადოების რეორგანიზაციური გარდაქმნების იდეოლოგიებმა მსოფლიოს სხვადასხვა ხალხს სისხლიანი ეკუთვნილების მეტი არაფერი მოუტანა. ასე იყო რობესპიერის საფრანგეთში, მუსოლინის – იტალიაში, ჰიტლერის – გერმანიაში, ლენინის – რუსეთში, პოლ–პოტის – კამბოჯაში და სხვ. ყველა ამ უბედურების მამოძრავებელი ძალა ერთი მთავარი, გაფეტიშებული იდეა იყო: ძველი რომის აღდგენის ამბიციური იდეა – იტალიაში, არიული რასის გამორჩეულობა და მისი ისტორიული მისია – გერმანიაში, ერთი კლასის – პროლეტარიატის მსოფლიო–ისტორიული როლი და, შესაბამისად, მისი ანტაგონისტური დაპირისპირება საკუთარი ქვეყნის სხვა კლასებთან და სოციალურ ჯგუფებთან – რუსეთში.

ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე ანტიიდეოლოგიური კომპანიაც ამის გამოძახილია. საზოგადოებას არ შეუძლია მკვეთრად უარყოფითი საპასუხო რეაქცია არ გამოხატოს იმ იდეოლოგიური დოქტრინების მიმართ, რომლებმაც ესა თუ ის ქვეყანა ან ქვეყნების ჯგუფი ააცდინეს ბუნებრივ–ისტორიული განვითარების გზას და ავანტურისტული ექსპერიმენტებით უამრავი უბედურება მოუტანეს ხალხებსა და ქვეყნებს. საკითხის ეს მხარე, იდეოლოგიის საერთო აგრესიულობა და ის, რომ ყველა ქვეყანაში იდეოლოგია არსებული პოლიტიკური რეჟიმის დამცველია, მიუხედავად ამ რეჟიმის ხასიათისა, განსაზღვრავს ნეგატიურ დამოკიდებულებას მის მიმართ. კ. იასპერს მიაჩნდა, რომ იდეოლოგია ეწოდება იდეებისა და წარმოდგენების სისტემას, რომელიც მოაზროვნე სუბიექტს ემსახურება, როგორც აბსოლუტური ჭეშმარიტება. ამის საფუძველზე აგებს ის სამყაროს და მასში საკუთარი თავის ადგილის კონცეფციას, თანაც იმგვარად, რომ თავს იტყუებს, რაც აუცილებელია საკუთარი ინტერესების შესანიღბავად. ამის გამო,

აზროვნების, როგორც იდეოლოგიის, კლასიფიკაცია ნიშნავს დაბნეულობისა და ბოროტების გამომჟღავნებას.

მოაზროვნეთა ანტიიდეოლოგიური არგუმენტაციის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ პოლიტიკური მეცნიერების ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენლის კ. პოპერის თვალსაზრისი, რომელსაც იდეოლოგია მხოლოდ ტოტალიტარული აზროვნებისა და პრაქტიკის ატრიბუტად მიაჩნდა. მისი განმარტებით იდეოლოგია აზროვნების დახურული სისტემაა, რომელსაც იმავდროულად ყოვლისმომცველის პრეტენზია აქვს და შესაბამისად გამზადებული პასუხი საზოგადოებრივ ცნობიერებასა და ცხოვრებაში არსებულ ყველა პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, სოციალურ, ეკონომიკურ, სულიერ და ზნეობრივ პრობლემებზე. ამასთან ამ ურთულეს და ხშირად წინააღმდეგობრივ პროცესებზე აქვს ერთადერთი სწორი პასუხი და მისი მცდარობის დამტკიცების ცდაც კი „მტრის" იარლიყის მიწებებას და, აქედან გამომდინარე, შედეგებს იწვევს. კ. პოპერისათვის იდეოლოგიურ აზროვნებას, რომელიც თავისი არსით შეიძლება იყოს მხოლოდ ტოტალიტარული, უნდა დაუპირისპირდეს მეცნიერული აზროვნება და შესაბამისი თეორიები, რომლებიც ყოველთვის შემოწმებადია, არა აქვს საბოლოო ჭეშმარიტების პრეტენზია, მოელენებს ხსნის მის ამა თუ იმ ასპექტში და იძლევა მისი გადამოწმების რეალურ შესაძლებლობას ცხოვრებისეულ სინამდვილეში. მეცნიერული ჰიპოთეზის ღირებულება დგინდება მხოლოდ მეცნიერულ დისკუსიებში, ასახავს რეალურ სინამდვილეს და იცვლება ამ სინამდვილის ცვლილებასთან ერთად. ამასთან ფენომენებული არ უნდა იყოს ღირებულებათა ის სისტემა, რომელსაც ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა აქვს.

ამრიგად, კ. პოპერის აზრით, ჰიპოთეზა პოლიტიკის სფეროში, რომელსაც ნოვაციის პრეტენზია აქვს,

პირველ რიგში, უნდა ემყარებოდეს ღირებულებათა შესახებ ადამიანებში მიღწეულ კონსენსუსს და მიზეზ-შედეგების ოპტიმალურ ინტერპრეტაციას რეალური სინამდვილის გათვალისწინებით. ამ თეორიის შესაბამისად ყველაზე გავრცელებული პოლიტიკური დოქტრინები – სოციალ-დემოკრატიული, ლიბერალური და კონსერვატიული, მათ მრავალეარიანტულობისა და განახლებადი პროცესების გამო თავისი არსით არაიდეოლოგიურები არიან, ვინაიდან აღიარებენ ღირებულებათა სისტემას.

იდეოლოგიის მოწინააღმდეგეთა კიდევ ერთი არგუმენტია ის, რომ იდეოლოგია რწმენის სფეროა და არა სინამდვილის, ის ყოველთვის დაშორებულია სიმანდვილეს, ეფუძნება ისეთ მიზნებსა და იდეალებს, რომლებიც ადამიანმა უნდა ირწმუნოს – მიუხედავად იმისა, დარწმუნებულია თუ არა მის ჭეშმარიტებაში. ალენ ბენზანსონი, როდესაც განიხილავდა მორწმუნე და იდეოლოგიური ადამიანების ცნობიერებას, აღნიშნავდა, რომ რელიგიურმა ადამიანმა იცის, რომ სწამს, მაშინ როცა იდეოლოგს სწამს, რომ იცის. უტოპიზმისაკენ განსაკუთრებული მიდრეკილება აქვთ ოპოზიციური ძალების იდეოლოგიურ დოქტრინებს, რომლებიც არსებულ ხელისუფლებას სთხოვენ რეალურად შესაძლებელზე მეტს და ამასთან გადაჭარბებით აფასებენ თავიანთ შესაძლებლობებს თუ ხელისუფლებაში მოვლენ. იდეოლოგიისა და უტოპიის ურთიერთდამოკიდებულებათა შესახებ საინტერესოა ამ პრობლემის ერთ-ერთი მკვლევრის კ. მანჰეიმის მოსაზრებები. თავის წიგნში, „ჩვენი დროის დიაგნოზი“, ამ ორი ცნების ურთიერთმიმართების ხასიათს სპეციალურ თავს უძღვნის და განასხვავებს იდეოლოგიის ორ მნიშვნელობას – ნაწილობრივს და ტოტალურს.

„ნაწილობრივი იდეოლოგიის“ ცნებაში მხედველობაში აქვს მოწინააღმდეგის გარკვეული იდეები და წარმოდგენები, რადგან მიაჩნია, რომ ნამდვილი

ფაქტები მეტნაკლებად დამახინჯებულია მათ ცნობიერებაში, რაც შეესატყვისება გარკვეულ ინტერესებს. აქ შეიძლება საქმე გვქონდეს წარმოდგენების მთელ კომპლექსთან: შეგნებული სიცრუე, ჭეშმარიტების ნახევრად შეცნობილი ინსტინქტური დაფარვა, მოტყუება და თვითმოტყუება.

მისგან განსხვავებით ცნება „რადიკალურ ტოტალურ“ იდეოლოგიაში ოგულისხმება ისტორიული ეპოქის კონკრეტული სოციალური ჯგუფის (მაგალითად, კლასის) ცნობიერების სტრუქტურა მთელი მისი მახასიათებლებით. არსებით განსხვავებას მათ შორის კ. მანჰეიმი ხედავს იმაში, რომ ნაწილობრივი იდეოლოგიის ცნებაში ფუნქციონალიზაცია ხდება მხოლოდ ფსიქოლოგიურ დონეზე. ასეთ შემთხვევაში სიცრუე შეიძლება გაირკვეს, მისი წყაროები გამოიძებნოს, ამ შემთხვევაში იდეოლოგიის მიმართ ბრალდებები შეიძლება არ ატარებდეს რადიკალურ ხასიათს.

სრულიად განსხვავებული მდგომარეობაა ტოტალური იდეოლოგიის პირობებში – მიაჩნდა კ. მანჰეიმს. თუ ჩვენ ვამბობთ, რომ განსაზღვრული ეპოქა ცხოვრობს ერთი იდეების სამყაროში, ხოლო ჩვენ სხვა იდეების სამყაროში, რომ რომელიმე კონკრეტული ისტორიული სოციალური ფენა აზროვნებს სხვა კატეგორიებით, ვიდრე ჩვენ, მაშინ მხედველობაშია არა ერთეული აზრის შინაარსი, არამედ აზროვნების სრულიად განსაზღვრული სისტემა, განცდებისა და ინტერპრეტაციის განმსაზღვრელი სახე. პირველ შემთხვევაში ნაწილობრივი იდეოლოგიის ფუნქციონალიზაცია ხდება მხოლოდ ფსიქოლოგიურ, მეორე შემთხვევაში ნეოლოგიურ (თეორიულ) დონეზე.

კ. მანჰეიმი ორივე დონის იდეოლოგიას უარყოფს, მაგრამ მეორეს, ტოტალურს უფრო სახიფათოდ სახავს, თუმცა მიაჩნია, რომ რეალობის ძიება ორივეს – იდეოლოგიის და უტოპიის თავიდან აცილებაშია.

როცა დასავლეთის პოლიტიკური აზრის ელიტარული წარმომადგენლების ანტიიდეოლოგიურ კონცეფციებზეა ლაპარაკი, აუცილებლად მხედველობაშია მისაღები, რომ მრავალრიცხოვანი და მრავალდარგოვანი (სოციოლოგები, ფილოსოფოსები, პოლიტოლოგები, ფსიქოლოგები, ისტორიკოსები, ეკონომისტები) ფართო ფრონტით ყოველგვარი იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლის ძირითად მიზანს წარმოადგენდა ლენინიზმის, როგორც მეცნიერული იდეოლოგიის დისკრედიტაცია. ეს ხორციელდებოდა როგორც მარქსისტული და ლენინური იდეოლოგიის ძირითად კომპონენტებზე, ასევე მთლიანობაში აღებული კონცეპტუალურ პრინციპებზე პირდაპირი თავდასხმებით. ისინი ამ თავდასხმის ობიექტად აქცევდნენ თვით ტერმინ „იდეოლოგიას", იხილავდნენ და აანალიზებდნენ მის ნებისმიერ ისტორიულ ფორმას, როგორც „ყალბ", „ცრუ", „ილუზიორულ", „უტოპიურ" ცნობიერებას და შემდეგ კრიტიკის მახვილი გადაჰქონდათ მარქსისტულ–ლენინურ იდეოლოგიაზე, რაც მათი მეცნიერული „დარტყმის" ძირითად მიმართულებას წარმოადგენდა. ბევრი მათგანი ამას შეფარვით, ნეიტრალური პოზიციებიდან, წმინდა მეცნიერული ინტერესებიდან გამომდინარე აკეთებდა, ზოგი კი თავის პოლიტიკურ ორიენტაციას არ მალავდა. ამ მხრივ საინტერესოა გერმანელი პროფესორის ე. ჰიოლცეს თვალსაზრისი, რომელიც სწორედ ასეთი ფრონტალური შეტევის პირობებში, გასული საუკუნის 70–იან წლებში წერდა: ძირითადი, თუმცა არა ერთადერთი მამოძრავებელი ძალა ცნება „იდეოლოგიის" დამუშავებისათვის დასავლეთში იყო ის, რომ შეწინააღმდეგებოდნენ კომუნისტური იდეების გავრცელებას თანამედროვე სამყაროში, შიში ბოლშევიზმის, საბჭოთა იდეოლოგიის წინაშე. ამ დამანგრეველი იდეების გავრცელებისადმი პოლიტიკური და მეცნიერული ელიტის შიში, როცა ტოტალიტარულმა

იდეოლოგიამ და პრაქტიკამ მყარად (იმდროინდელი გაგებით) მოიკიდა ფეხი მსოფლიოს ერთ მესამედზე და შეუნიღბავი აგრესიულობით შექმნა დასაყრდენი მსოფლიოს ყველა კონტინენტზე, სრულიად ბუნებრივი და გამართლებულია.

ამრიგად, პოლიტიკურ მეცნიერებებში გავრცელებულია აზრი, რომ იდეოლოგია „ხელისუფლების მსახურია“, ის განსაზღვრული დოქტრინაა, რომელიც ამართლებს და ასაბუთებს კიდევ ამა თუ იმ პოლიტიკური რეჟიმის არსებობას, ცალკეული პირების, ან პიროვნებათა ჯგუფის სახელისუფლებო პრეტენზიებს და ამისათვის ცდილობენ საზოგადოებრივი აზრის „აღზრდას“ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე იდეებისადმი. იდეოლოგია კორპორაციული ცნობიერების სახესხვაობაა, ინდივიდუალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი მმართველი ელიტის სულიერი ექსპანსიის იარაღია და ა.შ.

3. «იდეოლოგია უკვდავია» (რ. არონი)

პოლიტიკურ ლიტერატურაში ასეთი და ამის მაგვარი ბრალდებები იდეოლოგიის მიმართ შეიძლება უსასრულოდ ჩამოითვალოს. მაგრამ იმ ავტორთა უმრავლესობა, რომლებიც იდეოლოგიის ნეგატიურ ზემოქმედებას საზოგადოებრივ პროცესებზე ეჭვქვეშ არ აყენებენ, ამასთან ერთად აღიარებენ მის დიდ ფუნქციურ დანიშნულებას საზოგადოებრივ ორგანიზაციაში. დღევანდელ დღესაც უაღრესად გავლენიანი და პოლიტიკურ მეცნიერებებში პოპულარული ნეომაკიაველისტური სკოლა (რ. მოსკა, რ. მიხელსი, ვ. პარეტო და სხვები) პოლიტიკური იდეოლოგიის სფეროში აქცევენ ესთეტიკური და რელიგიური ცნობიერების ნორმებსაც და ხელისუფლების ლეგიტიმიზაციის აუცილებელ პირობად მიიჩნევენ.

თანამედროვე ამერიკელი პოლიტოლოგი გ. ლოჯი იდეოლოგიას განიხილავს როგორც იდეებისა და წარმოდგენების ერთიან სისტემას, რომელთა დახმარებითაც ფორმირდება კოლექტიური ცნობიერება, საზოგადოებრივი თანხმობა, ხდება საზოგადოებრივი ნების მობილიზება. მას მიაჩნია, რომ იდეოლოგია ცხოვრების მიზნების, პრიორიტეტებისა და კრიტერიუმების დინამიკური სისტემაა სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ, ეთიკურ, ესთეტიკურ ასპექტებში. ეს ის არის, რაც ადამიანის ცნობიერებაში განამტკიცებს საზოგადოებაში არსებულ წესრიგს და მოქმედების აღიარებულ ეტალონებს. ამერიკელ პოლიტოლოგს ფ. უოტკინსს მიაჩნია, რომ იდეოლოგია ანტაგონისტურ დამოკიდებულებაშია სტატუს–კვოსთან და ამის გამო, შეიცავს დიდ გარდამქმნელ ძალას, რაც იდეოლოგიას უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ფაქტორების პირველ რიგში აყენებს.

მეცნიერთა საკმაოდ გავლენიანი ჯგუფი, სტრუქტურულ–ფუნქციონალური ანალიზის მომხრეები სოციოლოგიაში (ტ. პარსონსი, ნ. ლუმანი, ო. ლამბერგი და სხვ.) კატეგორიულად უარყოფენ იდეოლოგიის მეცნიერულობას, მის ჭეშმარიტებას, მაგრამ აღიარებენ მის ორგანიზაციულ და პრაგმატულ ფუნქციას.

ო. ლამბერგს მიაჩნია, რომ იდეოლოგია იდეების სისტემაა, რომელიც ცდილობს ახსნას სამყარო და ამ მიზნით ავითარებს ღირებულებებსა და ნორმებს, რომლებიც აქეზებენ ერთეულ სოციალურ ჯგუფებსა და საზოგადოებას, აქტიურად იმოქმედონ. ეს არის იდეოლოგიის ერთადერთი ფუნქცია, თუმცა ის თავისი არსით და მიზნებით არ შეიძლება ორიენტირებული იყოს ობიექტურ ჭეშმარიტებაზე. ამა თუ იმ იდეოლოგიის აღმოცენება ყოველთვის დაკავშირებულია ერთეული სოციალური ჯგუფის ან მთელი საზოგადოების ინტერესების რეალიზაციასთან და ამის გამო ის ყოველთვის მოქმედია, აქტიურია.

იდეოლოგიის მეცნიერულობის პრობლემაზე კამათი პოლიტიკურ მეცნიერებებში ჯერ კიდევ გრძელდება და, როგორც ჩანს, ის არც მომავალში შეწყდება. ამის დასამტკიცებლად საკმარისია თვალი გადავავლოთ ევროპასა და აშშ–ში გამოცემულ უახლეს ფილოსოფიურ, სოციოლოგიურ და პოლიტიკურ ლიტერატურას. კოლექტიური მონოგრაფიის „პოლიტიკური თეორია, ტრადიცია და თანამედროვეობა“, რომლის შექმნაში მონაწილეობდნენ აშშ–ს, დიდი ბრიტანეთისა და ავსტრალიის პოლიტოლოგები, ერთ ძირითად პრობლემად სწორედ ის განიხილება, თუ რას მოიცავს „პოლიტიკური თეორია“, არის თუ არა ამ სასწავლო დისციპლინის შემადგენელი ნაწილი პოლიტიკური იდეოლოგია. ამ მონოგრაფიის მთავარი რედაქტორი და შესავალი სტატიის ავტორი, ენდრიუ ვინსენტი, მიუთითებს, რომ პოლიტიკური თეორიის კურსი შესაძლოა (სხვა კომპონენტებთან ერთად) წარმოადგენდეს ისტორიულ და კონცეპტუალურ ღირებულებათა ჰიბრიდს და გაერთიანებული იყოს რომელიმე პოლიტიკურ იდეოლოგიაში; ამასთან იმასაც მიუთითებს, რომ ასეთი მიდგომის პოპულარობა ბოლო ათი წლის მანძილზე საკვირველად გაიზარდა. თუ რატომ უკვირს ე. ვინსენტს პოლიტიკური იდეოლოგიის პოპულარობის ზრდა ბოლო პერიოდში, გასაგები გახდება, თუ მის შემდგომ მსჯელობას გავაანალიზებთ. მას მიაჩნია, რომ იდეოლოგიის საკითხის ირგვლივ თანამედროვე პოლიტიკურ თეორიაში არ არსებობს კონსენსუსი. იდეოლოგია დღემდე რჩება სადავო ცნებად, მეტად ფართო გამოყენების არეალით. იდეოლოგია შეიძლება ნიშნავდეს ცალკეული ინდივიდების გარკვეულ პოლიტიკურ ხედვას, იდეებს, დაკავშირებულს პოლიტიკურ პარტიასთან ან მოძრაობასთან, ან ორიენტირებულს პლანეტარულ ხედვასთან. მეტად მაღალ აკადემიურ წრეებში კი დღემდე არ არსებობს ნათელი

წარმოდგენა იმის თაობაზე, თუ რა არის იდეოლოგიის არსი და როგორ უნდა გამოიყენებოდეს ის. იდეოლოგიის ერთ-ერთი პრიორიტეტული ინტერპრეტაცია ის არის, რომ იგი მეორეხარისხოვანი პროდუქტია, რომელსაც აკლია პოლიტიკური ფილოსოფიის ზნეობრიობა. ამ კონტექსტში, პოლიტიკური ფილოსოფია განიხილება როგორც აზროვნების თავისუფლება, კრიტიკული ჭვრეტა და ადამიანის გამოცდილების გამოყენება, რომელიც ტრანსცენდენტულია და სცილდება პოლიტიკური ბრძოლის არსს. იდეოლოგია კი, ამ მიმართებაში, განიხილება როგორც პოლიტიკური ფილოსოფიის საწინააღმდეგო ცნება. იდეოლოგია აზროვნებას ზღუდავს და იძირება მიკერძოებულ ბრძოლაში. მისი იდეები ინსტრუმენტალურია, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ აქტორები ადვილად მოაქციოს თავისი ზეგავლენის ქვეშ, მოახდინოს მათი მანიპულირება და ამის მეშვეობით მიაღწიოს პოლიტიკურ ძალაუფლებას.

ცნობილ გერმანელ მეცნიერს, ფილოსოფოსს ლეო შტრაუსს ასევე მკაცრი ზღვარი ჰქონდა გავლებული პოლიტიკურ ფილოსოფიასა და იდეოლოგიას შორის. მისთვის ფილოსოფია იყო სიბრძნის ძიება უძველესი დროიდან და უნივერსალური ცოდნა – „ცოდნა ღმერთის, სამყაროსა და ადამიანის შესახებ“, იდეოლოგია კი ორიენტირებულია მითების არაკრიტიკულ აღიარებაზე.

ე. ვინსენტს მიაჩნია, რომ პოლიტიკური ფილოსოფიის, პოლიტიკური პრაქტიკისა და იდეოლოგიის ურთიერთმიმართებაში ეს უკანასკნელი „მეტად საეჭვოდ წარმოგვიდგება“ და წარმოადგენს ცნობიერების ტიპს, რომელმაც უკან დაწია ანგლო-ამერიკული ფილოსოფია. რადგან, მიუხედავად ამისა, პოლიტიკური იდეოლოგიის პოპულარობა მაინც იზრდება, მისი აზრით, თანამედროვე ეპოქა პოლიტიკური ფილოსო-

ფიის დეგრადაციისა და მისი იდეოლოგიად ქცევის ეპოქაა.

იდეოლოგიისადმი ასეთი ნეგატიური მიდგომა დაფიქსირებულია დევიდ რაფაელის პოპულარულ სახელმძღვანელო'ში და თანამედროვე პოლიტიკური ფილოსოფოსებისა და პოლიტოლოგების მრავალ ნაშრომში (ა. ჰაკერი, გ. კაბეტი, ა. გევიცი, დ. ჯერმინო, ფ. გობლესტონი და სხვ.).

მაგრამ იდეოლოგიისადმი ასეთი ნეგატიურ-ლიკვიდატორული თვალსაზრისი არ არის საყოველთაო და ცალსახად გაზიარებული. ჩვენ მიერ დასახელებული კოლექტიური მონოგრაფიის ერთ-ერთი ავტორი რიჩარდ აშკრაფტი მიიჩნევს, რომ გარკვეული პასუხისმგებლობა ტრადიციული პოლიტიკური თეორიისა და დღევანდელი პოლიტიკური ცხოვრების ანალიზს შორის არსებულ დაპირისპირებაზე აკისრიათ პოლიტიკური თეორიის იმ პედაგოგებს, რომლებმაც პოლიტიკის შინაარსი მოაქციეს „ანალიზისა" და „ისტორიის" გაყინულ სამყაროთა ჩარჩოებში. აშკრაფტის აზრით, ‘ვარსულის უმეტესი თეორეტიკოსი ‘უსდა საზოგადოებაში არსებულ პრობლემებზე. ლოკი და ჰობსი, მაგალითად, არ თავაზობდნენ აბსტრაქტულ ხელშეკრულებებს, რომ ესიამოვნებინათ მომდევნო თაობათა აკადემიური პოლიტიკური ფილოსოფოსები.

აშკრაფტი იყენებს იდეოლოგიას, რომ განმარტოს პოლიტიკური აქტიურობის აზრი. ის კომენტარს უკეთებს მხოლოდ იდეოლოგიაზე დაფუძნებულ მიდგომას თანამედროვე პოლიტიკური პრობლემის მიმართ, რაც შესაძლოა გახდეს ხიდი პოლიტიკური ფილოსოფიის ტრადიციებსა და „პოლიტიკური" ფენომენის ცნებას შორის. რეალურად, პოლიტიკური ფილოსოფოსები არიან პოლიტიკური იდეოლოგები. აშკრაფტი ნაკლებ ყურადღებას აქცევს იდეას, რომ ფილოსოფია არის რაღაც უფრო მაღალი, უფრო

წმინდა, ვიდრე იდეოლოგია. ბევრი პოლიტიკური ფილოსოფიისათვის, თვლის აშკრაფტი, სახელი „იდეოლოგი“ ნიშნავს „პირველ ცოდვას“. აშკრაფტი მიიჩნევს, რომ ამგვარი მიდგომისაგან სასურველია გათავისუფლება. ის იდეოლოგიასა და პოლიტიკურ ფილოსოფიას აერთიანებს ერთგვაროვან კატეგორიებში.

მიუხედავად არაერთგზის მცდელობისა ერთმანეთისაგან განეცალკევებინათ პოლიტიკა და ფილოსოფიის ნებისმიერი სხვა დარგი, რასაც, ჩვეულებრივ, ბრმა სქოლასტიკური პედანტურობით აკეთებენ ხოლმე, ეს ორი რამ მაინც მტკიცედ ურთიერთგადაჯაჭვული დარჩა, – აღნიშნავს ი. ბერლინი. მას მიაჩნია, რომ ფილოსოფიურ მიმდინარეობათაგან მხოლოდ უკიდურესად ვულგარული ისტორიული მატერიალიზმი უარყოფს იდეათა ძლევამოსილებას, რადგან თვლის, რომ იდეები მხოლოდ კარგად შენიღბული მატერიალური ინტერესებია.

იდეოლოგია საზოგადოებრივი ან კორპორაციული ცნობიერების კონცენტრირებული გამოხატულებაა და ამის გამო თავისი ინტეგრაციული ფუნქციით ორიენტირებულია სოციალურ პრაქტიკაზე. ინტეგრაციული ფუნქცია უპირველესად მჟღავნდება იმაში, რომ გააერთიანოს, შეაკავშიროს გარკვეული მრწამსის პოლიტიკური ელიტა და შემდგომ მისი საშუალებით – მოსახლეობის დიდი ჯგუფები გარკვეული მიზნების მისაღწევად.

პოლიტიკურ მეცნიერებებში მიღებული და დასაბუთებულია თეზისი იმის შესახებ, რომ არაფერი სოციალურ ცხოვრებაში, მათ შორის პოლიტიკაშიც არ ხდება ადამიანების ინტერესების გარეშე, მაგრამ ინტერესები პრაქტიკულ საქმიანობაში გამომჟღავნდებიან განსხვავებული იდეების სახით, რომელიც სოციალიზდება ერთეული პიროვნების, სოციალური, დემოგრაფიული, კულტურული, ეთნოკულტურული, კონფესიურ–რელიგიური და სხვა ჯგუფების, ფენების,

კლასების, ქვეყნების, ქვეყანათა ალიანსების მასშტაბებით. ყოველგვარი ანტაგონიზმი, დაპირისპირება და ომებიც კი, რაც დღემდე ყოფილა ისტორიაში, იდეის გარშემო მიმდინარეობდა. ეს იდეა დღემდე სოციალური ძალების კონკრეტულ ინტერესს გამოხატავდა.

პოლიტიკურ მეცნიერებებში გაზიარებულია ის აზრიც, რომ სახელმწიფო ორი საწყისის – იდეისა და ძალის განსახიერებაა და მხოლოდ ასეთი შეხამებით არის სიცოცხლისუნარიანი. იდეოლოგია, განსაკუთრებით პოლიტიკური იდეოლოგია, პოლიტიკური ცნობიერების ყველაზე ქმედითი ფორმაა, რომელიც არსებითად ზემოქმედებს სახელმწიფო ურთიერთობებზე და წარმოადგენს „სულიერი დამორჩილების იარაღს“ (მაკიაველი).

ამრიგად, პოლიტიკური იდეოლოგიის ძირითად ფუნქციათა რიგს პოლიტოლოგები აკუთვნებენ: საზოგადოებრივ ცნობიერებაში წარსულის, აწმყოსა და მომავლის შეფასებების იმგვარი კრიტერიუმების დანერგვას, რომლებიც პასუხობენ მოცემული სოციალური ჯგუფის, კლასის, ერის ან მთელი საზოგადოების პოლიტიკურ ინტერესებს და მისთვის პოზიტიური იმიჯის შექმნას. პოლიტიკურმა იდეოლოგიამ არა მხოლოდ უნდა გაავრცელოს თავისი იდეები, მიზნები და დასახოს ამის მიღწევის საშუალებები, არამედ მიაღწიოს მიზანმიმართულ მოქმედებას მათი პრაქტიკული ხორცშესხმისათვის.

პოლიტიკური ფუნქციის თვალსაზრისით იდეოლოგიამ კონკრეტულ–ისტორიულ პირობებში ორგვარი როლი შეიძლება შეასრულოს: საზოგადოებრივ ძალთა მაკოორდინირებელი, ინტეგრაციული და გამთიშველი, დამაპირისპირებელი. პირველ ფუნქციაზე დაწვრილებით იქნება საუბარი შემდეგ. მეორე ფუნქციასთან დაკავშირებით კი აქვე შეიძლება ითქვას, რომ ყველა, დღემდე არსებული, ტოტალიტარული იდეოლოგია (ფაშიზმი, ნაციზმი, ბოლშევიზმი, მაოიზმი

და სხვ.) ინტერესთა ურთიერთდაპირისპირებასა და ანტაგონიზმზე იყო აგებული. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს დაპირისპირების მახვილი მიმართული იყოს სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ (ფაშიზმი, ნაციზმი), თუ საკუთარ ქვეყანაში ერთი სოციალური ჯგუფის ილუზიორულ-დემაგოგიური ინტერესების სასარგებლოდ მთელი დანარჩენი საზოგადოების წინააღმდეგ (ლენინიზმი, მაოიზმი). ამიტომ ბუნებრივია, რომ პოლიტიკურ იდეოლოგიებში ზოგჯერ, თეორიულად დასაბუთებული დებულებებისა და კონცეფციების გვერდით, შევხვდებით სინამდვილისაგან ერთგვარად დისტანცირებულ, უტოპიზმთან მიახლოებულ მიზნებსა და იდეალებს, რომლებიც ყველა არსებული საშუალებით მასების რწმენად უნდა გადაიქცეს.

დაკვირვებული მკითხველი აუცილებლად შეამჩნევს, რომ ჩვენს მსჯელობას იდეოლოგიაზე და მასთან დაკავშირებულ პრობლემატიკაზე გარკვეული შინაგანი წინააღმდეგობა ახასიათებს. ობიექტურობისათვის, ერთი მხრივ, არ შეიძლება გვერდი აუარო იმ ნეგატიურ დახასიათებებსა და შეფასებებს, რომლებიც მას მიუღებლად და ამორალურად მიიჩნევენ. ამ თვალსაზრისის მომხრეების არგუმენტაცია დამაჯერებელი და ანგარიშგასაწევია – კაცობრიობის ისტორია ამის უამრავ ფაქტობრივ მასალას გვაძლევს. მეორე მხრივ, ისიც ფაქტია, რომ დღემდე არც ერთი სახელმწიფო არ არსებობდა და, ალბათ, ვერც იარსებებს მომავალში შესაბამისი იდეოლოგიის გარეშე. მკითხველი ამაში კიდევ უფრო დარწმუნდება, როცა თანამედროვე იდეოლოგიების შესახებ ვისაუბრებთ. თუ პირველ თვალსაზრისს გაიზიარებ, მაშინ მორალურ-ზნეობრივი პოზიციებიდან ადამიანურ თვითკმაყოფილებასაც იგრძნობ – მართლაც მებრძოლმა, აგრესიულმა, ავტორიტარულმა, დიქტატორულმა, ტოტალიტარულმა იდეოლოგიებმა რამდენი უსაფუძ-

ვლო გამოცდა და უტოპიური ექსპერიმენტები, ომი და სისხლი მოუტანა კაცობრიობას. მაგრამ ეს იქნება ისტორიის ობიექტური გააზრება ან დღევანდელი პოლიტიკური და სოციალური რეალიების ადეკვატური ასახვა? ამ რთული ლაბირინთიდან გამოსვლისათვის შეიძლება დავიხმაროთ დასავლეთის დიდი ავტორიტეტი იდეოლოგიის პრობლემებში კ. მანჰეიმი. ის იდეოლოგიას მიაკუთვნებს წარმოდგენებს, რომლებიც არაადეკვატურია (ტრანსცენდენტური) ყოფიერების მიმართ, მაგრამ ამასთან ერთად აღნიშნავს, რომ კაცობრიობის ისტორიაში ადამიანები უფრო მეტად ორიენტირებული იყვნენ ტრანსცედენტური, ვიდრე იმანენტური (ადეკვატური) სინამდვილის ფაქტორებზე. თუ ადამიანთა მოდგმის ვერც ერთი თაობა, დღევანდელის ჩათვლით, ვერ ამაღლდა სინამდვილის, ე.ი. ყოფიერების, ადეკვატურ, რაციონალურ გააზრებამდე და ორიენტირებული იყვნენ და არიან მის ილუზორულ–უტოპიურ წარმოდგენებზე, იდეოლოგიის ოპონენტებთან შეიძლება ასეთი კომპრომისი გამოინახოს – ის არასასურველი მორალურ–ზნეობრივი და მეცნიერებისათვის ძიუღებელი კატეგორიაა, მაგრამ, ისევე როგორც ბევრი სხვა, არასასურველი ასპექტი, პოლიტიკური ცხოვრების რეალური სინამდვილის, სახელმწიფოებრიობის მნიშვნელოვანი და აუცილებელი კომპონენტია.

კ. მანჰეიმისათვის პოლიტიკური იდეოლოგია (იდეოლოგია ზოგადათაც) ცრუ (ყალბი) წარმოდგენების ერთობლიობაა, თუმცა ამასთან ერთად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მის ფუნქციონალურ თვისებებს, კერძოდ, მის უნარს, შეაკავშიროს ადამიანები, ადამიანთა ჯგუფები და მათი ენერგიის აკუმულირებით წარმართოს აქტიური მოქმედება რაიმე მიზნის მისაღწევად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე, მკითხველს შეიძლება ბუნებრივად დაებადოს კითხვა –

უნდა ვასწავლოთ თუ არა იდეოლოგიები ჩვენს ახალგაზრდობას, სტუდენტებს. ისწავლება თუ არა ეს პრობლემები ჩვენნაირ, ტრანსფორმირებად საზოგადოებებში ან განვითარებული დემოკრატიის ქვეყნებში. ამ კითხვაზე პასუხი უმარტივესია – ისწავლება ყველგან. ამის დადასტურება შეიძლება ნებისმიერი სახელმძღვანელოს გადაშლით, რომელიც გამოცემულია რუსეთში და პოსტსაბჭოურ ქვეყნებში და რომლებიც მასობრივად შემოდის საქართველოში. რაც შეეხება სახელმწიფოთა მეორე რიგს, მკითხველს მივუთითებთ (როგორც ყველაზე ხელმისაწვდომს) ჯერ 1995 წელს ინგლისურიდან თარგმნილ და ქართულად გამოცემულ უაღრესად პოპულარულ ამერიკულ საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს „ამერიკული დემოკრატია. აშშ ხელისუფლება და დემოკრატიული პროცესი“, რომლის პირველივე თავში ორი პარაგრაფის სახელწოდებაა: 1. იდეოლოგია და ხელისუფლების სფერო, 2. ამერიკული პოლიტიკური იდეოლოგიები და ხელისუფლების მიზანი.

დღევანდელ მსოფლიოში ყველაზე წარმომადგენლობითი და ავტორიტეტული პოლიტიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო ასოციაციის კონგრესების უკანასკნელი პერიოდის მასალების გაანალიზება ცხადყოფს, რომ პოლიტიკურ მეცნიერებათა აქტუალური თემატიკის ჩამონათვალში იდეოლოგიის პრობლემებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამ ასოციაციის 1995 წლის კონგრესზე აღინიშნა, რომ პოლიტოლოგიის, როგორც სამეცნიერო დარგის, სწავლებაში ცვლილებები მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს როგორც მის პარადიგმულ და კონცეპტუალურ ტრანსფორმაციას, ასევე უმნიშვნელოვანეს ძვრებს ღირებულებებისა და იდეოლოგიის სფეროში.

იდეოლოგიას აქვს იმის უნარი, რომ განსაზღვროს ადამიანების სოციალური აზროვნების პრინციპები,

დაალაგოს მის ცნობიერებაში სამყაროს სურათები. ამიტომ უწოდებდა მას კ. მანჰეიმი „ტოტალურს“.

მოგვწონს თუ არ მოგვწონს ზოგადად იდეოლოგია ან მისი რომელიმე მიმართულება, ერთი რამ ცხადია – დღემდე არსებული არც ერთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა, პროგრესული თუ რეაქციული, რევოლუციური თუ ევოლუციური არ ყოფილა, რომელსაც შესაბამისი იდეოლოგიური უზრუნველყოფა არ ჰქონოდა, სადაც გარკვეული იდეა მასების შეკავშირების ფუნქციას არ ასრულებდა ეროვნული თუ სოციალური მიზნების მიღწევაში.

4. იდეოლოგია და პოლიტიკა. პოლიტიკური იდეოლოგია

შეუძლებელია გაიგო და შეაფასო პიროვნების, სოციალური ჯგუფის, პოლიტიკური პარტიის, ორგანიზაციის, ელიტის პოლიტიკური მოღვაწეობა, თუ არ გაირკვა შეხედულებათა და ღირებულებათა როგორი ერთობლიობით ხელმძღვანელობენ ისინი. ადრე უკვე ითქვა, რომ პოლიტიკის ყველაზე სიღრმისეული საფუძვლები ადამიანის ინტერესებში და მოთხოვნილებებშია, მაგრამ მათი შეცნობისა და გააზრების შემდეგ ისინი იღებენ იდეის ფორმას. იდეები, პრინციპები, საზოგადოებრივი და კორპორაციული იდეალები და ღირებულებები ერთიანობაში ქმნიან მწყობრ სისტემას, რომელიც ამა თუ იმ იდეოლოგიის საფუძველია. იდეოლოგია არის ღირებულებითი ცნობიერება, რომელიც თავის თავში აუცილებლობით გულისხმობს რეალური სინამდვილის ასახვას მისი შეფასებით, რაც პრაქტიკულ მოქმედებაში უკვე პოლიტიკის სფეროა. იდეოლოგია მოწოდებულია დაასაბუთოს და მნიშვნელობა მიანიჭოს ადამიანების, როგორც პოლიტიკის სუბიექტებს შორის

ინსტიტუციონალურ ურთიერთობებს; ახსნას, გაამართლოს ან უარყოს არსებული პოლიტიკური სინამდვილე და მისი განვითარების ტენდენციები. ამ თვალსაზრისით პოლიტიკა ყოველთვის იყო და არის განსხვავებული იდეების, მიმდინარეობების, კონცეფციების – ერთი სიტყვით, იდეოლოგიების დაპირისპირებისა და შეჯახების არენა. ამის გამო, ნებისმიერ იდეოლოგიას აქვს პოლიტიკური ხასიათი. მაგრამ ცნება „პოლიტიკური იდეოლოგია“ გამოიყენება როგორც პოლიტიკური ინტერესებით განპირობებული შეხედულებების ერთობლიობა.

იდეოლოგიისა და პოლიტიკის ურთიერთმიმართების უამრავი ასპექტებიდან მისი პრაქტიკულ-პრაგმატისტული მნიშვნელობის თვალსაზრისით კიდევ ერთ ასპექტს უნდა მიეცეს პრიორიტეტი. ისევე როგორც ყველა ეპოქაში, დღესაც ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას ცნობილი ფორმულა: „პოლიტიკა არის შესაძლებლობების ხელოვნება“. სწორედ არსებული პოლიტიკური რეალიები უწესებს გარკვეულ ზღვარს პოლიტიკის იდეოლოგიზაციას, ხოლო იდეოლოგია აწესებს გარკვეულ ჩარჩოებს, რომლებშიც პოლიტიკური პარტია ან ხელისუფლება თავისი კურსის გატარებისას უნდა „ჩაჯდეს“, რომ არ უგულებელყოს საკუთარი საპროგრამო პრინციპები.

იდეოლოგიისა და პოლიტიკის ურთიერთდამოკიდებულების, როგორც მიზეზისა და შედეგის, როგორც მიზნისა და საშუალების ახსნა პირობითია, რადგან მათი ფუნქციები მუდმივ ცვალებადობაშია; უხამდებიან ან გადადიან ერთმანეთში, აქცენტი გადადის ერთ ან მეორე ასპექტზე. მაგრამ, მათ შორის ასეთი მიმართება უფრო ხელშესახებია მაშინ, როდესაც იდეოლოგია სახელმწიფოებრივ ფორმას იღებს – ხდება გაბატონებული, რის შედეგადაც მცირდება (ან შეიძლება სულაც იშლება) ზღვარი პოლიტიკის – სახელმწიფოს სახით და სახელმწიფო

იდეოლოგიას შორის (კიდევ ერთი მიზეზი ანტიიდეოლოგიური განწყობილებისა).

აქ კიდევ ერთი გარემოებაა აღსანიშნავი. პოლიტიკურ მეცნიერებებს, რომლებიც სწავლობს პოლიტიკის სამყაროს, მისი ხასიათისა და მიმდინარეობისადმი მიკუთვნების მიუხედავად, აქვს იდეურ-პოლიტიკური, ე.ი. იდეოლოგიური განზომილება. ნებისმიერი მკვლევარი ამა თუ იმ ფორმითა და ხარისხით განიცდის იდეოლოგიურ ზეგავლენას, ისინიც კი, ვინც „ნეიტრალურად" დარჩენის საკუთარი სურვილის კონსტატირებას ხშირად ახდენენ. არაფერს ვამბობთ იმ პოლიტიკოსებზე, ვინც არ მალავს და ასაბუთებს კიდეც რომელიმე სკოლის ან მიმდინარეობისადმი თავის კეთილგანწყობას. ნებისმიერ შემთხვევაში მკვლევარი არ არის დაზღვეული გარკვეული ტენდენციურობისაგან მნიშვნელოვანი იდეურ-პოლიტიკური ან სოციალურ-ფილოსოფიური დებულებების და პრინციპების შეფასებისას. იდეალში პოლიტოლოგია მიუდგომელი მეცნიერება უნდა იყოს, მათ შორის იდეოლოგიური ასპექტების კვლევის პროცესშიც, მაგრამ დასავლეთის თითქმის ყველა ქვეყნის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მეცნიერული ანალიზი და მისი დასკვნები თავსდება რომელიმე იდეურ-პოლიტიკური, ან იდეოლოგიური კონცეფციის ჩარჩოებში. შედეგად დასავლეთის პოლიტოლოგია თავისი მიდგომით, ამოსავალი პრინციპებით, სიმპატიებითა და ანტიპატიებით, ყოველთვის კლასიფიცირდება როგორც ლიბერალური ან კონსერვატიული, სოციალისტური ან სოციალ-დემოკრატიული, მარქსისტული ან ტროცკისტული და სხვა (ანტიიდეოლოგიის კიდევ ერთი არგუმენტი).

„პოლიტიკა იდეოლოგიის გარეშე" – იდეოლოგიური „ჭუჭყისაგან" პოლიტიკის გათავისუფლება უაღრესად კეთილშობილური, დიდი ტრადიციების ზნეობრივი ლოზუნგია. კ. იასპერსის ცნობილი

დებულება „პოლიტიკური თავისუფლების ნიშანი პოლიტიკის გამოყოფაა მსოფლმხედველობიდან“ – ყველა საღად მოაზროვნე ადამიანმა და პოლიტიკოსმა უნდა აღიაროს, რომ ამის პრაქტიკული განხორციელება შესაძლებელი იყოს. კაცობრიობის ზნეობრივმა კრიტერიუმებმა, მისი პოლიტიკური კულტურის დონემ ვერც ერთ ეპოქაში, ვერც ერთ ქვეყანაში ვერ მიაღწია ამ სასურველ მდგომარეობას. დღევანდელი პოლიტიკური რეალიებიც იმას გვკარნახობს, რომ პოლიტიკა ვერ გათავისუფლდა იდეოლოგიისაგან. ეს სადმე ექსპერიმენტის წესითაც რომ მოხდეს, ის მოწყდება თავის სოციალურ ფესვებს და მთლიანად საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებას. ამას კი პოლიტიკანობა ეწოდება. კაცობრიობის მთელი ისტორია დღევანდელობის ჩათვლით, მოგვწონს თუ არ მოგვწონს, უცილობლად ადასტურებს იმ დებულებას, რომ იდეოლოგიის გარეშე არ არსებობს პოლიტიკა, იდეოლოგიისა და პოლიტიკის გარეშე კი – სახელმწიფო.

ყოველგვარი იდეოლოგიისადმი ჩვენი საზოგადოების ერთი, საკმაოდ მნიშვნელოვანი ინტელექტუალური ნაწილის ალერგიული დამოკიდებულება გამომჟღავნდა იმაშიც, რომ მოითხოვეს თვით ტერმინის „იდეოლოგიის“ ამოღება სამეცნიერო–პოლიტიკური ლიტერატურიდან და მისი შეცვლა მსოფლმხედველობით. ამასთან დაკავშირებით, ბუნებრივად დგება მათი იდენტურობის პრობლემა – რაში ემთხვევა ეს ორი ცნება და რით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ეჭვგარეშეა, რომ იდეოლოგია და მსოფლმხედველობა აზრობრივად მონათესავე კატეგორიებია, რადგან ორივე წარმოადგენს შეხედულებათა, იდეათა სისტემას სამყაროზე და ასახავს ადამიანის როლსა და დამოკიდებულებას გარემო სინამდვილეზე. ორივე ცნება შეიცავს ღირებულებით ორიენტაციებს და წარსულის, აწმყოსა და მომავლის

ტენდენციების შეფასებებს. მათი იდენტიფიკაციის არსებითი ასპექტების ჩამოთვლა კიდევ შეიძლება გაგრძელდეს, მაგრამ ამის მიუხედავად, მათი სრული ურთიერთდამთხვევის საფუძველზე ერთის მეორეთი შეცვლის მეტნაკლებად დასაბუთებულ მსჯელობას ვერსად შეეხვდით. ეს არც არის გასაკვირი, რადგან მათ შორის ბევრი საერთოს გარდა არსებითი სხვაობაც არის. პირველ ყოვლისა კი ის, რომ იდეოლოგია მეტი ზომით, ვიდრე მსოფლმხედველობა, გამიზნულია არა ინდივიდის, არამედ სოციალური ჯგუფის კორპორაციული ცნობიერების აღზრდისაკენ, შეიცავს ისეთ ნორმატიულ ასპექტებს, რომელიც მიმართულია არსებული პოლიტიკური სისტემის განმტკიცების, ან მისი შეცვლისაკენ. იდეოლოგიის სუბსტრატი მასობრივი ცნობიერების სოციალური ჯგუფები, ასოციაციები, კლასები და პოლიტიკური პარტიებია. მისი მთავარი დეტერმინანტია ინდივიდუალური მსოფლმხედველობა საერთო ნორმატიულ ფარგლებში, თუმცა ერთიანი იდეოლოგიის საფუძველზე აღზრდილი ინდივიდუალური მსოფლმხედველობა ყოველთვის ერთგვაროვანი როდია – ის შეიძლება ამ იდეოლოგიისადმი ანტაგონისტურიც იყოს.

ჩვენი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი რომ უფრო ნათელვყოთ, შეიძლება კონკრეტული მაგალითებიც დავასახელოთ. დღევანდელი გერმანიის პოლიტიკურ სპექტრზე ლაბარაკისას, აუცილებლად შეხვდებით ასეთ წინადადებას – ბრანდტის მსოფლმხედველობა (სოციალ-დემოკრატიული) ან შტრაუსის, კოლის მსოფლმხედველობა (ქრისტიანულ-დემოკრატიული და ქრისტიანულ-სოციალური), მაგრამ ვერსად, ან თითქმის ვერსად ნახავთ ცნებათა ასეთ თანაწყობას წინადადებაში – გერმანიის სოციალ-დემოკრატიის, ქრისტიანულ-დემოკრატიული, ქრისტიანულ-სოციალური კავშირის მსოფლმხედველობა. აქ, როგორც წესი, იხმარება ცნება იდეოლოგია. ასევე

ტეტჩერის მსოფლმხედველობა, მაგრამ კონსერვატიული (ან ნეოკონსერვატიული) იდეოლოგია; მიტერანის მსოფლმხედველობა, მაგრამ სოციალისტური იდეოლოგია და სხვ. ამ და სხვა გარემოებათა გამო შეიძლება დავასკვნათ – იდეოლოგია და მსოფლმხედველობა მონათესავე კატეგორიებია, მათში დიდია იდენტიფიკაციის ხარისხი, მაგრამ არც შინაარსობრივად და არც მოცულობით ისინი ერთმანეთს არ ემთხვევიან. ამის გამო ამ ორ ცნებას თავისი განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი ბუნებრივი ადგილი აქვს დამკვიდრებული პოლიტიკურ აზროვნებაშიც, მეცნიერებაშიც და პრაქტიკულ საქმიანობაშიც.

პოლიტიკური იდეოლოგია პოლიტიკური ცნობიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფორმაა, რომელიც აქტიურ ზემოქმედებას ახდენს, გარკვეულწილად განსაზღვრავს ხელისუფლების ხასიათს, მის შინაარსს და ყველა პოლიტიკური ინსტიტუტის ფუნქციონირებას. ის თავსდება სულიერი მოვლენების კატეგორიაში.

პოლიტიკური იდეოლოგია ინდივიდების, სოციალური ჯგუფების განზოგადებული პოლიტიკური ცნობიერების ფორმაა, რომლის საფუძველია პოლიტიკური ხასიათის იდეების, კონცეფციების, დოქტრინების ერთობლიობა. პოლიტიკური იდეოლოგიის საფუძველზე მყარდება პოლიტიკური ურთიერთობები საზოგადოების შემადგენელ სუბიექტებს შორის და ფუნქციონირებენ შესაბამისი პოლიტიკური ინსტიტუტები. შესაბამისად, პოლიტიკური იდეოლოგია არის კორპორაციული ცნობიერების ნაირსახეობა, რომელიც ასახავს ჯგუფურ თვალსაზრისს პოლიტიკურ და სოციალურ განვითარებაზე და გამოირჩევა სულიერი ექსპანსიის მიდრეკილებით.

პოლიტიკური იდეოლოგია, პირველ ყოვლისა, ხელისუფლების სულიერი იარაღია, მაგრამ მისი

რეალური როლი ხელისუფლებასთან მიმართებაში დამოკიდებულია საზოგადოებრივი ცნობიერების მიერ მისი შეთვისების ხასიათსა და დონეზე.

ჩვენ მიერ უკვე ნახსენები პოპულარული საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს, „აშერიკული დემოკრატია", ავტორები პოლიტიკურ იდეოლოგიას განიხილავენ, როგორც „ხელისუფლების მართებული მიზნისა და მოქმედების სფეროს შესახებ არსებული ფასეულობებისა და მრწამსის მდგრად ერთიანობას". ამ განსაზღვრებაში საინტერესოა პოლიტიკურ იდეოლოგიაში მიზნის შემოტანა, რაც, ეფიქრობთ, გამართლებულია, რადგან იდეოლოგია სწორედ სტრატეგიული მიზნებისა და მისი მიღწევის გზების ერთიანობაა.

მეცნიერთა უმრავლესობა კი პოლიტიკურ იდეოლოგიას ხსნის როგორც განსაზღვრულ დოქტრინას, რომელიც ამართლებს ადამიანების ამა თუ იმ ჯგუფის მისწრაფებას ძალაუფლებისაკენ (ან მისი გამოყენებისაკენ) და რომლებიც ცდილობენ ამის შესაბამისად დაუძორჩილონ საზოგადოებრივი აზრი საკუთარ იდეებს.

იმის გამო, რომ ნებისმიერი საზოგადოება, თვით ყველაზე განვითარებული და მაღალორგანიზებულიც შემადგენლობით არაერთგვაროვანია (განსხვავებული სოციალური, ეროვნული, რელიგიურ-კონფესიური, დემოგრაფიული და სხვა ჯგუფებისაგან შედგება), განსხვავებული დოზით მათი ურთიერთდაპირისპირება ბუნებრივი პროცესია. ამ დაპირისპირებაში, რომელსაც ხშირად რადიკალური, კონფრონტაციული ხასიათი აქვს, სოციალურ-პოლიტიკური ჯგუფები ეყრდნობიან მათ მიერ გაზიარებული იდეების ერთობლიობას, რომელიც ამართლებს მათ ხელისუფლებაში მოსვლას (ოპოზიცია) ან ხელისუფლებაში დარჩენას (პოზიცია). არსებითად პოლიტიკური იდეოლოგია ერთ იდეურ პოზიციებზე, საშინაო და საგარეო პოლიტიკის

არსებით პრიორიტეტებზე მდგარი სოციალური ჯგუ-ფის კოლექტიური აზრია, რომელიც შეიმ-უშაავა პოლიტიკურმა ელიტამ და შემდგომ გაიაზრა პარ-ტიისა და ხალხის ნაწილმა.

ცნობილი ესპანელი პოლიტოლოგის ლ. სანისტე-ბანის თვალსაზრისით, პოლიტიკურ იდეოლოგიას ორი ძირითადი ფუნქცია აქვს – 1. შემეცნებითი, რაც პოლიტიკური პროცესებისა და ინსტიტუტების ფუნქციონირების ახსნა-ანალიზს გულისხმობს და 2. პრაგმატული, რაც განსაზღვრული მიმართულებით მოქმედების ორიენტაციას განაპირობებს. პოლიტიკური იდეოლოგიის ორივე ფუნქცია ურთიერთდაკავ-შირებულია, მაგრამ ლ. სანისტებანი უპირატესობას მეორეს ანიჭებს, რადგან ხელისუფლებაში მყოფი ნებისმიერი ელიტა ცდილობს გაამართლოს და დაასაბუთოს თავისი ყოფნა პოლიტიკური პირამიდის მწვერვალზე.

ამრიგად, პოლიტიკური იდეოლოგიის ძირითად ფუნქციას, საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების ახსნა-ანალიზის პარალელურად, წარმოადგენს საზო-გადოებრივი ცნობიერების დაუფლება, მასში წარ-სულის, აწმყოსა და მომავლის შეფასების საკუთარი კრიტერიუმების დანერგვა, საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში პოზიტიური იმიჯის შექმნა, პო-ლიტიკური მონაწილეობა მისი განკითარების მიზნე-ბისათვის. ამ თვალსაზრისით უნდა გააერცელოს, პრო-პაგანდა გაუწიოს თავის მიზნებსა და იდეალებს, უფრო მეტად მიაღწიოს მოქალაქეების მიზანშიმარ-თულ მოქმედებას მის მიერ დასახული ამოცანების შესასრულებლად.

ცალკეული პოლიტიკური იდეოლოგიის უკან განსაზღვრული პოლიტიკური ჯგუფების ინტერესებია და სრულიად ბუნებრივია, რომ პოლიტიკური ოპოზიცია დაინტერესებულია არსებული ხელისუფ-ლების შეცვლით, მისი ადგილის დაკავებით, საკუთარი

პოლიტიკური იდეოლოგიის საფუძველზე ფართო მასების მხარდაჭერით. ამის გამო პოლიტიკური იდეოლოგიის თეორეტიკოსები მის აუცილებელ ფუნქციად მიიჩნევენ საზოგადოების ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილის ინტეგრირებას, შეკავშირებას გარკვეული ინტერესების საფუძველზე.

პოლიტიკური იდეოლოგიის სწორედ ამ თვისებისა და ფუნქციის გამო, რომ ის ნამდვილად არ გახდეს ხელისუფლების მსახური და მისი სულიერი ექსპანსიის იარაღი, აუცილებელია დამოკრატიულ, პლურალისტულ საზოგადოებაში ერთდროულად ფუნქციონირებდეს პოლიტიკური იდეოლოგიის რამდენიმე ნაირსახეობა და ეს განასხვავებს ასეთ საზოგადოებას, უპირველეს ყოვლისა, ტოტალიტარიზმისაგან. პოლიტიკური იდეოლოგიის მრავალსახეობა ყველა დაინტერესებულ სოციალურ ჯგუფს უქმნის იმის პირობას, რომ ჩამოაყალიბოს, დაასაბუთოს თავისი ინტერესი იდეალებისა და მიზნების სახით და დასახოს მისი მიღწევის გზები, შეიმუშაოს საკუთარი პოლიტიკური კურსის შესაბამისი სტრატეგია პოლიტიკური პროგრამის ფორმით.

პოლიტიკური იდეოლოგია საზოგადოების პოლიტიკური სისტემის განუყოფელი ნაწილია და ბევრ ასპექტში, მისი განმსაზღვრელიცაა. პოლიტიკური იდეოლოგიის შექმნა, თუ მხედველობაში მივიღებთ მრავალ ქვეყანაში უკვე საუკუნეების განმავლობაში თეორიულად უაღრესად დახვეწილ და დამუშავებულ ზოგად ნიშნებს, აგრეთვე ასევე მრავალ ქვეყანაში აბრობირებულ პრაქტიკულ შედეგებს, არ არის რთული. ამოცანა გაცილებით რთულდება მაშინ, როცა პოლიტიკური იდეოლოგიის რომელიმე ნაირსახეობის ზოგადი კონცეფციები უნდა შეუხამდეს გარდამავალი პოლიტიკური სისტემის მქონე ქვეყნების პოლიტიკური და სოციალურ–ეკონომიკური პრობლემების გადაჭრას ისე, რომ გათვალისწინებული იყოს ქვეყნის ტრადი-

ციები და განსაკუთრებით სახელმწიფოებრივი მემკვიდ-
რეობითობა, მოსახლეობის ჯერ კიდევ ფორმირების
პროცესში მყოფი პოლიტიკური კულტურის დონე და
მენტალიტეტი, ქვეყნის წინაშე მდგომი სტრატეგიული
და ტაქტიკური მიზნები და მათი მიღწევის გზები.

პოლიტიკური იდეოლოგიის მატარებელი და
საზოგადოებრივ აზროვნებაში მისი გამტარებელი,
როგორც წესი, პოლიტიკური პარტიაა. რადგან
პარტიების ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი
პოლიტიკური იდეოლოგიებია, მათ შორის მეტოქეობა,
ბუნებრივი პროცესია. მაგრამ ამ დაპირისპირების
ხასიათი პოლიტიკური ძალების პოლარიზაციაზეა
დამოკიდებული. ერთ შემთხვევაში, თუ პოლიტიკურ
ძალებს შორის მიღწეულია კონსენსუსი არსებული
საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობის მიმართ, მაშინ
ოპონირება ზომიერ და ცივილიზებულ ხასიათს უნდა
ატარებდეს. თუ ამ ძალების პოლარიზაცია ძალიან
მკვეთრია და პრობლემის არსი არსებული წყობის
დანგრევასა და ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ფორმაციის ჩამოყალიბებაშია, დაპირისპირება
შეიძლება გადაიზარდოს იდეურ მოწინააღმდეგეებს
შორის პოლიტიკურ ან, უკიდურეს შემთხვევაში,
შეიარაღებულ კონფრონტაციაში. ეს თეორიულად.
მაგრამ ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიის
პოლიტიკური პროცესების განვითარების გაკვეთილები
მსოფლიო პოლიტიკური ცივილიზაციის თეორიულ
კონცეფციებში ნაკლებად ჯდება – რადიკალურ
კონფრონტაციამდე პოლიტიკური ძალები მაშინაც
შეიძლება მივიდნენ, როცა სტრატეგიული მიზნები
საერთოა და მხოლოდ ტაქტიკის სფეროებშია
წინააღმდეგობა.

პოლიტიკური იდეოლოგიის ძირითადი პოსტუ-
ლატების შესრულება-არშესრულების გულდასმითი
ანალიზის საფუძველზე ექსპერტები ხსნიან, თუ რატომ

დარჩა ხელისუფლებაში ესა თუ ის პოლიტიკური ძალა ან რატომ ჩაენაცვლა მას ოპოზიცია.

იდეოლოგიური დაპირისპირება განსაკუთრებით მწვავდება ქვეყნის უმაღლესი სახელისუფლებო ორგანოების არჩევნების პერიოდში, რომელიც მანამ, შეიძლება ხალხის დიდი მასისათვის ცნობიერების მხოლოდ პერიფერიაში არსებობდეს. წინასაარჩევნო პერიოდში ყველა პოლიტიკური ძალა ცდილობს თავისი კონცეფციებისა და ორიენტაციების ხალხისათვის მისაღები იდეოლოგიური ფორმის მოძებნას. ეს განსაკუთრებით ძნელია ჩვენნაირი ჭრელი პოლიტიკური მოზაიკის ქვეყნებში, სადაც დემოკრატიის ერთი უმთავრესი საფუძველი, პოლიტიკური პლურალიზმი, მისი გაშარჟებული ფორმით გვევლინება. პარტიებმა 150-ს გადააჭარბა. პოლიტიკური იდეოლოგიები კი (ცივილიზებული სამყაროსათვის მისაღები) სულ სამი, ოთხია. პოლიტიკური იდეოლოგია სამთავრობო პოლიტიკის შეფასების ძირითადი კრიტერიუმია, ის წყალგამყოფი ორიენტირია, რომელმაც უნდა დააჯგუფოს განსხვავებული პოლიტიკური ძალების გარშემო შესაბამისი ელექტორატი.

II. როგორი იდეოლოგიები ვეჭირდება

1. ლიბერალიზმის პოლიტიკური იდეოლოგია

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ კაცობრიობის აზროვნების ისტორიაში არც ერთ პოლიტიკურ თეორიას, დოქტრინას, იდეოლოგიას არ მოუხდენია ისეთი კეთილნაყოფიერი ზეგავლენა ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა ჩამოყალიბებასა და დანერგვაში, როგორც ლიბერალიზმის თეორიამ და პრაქტიკამ.

თავად ცნება „ლიბერალიზმი“ გამოიყენებოდა ესპანეთში, სადაც XIX საუკუნის დასაწყისში ამ ტერმინით მოიხსენიებდნენ ნაციონალისტ დეპუტატთა ჯგუფს კორტესში (პროტოპარლამენტის ადგილობრივი ნაირსახეობა). შემდგომ ის გაერცელდა ევროპულ ქვეყნებშიც და ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური იდეოლოგიისა და საზოგადოებრივი მოძრაობის სახელწოდება გახდა, თუმცა პოლიტიკურ ლიტერატურაში სხვა აზრიც არის გამოთქმული. ფ. ჰაიეკს მიაჩნდა, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ტერმინი შემოიტანა ადამ სმიტმა და მისი ნაშრომებიდან შესაბამის ციტირებასაც ახდენდა.

ლიბერალური იდეოლოგიის დაფუძნებას და შემდგომ მისი არსებითი იდეური პრინციპების პერმანენტულ განვითარებას გამოჩენილ მოაზროვნეთა დიდი ინტერნაციონალური ჯგუფი ემსახურებოდა. ინგლისელები – ჯონ ლოკი, ადამ სმიტი, ჯონ სტიუარტ მილი, ჰერბერტ სპენსერი, ჯონ კეინსი; ფრანგები – შარლ ლუი მონტესკიე, ბენჟამენ კონსტანი; გერმანელები – იმანუილ კანტი, ვილჰელმ გუმბოლდტი; ამერიკელები – თომას ჯეფერსონი, ჯეიმს მედისონი, ჯონ კენეტ გელბრეიტი, რობერტ დალი; ავსტრიელ–ამერიკელი ფრიდრიხ ფონ ჰაიეკი და სხვ. ამ არასრული ჩამონათვალიდანაც ნათელია, რომ ლიბერალური იდეოლოგიის შექმნასა და

განვითარებაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა მეცნიერების – ფილოსოფიის, სოციოლოგიის, ეკონომიკის, ისტორიის, ფსიქოლოგიის სახელოვანი წარმომადგენლები, რომლებმაც შექმნეს ყოვლისმომცველი, ერთიანი და მწყობრი იდეოლოგია.

ლიბერალიზმის საწყისი ეტაპის თეორეტიკოსებს შორის პრიორიტეტს მაინც ჯონ ლოკს აკუთვნებენ, რომელმაც მე–17 საუკუნის ბოლოს გამოცემულ ნაშრომში „მეორე ტრაქტატი სახელმწიფო მმართველობის შესახებ“ კონსტიტუციური მონარქიის პოლიტიკური სისტემის ძირითად პრინციპებთან ერთად ლიბერალიზმის ძირითადი იდეური კონცეფციები ჩამოაყალიბა.

ლიბერალიზმის საწყის ეტაპზე მისი უმთავრესი პრინციპი გახდა ინდივიდუალური თავისუფლების იდეალი, როგორც ახალი პოლიტიკური იდეოლოგიის უნივერსალური მიზანი. ლიბერალიზმის თეორეტიკოსთა მცდელობა მიმართული იყო იქითკენ, რომ თითოეულ ინდივიდში აღეზარდათ იმის შეგნება, რომ ადამიანი თანასწორია მის ბუნებრივ მისწრაფებაში თვითრეალიზაციისაკენ და ამ ეტაპზე ის პასუხისმგებელია თავისი მოქმედებით საკუთარ პერსონასა და საზოგადოებასთან ერთდროულად. ლიბერალიზმის ერთ–ერთი მთავარი არგუმენტი, რომ ადამიანმა ყველა მთავრობაზე უკეთესად იცის, რაც მას სჭირდება (ჯ.ს. მილი), განაპირობებდა პიროვნების რწმენას საკუთარი ძალებისადმი, ზრდიდა მასში იმის უნარს, რომ საკუთარი პრობლემები უპირატესად საკუთარი შესაძლებლობების ჩარჩოებით შემოესაზღვრა, აიძულებდა თავად ეძებნა ახალი გზები ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობისაკენ, ზრდიდა ადამიანებში შრომისმოყვარეობას, ნოვატორობას, რამაც სხვა ფაქტორებთან ერთად მნიშვნელოვანწილად განაპირობა საბაზრო ეკონომიკის დინამიკური და შეუქცევადი ზრდის პროცესი.

ინდივიდუალიზმზე და პირად თავისუფლებაზე დამყარებული იდეოლოგია კონფრონტაციულად დაუპირისპირდა ფეოდალური სახელმწიფოს პოლიტიკურ და რელიგიურ ლეგიტიმაციას, ძალადაკარგულად გამოაცხადა არსებული შემკვიდრეობითი პრივილეგიების ყველა ფორმა და წარმატების საფუძვლად ყველა სფეროში პიროვნების ბუნებრივი უნარი გამოაცხადა.

ფ. ჰაიეკს ინდივიდუალიზმზე დაფუძნებული საზოგადოების მთავარ ღირსებად, ადამ სმიტის დამოწმებით, მიაჩნდა ის, რომ ასეთ საზოგადოებაში ძალიან მცირეა უგონო ხალხისაგან მიყენებული ზიანი. ეს ისეთი საზოგადოებრივი წყობაა, რომლის ფუნქციონირებისათვის და სამართავად არ არის აუცილებელი ყველა წესიერი პიროვნება გამოიძებნოს, არ არის აუცილებელი, რომ ყველა ადამიანი გახდეს უკეთესი. ეს წყობა აიძულებს ყველას ემსახურონ საკუთარ თავს არსებული მრავალფეროვნებისა და მრავალსირთულეების პირობებში, მიუხედავად იმისა, რომ ზოგი წესიერი, ზოგი უწესო, ზოგი ჭკვიანი, ზოგი სულელია.

საზოგადოებრივ ცნობიერებაში ლიბერალიზმის ეკონომიკური ასპექტების დამკვიდრების საქმეში უდიდესი როლი შეასრულა დიდი შოტლანდიელის ადამ სმიტის 1776 წელს გამოქვეყნებულმა ნაშრომმა „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“, სადაც პირველად დაასაბუთა ეკონომიკის სფეროში ხელისუფლების ჩაურევლობის პრინციპი, უფრო ზუსტად, მისი ჩარევის სფეროები და ზღვარი, რომელსაც უნდა უზრუნველეყო კერძო საკუთრებისა და თავისუფალი კონკურენციის დაცვა.

ლიბერალიზმის ადრეული, ან როგორც მიღებულია მისი კლასიკური ეტაპის უპირველესი, განმსაზღვრელი ნიშანი იყო ის, რომ მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, თავიანთი თეორიები ააგეს დროის

რეალობიდან გამომდინარე არსებული მოძველებული პოლიტიკური სისტემების, ღირებულებებისა და იდეების, ეფექტურობას მოკლებული საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი პოლიტიკური ინსტიტუტების კრიტიკაზე, იმ დროისათვის გაბატონებული დოქტრინებისა და კონცეფციების გადასინჯვის აუცილებლობაზე და ამავე დროს დაამუშავეს და საზოგადოებრივი აზრის კუთვნილება გახადეს მათი მოდერნიზაციის გზები და მიმართულებები ისტორიული განვითარების ახალი ტენდენციების გათვალისწინებით.

ლიბერალიზმის უმნიშვნელოვანესი, არსებითი ნიშანი, რომელმაც განსაზღვრა მრავალი თაობის, სოციალური ჯგუფის და პოლიტიკური ელიტის დამოკიდებულება მრავალ ქვეყანაში, როგორც ყველაზე მისაღები, ჰუმანური, ლოიალური პოლიტიკური იდეოლოგია, იყო ის, რომ მისთვის უცხოა რადიკალიზმი, რეეოლუციური ლოზუნგები, კონფრონტაციულობა, როგორც ერთი ქვეყნის შიგნით სოციალურ ჯგუფებს შორის, ისე სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებში.

აზროვნების თავისუფლების იდეა ლიბერალიზმმა რაღაც განყენებულ უსაგნო დონეზე კი არა, კონკრეტული სფეროების უფლებებსა და თავისუფლებებს დაუკავშირა – კერძო საკუთრების ფლობის უფლებას, თავისუფალ ბაზარს, კონკურენციას და მეწარმეობას, მოქალაქეების სამართლებრივ თანასწორობას, სახელმწიფოს სახელშეკრულებო ბუნებას, პოლიტიკაში მოპაექრე სოციალური ჯგუფების თანაბარ პირობებს, უფლებებსა და პასუხისმგებლობას.

ლიბერალური იდეოლოგიის ცენტრში ინდივიდია და დანარჩენი ყველაფერი, სოციალური და ყოველგვარი სხვა ჯგუფები, კლასები, ერთიანობაში აღებული მთელი სოციუმი, აზროვნების თავისუფლებასა და პასუხისმგებლობაზე აშენებული კატეგორიებია.

საყოველთაო კეთილდღეობის იდეას და მისი მიღწევის გზებსაც ლიბერალიზმი განიხილავს ცალკეული ინდივიდების კეთილდღეობის პრიზმაში და არა ზოგადად, აბსტრაქტული საზოგადოებრივი ინტერესების პრიმატის კუთხით. ლიბერალიზმის გაგებით ინდივიდუმის კეთილდღეობა ქმნის საზოგადოების კეთილდღეობას, განსაზღვრავს მის ხარისხს, და დონეს და არა, პირიქით. თანასწორობის იდეას ლიბერალიზმი იცავს არა სოციალურ–ეკონომიკურ სფეროებში, საბაზრო ეკონომიკის პირობები ეს ფანტაზიის სფერო‍ა, არამედ მხოლოდ სამართლებრივ სფეროში – კანონის წინაშე ყველა თანასწორია. სწორედ ეს პრინციპი დაედო საფუძვლად შემდგომში სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფციების ჩამოყალიბებას.

სრული საფუძველი არსებობს იმისათვის, რომ დავასკვნათ – ყველა ლიბერალური ღირებულება ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია, ის იდეებისა და კონცეფციების მთლიანი სისტემაა, მაგრამ პრიორიტეტი, გამჭოლი იდეა, მაინც თავისუფლებაა: ეკონომიკაშიც, პოლიტიკაშიც, სულიერ ცხოვრებაშიც. არც ის არის შემთხვევითი, რომ ამ იდეოლოგიის სახელწოდება ლათინური „liberalis"–დან წარმოიშვა, რაც თავისუფალს ნიშნავს. ადამიანის თავისუფლების იდეა საზოგადოებაში, მისი უფლება და შესაძლებლობა საკუთრივ განსაზღვროს ცხოვრებისეული მიზანი და, შესაბამისად, პირადი პასუხისმგებლობა მოქმედების შედეგებისადმი ლიბერალური იდეოლოგიის უმთავრესი პრინციპია, მაგრამ ადამიანის თავისუფლება, პირველ რიგში, უნდა აისახოს მისი პოლიტიკური არჩევანის თავისუფლებაზე და სხვა „ბუნებრივ უფლებებზე", რომელთა რიგშიც კერძო საკუთრებას განსაკუთრებული ადგილი უკავია; კერძო საკუთრებისა და ეკონომიკური თავისუფლების მოპოვება კი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ

თავისუფალი ბაზრისა და თავისუფალი კონკურენციის პირობებში. ლიბერალიზმის თეორიაში ადამიანის მრავალგანზომილებიან უფლებებსა და თავისუფლებებში კერძო საკუთრებას განმსაზღვრელი როლი ეკისრება, რადგან ის განიხილება როგორც თავისუფლების გარანტი და საფუძველი. ლიბერალიზმმა თავისუფლება და კერძო საკუთრება ორ ურთიერთდაკავშირებულ ღირებულებად აღიარა და ამავე დროს დაასაბუთა, რომ ისინი ერთმანეთს განაპირობებენ.

მხოლოდ კერძო საკუთრებაა ინდივიდუალური თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საფუძველი. მხოლოდ კერძო საკუთრება ხდის პიროვნებას თავისუფალს და ამასთან ერთად აყალიბებს ინდივიდუალიზმს.

თავისუფლების გარეშე არ არსებობს კერძო საკუთრება და კერძო საკუთრების გარეშე თავისუფლება ფიქციაა. ლიბერალიზმს ეკონომიკური თავისუფლებიდან, რომელიც მხოლოდ კერძო საკუთრებას შეიძლება ეფუძნებოდეს გამოყავს „თავისუფლების“ ზოგადი კონცეფცია. ამიტომ ვერ ვიტყვით, რომ დღეს ჩვენს ქვეყანაში თავისუფლების ხარისხი მაღალია.

ინდივიდუალიზმისა და პიროვნული თავისუფლების ახალი იდეოლოგიის უმთავრეს პრინციპებად გამოცხადებამ, ლიბერალიზმის თეორეტიკოსები ლოგიკურად მიიყვანა პიროვნებისა და სახელმწიფოს ურთიერთდამოკიდებულების ურთულეს პრობლემამდე. მკაცრად უნდა ყოფილიყო შემოსაზღვრული პიროვნების აქტიურობის ის სფეროები და დონეები, სადაც სახელმწიფოს არ ჰქონდა უფლება ჩარეულიყო და ეს განიხილებოდა როგორც ინდივიდის თვითრეალიზაციისა და თვითდამკვიდრების ბუნებრივი უფლება. ამ უფლების ტრადიციული დასაცავი არგუ-

მენტი იყო ის, რომ სამყაროში ადამიანი სახელმწიფოსა და საზოგადოებაზე ადრე გაჩნდა.

კლასიკური ლიბერალიზმის თანახმად, პირველადია საზოგადოება, მეორადი სახელმწიფო და ის ყალიბდება „საზოგადოებრივი ხელშეკრულების“ საფუძველზე.

ამ უმთავრესი, საყრდენი დებულების რეალიზაციისათვის ლიბერალიზმის თეორეტიკოსებმა ჩამოაყალიბეს რიგი სამართლებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პრინციპი, რომლებიც აუცილებლად ერთიანობაში განიხილებოდა. სამართლებრივი არგუმენტაციით სახელმწიფოს ფუნქციებში შედიოდა ისეთი პირობების უზრუნველყოფა, რომელიც თითოეულ ინდივიდს საშუალებას მისცემდა აერჩია საქმიანობის ფორმა, პოლიტიკური, ეკონომიკური, მორალურ-ეთიკური და სხვა ღირებულებები და უზრუნველყოფდა ამ არჩევანის განხორციელებას. პოლიტიკის სფეროში სახელმწიფოს ფუნქციათა განსაზღვრამ წარმოშვა „ღამის დარაჯის“ თეორია, რასაც მეორენაირად „მინიალურ“ სახელმწიფოსაც ეძახდნენ. ამ თეორიით განისაზღვრა სახელმწიფოს ფუნქციათა კომპლექსი ძირითადად ორ ასპექტში – საშინაო პოლიტიკის დარგში წესრიგის დამყარებით და საგარეო პოლიტიკის დარგში ქვეყნის უსაფრთხოების დაცვით.

სახელმწიფოს ფუნქციათა ასეთი მკვეთრი შეზღუდვა ლიბერალიზმის ადრეული ეტაპის უმნიშვნელოვანესი დამახასიათებელი ნიშანია. ისინი პრიორიტეტს აძლევენ საზოგადოებას, მის სამოქალაქო ინსტიტუტებს სახელმწიფოსთან მიმართებაში. ჯ. ლოკი, ლიბერალიზმის ერთ-ერთი მამამთავარი, ქვეყნის უმაღლეს სახელისუფლო ორგანოს ადარებდა არა თავს, არამედ ქუდს, რომელიც შეიძლება უმტკივნეულოდ შეცვალო.

მიუხედავად იმისა, რომ „ღამის დარაჯის“ კონცეფცია ლიბერალიზმის იდეოლოგიურ სისტემაში ერთი მთავარი კონსტრუქციაა, სახელმწიფოს ფუნქციებსა და როლზე საზოგადოებასთან და ინდივიდთან მიმართებაში თავიდანვე არ იყო აზრთა სრული ერთიანობა. საერთო და ყველას მიერ გაზიარებული იყო ის პრინციპი, რომ სახელმწიფომ უნდა დაიცვას მართლწესრიგი, პიროვნების უფლებები და თავისუფლება, უზრუნველყოს ქვეყნის სუვერენიტეტი, ამასთან მისი ავტორიტეტული წარმომადგენლები (ა. სმიტი, ი. კანტი და სხვები) მიუთითებდნენ სახელმწიფოს იმ ფუნქციებზე, რომ 1. ინდივიდის უფლებების დაცვა უნდა ხდებოდეს იმ ზომით, რომ არ შეილახოს სხვა ინდივიდის უფლებები და 2. სახელმწიფო ვალდებულია დაეხმაროს საზოგადოების იმ ნაწილს, რომლისთვისაც ეს დახმარება აუცილებელია.

ლიბერალიზმმა სახელმწიფოსთან მიმართებაში თავიდანვე გამოამჟღავნა კრიტიკული დამოკიდებულება და დიდი მცდელობა მოანდომა იმ ზღვრული ხარისხისა და ხასიათის დადგენას, რომელშიც დასაშვები იყო სახელმწიფოს ჩარევა ინდივიდის პირად ცხოვრებაში. ამავე დროს ამ იდეოლოგიაში მაქსიმალურად დამუშავებულია და აღიარებული მოქალაქეების მაღალი პოლიტიკური პასუხისმგებლობის, პლურალიზმისა და რელიგიური შემწყნარებლობის, კონსტიტუციონალიზმის განუხრელი დაცვის, საკუთარი ქვეყნის ერთგულებისა და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა ურთიერთშეხამების, „უმტკივნეულო მორიგების“ (ილია) პრინციპი.

ლიბერალურმა იდეოლოგიამ ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა კონსტიტუციონალიზმის, პარლამენტარიზმისა და სამართლებრივი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი პრინციპების დამუშავებასა და დანერგვაში. ამ მხრივ ფუძემდებლური მნიშვნელობა ჰქონდა შ.ლ. მონტესკიეს და ჯ. ლოკის მიერ ხელისუფლების

საძ ძირითად შტოდ – საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად აუცილებელი დაყოფის პრინციპის დამუშავებას. ასეთი დაყოფა და მათ შორის გარკვეული ოპონირება დემოკრატიული, პლურალისტული, სამართლებრივი სახელმწიფოს აშენების წინაპირობად მიაჩნდათ. ხელისუფლების ამ სამი შტოდან რომელიმე ორის გაერთიანება აუცილებლად გულისხმობს თავისუფლების ჩახშობას და ტირანიის გაბატონებას, ხოლო სამივე შტოს ერთ პიროვნებაში ან ერთ ორგანოში შერწყმა შ.ლ. მონტესკიეს დესპოტიზმის გამოვლინებად მიაჩნდა. ლიბერალიზმის თეორეტიკოსთა ამ თაობას ეკუთვნის იმის დასაბუთებაც, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოში უნდა ბატონობდეს კანონები და არა პიროვნებები, ხოლო სახელმწიფოს ფუნქცია უნდა იყოს თავისუფალ პიროვნებებს შორის ურთიერთობების დარეგულირება კანონების მკაცრი დაცვის საფუძველზე.

ლიბერალური იდეოლოგიის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი მისი ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე გახდა პლურალიზმი, რომელიც აუცილებლად უნდა გავრცელებულიყო საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე. პოლიტიკურ ასპექტში პლურალიზმი გულისხმობს განსხვავებულ პოლიტიკურ ძალებს, პარტიებს, ორგანიზაციებს, კლუბებს და სხვ. სოციალურ სფეროში – განსხვავებულ კლასებს, ფენებს, ინტერესთა ჯგუფებს; ეკონომიკის სფეროში – თავისუფალ ბაზარს, კონკურენციას, საკუთრების ფორმების მრავალფეროვნებას; სულიერი ცხოვრების სფეროში – განსხვავებულ ეთნიკურ, რელიგიურ ან კონფესიურ კულტურებს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს და სხვ.

ლიბერალიზმის უმთავრესი პოლიტიკური იდეებია მოქალაქეების სამართლებრივი თანასწორობა – კანონის წინაშე ყველას თანაბარი უფლებები აქვს;

პოლიტიკური პლურალიზმი, რომელიც მოიცავს პროფესიულ, ეკონომიკურ, რელიგიურ და სხვა ასპექტებსაც, სახელმწიფოს სახელშეკრულებო ბუნებას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს თავისუფალი ბაზარი და თავისუფალი კონკურენცია.

თავისუფლების, კერძო საკუთრების პრიმატის, თავისუფალი ბაზრისა და თავისუფალი კონკურენციის თეორიულ დებულებათა პრაქტიკული ხორცშესხმა აღმოჩნდა საწარმო ძალების განვითარების, საერთოდ საზოგადოებრივი პროგრესისა და მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი ზრდის, დემოკრატიული საზოგადოების აშენების უძლიერესი მასტიმულირებელი ძალა.

ნეოლიბერალიზმი. ყოველი ახალი ისტორიული ეპოქა და მისგან მომდინარე რეალიები ლიბერალიზმის თეორეტიკოსების, ოპოზიციაში ან ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკური ელიტის წინაშე აყენებდა საკმაოდ რთულ პრობლემას – როგორ უზრუნველეყოთ ,ლიბერალიზმის კლასიკური მემკვიდრეობის ძირეული ღირებულებების მისადაგება შეცვლილ პირობებთან. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ მაშინ დადგა, როცა გაირკვა, რომ თავისუფალი ბაზარი და კონკურენცია კარგად მოირგეს პრივილეგირებულმა სოციალურმა ჯგუფებმა, ჩაიყენეს თავის სამსახურში და ლიბერალიზმის ბევრი პრინციპული დებულების ხორცშესხმა შეუძლებელი გახდა.

XIX–XX ს.ს. მიჯნაზე ლიბერალური იდეოლოგიის თეორეტიკოსებმა და პოლიტიკოსებმა იგრძნეს კლასიკური ლიბერალიზმის იდეების კრიზისი, რაც გამოწვეული იყო საზოგადოებრივი დაპირისპირების გამწვავებასთან სოციალურ სფეროებში და სოციალისტური იდეების წარმატებებთან. ეს კრიზისი, პირველ ყოვლისა, აისახა ლიბერალიზმის შიგნით განსხვავებულ მიმდინარეობათა ჩამოყალიბებაში. „სოციალური ლიბერალიზმის“ ან „ახალი ლიბერა-

ლიზმის“ მომხრეებმა სოციალური პრობლემების მოგვარების ძირითადი ტვირთი სახელმწიფოს დააკისრეს, მათ შორის საზოგადოების ყველაზე უქონელი ნაწილის პატრონაჟის მისია. მათ მიაჩნდათ, რომ მხოლოდ ასეთი მიდგომით შეძლებდა ლიბერალიზმი თავისი გავლენის შენარჩუნებას და იმედგაცრუებული ელექტორატის შემობრუნებას.

შეცვლილი რეალიების პირობებში ლიბერალიზმის პრინციპებმა თავად ერთიანი იდეოლოგიის ფარგლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. ეს ნოვაციები, პირველ ყოვლისა, აისახა ახალ მიმდინარეობაში, რომელიც ცდილობდა ლიბერალიზმის ტრადიციული ღირებულებების შეხამებას სახელმწიფოს ახალ ფუნქციასთან, სოციალურად ორიენტირებულ საშინაო პოლიტიკასთან, საზოგადოების პასუხისმგებლობის ზრდასთან მისი თითოეული წევრის კეთილდღეობის ამაღლებისათვის.

მეცნიერთა დიდმა, ინტერნაციონალურმა ჯგუფმა, რომლებსაც „ახალ ლიბერალებს“ ან „სოციალურ ლიბერალებს“ უწოდებდნენ, კლასიკური ლიბერალიზმის ზოგიერთი დებულების რევიზიის საფუძველზე ჩამოაყალიბეს სახელმწიფოს პოზიტიური როლის გაძლიერების ამოცანა მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური პრობლემების მოგვარებაში. ლიბერალიზმის ზოგიერთი კონცეფციის ასეთ სახეცვლილებებში სოციალ-დემოკრატიის მზარდმა გავლენამაც ითამაშა გარკვეული როლი, რომლებმაც სოციალური სამართლიანობისა და სოლიდარობის ტრადიციული ლოზუნგების ახლებური გამოყენებით, ელექტორატის გარკვეული ნაწილის გულის მოგება შეძლეს. ლიბერალიზმის პოზიციებზე მდგომი მთავრობების მიერ ამ სიახლეების გამოყენებით ბევრ ქვეყანაში მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ინიციატივები განხორციელდა და სიღრმისეულად დამუშავებული თეორიული დოქტრინები საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვ-

რებაში პრაქტიკულად განხორციელდა. მათგან განსხვავებით, „კონსერვატიული ლიბერალები“ ლიბერალიზმის კლასიკურ ტრადიციებზე აპელირებით უარყოფდნენ სახელმწიფოს სოციალური გარანტისა და არბიტრის როლს და მიაჩნდათ, რომ ასეთი ფუნქცია საზოგადოებას არადემოკრატიულს, ხოლო პიროვნებას თავისუფლებაშეზღუდულს გახდის.

ნეოლიბერალიზმის პირობებშიც ამ იდეოლოგიამ შეინარჩუნა მისი კლასიკური პერიოდის ძირითადი ღირებულებები. მთავარი, რითაც ნეოლიბერალები განსხვავდებიან თავისი წინამორბედებისაგან, არის მათი დამოკიდებულება სახელმწიფოსთან. ისინი უკვე ეთანხმებიან სახელმწიფო ინსტიტუტების საზოგადოების ეკონომიკურ, სოციალურ და სულიერ ცხოვრებაში მონაწილეობას, მაგრამ დღესაც მიუთითებენ ასეთი ჩარევის შეზღუდულ და ნორმირებულ ხასიათზე.

ნეოლიბერალიზმმა უკვე აპრობირებული და ბევრი ქვეყნის მოსახლეობის მასობრივ ცნობიერებაში ფესვგამდგარი კლასიკური ღირებულებების შენარჩუნებით აქცენტები ახალ ღირებულებებზე გადაიტანა – სამართლიანობა, სოციალური დაცვა, მთავრობის საქმიანობაში მორალური პრინციპების პრიმატი, მმართველებისა და მართულების პოლიტიკური კონსენსუსი, მასების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის გაფართოება და ამის შედეგად მართვის შემდგომი დემოკრატიზაციის აუცილებლობა.

საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლების ახლებურ გაგებასთან ერთად, რაც სახელმწიფოს პასუხისმგებლობას ზრდიდა, ნეოლიბერალიზმში ახლებურად დადგა პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის და ამ პროცესების მართვის საკითხი. შემდგომი დემოკრატიზაცია განიცადა მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების ლიბერალურმა მეთოდმა, როცა მექანიკური უმრავლესობა ამა თუ იმ პრობ-

ლემის გადაწყვეტის უმთავრესი პირობა იყო. ნეოლიბერალებმა ახალ საფეხურზე აიყვანეს უმცირესობის უფლებები, უპირატესობა გადაწყვეტილებების მიღების პლურალისტურ მეთოდს მისცეს, რომელმაც უნდა მოგვიყვანოს კონსენსუსამდე და დაასაბუთეს, რომ რაც უფრო სუსტია უმრავლესობის ჰეგემონია გადაწყვეტილებების მიღებაში, მით მაღალია დემოკრატიის ხარისხი. „ძემარჯვენე ლიბერალების“ წინააღმდეგობის მიუხედავად, კონსენსუსზე და პლურალიზმზე დამყარებული სახელმწიფოებრივი მართვის პრინციპები ნეოლიბერალებში დღესაც დიდი მხარდაჭერით სარგებლობს. აქედან გამომდინარეობს ნეოლიბერალიზმის კიდევ ერთი სიახლე იმის შესახებ, რომ უმცირესობის და უმრავლესობის, ე.ი. ფაქტობრივად მთელი მოსახლეობის მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღებაში განაპირობებს კონსენსუსის პირობებს მმართველებსა და მართულებს შორის. სწორედ ასეთ პირობებში, მიაჩნდათ ნეოლიბერალიზმის თეორეტიკოსებს, პოლიტიკური სისტემა და პოლიტიკური რეჟიმი შეიძლება იყოს სამართლიანი, ხოლო მმართველი ელიტა – მორალურ და ზნეობრივ პრინციპებზე ორიენტირებული.

საკაცობრიო პოლიტიკურ ცივილიზაციაში, როდესაც ლიბერალიზმის თეორიისა და იდეოლოგიის გავლენისა და მნიშვნელობის შესახებ ვსაუბრობთ, არ შეიძლება ყურადღების მიდმა დავტოვოთ ერთი ავტორის თავის დროზე სენსაციური ნაშრომი, რომელიც მოკლე დროში პოლიტიკური ბესტსელერი გახდა. 1989 წელს ამერიკელმა პროფესორმა, ცნობილმა პოლიტოლოგმა ფრენსის ფუკუიამამ გამოაქვეყნა სტატია „ისტორიის დასასრული“, რომელიც შემდგომ გაფართოებული სახით 1992 წელს გამოიცა წიგნად „ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი“ (ეს ნაშრომი ქართულად გამოიცა 1999 წელს). ამ უაღრესად საინტერესო ნაშრომში, რომელ-

მაც ბევრი მოწონება და არანაკლები კრიტიკა დაიმსახურა, ,ავტორი ამტკიცებს, რომ ლიბერალიზმთან კონკურენციულ ბრძოლაში ყველა სხვა იდეოლოგიებმა მარცხი განიცადეს და ეს ხომ არ ნიშნავს ისტორიის დასასრულს. ავტორი მიუთითებს, რომ ლიბერალიზმმა გადაწყვიტა დღევანდელ საზოგადოებაში არსებული ყველა ფუნდამენტალური წინააღმდეგობა და ეჭვს გამოთქვამს, რომ თანამედროვე პირობებში არსებობს კი სხვა იდეურ-პოლიტიკური მიმდინარეობა, რომელსაც ძალუძს განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური სისტემის პირობებში ლიბერალიზმზე უკეთ გაართვას თავი სასარგებლო ორიენტირების ძიებას. ფ. ფუკუიამას ამ თეზისმა, კერძოდ კი „ისტორიის დასასრულის" სათაურში ატანილმა სენსაციურმა განცხადებამ, როგორც აღვნიშნეთ, სრულიად განსხვავებული და ზოგჯერ ერთმანეთის გამომრიცხავი ინტერპრეტაციები გამოიწვია. მაგრამ ისტორიის დასასრულზე ფუკუიამა ლაპარაკობს არა ზოგადად, როგორც ცივილიზაციის კრახზე, არამედ მას მხედველობაში აქვს მხოლოდ ლიბერალური დემოკრატია, როგორც მართვის მეთოდი, მართვის სისტემა და მისი უცილობელი უპირატესობა სხვა სისტემებისა და რეჟიმების წინაშე. ამასთან დაკავშირებით ის მიუთითებს, რომ ლიბერალური დემოკრატია და მისი ინსტიტუტები შესაძლოა ადამიანთა მოდგმის იდეოლოგიური ევოლუციის ბოლო საფეხური აღმოჩნდეს და კაცობრიობის ისტორიაში მმართველობის უკანასკნელ და უცვლელ ფორმად იქცეს, რითაც დასრულდება კიდეც ისტორია. მხოლოდ ამ აზრით წერს ფ. ფუკუიამა ისტორიის დასასრულზე და ამის საფუძველად მიაჩნია ის, რომ თუ მმართველობის მანამდე არსებულ ფორმებს შინაგანი წინააღმდეგობები და ირაციონალური ბუნება ახასიათებდა, ლიბერალური დემოკრატია და მისი

ინსტიტუტები ამგვარი ნაკლოვანებებისაგან თავისუფალია.

ლიბერალიზმი არ არის ერთეულ ღირებულებებსა და დებულებებზე დაფუძნებული რიგითი თეორია ან კრედო. საზოგადოების, სახელმწიფოს და ინდივიდის ურთიერთდამოკიდებულების ფუძემდებლურ პრინციპებთან მიმართებაში ლიბერალიზმი რთული და მრავალმხრივი მოვლენაა, რომელიც გამომჟღავნდება ეროვნული სპეციფიკით განპირობებულ განსხვავებულ ვარიანტებში. მაგრამ მთელი პოლიტიკური სამყაროს თითოეულ ელემენტზე ზემოქმედების მასშტაბებით ლიბერალიზმი არა მხოლოდ თეორია ან იდეოლოგიაა, არამედ აზროვნების ტიპი და მისი მეთოდია. უფრო მეტიც, ლიბერალიზმი მმართველობისა და გარკვეულწილად ცხოვრების წესიც გახდა ადამიანების აზროვნებისა და საქმიანობის ყველა სფეროში. ამასთან ის არის მოქნილი და დინამიკური სისტემა. რომელიც ღიაა სხვა მიმდინარეობებისადმი, ოპერატიულად რეაგირებს საზოგადოებრივი ცხოვრების ცვლილებებზე, მოდიფიცირდება ახალი რეალიების შესაბამისად და ამასთან, საუკუნეების მანძილზე, როგორც უახლესი იდეების გენერატორი, უშურველად კვებავდა და კვებავს სხვა იდეოლოგიურ მიმდინარეობებს.

ლიბერალიზმის პრინციპულმა ღირებულებებმა განაპირობეს ღრმა ცვლილებები ადამიანების პოლიტიკურ ცნობიერებაში და პოლიტიკურ კულტურაში, რაც საფუძვლად დაედო მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ეროვნული მოდიფიკაციის იდეოლოგიებს, სოციალ-დემოკრატიულ, ნეოკონსერვატიულ და ქრისტიანულ-დემოკრატიულ იდეოლოგიურ მიმდინარეობებს.

დასავლეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლანდშაფტის ცვლილებებს კონსერვატიულმა და სოციალ-დემოკრატიულმა პოლიტიკურმა ძალებმა ოპერატიულად აუღეს ალღო და როგორც თეორიულ დოქტრინებში, ასევე სახელმძღვანელო პარტიულ დო-

კუმენტებში ჩართეს იმ მოთხოვნათა რეალიზაციის გზები და მეთოდები, რაც ადრე ყველაზე მეტად ლიბერალიზმთან იყო დაკავშირებული. ლიბერალიზმის უმნიშვნელოვანესი პრინციპები და დებულებები დაიტაცეს მარჯვნიდან კონსერვატორებმა, მარცხნიდან სოციალ-დემოკრატებმა და შესაბამისად ელექტორატიც გადაინაწილეს. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ლიბერალური იდეების გამოყენებით და ახლებურ პირობებში ახალი ნოვაციების დამატებით, კონსერვატორებმა და სოციალ-დემოკრატებმა მოსახლეობისათვის უფრო გასაგები, მკვეთრად ჩამოყალიბებული და მისაღები პროგრამები წარმოადგინეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად ლიბერალიზმის იდეოლოგიურ პოზიციებზე მდგომმა პარტიებმა ევროპაში დაკარგეს წინანდელი პოლიტიკური ძლიერება და გავლენა მასებში. ეს, პირველ ყოვლისა, დაეტყო დიდი ბრიტანეთის ერთ დროს ყველაზე პოპულარულ და გავლენიან ვიგების (ლიბერალების) პარტიას, რომელმაც ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს რიგი საშინაო და საგარეო ფაქტორების გამო დაკარგა პოპულარობა და შესაბამისად სახელისუფლებო პარტიის სტატუსი. საშინაო ფაქტორებიდან ლიბერალების წარუმატებლობა განაპირობა მათ მიერ პარლამენტში წამოყენებულმა ე.წ. ჰომრულის პროექტმა, რომელიც ირლანდიის თვითმმართველობას გულისხმობდა და საკანონმდებლო ორგანოში ჩავარდა. ამ პროგრამის მხარდაჭერისათვის ლიბერალები საპარლამენტო არჩევნებშიც დამარცხდნენ.

ლიბერალების პოლიტიკურ პოპულარობას სერიოზული ბზარი გაუჩინა საგარეო პოლიტიკის წარუმატებლობამაც ინგლის-ბურების ომში, რამაც ქვეყანაში დიდი უკმაყოფილება და ლიბერალების კრიტიკა გამოიწვია. დ.ა. ჰობსონმა, ავტორმა ცნობილი წიგნისა „იმპერიალიზმი", ლიბერალური პარტია კონფლიქტის გაჩაღებაში, მოვლენების

უკონტროლო დინებაზე მიშვებასა და შემდგომ სამხრეთაფრიკულ კატასტროფაში ქვეყნის ჩაბმით ლიბერალური პრინციპების ღალატში დაადასაშაულა.

ლიბერალური პარტიის პოპულარობას და პოლიტიკური გავლენის შესუსტებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მისი აღიარებული ლიდერის, „ბრძენი მოხუცის“ (ილია) გლადსტონის გარდაცვალებამ, რის შემდეგ პარტია საყოველთაოდ აღიარებული ლიდერის გარეშე დარჩა.

დღეისათვის ევროპაში ლიბერალიზმის და ნეო-ლიბერალიზმის იდეოლოგიურ პრინციპებს იზიარებენ დიდი ბრიტანეთის ლიბერალური, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავისუფალი დემოკრატების, იტალიის, შვეიცარიის ლიბერალური, შვეციის სახალხო და სხვა პარტიები. ამავე პოზიციებზე დგას გავლენიანი დემოკრატიული პარტია ამერიკის შეერთებულ შტატებში.

2. კონსერვატიზმის პოლიტიკური იდეოლოგია

ისევე როგორც ლიბერალიზმის იდეოლოგიას, კონსერვატიზმსაც ხანგრძლივი და დიდი ტრადიციები აქვს და ჩამოყალიბებული დოქტრინის სახით მოცემულია ინგლისელი ედმუნდ ბერკის წიგნში „მოსაზრებები საფრანგეთის რევოლუციაზე“, რომელიც 1790 წელს გამოქვეყნდა. შემდეგ ტრადიციონალიზმის იდეებით განსაკუთრებით დაინტერესდა ფრანგული სკოლა (ჯოზეფ დე მესტრი, ლუი ბონალდი, ფრანსუა დე შატობრიანი, ჯოზეფ არტურ დე გობონო). კონსერვატიზმის იდეების დამუშავებასა და სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის დონემდე მის აყვანაში დიდი როლი შეასრულეს ინგლისელმა ბენჯამინ დიზრაელიმ, გერმანელმა ოტო ფონ ბისმარკმა და მარტინ ჰაიდეგერმა, იტალიელმა გაეტანო მოსკამ,

ამერიკელმა დანიელ ბელმა და სხვ. დღესაც დასავლეთში კონსერვატიულ იდეურ-პოლიტიკურ და სოციალურ ტრადიციას აგრძელებს მეცნიერ-თეორეტიკოსთა და პრაქტიკოს-პოლიტიკოსთა მეტად მრავალრიცხოვანი, ძლიერი და გავლენიანი ჯგუფი.

ტერმინი „კონსერვატიზმი" დამკვიდრდა XIX ს. პირველ მეოთხედში შატობრიანის მიერ გამოცემული ჟურნალის „კონსერვატორის" სახელწოდებიდან. კონსერვატიზმი დაიბადა როგორც ფრანგი განმანათლებლების და რევოლუციის ბელადების პრინციპული დებულებებისა და პოლიტიკური პრაქტიკის ალტერნატივა. ევროპის მოაზროვნეთა გარკვეული ნაწილი შეაშფოთა რადიკალური, რევოლუციური გარდაქმნების მეთოდებმა, რომელთაც ხანგრძლივი სამოქალაქო ომი, პოლიტიკური ანგარიშსწორების და დამარცხებულთა საშინელი დასჯის მასშტაბური შედეგები მოჰყვა. ევროპის ზოგიერთი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მიმდინარეობაში გამარჯვებულმა ინდივიდუალიზმმა, რაციონალიზმმა და რადიკალიზმმა გამოიწვია წინა თაობების მიერ დატოვებული ტრადიციების მთლიანი უარყოფა, საზოგადოების მატერიალურ ღირებულებათა უაზრო მსხვრევა და სულიერი ღირებულებების გაუფასურება.

კანადელი მეცნიერი სილვია მ. ჰეილი თავის „დისკუსია სოციოლოგიაში" (1990 წ.) აღნიშნავდა, რომ მოაზროვნენი, რომლებსაც რევოლუციების ეშინოდათ, უფრო ხშირად ყურადღებას აძახვილებდნენ ადამიანის არაკონტროლირებადი ბუნების მახინჯ მხარეებზე და ხაზგასმით აღნიშნავდნენ კანონისა და წესრიგის კონკრეტულ ღირებულებებს. მათი შთაგონების წყაროს ბრიტანელი ფილოსოფოსის თომას ჰობსის (1588-1679) კლასიკური ნაშრომი „ლევიათანი" წარმოადგენდა. კონსერვატიული მოაზროვნენი აანალიზებდნენ სასტიკ ექსცესებს, რომლებითაც ხასიათდებოდა საფრანგეთის რევოლუცია და მასზე დაყრდნობით

ასაბუთებდნენ, რომ ხალხის მყისიერმა გათავისუფლებამ ეკლესიისა და არისტოკრატიის ტრადიციული კონტროლისაგან საზოგადოებაში ქაოსი და სისასტიკე გააბატონა. კონსერვატორები ამტკიცებდნენ, რომ საზოგადოების ცხოვრებაში წესრიგის დასამყარებლად აუცილებელი იყო განახლებული აქცენტები მორალზე, დისციპლინაზე, მორჩილებაზე - აღნიშნავდა სილვია მ. ჰეილი.

კონსერვატიზმის იდეოლოგები შეეცადნენ საზოგადოებრივი აზრისათვის ჩაენერგათ იმის რწმენა, რომ საზოგადოების პოლიტიკური და სოციალური წყობის ასეთი მყისიერი, რევოლუციური გარდაქმნა არაბუნებრივია და ზიანის მომტანი. მათი იდეოლოგიაც შესაბამისად გარკვეულ დამცავ მექანიზმებს შეიცავდა წინა და არსებული წყობების სასარგებლოდ და ამტკიცებდნენ, რომ ისტორიის პროცესის ბუნებრივი მსვლელობა, მემკვიდრეობითობა და ახლის ძველის საფუძველზე აშენება, მისი კატასტროფული სგრევის გარეშე, საზოგადოების განვითარების მაგისტრალური ხაზია. ადამიანთა ღვთით ბოძებული და ხანგრძლივი ტრადიციით განმტკიცებული სოციალური დიფერენციაცია, საზოგადოების ზნეობრივი პრინციპები ნებისმიერ მიმართებაში – ოჯახთან, საზოგადოებასთან, რწმენასთან დაკავშირებით დიდი მდგრადობით ხასიათდება და მათზე ხელადებით უარის თქმა, მით უმეტეს, რევოლუციური მსხვრევა მხოლოდ ზიანის მომტანია ერთეული პიროვნებებისა და მთელი საზოგადოებისათვის. წარსულის პოზიტიურ ღირებულებებზე უნდა აშენდეს თანადროულობა და მომავალი და ამ ღირებულებებს შეუძლია დადებითი როლი შეასრულოს არსებულ და მომავალ სოციალურ–პოლიტიკურ წინააღმდეგობათა დაძლევაში.

კონსერვატიზმი, ცნების მკაცრი აზრით, არის არსებობის უფლება და აგრეთვე აუცილებელი, ფართოდ გავრცელებული მსოფლმხედველობა, რომელიც

ხასიათდება მკვეთრი ცვლილებების მიუღებლობით — მიაჩნდა ფ. ჰაიეკს.

კონსერვატიზმის იდეოლოგებს მიაჩნდათ, რომ საზოგადოება უნდა გვესმოდეს როგორც სულიერი რეალობა, რომელსაც აქვს შინაგანი ცხოვრება და ძალიან სუსტი გარეგანი სტრუქტურა. საზოგადოება ორგანიზმია, რომელიც არ შეიძლება გადააწყო როგორც მანქანა. კონსერვატიზმის ერთი მთავარი კონცეპტუალური დებულება, რომლისგანაც ბევრი სხვა გამომდინარეობს, ისაა, რომ ძალიან დაბალი შეხედულების არიან ადამიანის გონიერებაზე; მათი წარმოდგენით შეზღუდული შესაძლებლობები აქვს საზოგადოებას და სახელმწიფოსაც. ამიტომ ევოლუციისა და რევოლუციის საკაცობრიო დილემის გადაწყვეტისას უპირატესობას ყოველთვის პირველს ანიჭებენ. თანაც იმგვარად, რომ არ დაირღვეს წარსულის, აწმყოს და მომავლის ისტორიული ერთიანობა, მემკვიდრეობითობა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ კონსერვატორები წინააღმდეგი არიან საზოგადოებრივი პროცესების კორექტირების ცნობიერი ჩარევის გზით. ისინი რადიკალურ გარდაქმნებს არ ცნობენ, რადგან მიაჩნიათ (არცთუ უსაფუძვლოდ), რომ არ არსებობს იმის გარანტია, რომ რევოლუცია მოგვიყვანს უფრო ჰუმანურ და ქმედით სოციალურ სისტემამდე. დასავლური პოლიტოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ავტორიტეტი კ. პოპერი ამ დებულების დასასაბუთებლად ასეთ მხატვრულ შედარებას იყენებს: პოლიტიკოსს, იმ მხატვრის მსგავსად, რომელიც ტილოდან წაშლის ყველაფერს, რათა მასზე ახალი სურათი შექმნას, არ ესმის, რომ ის თვითონაც და მისი იდეებიც ჩართულია სამყაროს ძველ სურათში და მისი მოშლით ის ანადგურებს საკუთარ აზრებსაც, გეგმებსაც და თავის უტოპიასაც. სოზოგადოების განვითარებაში ცვლილებები არ უნდა ხდებოდეს ძალდატანებით, ხელოვნურად, რადგან საზოგადოებას აქვს

იმის პოტენცია, რომ თავად ბუნებრივად აწარმოოს მომწიფებული ცელილებები.

კონსერვატიული იდეოლოგიის ორიენტირებზე ჩამოყალიბებულმა პოლიტიკურმა პარტიებმა თავიანთი პროგრამების უმნიშვნელოვანეს პრინციპებად აღიარეს კონსტიტუციონალიზმი, როგორც უმაღლესი სახელმწიფოებრივი პრინციპების გამოხატულება და მისდამი ერთგულება; კანონთა მმართველობა და ზნეობრივი პრინციპების აუცილებელი გათვალისწინება, როგორც აღმასრულებელ და საკანონმდებლო სახელისუფლო შტოებში, ასევე დამოუკიდებელ სასამართლოთა მუშაობაში. კანონის მიმართ მორჩილება კონსერვატიზმმა აიყვანა ინდივიდუალური თავისუფლების უპირველესი პირობის რანგში. არც კონსერვატიზმი იზიარებს სახელმწიფოს აქტიურ ჩარევას ეკონომიკაში, რაც შეიძლება თავისუფალი ბაზრის და კონკურენციის მუსრუჭი გახდეს; ეს კი თავის მხრივ შებღალავს მსხვილი კაპიტალის ფინანსურ ინტერესებს, რომელთა დამცველად, კონსერვატორები, განსაკუთრებით მისი ფორმირებისა და განვითარების ადრეულ ეტაპზე, აშკარად გამოდიოდნენ.

ევროპული ქვეყნების საზოგადოებრივ ცნობიერებაში უკვე საკმაოდ ფესვგადგმული ფრანგი განმანათლებლებისა და ლიბერალიზმის იდეოლოგიური პოსტულატების საწინააღმდეგოდ კონსერვატორები ამტკიცებენ, რომ ადამიანთა საზოგადოება ორგანული და მთლიანი სისტემაა, რომელიც წარმოადგენს პოლიტიკური ინსტიტუტების, ტრადიციული ნორმებისა და ჩვევების, რწმენის ერთიანობას, რომლებიც თავის მასაზრდოებელ ფესვებს ისტორიიდან იღებს. ამ ღირებულებებს, რომლებიც ისტორიის ბუნებრივი განვითარების შედეგია, უნდა მიეცეს უპირატესობა ნებისმიერ, ყველაზე სრულყოფილ თეორიულ სქემებთან შედარებით და მათი მსხვრევით შეუძლებელია უფრო სამართლიანი საზოგადოების მშენებ-

ლობა; ტრადიციულ ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, ჩყვევებს, ტრადიციებს, ეროვნულ მენტალიტეტს უნდა ეფუძნებოდეს ნებისმიერი იდეოლოგიური პრინციპები და დოქტრინები.

კონსერვატიული იდეოლოგიის კონსტრუქციებში არსებითი როლი განეკუთვნება საზოგადოების ფუნქციონირების იერარქიულ პრინციპს, რომლის თითოეული ელემენტი უზრუნველყოფს საზოგადოების, როგორც მთლიანი ორგანიზმის ერთიანობას და ეფექტურობას.

იერარქიულობის პრინციპისადმი მხარდაჭერამ, აგრეთვე მის საწყის ეტაპზე როალისტებისადმი თანაგრძნობამ, კონსერვატიზმი წარმოადგინა მონარქიული წყობისა და უკვე ისტორიის მსვლელობით გასწირული სოციალური კლასებისა და ფენების აპოლოგეტად. მართლაც, ერთი შეხედვით, როგორც იდეურ–პოლიტიკური მიმდინარეობა, კონსერვატიზმი შეიცავს იმ იდეებს, იდეალებს, ორიენტაციებსა და ღირებულებით ნორმებს, რომლებითაც დაინტერესებულია ის სოციალური ჯგუფები, რომელთა პრივილეგირებულ მდგომარეობასაც ემუქრება ისტორიის მსვლელობით განპირობებული სიღრმისეული გარდაქმნები. ეს რომ ასე იყოს, კონსერვატიზმი რომ მონარქიის უცვლელი, განსაკუთრებით მისი აბსოლუტური ფორმის მხარდამჭერი და ფეოდალური კლასის ინტერესების მატარებელი ყოფილიყო, ის ვერ დაიპყრობდა კაცობრიობის საზოგადოებრივ–პოლიტიკური ცნობიერების მასშტაბურ სივრცეს, ვერ გახდებოდა თანამედროვე პოლიტიკური ცივილიზაციის ერთი უმთავრესი მიღწევა და დარჩებოდა პოლიტიკური აზრის ისტორიაში, მრავალთაგან ერთ, მოკრძალებულ და მხოლოდ მცირე ისტორიული ეპოქისათვის დამახასიათებელ მოძრაობად. საქმე ისაა, რომ კონსერვატიზმი უფრო მეტია, უფრო ფართოა, ვიდრე ამა თუ იმ სოციალური ჯგუფის ინტერესების დაცვა. ის აზროვნების, ქცევის, მოქმედების და, შეიძლება ითქვას,

ცხოვრების გარკვეული წესია, მოსახლეობის ფართო მასებისათვის ის დამცავი მექანიზმია, რომლებიც განიცდიან მუდმივ (არცთუ უსაფუძვლო) შიშს გაურკვეველი მომავლის გამო. მოსახლეობის ეს განწყობა შეიძლება აღმოცენდეს არა მხოლოდ საზოგადოების ყველაზე მდიდარ, არამედ ნებისმიერ ნაწილში და ამის გამოც არის, რომ კონსერვატორების ელექტორატი სოციალურად არ არის ერთგვაროვანი, შიში რადიკალური გარდაქმნების და გაურკვეველი, არაპროგნოზირებადი მომავლის გამო დამახასიათებელია არა მხოლოდ მატერიალურად უზრუნველყოფილ, პოლიტიკურად და სოციალურად დაცულ საზოგადოებებში, არამედ ტრანსფორმირებად, გარდამავალი პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემების ქვეყნებშიც, როგორიც დღევანდელი საქართველოა. ქვეყნებში, რომლებშიც სამოქალაქო დაპირისპირების და ანარქიული ელემენტების ბატონობის გააზრებას ძველი არქივების მოძიება არ სჭირდება და ისტორიული მეხსიერება ცოცხლად აღიქვამს, უნდა გაუფრთხილდეს, მოიძიოს და გამოიყენოს ეროვნული ტრადიციები, უზრუნველყოს პოლიტიკური სტაბილურობა, მიუხედავად დიდი სოციალური პრობლემებისა.

„კონსერვატიული“ გულისხმობს საზოგადოებაში უკვე დამკვიდრებული და აპრობირებული, ღრმა ეროვნულ ფესვებსა და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დეტერმინაციულ ერთობლიობას, რომელიც გარკვეული ტრადიციონალისტური და ნოსტალგიური განწყობითაც იკვებება – მოსახლეობის მასობრივი ფსიქოლოგიური განწყობისათვის დამახასიათებელია წარსულის გარკვეული რომანტიკული გალამაზება, გაიდეალება. კლასიკური კონსერვატიზმი არსებულ რეალობას მისი შემადგენელი სუბსტანტების გათვალისწინებით განიხილავს როგორც ყველაზე გონიერს და, აქედან გამომდინარე, მიიჩნევს ტრადიციული ნორმების, სახელისუფლებო იერარქიის,

სოციალური და პოლიტიკური სტრუქტურების შენარ-
ჩუნების აუცილებლობას. ნებისმიერი თაობის მოვალე-
ობაა დაიცვას და მომავალ თაობებს გადასცეს
კონკრეტული ისტორიული ეპოქის მიღწევები, რადგან
ერი წარსულის გარეშე, ეს არის ერი მომავლის
გარეშე, რადგან კაცი, რომელმაც არ იცის საიდან
მოდის, ვინ არის და სად მიდის, ბოგანო კაცია (ილია).

სოცილური რეფორმები, და განსაკუთრებით
სოციალური დახმარების სამთავრობო პროგრამები,
ხშირად ხდება კონსერვატორების კრიტიკის საგანი,
განსაკუთრებით თუ ისინი ოპოზიციაში არიან. მათ
მიაჩნიათ, რომ მეტისმეტი ორიენტირება სოციალურ
დახმარებებზე არყევს ინდივიდის თვითრწმენას,
ეჭვქვეშ აყენებს ინდივიდის შესაძლებლობებს და
ძალებს, ზრდის მუქთახორობისა და სიზარმაცის
განწყობას.

ასეთი კონცეფციები კონსერვატორებისათვის და-
მახასიათებელია იმ ქვეყნებში და იმ დროს, როცა
ისინი ოპოზიციაში არიან. მაგრამ ხელისუფლებაში
მოსვლის შემდეგ კონსერვატორები მხოლოდ
მხარდამჭერი კი არა, ხშირად ახალი სოციალური
პროგრამების ინიციატორები და ორგანიზატორები
ხდებიან. რაც შეეხება თანასწორობის მუდმივ
დილემას, კონსერვატორები, სხვა იდეოლოგიებთან
შედარებით, უფრო მარტივად წყვეტენ და ნაკლებ
დემაგოგიას აქსოვენ. მათ მიაჩნიათ, რომ საზო-
გადოებაში არ შეიძლება არსებობდეს თანასწორობა
ბევრ სფეროში. აქ ლაპარაკი შეიძლება იყოს
შესაძლებლობების და უფლებების თანასწორობაზე,
მაგრამ სოციალური ჯგუფები, ფენები და პიროვნებები
განსხვავდებიან თავისი ეკონომიკური მდგომარეობით
და ეს სრულიად ბუნებრივია. ჭეშმარიტი
თანასწორობა მხოლოდ ღმერთის წინაშეა – მიაჩნიათ
კონსერვატიზმის თეორეტიკოსებს.

ჯერ კიდევ კონსერვატიზმის ფორმირების საწყის ეტაპზე გამოიკვეთა მასში ორი მიმდინარეობა – პირველი უკავშირდება ფრანგი მოაზროვნეების ჟ. დე მესტრის და ლ. დე ბონალდის, ხოლო მეორე – ინგლისელი ე. ბერკის სახელებს. ანგლოსაქსურ ქვეყნებში ძირითადად დამკვიდრდა კონსერვატიზმის ბერკისეული ვარიანტი, რომელმაც შემდგომ პერიოდში, XIX ს. მეორე ნახევარში, სპეციფიკური, ეროვნული იდეოლოგიის ნიშნები შეიძინა. კონტინენტურ ევროპაში იდეებისა და პრინციპების ორივე მიმდინარეობის სინთეზი უფრო ხელშესახები იყო, თუმცა ბევრ ქვეყანაში ამ კლასიკური კონსერვატიზმის განვითარების ნაირსახეობამაც შეიძინა ეროვნულ-სპეციფიკური ფორმა. ამის გამო სამეცნიერო პოლიტიკურ ლიტერატურაში ზოგი ავტორი ერთმანეთისაგან განასხვავებს ბრიტანულ და ევროპულ (კონტინენტურ) კონსერვატიზმს. მათ მხედველობაში აქვთ ის გარემოება, რომ კონსერვატიზმის ბრიტანული ვარიანტისათვის დამახასიათებელია ლიბერალური იდეების შერწყმა კონსერვატიზმთან. თუ ეს არა მხოლოდ ბრიტანული, არამედ ზოგადი ტენდენციაა, როგორც ეს მკვლევრების გარკვეულ ნაწილს მიაჩნია, ის მაინც აშკარაა, რომ ეს პროცესი ბრიტანეთში სხვებზე ადრე დაიწყო და გამოკვეთილი ტენდენციის ფორმა მიიღო. კონტინენტური კონსერვატიზმის სპეციფიკურ ნიშნად კი მისი კათოლიციზმის დოგმებთან და ტრადიციებთან, მონარქიულ იდეებთან მჭიდრო ურთიერთკავშირია. ამის გამო ბრიტანული კონსერვატიზმი მისი ლიბერალური შეფერილობის გამო, მთელი ისტორიული ეპოქის მანძილზე უფრო მიმზიდველად გამოიყურებოდა.

კონსერვატიზმის, როგორც ჩამოყალიბებული და უაღრესად მიმზიდველი მოძღვრების მნიშვნელობა დღევანდელი პოლიტიკური ცივილიზაციის მიღწევებში,

სრულიად აშკარა, ნათელი და დასაბუთებულია. მაგრამ მკითხველს არ უნდა შეექმნას ისეთი შთაბეჭდილება, რომ ცნობილმა მოაზროვნეებმა ვერ დაინახეს მისი სუსტი მხარეები, უკრიტიკოდ მიიღეს მისი ყველა პრინციპი. ამასთან დაკავშირებით, ეფიქრობთ, საინტერესოა XX ს. ერთი აღიარებული ავტორიტეტის ფ. ჰაიეკის თვალსაზრისი კონსერვატიული იდეოლოგიის ზოგიერთ ასპექტზე, მით უმეტეს, რომ მიუხედავად კრიტიკული დამოკიდებულებისა, ამ მეცნიერის საქვეყნო აღიარება, სწორედ კონსერვატორებმა (ნეოკონსერვატორებმა) განაპირობეს.

პირველი მსოფლიო ომის შემდგომი ეკონომიკური პოლიტიკა აშშ-სა და ევროპაში ხასიათდებოდა სახელმწიფოებრივი რეგულირების მზარდი ტენდენციით. ეს გამოწვეული იყო როგორც საბჭოური გამოწვევით, ასევე იმ პერიოდისათვის ფესვგადგმული წარმოდგენებით მეცნიერული აზრის ყოვლისშემძლეობისა და ამის საფუძველზე საზოგადოებრივ-ეკონომიკური პროცესების ოპტიმალური დაგეგმვის შესახებ. აშშ-ში დიდი დეპრესიის შემდგომ, რომელიც აღქმული იყო როგორც თავისუფელი მეწარმეობის თეორიისა და პრაქტიკის კრახი, რუზველტის ახალი კურსის გამოცხადებამ ასეთი პრინციპები თითქმის ორთოდოქსალური გახადა, რაც ყველაზე სრულად იმ დროის ყველაზე პოპულარული ეკონომისტის ჯ.მ. კეინსის ნაშრომებში აისახა.

ასეთ ვითარებაში ჰაიეკი ის მეცნიერი იყო, რომელიც დინების წინააღმდეგ ცურავდა და მუდმივად ოპონირებდა პირად ცხოვრებაში მეგობრული ურთიერთობების მქონე ჯ.მ. კეინსთან. ის ამტკიცებდა, რომ ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებას აქვს თავისი ლოგიკა და საზღვრები, რომლის გადამეტება აუცილებლად მიგვიყვანს ეკონომიკის დეგრადაციამდე და პოლიტიკურ დიქტატურამდე. გერმანიაში

ნაციონალ-სოციალისტების ხელისუფლებაში მოსვლა, მისი თვალსაზრისით, სხვა არსებით ფაქტორებთან ერთად შეამზადა სახელმწიფოს როლის უსაზღვრო გაძლიერებამ ქვეყნის ეკონომიკაში. ეს თვალსაზრისი ჰაიეკმა გადმოსცა თავის ცნობილ ნაშრომში „გზა მონობისაკენ“, რომელიც 1944 წელს, მსოფლიო ომის პიკურ პერიოდში გამოვიდა და საყოველთაო ინტერესი გამოიწვია.

თავისი ძირითადი ნაშრომი „თავისუფლების კონსტიტუცია“ ჰაიეკმა დაწერა აშშ-ში, სადაც 1950 წლიდან მუშაობდა ჩიკაგოს უნივერსიტეტში სოციალური და მორალური მეცნიერებების პროფესორად. ამ პერიოდში, რომელიც ხასიათდება პატერნალისტური იდეების, ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის სოციალ-დემოკრატიული პრინციპების სრული გამარჯვებით, ჰაიეკის ერთადერთი მოკავშირე ამერიკელი კონსერვატორები აღმოჩნდნენ. ამის მიუხედავად თავისი ყველაზე პოპულარული ზემოაღნიშნული ნაშრომის ბოლო, დასკვნითი ნაწილი ასე დაასათაურა – „რატომ არა ვარ მე კონსერვატორი“. უმთავრესი არგუმენტი, რომელიც ჰაიეკს კონსერვატიზმის ნებისმიერი ვარიანტის საწინააღმდეგოდ განაწყობდა არის ის, რომ ამ იდეოლოგიას არ შეუძლია საზოგადოებას მისცეს სერიოზული, დასაბუთებული ალტერნატივა მისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. პოლიტიკური განვითარების ტენდენციებზე ზემოქმედების თვალსაზრისით კონსერვატიზმს შეუძლია შეანელოს არასასურველი მიმართულება, მაგრამ იმის გამო, რომ არგუმენტირებულ ალტერნატივას არ ფლობს, მისი შეჩერება არ შეუძლია. შედეგად კონსერვატიზმი ზეგავლენას ახდენს მხოლოდ პოლიტიკური განვითარების ტემპებზე და არა მაგისტრალურ მიმართულებებზე. ჰაიეკი იმოწმებს კონსერვატიზმის ერთ-ერთი ცნობილი იდეოლოგის ჰ. სესილის ჯერ კიდევ XX საუკუნის

დასაწყისში გამოთქმულ თვალსაზრისს და მიუთითებს, რომ ამ იდეოლოგიური კონცეფციის უმნიშვნელოვანეს თვისებას წარმოადგენს შიში ცელილებების მიმართ, უნდობლობა ახლისადმი, როგორც ასეთისადმი. კონსერვატიზმისაგან განსხვავებით, ლიბერალური კონცეფცია დაფუძნებულია გაბედულობასა და საკუთარი თავისადმი რწმენაზე, ცელილებებისადმი მზადყოფნაზე, თუნდაც შეუძლებელი იყოს იმის პროგნოზირება, ეს ცელილებები რა შედეგს გამოიღებს – მიაჩნია პაიეკს.

კონსერვატიზმი არ ენდობა არც აბსტრაქტულ თეორიებს, არც საერთო პრინციპებს. ამავე დროს ამ იდეოლოგიამ ვერ შიაწოდა კაცობრიობას რაიმე განზოგადებული კონცეფცია, რომელიც არგუმენტებით ასსნიდა არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობის სტაბილურობას, მისი განვითარების ზოგად პრინციპებსა და ტენდენციებს. ამის გამო, კონსერვატიზმის იდეოლოგიები საკუთარი თეორიული ბაზის შექმნისას იძულებულნი გახდნენ მიემართათ ავტორებისადმი, რომლებიც თავს ლიბერალებად თვლიდნენ. ასეთ ავტორებად პაიეკი მიიჩნევს მაკოლეის, ტოკვილს, ლორდ ექტონს, ლეკის და ედმუნდ ბერკსაც კი, რომელიც, მისი აზრით, კუბოს ფიცრამდე დარჩა „ძველი ვიგი“.

არ არის განსაკუთრებული რეზონი იმაში, რომ კონსერვატორები სიფრთხილეს იჩენენ პოლიტიკური ინსტიტუტებისა და სახელმწიფო პოლიტიკის სწრაფი გარდაქმნების მიმართ. ამისათვის ყველა საფუძველია, რომ ვიყოთ ფრთხილები, წინდახედულები და არ ვიჩქაროთ – მიაჩნია პაიეკს. მაგრამ როცა ისინი ცდილობენ გამოიყენონ ძალაუფლება ცელილებების აღსაკვეთად, ან მიაღწიონ მისი სიღრმისეული დონის შეზღუდვას იმ მიზნით, რომ შეინარჩუნონ ძალაუფლება, ეს სრულიად მიუღებელია. კონსერვატორი არ ეწინააღმდეგება იძულების მეთოდებს ხელისუფ-

ლების მხრიდან მანამდე, სანამ ეს მეთოდები ემსა-ხურება იმ მიზნებს, რასაც კონსერვატორები საძარ-თლიანად თვლიან, – აღნიშნავს ჰაიეკი.

ჰაიეკს კონსერვატიზმის იდეოლოგია არ მოს-წონდა იმის გამოც, რომ ის ნაციონალისტურ იდეოლოგიად მიაჩნდა, რომელიც არ მონაწილეობს ინტერნაციონალური იდეების შექმნაში.

ეს იყო ძირითადი არგუმენტები, რის გამოც ჰაიეკი ემიჯნებოდა ტრადიციულ კონსერვატიზმს და საკუთარი თავი „ნამდვილი" ლიბერალების, „ძველი ვიგების" იდეების გამგრძელებლად მიაჩნდა. ამასთან, ის გულდაწყვეტილი იყო იმით, რომ ამ მოძრაობამ დაკარგა ტრადიციები, პოლიტიკური გავლენა და ყოველთვის ხაზგასმით აცხადებდა თავის სიმპატიებს არა იმდენად მისი თანამედროვე, არამედ ტრადი-ციული, ძველი (ძველს ხაზგასმით აღნიშნავდა) ლიბერალიზმის, ანუ ვიგიზმის მიმართ.

მიუხედავად ჰაიეკის ასეთი კრიტიკული დამოკიდებულებისა კონსერვატორების მიმართ, ამ იდეოლოგიამ მისი ტრანსფორმირებული ნეოკონსერ-ვატიზმის ფორმით სრულად გაითვალისწინა ჰაიეკის და სხვა დიდი მოაზროვნეების იდეები, პრინციპები და ახალი დროის შესაფერისი მოდერნიზებული იდეო-ლოგია შექმნეს. მაგრამ თავად ჰაიეკი მაინც გამოხატავდა გარკვეულ უკმაყოფილებას იმის გამო, რომ ნეოკონსერვატიზმმა ამ შემთხვევაშიც მნიშ-ვნელოვანი იდეები სოციალიზმის ხარჯზე შეიესო და არა კლასიკური ლიბერალიზმის პრინციპების გამოყე-ნებით. ამის მიუხედავად, მისი იდეების აღიარება სწორედ ნეოკონსერვატიზმის დიდმა პოლიტიკოსებმა განაპირობეს, როცა ამ იდეოლოგიის ტალღის აზვირ-თების პერიოდში მ. ტეტჩერმა და რ. რეიგანმა თავი მის მიმდევრებად გამოაცხადეს, ხოლო ცოტა უფრო ადრე მას ნობელის პრემია მიენიჭა.

ჰაიეკი გარდაიცვალა 1992 წელს, 90 წლის ასაკში და რამდენიმე თვე დააკლდა იმ დრომდე, როცა მისმა მიმდევრებმა რუსეთში ლიბერალური რეფორმების განხორციელება დაიწყეს.

რამდენად სამართლიანია და არგუმენტირებული ფ. ჰაიეკის პრეტენზიები კონსერვატიული იდეოლოგიის მიმართ, ამის განსჯა მკითხველისათვის მიგვინდია. იმის აღნიშვნა კი აუცილებელია, რომ ეს კრიტიკა გამოთქმული იყო XX საუკუნის 40–50-იან წლებში და მის შემდგომ პერიოდში ამ იდეოლოგიამ სერიოზული ტრანსფორმაცია განიცადა.

ნეოკონსერვატიზმი. კონსერვატიზმს, როცა პოლიტიკური და სოციალური სტაბილურობის, ტრადიციული ღირებულებებისა და ცხოვრების ნორმების იდეოლოგიად ვახასიათებთ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჭეშმარიტი კონსერვატიზმისათვის უცხო არ არის შეცვლილ ისტორიულ რეალიებში იდეური ლავირებისა და ნოვაციების ძიების მისწრაფება. ახალ პირობებში კონსერვატიზმის თეორეტიკოსებმა საკუთარი იდეოლოგიის პრინციპულ მოთხოვნათა ფარგლებში დაამუშავეს თავისუფალი ბაზრისა და კონკურენციის, მძიმე ეკონომიკური კრიზისების პერიოდში გაითავისეს სოციალური რეფორმების, კეთილდღეობის სახელმწიფოს, ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების კეინსისტური იდეები.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში კლასიკური კონსერვატიზმი რამდენიმე განშტოებად გაიშალა. ეს უპირატესად უკავშირდებოდა კონსერვატიზმის შიგნით „მესამე გზის“ – ლიბერალიზმისა და სოციალიზმის იდეოლოგიებისაგან განსხვავებული, ახალი მიმართულებების ძიებას. წარმოიშვა კონსერვატიზმის ეროვნული მოდელები, ე.წ. ტექნოკრატიული (ა. გელენი, ჰ. შელსკი, გ. ფრეიერი), ქრისტიანულ-კათოლიკური, „რეფორმატორული“ და სხვა მიმდინარეობები. კონსერვატიზმის ერთიანი იდეოლოგიური

სისტემის დაწერილებითი ანალიზისას ცხადი ხდება, რომ მის მიმართულებებში და განსაკუთრებით ნაციონალურ ვარიანტებში გარკვეული განსხვავება, შესედულებათა არათანხმიერობა და ზოგ შემთხვევაში წინააღმდეგობაც არსებობს. არც მეცნიერებაშია საერთო აზრი იმის შესახებ, რამდენად შეიძლება დაჯგუფდეს ეს მიმდინარეობები ძირითადი საერთო ნიშნების მიხედვით.

უკანასკნელ პერიოდში კონსერვატიზმის ერთიანული მოდიფიკაციებიდან გამოიკვეთა რამდენიმე მიმართულება, რომელთაგან ზოგი, მაგალითად, „ახალი მემარჯვენეები", საფრანგეთში გამოირჩევიან ირაციონალური, ზოგ ასპექტში, ყოფაცა, რელიგიასთან დამოკიდებულებაში არქაული და რეაქციული შეხედულებებით. მაგრამ კონსერვატიზმის უფრო მასშტაბური, საყოველთაოდ აღიარებული ინტერნაციონალური ვარიანტი, ნეოკონსერვატიზმი გამოირჩევა იმით, რომ წარმატებით შეუხამა ერთმანეთს ტრადიციული ღირებულებები პოსტინდუსტრიული საზოგადოების უახლეს რეალიებს.

ნეოკონსერვატიზმმა საზოგადოებას შესთავაზა ის, რის საკლებობასაც ყველაზე მეტად განიცდიდა მის ტექნიკურ და ტექნოლოგიურ ცელილებებზე ტოტალური დამოკიდებულების, ცხოვრების პირობების უადრესად გამრავალფეროვნების და ტემპების დაჩქარების პირობებში – სოციალური სტაბილურობა, რომელიც ემყარება სულიერი სფეროს პრიმატს, ოჯახურ, სარწმუნოებრივ ტრადიციებს, მოქალაქესა და სახელმწიფოს შორის მორალური პასუხისმგებლობის განაწილებას.

ამ ცელილებებს, რასაც გარეგნულად 70-იან წლებში ეკონომიკურმა სიძნელეებმა და ახალგაზრდობის მასობრივმა გამოსვლებმა მისცა იმპულსი, უფრო ღრმა საფუძვლები ჰქონდა ევროპის მატერიალური და სულიერი ცხოვრების სფეროებში. სწო-

რედ ამ სფერეებში ცხოვრების მანამდე არსებულმა ტემპმა და ადამიანების დამოკიდებულებამ ტექნიკურ და ტექნოლოგიურ მიღწევებზე, ღრმა ცვლილებებმა ადამიანების სულიერ ღირებულებათა კრიტერიუმებში და ამის საფუძველზე ტრადიციული თანაფარდობების დარღვევამ, თავისი მასშტაბებით მანამდე არსებულმა ეკოლოგიურმა პრობლემებმა, რომლებიც არა თუ ერთეული ქვეყნების, მთელ საკაცობრიო ცივილიზაციის მონაპოვარს დაემუქრა, გამოიწვია ახალი კონცეფ-ციების შემუშავების აუცილებლობა. უნდა ითქვას, რომ ასეთ პირობებშიც კონსერვატიზმმა შეინარჩუნა ტრა-დიციული ღირებულებები, მაგრამ პოსტინდუსტრიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი პროცესების გაანალიზების საფუძველზე საზოგადოებას შესთავაზა ოჯახის, რელიგიის, სოციალური და პოლიტიკური სტაბილურობის განახლებული კონცეფციები. მემკვიდ-რეობითობისა და სოციალურ-პოლიტიკური სტაბილუ-რობის ერთგულმა, საზოგადოებაში გარკვეული ეკონომიკური ჯგუფების ლობისტმა ნეოკონსერ-ვატიზმის იდეოლოგიამ აქცენტები მიმართა უნივერ-სალური ზნეობრივი ღირებულებების საფუძველზე ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვი-საკენ, რომელმაც უნდა შეავსოს ტექნიკური და ტექ-ნოლოგიური რევოლუციებიდან გამომდინარე ადამი-ანთა სულიერი სიცარიელე გარკვეულ სფერეებში. ამასთან პასუხისმგებლობის ძირითადი ტვირთი უნდა იკისროს თვითონ ინდივიდმა, ძირითადად საკუთარ ძალებზე დაყრდნობით და შემდგომ, ჯგუფური თუ კორპორაციული სოლიდარობის გამოყენებით, უზრუნ-ველყოს საკუთარი წარმატება.

ზნეობრიობის პრიმატი ნეოკონსერვატორული სახელმწიფოს საფუძველია. მხოლოდ ამ პრინციპებზე აგებული სახელმწიფო და მისი პოლიტიკური ინსტიტუტები, რომლებსაც წინა პლანზე უნივერ-სალური ზნეობრივი პრინციპები აქვთ წამოწეული,

შესძლებენ საზოგადოებრივ დაპირისპირების აცილებას სხვადასხვა ჯგუფს შორის, სახელმწიფოებრივი წესრიგის დამყარებას და ამის საფუძველზე სტაბილურობისა და პროგრესის უზრუნველყოფას. მათ მიაჩნიათ, და საკაცობრიო ცივილიზაციის გამოცდილებაც ამას ადასტურებს, რომ ამ მიზნების მიღწევის ერთადერთი გზა დემოკრატიაა.

ნეოკონსერვატიზმი (დ. ბელი, ბ. ბზეჟინსკი, ნ. კრისტოლი), ბუნებრივია, თავისი პრინციპების განხორციელების მთავარ პირობად დემოკრატიის განუხრელ დაცვას აცხადებენ, მაგრამ მისი ხორცშესხმისათვის აქცენტებს სხვადასხვა მიმართულებით აკეთებენ. ნეოკონსერვატიზმის ამერიკულ ვარიანტში მთავარი ძიმართულება გახდა სახელმწიფოებრიობის, მისი ინსტიტუტების თანდათანობითი ევოლუცია და სახელისუფლო სტრუქტურების ორგანიზაციის და კოორდინაციის გაუმჯობესება. ამ მიზნით მათ გადაამუშავეს და ახალ საფეხურზე აიყვანეს პოლიტიკური მეცნიერების ბევრი პრობლემა. ნეოკონსერვატიზმის დასავლეთევროპულ ვერსიებში კი უპირატესობა ენიჭება სოციო-კულტურულ გარემოს ტრადიციონალისტურ კონცეფციას, მისი შენარჩუნების აუცილებლობას, ზნეობრივი ტრადიციების სრულყოფას და მის სოციალიზაციას, ინდივიდის სოციალური და პოლიტიკური აქტიურობის სტიმულირებას.

ამ ზოგადი ტენდენციის ჩარჩოებში ზოგ ქვეყანაში (ძირითადად აშშ-ში) აქცენტი გადატანილია საზოგადოებისა და სახელმწიფოს მართვის ინსტიტუტების ევოლუციურ სრულყოფაზე, ხოლო ევროპაში ტრადიციული ზნეობრივი ნორმების დაცვა-გათანამედროვეობას, მათ სოციალიზაციას, ინდივიდის აქტივიზაციის ხელშეწყობას, ტრადიციების მოდერნიზაციას და საერთოდ მთლიანი სოციო-კულტურული გარემოს შენარჩუნებას მისი გათანამედროვეების საფუძველზე ეძლევა პრიმატი.

ნეოკონსერვატიზმის იდეოლოგიური კონსტრუქ-
ციებისათვის დამახასიათებელია ეკლექტიზმი, პოლიეა-
რიანტულობა და პრაგმატიზმი, რაც მისი გარკვეული
ელემენტების ურთიერთდაპირისპირებას არ გამო-
რიცხავს. დღეგანდელი ნეოკონსერვატორები, მათი
წინამორბედებისაგან განსხვავებით, გარკვეული ცვლი-
ლებების ინიციატორებად გამოდიან და მოქნილობითა
და პრაგმატიზმით გამოირჩევიან. მათ ყოველმხრივ
შეისწავლეს მოსახლეობის ფართო მასების განწყობა,
მათი მოთხოვნები ეკონომიკაში, უმუშევრობის, მზარდი
ინფლაციის შემცირების, შემოსავლების გადანაწილება
უქონელთა სასარგებლოდ და, რაც ნიშანდობლივია,
მაშინ შეიტანეს ამ პრობლემის მოგვარება თავიანთ
საპროგრამო დოკუმენტებში, როცა ცვლილებებს ამ
სფეროში ხალხი ელოდა.

ნეოკონსერვატიზმისათვის ინდივიდი – სახელ-
მწიფო – საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულებაში
გარკვეული წინააღმდეგობებია შესამჩნევი. მათ
მიაჩნდათ, რომ ძლიერი და ეფექტური სახელმწიფო
ინსტიტუტების გარეშე საზოგადოება ანარქიის
პირობებში აღმოჩნდება. იმის გამო, რომ კანონისა და
მორალის გარანტი საზოგადოებაში მხოლოდ სახელ-
მწიფოა, მათი დამოკიდებულება ძლიერი სტრუქ-
ტურების მიმართ იმდენად პოზიტიურია, რომ
ავტორიტარიზმის ელემენტებიც არ არის გამო-
რიცხული. ამავე დროს ასეთი სახელმწიფო რეალურად
შეიძლება გახდეს ინდივიდუალური თავისუფლების
შემზღუდავი ინსტრუმენტი.

სახელმწიფოსა და პიროვნების ურთიერთ-
დამოკიდებულებაში ნეოკონსერვატიზმი უპირატესობას
სახელმწიფოს აკუთვნებს, რადგან მხოლოდ სახელ-
მწიფოს შეუძლია დაიცვას პიროვნების უფლებები და
თავისუფლებები. რაც უფრო ძლიერია სახელმწიფო,
მით უფრო შესაძლებელია პოლიტიკური და სოცია-

ლური სტაბილურობის შენარჩუნება, კანონიერებისა და წესრიგის დაცვა.

საზოგადოებასა და სახელმწიფო ორგანოებთან მიმართებაში ნეოკონსერვატიზმი პრიმატს საზოგადოებას ანიჭებს. მოაერობის როლი მათ დაჭყავთ საზოგადოების პოლიტიკურ იარაღამდე, რომელმაც უნდა შეასრულოს საზოგადოების დაკვეთა. რაც შეეხება ინდივიდს, ის ერთდროულად ბუნებრივი და სოციალური ხასიათის შემადგენელი ნაწილების ერთობლიობაა. ბუნებრივია, ის, რომ შექმნილია ღმერთის მიერ, როგორც სამყაროს დიდი გეგმის ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტი. სოციალურია ის, რომ ადამიანი თავის უფლებებს, მათ შორის ბუნებრივსაც, მხოლოდ გარკვეულ პრინციპებზე აგებულ საზო-გადოებაში მიიღებს და გამოიყენებს. ნეოკონ-სერვატორებმა ახალი სიცოცხლე შთაბერეს ძველ კონსერვატიულ დოქტრინას იმის შესახებ, რომ ჩვენი-სუფლება არის ყოველგვარი თავისუფლების წინა-პირობა, ხელისუფლების ავტორიტეტი და ქმედით-უნარიანობაა კანონიერების, წესრიგისა და დისცი-პლინის გარანტი.

ნეოკონსერვატიზმის ახლებური მიდგომა, მათი იდეოლოგიური ნოვაციები ყველაზე სრულად აისახა ეკონომიკურ და სოციალურ კონცეფციებში კლასიკურ კონსერვატიზმთან შედარებით. მათ ობიექტურად გასჭვრიტეს, რომ ამ სფეროებში ძველი პოზიცია მომგებიანი არ იყო სხვა პოპულარულ იდეო-ლოგიებთან, განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატებთან პაექრობაში. მათ მეცნიერულად გააანალიზეს ახალი ისტორიული ეპოქის ფართო მასების განწყობილებაში მომხდარი ცვლილებები, რომლებიც დაკავშირებული იყო ეკონომიკასთან, სოციალურ პრობლემებთან, ინფლაციასთან, უმუშევრობის ზრდასთან და წარმო-ადგინეს შექმნილი რეალობის ადეკვატური პროგ-რამები. ნეოკონსერვატორული ტალღის მნიშვნე-

ლოვანი აღმაველობა სწორედ ამ პრობლემების, კრიზისული სიტუაციიდან ქვეყნის გამოყვანისა და ეკონომიკის ფუნქციონირების გაუმჯობესების მიზნით ახალი პროგრამების დამუშავებას უკავშირდება. კლასიკური კონსერვატიზმის ზოგი დებულების გადასინჯვის საფუძველზე მათ ახლებურად ჩამოაყალიბეს სახელმწიფოსა და ინდივიდის უნთიერთდამოკიდებულების პრობლემა და პრაქტიკულად განახორციელეს სახელმწიფოს მინიმალური ჩარევის პრინციპი ეკონომიკაში. ასევე დააყენეს და რიგ შემთხვევაში განახორციელეს ეკონომიკის ნაციონალიზირებული დარგების კერძო საკუთრებაში გადაცემა და შესაბამისად ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურაში სახელმწიფოს წილის შემცირება, საგადასახადო ბერკეტების გამოყენებით წყრილი და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა. შედეგად რეიგანისეული და ტეტჩერისეული პერიოდები აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის ისტორიაში ხასიათდება კრიზისული სიტუაციების ეფექტური დაძლევით და ეკონომიკის მძლავრი აღმაველობით.

ნეოკონსერვატიზმში, ისევე როგორც ზოგადად კონსერვატიზმში, ტრადიციონალიზმი, ტრადიციული ღირებულებებისა და იდეალების პრიმატი, განმსაზღვრელი ნიშანია, მაგრამ უახლოეს წარსულში ნეოკონსერვატიზმმა სიმძიმის ცენტრი გადაიტანა არა მთლიანად მემკვიდრეობითი ღირებულებების ყველა ასპექტზე, არამედ ძირითადად სოციო-კულტურულ და რელიგიურ გაუცხოებაზე. ეს ნეოკონსერვატიზმის უაღრესად მნიშვნელოვანი და პრაგმატული მიგნება იყო, რადგან მიაჩნდათ, და არცთუ უსაფუძვლოდ, რომ ბუნებუაზიულმა მომხმარებლურმა საზოგადოებამ, რომელმაც ღირებულებათა რთული მრავალფეროვნება მატერიალურ კეთილდღეობამდე დაიყვანა, ხალხი სულიერი სიდატაკისათვის გაწირა.

ნეოკონსერვატიზმი იცავს და აყითარებს ოჯახის ტრადიციებს, ზნეობრიობის კულტს, კულტურულ ღირებულებებს, სარწმუნოებას და დასაყრდენს იძენს ნაციონალური და პატრიოტული იდეების პროპაგანდით. ფესვიგისა და დისციპლინის, კანონის დაცვის გარდა, ნეოკონსერვატიზმი სახელმწიფოს მორალის დაცვის ფუნქციასაც აკისრებს.

ნეოკონსერვატორები ტრადიციაში გულისხმობენ უნივერსალურ, ტრანსცენდენტურ პრინციპებსა და ღირებულებებს, რომლებზეც უარის თქმა მათი გაგებით თანამედროვე საზოგადოების ყველა ნეგატიური მოვლენის ძიზეზი და საფუძველია.

ტრადიციონალისტურმა ან პატერნალისტურმა ნეოკონსერვატიზმმა ოჯახურ ტრადიციებზე, ზნეობრივ და მორალურ ღირებულებებზე, რელიგიურობაზე დაყრდნობით ბევრი სიახლე შეიტანეს კონსერვატიულ თეორიასა და პრაქტიკაში და თუმცა ბევრი საკამათო კონცეფციებიც განაყითარეს ამ სფეროებში, მაგრამ ელექტორატის ახალი ნაკადები ნამდვილად შემოიერთეს.

თანამედროვე ნეოკონსერვატიზმის ერთი ნოვაციური ნიშანი ისიც არის, რომ სამეცნიერო-ტექნიკური და ტექნოლოგიური პროგრესის თუ მოწინააღმდეგეები არა, ყოველ შემთხვევაში, მისი ნეიტრალური მეთვალყურეებიდან, გულმხურვალე მხარდამჭერები გახდნენ.

ნეოკონსერვატიზმი, ისევე როგორც კონსერვატიზმი ზოგადად, გამორიცხავს თანასწორობას სოციალურ სფეროში, მათ შეუთავსებლად მიაჩნიათ თანასწორობა თავისუფლებასთან. თანასწორობის იდეას ისინი მხოლოდ თანაბარი შესაძლებლობების სფეროში იცავენ.

ნეოკონსერვატორების სახელმწიფო ეფუძნება ზნეობრივ პრინციპებს და ამის საფუძველზე უზრუნველყოფს საზოგადოების ფუნქციონირებას კანონიე-

რებისა და სამართლებრივი წესრიგის დაცვისათვის, ქმნის პირობებს პოლიტიკური ორგანიზაციების, სამოქალაქო ინსტიტუტების შექმნისა და განვითარებისათვის, უზრუნველყოფს ინდივიდის აუცილებელი უფლებებისა და თავისუფლების დაცვას.

საზოგადოების დემოკრატიზაციის საფუძველად ნეოკონსერვატორებს თავისუფალი ბაზარი და თავისუფალი კონკურენცია მიაჩნიათ. პოლიტიკის სფეროში კი გეთავაზობენ დემოკრატიისა და ელიტიზმის ორგანულ შეხამებას, რადგან ელიტას დემოკრატიის ფუნქციონირების მთავარ პირობად თვლიან.

ბუნებრივია, ნეოკონსერვატიზმის პროგრამები, რომელთა განხორციელების საშუალება მათ ხელისუფლებაში ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ჰქონდათ, მიუხედავად სერიოზული წარმატებებისა, ყველა სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემას ვერ გადაწყვეტდა. მაგრამ მათთვის დამახასიათებელმა პრობლემების გლობალურმა ხედვამ, არსებული რეალობის ადეკვატურმა შეფასებამ საზოგადოებაში ფესვგადგმულ, მაგრამ ყოველდღიურ ორომტრიალში გარკვეულად მიძინებულ ზნეობრივ ნორმებთან, მოსახლეობის ფართო მასები დააჯერა მორალურად ვალდებული ინდივიდისა და პოლიტიკურად და სოციალურად სტაბილურ სახელმწიფოს შორის ახალი ურთიერთობების ჩამოყალიბების ეფექტიანობაში.

ნეოკონსერვატიზმმა შეძლო საკუთარი იდეოლოგიის ფარგლებში მოექცია ლიბერალიზმის, სოციალ-დემოკრატიის, სხვა მიმდინარეობათა მნიშვნელოვანი სოციალური და ჰუმანიტარული იდეა და ამით სერიოზულად გაიმდიდრა საკუთარი თეორიული ბაზა და პრაქტიკული საქმიანობის მიმართულებები. ამასთან ნეოკონსერვატიზმმა საზოგადოებას მისცა ძლიერი და ნებისყოფიანი პოლიტიკური ლიდერები, რომელთა ნდობის ხარისხი კრიზისული პროცესების დაძლევის პერიოდებში მაღალია.

XX საუკუნის 70-80-იან წლებში მემარცხენე ფრონტზე იდეოლოგიური საყრდენების შესუსტებით დაუყოვნებლივ ისარგებლეს კონსერვატიულმა პარტიებმა და ცნება „კონსერვატიული“ მარადიული დამატებით „ქრისტიანული“, „დემოკრატიული“, „პროგრესული“, „სახალხო“, „ლიბერალური“ და სხვ. კვლავ დომინანტური გახდა. აშშ-ში რ. რეიგანის ხელისუფლების მანამდე არნახულმა წარმატებებმა ეკონომიკაში, ტოტალიტარული, სოციალისტური რეჟიმების რღვევის გაღრმავებამ და მისი ისტორიული კრახის მოახლოებამ, ინგლისში მ. ტეტჩერის სამგზის გამარჯვებამ არჩევნებში და ასევე სერიოზულმა წარმატებებმა საშინაო და საგარეო პოლიტიკაში, კონსერვატიული ძალების წარმატებებმა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, საფრანგეთში, იტალიაში, თვალნათლივ აჩვენა, რომ ამომრჩეველის განწყობაში მომხდარი ცვლილებები ყველაზე უკეთ ამ პოლიტიკური იდეოლოგიის ლიდერებმა გაითვალისწინეს. იმ გარემოებას, რომ კონსერვატიზმის წარმატება საყოველთაო მოვლენა გახდა, იმანაც შეუწყო ხელი, რომ ამ პოლიტიკური პარტიების ლიდერებად მოგვეელინენ ისეთი ძლიერი პოლიტიკოსები და პიროვნებები, როგორებიც არიან რ. რეიგანი, მ ტეტჩერი, ჰ. კოლი და სხვ.

ოფიციალურად, თავისი საქმიანობის საფუძველად ნეოკონსერვატიულ იდეოლოგიას დასავლეთის მხოლოდ რამდენიმე პარტია აღიარებს – რესპუბლიკური პარტია ამერიკის შეერთებულ შტატებში, ლიბერალურ-კონსერვატიული – იაპონიაში, კონსერვატიული – დიდ ბრიტანეთში, ქრისტიანულ-დემოკრატიული-ქრისტიანულ-სოციალური ალიანსი – გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, გოლისტური პარტიები – საფრანგეთში, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა რაოდენობაზე მეტად ანგარიშგასაწევი ქვეყნებისა და პარტიების ხარისხი და მასშტაბებია.

დღევანდელი მსოფლიოს პოლიტიკური სამყარო მნიშვნელოვანწილად ჩამოყალიბდა კომუნისტური, სოციალისტური (სოციალ-დემოკრატიული) იდეების ზემოქმედებით. მაგრამ თუ კომუნისტურმა იდეოლოგიამ ჩვენს თვალწინ ტოტალური კრახი განიცადა, სოციალ-დემოკრატიული იდეები და მასზე დაფუძნებული მოძრაობა ერთი ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური ძალაა დასავლეთშიც და პოსტსოციალისტურ ქვეყნებშიც. სოციალ-დემოკრატიული იდეალების შემუშავება და შემდეგ მისი ტრიუმფი ევროპის მთელ კონტინენტზე იყო ლენინურ-ბოლშევიკური იდეოლოგიისაგან თანდათანობითი ჩამოცილების და შემდეგ მასთან დაპირისპირების ასწლიანი ევოლუციის შედეგი. ამ დაპირისპირების მთავარი ასპექტი (ყოველ შემთხვევაში, მის საწყის ეტაპზე) იყო არა იმდენად წარმოდგენები საზოგადოებრივ იდეალზე, რამდენადაც მისი რეალიზაციის გზები. მარქსიზმი მისი ლენინურ-ბოლშევიკური „შემოქმედებითი განვითარებით" წავიდა რევოლუციებისა და სამოქალაქო ომების, დიქტატურის, ტოტალიტარული იდეოლოგიისა და პრაქტიკის გზით, ხოლო დასავლური სოციალ-დემოკრატია (ე. ბერნშტეინი, კ. კაუცკი, რ. ჰილფერლინგი, ფ. ადლერი და შემდეგ უამრავი მეცნიერი და პოლიტიკოსი) სოციალური რეფორმებისა და საზოგადოების თანდათანობითი ევოლუციის გზით.

დასავლურმა სოციალ-დემოკრატიამ გამოიყენა სოციალისტური ტრადიციები (თავისუფლება, სოციალური სამართლიანობა, სოლიდარობა) და თანამედროვე ცივილიზაციის აღიარებულ ნორმებთან შესაბამებით შექმნა საკუთარი თანამედროვე იდეოლოგია. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირების, მრავალ-

პარტიულობის და პლურალისტული დემოკრატიის სხვა ასპექტებში სოციალ-დემოკრატიული პრინციპები ძნელია გაარჩიო სხვა, ჩვენ მიერ დახასიათებული იდეოლოგიების პრინციპებიდან. განსხვავება უფრო გამოკვეთილია ეკონომიკური და განსაკუთრებით სოციალური პოლიტიკის ასპექტებში. სოციალ-დემოკრატიული ეკონომიკური კონცეფცია გულისხმობს საზოგადოებრივი ინტერესების პრიმატს ინდივიდუალურ ინტერესებზე და რეგულირებად საბაზრო ეკონომიკას. სახელმწიფო ხელს უნდა უწყობდეს საკუთრების ყველა ფორმის განვითარებას, ეკონომიკის აღმავლობას, მაგრამ, ამასთან ერთად უნდა უზრუნველყოს საზოგადოების იმ სოციალური ფენების მაქსიმალური მატერიალური მხარდაჭერა, ვინც ამას საჭიროებს. იმის გამო, რომ სოციალ-დემოკრატიის ეკონომიკური და სოციალური პრიორიტეტები ომისშემდგომ პერიოდში დაემთხვა დასავლეთის მოსახლეობის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილის ინტერესებსა და მისწრაფებებს, სოციალ-დემოკრატია უაღრესად გავლენიან პოლიტიკურ ძალად იქცა.

საზოგადოებრივ ცნობიერებაზე XX საუკუნეში და განსაკუთრებით მის მეორე ნახევარში ყველაზე არსებითი გავლენა სოციალ-დემოკრატიულ იდეოლოგიას ჰქონდა, რომელიც კონკრეტულ ქვეყანაშიც და საერთაშორისო მასშტაბითაც სოციალურ და სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში სამართლიანი საზოგადოებრივი მოწყობისა და მშვიდობის განმტკიცების პრიორიტეტებსა და იდეალებს იცავდა. ბურჟუაზიული საზოგადოებისა და სახელმწიფოების ამ მიზნებისაკენ პერმანენტული ევოლუცია ეფუძნებოდა კლასობრივ ბრძოლაზე უარის თქმას, მშრომელთა სოციალური დაცვისა და თვითმმართველობის გაძლიერების პრინციპებს. სოციალ-დემოკრატიის მიერ წამოყენებულმა „სოციალური პარტნიორობის“ მიმზიდველმა და ჰუმანურმა კონცეფციამ, მისი ძირითადი პრინციპების

განხორციელებამ უდიდესი გავლენა მოახდინა მოსახ-ლეობის მასობრივ პოლიტიკურ ცნობიერებაზე და განდევნა თავისი ბუნებით ექსტრემისტულ-რადიკალურ კლასთა ბრძოლის ლენინური თეორია.

სოციალ-დემოკრატიამ უდიდესი როლი ითამაშა XX საუკუნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტე-მების და საზოგადოებრივი აზრის იდეურ-პოლი-ტიკური მიმართულებების ჩამოყალიბებაში, განსაკუთ-რებით ევროპაში.

სოციალიზმი, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტი-კური აზროვნების დამოუკიდებელი მიმდინარეობა და იდეოლოგია, ჩამოყალიბდა XIX საუკუნის შუა ხანებ-ში, თუმცა მისი თეორიული წანამძღვრები მომზა-დებული იყო ჯერ კიდევ XVI-XVIII საუკუნეებში უტოპისტ-სოციალისტთა ნაშრომებით.

პირველადელი სოციალიზმი მთლიანობაში უარ-ყოფს ან არასაკმარისად აფასებს ინდივიდის ეკო-ნომიკურ თავისუფლებას, თავისუფალ ბაზარს და კონკურენციას, შრომის არათანაბარ ანაზღაურებას. ამის მაგიერად ადამიანების კეთილდღეობის ზრდი-სათვის პრიორიტეტულად მიიჩნევენ არაშრომითი შემო-სავლების გადანაწილების სოციალურ მექანიზმებს, ეკონომიკური და სოციალური პროცესების პოლი-ტიკურ რეგულირებას, სოციალური თანასწორობისა და სამართლიანობის სახელმწიფოებრივი პროგრამების განხორციელებას. ამ პრინციპებზე ახალი საზოგა-დოებრივი მოწყობის პირველი მოდელები ჩამოაყა-ლიბეს ახალი დროის მოაზროვნეებმა ტ. მორმა და თ. კამპანელამ, შემდეგ კი XIX საუკუნის სოციალიტებმა სენ სიმონმა, ფურიემ, ოუენმა, რომლებსაც განუ-ხორციელებელი მოდელების გამო უტოპისტებადაც მოიხსენიებენ.

სოციალიზმის მრავალსაუკუნოვანი იდეების კონ-ცეპტუალიზაციაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ფრანგმა განმანათლებელმა ჟან-ჟაკ რუსომ თავისი

ეგალიტარისტული იდეებით და მისმა თანამემამულემ ფ. ბაბეფმა საზოგადოების კლასობრივი დაყოფისა და სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ძალადატანებითი მეთოდების გამოყენების აუცილებლობის თეორიით.

XIX საუკუნის შუა ხანებიდან მოყოლებული სოციალისტური იდეოლოგიის თეორიული დასაბუთება მოახდინეს კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა კაპიტალიზმის სისტემური კრიზისის პირობებში. ახალ იდეოლოგიას საფუძვლად დაედო ამ ორი მოაზროვნის ძირითადი იდეები, რომლებიც მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე ყალიბდებოდა. ამ იდეოლოგიის მთავარ, მაკონსტრუირებელ იდეად მათ გამოაცხადეს კლასობრივი ბრძოლა, როგორც საზოგადოების განვითარების უმთავრესი მამოძრავებელი ძალა კაცობრიობის ისტორიის ყველა ეტაპზე; საზოგადოების განვითარების კაპიტალისტურ სტადიაზე კლასობრივ ბრძოლაში მუშათა კლასის წამყვანი როლი, რასაც მისი სოციალური სტატუსი (ყველზე უქონელი კლასი) და მაღალი შეგნებულობა და ორგანიზებულობა (დიდ სამრეწველო საწარმოებში კომპაქტურად დასაქმებულთა რაოდენობა) განაპირობებდა; მუშათა კლასის ისტორიულ ბრძოლაში ყველა სხვა კლასისა და სოციალურ-პოლიტიკური ჯგუფის წინააღმდეგ პროლეტარული პარტიის განსაკუთრებული როლი, რომელიც მუშათა მოძრაობაში შეგნებულობის შემტანი და წარმმართველი ძალაა; ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანის რევოლუციური გზით მსხვრევა და ახალი სახელმწიფოს მშენებლობა პროლეტარიატის რევოლუციური დიქტატურის ფორმით; ბურჟუაზიის და კერძო საკუთრების მქონე ყველა სოციალური ჯგუფის ექსპროპრიაცია, საკუთრების ნაციონალიზაცია და წარმოების საშუალებათა გადაცემა საზოგადოების (სახელმწიფოს) ხელში. მთელი ამ პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული რევოლუციის საბოლოო მიზანი კი კლასებისა და სახელმწიფოს

ფუნქციების თანდათანობითი გაქრობით ახალი საზო-გადოებრივ-პოლიტიკური ფორმაციის, კომუნიზმის აშენება იყო.

ბუნებრივია, რომ ასეთი კონფერენციული კონცეფციების ჩარჩოებში ადგილი არ რჩებოდა იმ პერიოდისათვის უკვე ჩამოყალიბებული ლიბერალური და კონსერვატიული იდეოლოგიებისათვის დამახასიათებელი ისეთი პრინციპებისათვის, როგორიცაა ინდივიდუალიზმი, თავისუფლება, საბაზრო ეკონომიკა და თავისუფალი კონკურენცია, პირადი ინტერესების პრიმატი საზოგადოებრივთან და სხვა.

კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ისტორიული მატერიალიზმი რადიკალურად დაუპირისპირდა ფილოსოფიურ აზროვნებაში დიდი ტრადიციის მქონე შეხედულებებს იმის შესახებ, რომ ისტორიის, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ურთიერთობების, სოციალური სინამდვილის ძირითადი მამოძრავებელი ძალა იდეები იყო. ისტორიულმა მატერიალიზმმა, რომელიც ვ.ი. ლენინს „მეცნიერული აზრის უდიდეს მონაპოვრად" მიაჩნდა, სცადა დაემტკიცებინა, რომ ყოველგვარი იდეების, თეორიების, დოქტრინების და კონცეფციების, შეხედულებებისა და წარმოდგენების წყარო „ზეძირდა აზროვნებაში" კი არა, საზოგადოებრივ ყოფიერებაში, ე.ი. სოციალურ სინამდვილეში უნდა ვეძიოთ, რომელიც, თავის მხრივ, საზოგადოების მატერიალური ცხოვრების მხარეთა ერთობლიობაა, რომელშიც გადამწყვეტი მატერიალური სიკეთის წარმოების წესია. აქედან გამომდინარე, საზოგადოებრივი ცნობიერების ყველა ელემენტი მეორადია ძირითადთან – ეკონომიკურ ურთიერთობებთან მიმართებაში და ნებისმიერი იდეები – პოლიტიკური, სამართლებრივი, ზნეობრივი, რელიგიური, ესთეტიკური და სხვა, ზედნაშენის შემადგენელი ელემენტია, რომელიც საზოგადოების ეკონომიკურ ბაზისზე აღმოცენდება.

მარქსიზმის ერთ-ერთ გამოჩენილ თეორეტიკოსს გ. პლეხანოვს მიაჩნდა, რომ საზოგადოების ეკონომიკური განვითარება მის საერთო ნიშნებში შეიძლება აიხსნას მისი საკუთარი ლოგიკის დახმარებით, მაგრამ ამის გარდა სულიერი ევოლუციის გზაც მხოლოდ ეკონომიკური პროცესების დახმარებით უნდა გაირკვეს. ამგვარად, ეკონომიკა არა მხოლოდ მატერიალური წარმოების ურთიერთობებს განსაზღვრავს, არამედ სულიერი ცხოვრებაც ეკონომიკური პროცესებით არის განპირობებული. თუმცა მარქსიზმის კლასიკოსები გარკვეულ „კომპრომისზე" მიდიოდნენ, როცა ამტკიცებდნენ, რომ ეკონომიკურ ბაზისსა და იდეოლოგიურ ზედნაშენს შორის ურთიერთობა არა სწორხაზობრივი, არა „სარკისებური" ასახვაა, არამედ რთული დიალექტიკური პროცესია. ამასთან მიაჩნდათ, რომ სულიერი სფეროს ზოგი კონპონენტი, პოლიტიკა და სამართალი საზოგადოების ეკონომიკურ ურთიერთობებს ასახავს პირდაპირ და უშუალოდ, ხოლო ხელოვნებაში, ფილოსოფიაში და რელიგიაში ეს ასახვა ატარებს გაშუალებულ ხასიათს.

ახალი პოლიტიკური იდეოლოგიის ამ შემადგენელმა სეგმენტებმა დიდი დაპირისპირება გამოიწვია არა მხოლოდ პრინციპულად განსხვავებულ იდეოლოგიებთან, არამედ იმ მიმდინარეობების წარმომადგენლებთან, რომლებთანაც კ. მარქსი, როგორც „თეორიულ წყაროსთან" თავისი კონცეფციების ნათესაობას არ მალავდა.

თავად ფ. ენგელსიც აღიარებდა, რომ კ. მარქსმა თავდაყირა დააყენა ჰეგელი. მარქსის თეორიით კაპიტალიზმი საზოგადოების განვითარების გარკვეული ეტაპია და ის პერსპექტივაშია განთავსებული, როგორც საკაცობრიო ცივილიზაციის ერთი საფეხური, რომელიც საფუძველია უფრო მაღალი საფეხურისაკენ. კომუნიზმის ეს დოქტრინა ფაქტობრივად იმეორებს ჰეგელის ისტორიის ლოგიკის იდეას, მაგრამ ნაცვლად

იდეალისა, რომელიც ისტორიის განვითარებით თან-დათანობით ავლენს საკუთარ ბუნებას, მარქსთან იდეები (და იდეოლოგიებიც) განიხილება როგორც მხოლოდ მატერიალური წარმოების ზედნაშენი და, რაც მოსავარია, ისტორიის განვითარების ლოგიკა თავის ახალ საფეხურზე კაპიტალიზმის აუცილებელი რევოლუციური მსხვრევით უნდა დაიწყოს. კლასთა ბრძოლა ან საზოგადოების შიგნით სხვადასხვა სოციალურ ფენებს შორის ანტაგონისტური დაპირისპირება კაპიტალიზმის მოსპობის შემდეგაც გრძელდება კომუნიზმის მშენებლობის მთელ ისტორიულ ეტაპზე და შეწყდება მხოლოდ კომუნისტურ საზოგადოებაში კლასების გაქრობის შემდეგ.

მარქსიზმის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ისტორიის პოლიტიკური დემაგოგიისა და რადიკალიზმის მიზნით გამოყენება, საზოგადოების დარწმუნება იმაში, რომ ისტორია შენი თეორიისა და იდეოლოგიის მეთოდოლოგიური საფუძველია და ამით შენი მოკაეშირე, ის მათრობელა ილუზიაა, რომელიც ბევრმა პოლიტიკურმა ძალამ ისტორიისა და მისი შემოქმედი ხალხების წინააღმდეგ გამოიყენა და რომლისგანაც დღემდე ვერ გათავისუფლდნენ პოლიტიკური იდეალისტები.

XIX–XX საუკუნეების მიჯნაზე ევროპის წამყვან სახელმწიფოებში მუშათა კლასის მოძრაობის ახალმა აღმაფლობამ, მისი როლის ზრდამ პოლიტიკურ ცხოვრებაში განაპირობა სოციალ-დემოკრატიის გაძლიერება და მისი ინსტიტუციონალიზაცია – საპარლამენტო პარტიებად ჩამოყალიბება. ამ პერიოდის ევროპულ სოციალ-დემოკრატიაში მიმდინარეობდა მწვავე, უკომპრომისო ბრძოლა ორ მთავარ მიმდინარეობას შორის. ბარიკადების სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდნენ ის დაპირისპირებული ჯგუფები, რომელთაგან ერთნი მხარს უჭერდნენ კაპიტალიზმის რევოლუციური გზით ლიკვიდაციის მარქსისტულ იდეას,

ხოლო მეორენი იღებდნენ პოლიტიკური თამაშის ცივილიზებულ წესებს და არსებული პოლიტიკური სისტემის რეფორმირებას და მოდერნიზაციას უჭერდნენ მხარს. შეიძლება სრული საფუძვლით ითქვას, რომ ამ პერიოდის სოციალ-დემოკრატიის ისტორია იმ ბრძოლის ისტორიაა, რომლის შედეგადაც საბოლოოდ ჩამოყალიბდა ორი ურთიერთდაპირისპირებული იდეოლოგია მარქსიზმ-ლენინიზმის და რეფორმატორული სოციალიზმის ან „დემოკრატიული სოციალიზმის" სახით.

რეფორმატორები კაპიტალიზმის განვითარების რეალურმა პროცესებმა და მისმა ჯერ კიდევ გამოუცნებელმა შესაძლებლობებმა დაარწმუნა, რომ სახელმწიფოს ნგრევა და მისგან გამომდინარე პოლიტიკური კატაკლიზმები მიუღებელია მთელი საზოგადოებისათვის და მათ შორის მუშათა კლასისათვის, რომ მათი ბევრი მოთხოვნა შეიძლება რეალიზებული იყოს მშვიდობიანი გზით, ყოველდღიური და თანდათანობითი მოდერნიზაციის პირობებში. რაც უფრო მეტი ზომით იმარჯვებდა საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიაში აღნიშნული ტენდენცია, ამ მიმდინარეობის მეტი დისტანცირება ხდებოდა კლასიკური მარქსიზმიდან და ლენინიზმიდან. განსაკუთრებით დაჩქარდა ეს პროცესი რუსეთში ბოლშევიკური სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, როცა მთელი მსოფლიოსათვის ნათელი გახდა, რომ გზა, რომელიც აირჩია მარქსიზმის უკიდურესმა ფრთამ ლენინიზმის სახით, გაუმართლებელი, სისხლიანი და მომაკვდინებელი ექსპერიმენტია. რუსეთის რევოლუციურმა პროცესებმა და შემდგომ პროლენინურმა მესამე ინტერნაციონალის შექმნამ, მეორე, სოციალ-დემოკრატიული ინტერნაციონალის საპირისპიროდ ეს განხეთქილება დააკანონა. სამწუხაროდ, ისტორია ისე გაისარჯა, რომ სოციალიზმის ჰუმანიტარული, დემოკრატიული იდეები თანასწორობისა და სამართლი-

ანობის შესახებ გახდა ტოტალიტარული, დიქტატორული რეჟიმის (ნაცისტური, ბოლშევიკური) შექმნის იდეური წყარო.

ორი საუკუნის მიჯნაზე ბევრისათვის ცხადი გახდა, რომ ახალი პოლიტიკური და ეკონომიკური რეალიების პირობებში მარქსიზმი უცვლელ, გაყინულ დოგმად ვერ დარჩებოდა, მაგრამ საით წავიდოდა მისი განვითარება – იმ დროის პოლიტიკურ სამყაროში უკვე მიღებულ და დასაბუთებულ კონცეფციებთან დაახლოების, მათთან კონსტრუქციული თანაშრომლობისა და პაექრობის გზით, თუ ყველასთან და ყველაფერთან დაპირისპირების, ერთი – ყველას წინააღმდეგ პრინციპით. დასავლეთის სოციალ-დემოკრატია პირველი, ციელიზებული გზით განვითარდა და გარდა იმისა, რომ ძლიერი და მიმზიდველი იდეურ-პოლიტიკური მიმდინარეობა გახდა, ქვეყნებსა და ხალხებს თავისი მოღვაწეობით მხოლოდ სიკეთე მოუტანა. რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში ამ პერიოდში ორივე (რეფორმატორული და რევოლუციური) მიმდინარეობა ფუნქციონირებდა, გარკვეულ პერიოდში მათი გაერთიანების ხელოვნური მცდელობებიც იყო, მაგრამ თავიდანვე მათ შორის მტრული, რადიკალურად დაპირისპირებული ურთიერთობა ჩამოყალიბდა. ამ ორი მიმდინარეობის გააფრთებული ოცწლიანი ბრძოლა ჯერ რუსული საზოგადოებრივი აზრისათვის, ხოლო შემდგომ, ხელისუფლებისათვის, ანტიდემოკრატიული, ანტიჰუმანური ძალების გამარჯვებით დამთავრდა, რამაც რუსეთის იმპერიასა და სხვა ხალხებს სისხლიანი სამოქალაქო ომები, მასობრივი რეპრესიები, მცირე ერების გენოციდი და სხვა ათასი უბედურება მოუტანა.

ლენინიზმს ჰქონდა იმის პრეტენზია, რომ ერთ თეორიაში შეეთავსებინა, შეეხამებინა მეცნიერულობა და რევოლუციურობა, ანუ სინამდვილის ობიექტურად ასახვასთან ერთად ყოფილიყო პროლეტარიატის ყო-

ველმხრივ დამუშავებული იდეოლოგია, მისი ორიენ-ტირი და პროგრამა რეაოლუციურ ბრძოლაში ყველას წინააღმდეგ. ასეთ კონფრონტაციულ მეთოდოლოგიაზე აგებული იდეოლოგია, რომელიც მხოლოდ ერთი კლასის (საუკეთესო ვარიანტში მოსახლეობის ერთი მეხუთედის) დამახინჯებულ, უტოპიური ინტერესების პრიორიტეტს აღიარებდა, ისევე, როგორც კლასობრივი ინტერესებით შემოსაზღვრული ნებისმიერი რადიკა-ლურ-რეაოლუციური იდეოლოგია, არ შეიძლება იყოს მეცნიერული. სოციალისტური იდეოლოგიის ბრძოლა ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ არის უკომპრომისო, შეურიგებელი, გამორიცხულია მათი მშვიდობიანი თანაარსებობა, რადგან ლენინს მიაჩნდა, რომ ყოველგვარი დამცირება საკუთარი იდეოლოგიის, მისგან ყოველგვარი დაცილება ბურჟუაზიული იდეოლოგიის გაძლიერებას ნიშნავს. სწორედ ეს და ლენინური აზროვნების ასეთი „მარგალიტები" გახდა ბურჟუაზიული სოციოლოგიისა და პოლიტოლოგიის ძირითადი სამიზნე – იდეოლოგია, რომლის ძირითადი კონცეფციების შესახებ არ შეიძლება დავა, კამათი, სხვა იდეებთან შეპირისპირება, შეცვლილ რეალო-ბებთან დაკავშირებული კორექტივების შეტანა არ შეიძლება იყოს მეცნიერება. ძნელია ამაში ვინმეს ეკამათო, თუმცა ერთი საუკუნე მაინც კამათობდნენ, რადგან ბევრს მიაჩნდა, რომ მეცნიერებაში არ შეიძლება იყოს ხელშეუხებელი მტკიცებულებები, ყოველთვის უნდა არსებობდეს მისი შემოწმებისა და განვითარების პირობები. განვითარებას, თანაც შემოქ-მედებითს, არც ლენინიზმი და ბოლშევიზმი უარ-ყოფდა, მაგრამ ის არ უნდა გასცილებოდა (წინა-აღმდეგობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო) კლა-სიკოსების პრინციპულ დებულებებს, თუნდაც ისინი საუკუნეზე მეტი ხნის ყოფილიყვნენ.

ყოველგვარი სხვა აზრისადმი, თეორიისადმი მტრული დამოკიდებულება, პლურალიზმის საფუძ-

გელშივე გამორიცხვა, საკუთარი იდეოლოგიის ერთადერთ და მუდმივ ჭეშმარიტებად აღიარება და აქედან ოდნავი გადახვევის შემთხვევაში ნებისმიერი ძალის მტრად გამოცხადება იყო ვ.ი. ლენინისა და ბოლშევიზმის მიერ შექმნილი იდეოლოგიის ქვაკუთხედი თეორიაშიც და პრაქტიკაშიც.

იდეოლოგიის საკვანძო ასპექტებზე, ერთი მხრივ, კ. მარქსისა და ფ. ენგელსის, მეორე მხრივ, ვ.ი. ლენინის თვალსაზრისის გაანალიზებისას ერთ გარემოებას აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება, მით უფრო, რომ ჩვენ მიერ დამუშავებულ ლიტერატურაში ეს საკითხი არსად შეგვხვედრია. საქმე ეხება იმას, რომ სწორედ ის, რაც იდეოლოგიაში კ. მარქსს და ფ. ენგელსს მიუღებლად მიაჩნდათ, კერძოდ, მისი კლასობრივი ხასიათი და რის გამოც მათ ბრძოლა გამოუცხადეს ახალჰეგელიანელებს, ეს გახადა ვ.ი. ლენინმა თავისი იდეოლოგიის მაკონსტრუირებელი ღერძი. უნდოდათ თუ არა ეს კ. მარქსსა და ფ. ენგელსს. იდეოლოგიისადმი ნეგატიური დამოკიდებულების მიუხედავად მათ სწორედ ისტორიის მატერიალისტური გაგებითა და კაპიტალიზმის რევოლუციური დანგრევის თეორიებით შეამზადეს ვ.ი. ლენინის იდეოლოგიის საფუძვლები, მაგრამ ისინი, სიტყვით მაინც კლასობრივი იდეოლოგიის მოწინააღმდეგეებად დარჩნენ, ვ.ი. ლენინის იდეოლოგიურ თეორიებში კი, სწორედ პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესები გახდა დომინირებული იდეა, რომლისგან ყოველგვარი გადახვევა იყო გადახვევა ობიექტური ჭეშმარიტებისაგან. იდეოლოგიისადმი ლენინურ მიდგომას ისიც ვერ ცვლის, რომ ისიც და მისი თანამებრძოლებიც საკუთარ იდეოლოგიას ზოგჯერ მთელი მშრომელი მოსახლეობის ინტერესების გამომხატველად ასაღებდნენ, რადგან ამას აუცილებლად მოყვებოდა იმის მტკიცება, რომ ამ „მშრომელ მასაში", წარმმართველი, ჰეგემონი, ყველაზე ორგანიზებული და

რევოლუციური პროლეტარიატი იყო. ამის გამო უსაფუძვლოდ და მცდარად მიგეაჩნია თვით ლენინის და შემდგომ მთელი საბჭოთა საზოგადოებათმცოდნეობის მიდგომა ამ ორი, არსებითად განსხვავებული შეხედულებების ერთი კრებსითი სახელწოდებით – „მარქსიზმ-ლენინიზმის“ იდეოლოგიაში გაერთიანება.

ამგვარად, იდეოლოგიის ლენინური მოდიფიკაციის ძირითად ნიშნებად შეიძლება ჩაითვალოს მისი კლასობრივობა (პროლეტარიატის), პარტიულობა (მხოლოდ ერთი პარტიისათვის განკუთვნილი და მისაღები – ბოლშევიზმისათვის), შეურიგებლობა (ყველა მტერია, პროლეტარიატის გარდა), რევოლუციურობა (ძმათამკვლელი სამოქალაქო ომის ჩათვლით).

ლენინური ფუნდამენტალიზმი ყველაზე სრულად საყოველთაო სიუხვის, კომუნიზმისა და პროლეტარიატის როლის გაფეტიშებაში აისახა, თუნდაც ამ კლასის ბატონობის მიღწევა მომხდარიყო ყველა სხვა კლასის თუ სოციალური ფენის იდეური და ფიზიკური განადგურების ფასად. ამ თეორიისა და პრაქტიკის ლოგიკური გაგრძელება იყო სტალინური რეჟიმი, რომლის დროსაც განხორციელებული ფარაოონმასშტაბიანი გარდაქმნები – წარმოების საშუალებების რადიკალური განზოგადება, ინდუსტრიალიზაცია, კოლექტივიზაცია, კულტურული რევოლუცია და სხვა ხორციელდებოდა ტერორიზმისა და მოსახლეობის ყველა სოციალური ფენის მასობრივი გენოციდის საფუძველზე. ამ რეპრესიების დასაბუთებას კი წარმოადგენდა თავისი შინაარსით კანიბალური თეზისი იმის შესახებ, რომ სოციალიზმის მშენებლობის კვალობაზე კლასობრივი ბრძოლის უკიდურესი გამწვავება დიდ მსხვერპლს მოითხოვდა.

ლენინიზმის, ბოლშევიზმის იდეოლოგიური კონცეფციების პრაქტიკული განხორციელების საშოცდათწლიანმა ექსპერიმენტმა მთელ მსოფლიოს უჩვენა,

რომ საბოლოო ჯამში კაცობრიობის ერთი მესამედი აღმოჩნდა ტოტალიტარულ საზოგადოებაში. სოციალიზმის ბანაკის ქვეყნები, გეგმიანი ეკონომიკით და მკაცრი ცენტრალიზაციით საგრძნობლად ჩამორჩნენ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებს ცხოვრების დონით და ხარისხით, ხოლო მათი ნაქები და პროპაგანდისტული ფრონტის წინა ხაზზე წამოწეული სოციალური თანასწორობის იდეა რეალურად „თანასწორობა სიდატაკეში“ აღმოჩნდა.

მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის კრახი, პირველ ყოვლისა, მისი ეკონომიკური სტრატეგიის არაეფექტურობამ განაპირობა. ამ მხრივ ნაშანდობლივია გასული საუკუნის 70-იანი წლების ერთი აფრიკული სახელმწიფოს ლიდერის აღიარება. მას ძალიან მოსწონდა მარქსისტულ-ლენინური თეორია (ყველა ბურჟუაზიულ თეორიაზე მეტად), მაგრამ იძულებული იყო პურის თესლი დასაყლეოთში შეეძინა, რადგან იქ ნაყიდი 5-ჯერ მეტ მოსავალს იძლეოდა საბჭოთა სათესლე მასალასთან შედარებით.

ვ.ი. ლენინმა და მისმა მიმდევრებმა საკითხი კატეგორიულად დააყენეს: ან ბურჟუაზიული, ან სოციალისტური იდეოლოგია, საშუალო არ არსებობს. არც კომპრომისი მათ შორის. ნებისმიერი დაცილება ნებისმიერ ასპექტში სოციალისტური იდეოლოგიისაგან (ლენინიზმისაგან), ნიშნავს ბურჟუაზიული იდეოლოგიის აპოლოგეტობას.

სოციალ-რეფორმისტულ მიმართულებას მარქსიზმში სათავე დაუდეს ჯერ კიდევ ფ. ენგელსის სიცოცხლეში ე. ბერნშტეინმა, კ. კაუცკიმ, ა. ბებელმა და სხვებმა.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე გერმანიის სოციალ-დემოკრატია თავის იდეოლოგიას აშენებს არა შეურიგებელი კლასობრივი ბრძოლისა და არსებული სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური სისტემის განადგურებაზე, არამედ სამართლებრივი სახელმწიფოს სა-

ფუძვლების მშენებლობაზე, რომელიც შემდეგ სოციალისტურ სახელმწიფოში უნდა გადაზრდილიყო.

მათ საფუძვლიანად გააკრიტიკეს და მოეღებლად მიიჩნიეს მარქსიზმის მთავარი პოსტულატი – კლასობრივი ბრძოლა, როგორც ისტორიის მამოძრავებელი ძალა, აქედან გამომდინარე, გარდუვალი პროლეტარული რევოლუცია და როგორც მისი მიზანი – პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების ღრმა ანალიზის საფუძველზე მათ დაასკვნეს, რომ საბაზრო ეკონომიკას გააჩნია განვითარებისა და თვითევოლუციის მნიშვნელოვანი რეზერვი და საჭიროა არა მისი მყისიერი ნგრევა, არამედ სრულყოფა, რეფორმირება, კრიზისების თანდათანობით დაძლევა. ამ ახალი მიმდინარეობების თეორეტიკოსებმა დაასაბუთეს, რომ მთელი საზოგადოებისათვის (მათ შორის მუშათა კლასისათვის) უფრო მისაღებია სოციალისტური გარდაქმნები განხორციელდეს ევოლუციურად, მიზანშიმართულად, საშოქალაქო ომებისა და ნგრევის გარეშე მშრომელთა სოციალური და პოლიტიკური უფლებების გაფართოებით, პოლიტიკური და სოციალური ინსტიტუტების დემოკრატიზაციით, შემოსავლების გადანაწილების ისეთი მეთოდების გამოყენებით, რომ დაცული იყოს საზოგადოების ყველა ფენის უფლება. ზემოაღნიშნული პრინციპები გახდა ახალი, „დემოკრატიული სოციალიზმის“ იდეოლოგიის განმსაზღვრელი კონცეფციები, რომლებიც თანამედროვე სოციალ-დემოკრატიის საფუძველს ქმნიან.

„დემოკრატიული სოციალიზმი“, ცნებათა ასეთი თანაწყობა, პირველად იხმარა ბ. შოუმ 1888 წელს, მაგრამ მისი საბოლოო დამკვიდრება შესაბამის სამეცნიერო ლიტერატურაში რ. ჰილფერდინგმა, გერმანელმა სოციალ-დემოკრატმა მოახდინა. ამ ახალი

მიმდინარეობის ძირითადი დებულებების პრიორიტეტი ეკუთვნის ასევე გერმანელ ყოფილ მარქსისტს ე. ბერნშტეინს. მისი და გერმანელი სოციალ-დემოკრატების დამსახურებაა ის, რომ მათ უარი თქვეს მარქსიზმის იმ რადიკალურ-რევოლუციურ დებულებებზე, რომლებმაც რუსეთი და შემდეგ სხვა ქვეყნები ტოტალიტარულ რეჟიმებამდე მიიყვანა. მათ უარი თქვეს, პირველ ყოვლისა, კაპიტალიზმის სახელმწიფო მანქანის უპირობო მსხვრევაზე კლასთა ბრძოლის პერმანენტული გაძლიერების პირობებში. პროლეტარიატის რევოლუციური დიქტატურის დამანგრეველ თეორიებს დაუპირისპირეს პარლამენტში სახალხო წარმომადგენლობის საკანონმდებლო მოღვაწეობა არსებული სოციალურ-პოლიტიკური სისტემის თანდათანობითი ტრანსფორმაციისათვის. სრული საფუძვლით ე. ბერნშტეინი თვლიდა, რომ კლასობრივი დიქტატურა (რომელი კლასისაც არ უნდა იყოს) ძალადობაა საზოგადოების დანარჩენი კლასებისა და ფენების მიმართ და ამის გამო უზნეობაა. მთავარი პოსტულატი, რომელმაც ძირითადი წყალგამყოფის როლი ითამაშა დემოკრატიულ სოციალიზმსა და ლენინურ-ბოლშევიკურ სოციალიზმს შორის, იყო ე. ბერნშტეინის მიერ იმის აღიარება, რომ სოციალიზმი არა მხოლოდ დროით, არამედ არსითაც წარმოადგენს ლიბერალიზმის კანონიერ მემკვიდრეს. ამის შემდეგ ყველასათვის ნათელი გახდა, რომ სოციალ-დემოკრატიაში უბრალო აზრთა სხვადასხვაობის ნიადაგზე წარმოშობილ კონფლიქტთან კი არა, სრულიად განსხვავებულ პრინციპებზე მდგომი ორი ურთიერთდაპირისპირებული იდეოლოგიის ჩამოყალიბებასთან გვაქვს საქმე. ის მიუთითებდა, რომ ისეთ პრინციპულ საკითხებში, როგორც ადამიანის უფლებები და თავისუფლებაა, კერძო საკუთრება და სამეურნეო დამოუკიდებლობა, დემოკრატიზაციის პოლიტიკური პროცესები, ლიბერალიზმსა და სოციალიზმს შორის სრული

ურთიერთდამოუკიდებელია. ახალი, სოციალურად ორიენტირებული სახელმწიფოს მშენებლობა, რომელიც საზოგადოების ყველა კლასისა და სოციალური ჯგუფის ინტერესებშია მხოლოდ დემოკრატიის საშუალებით შეიძლება, რადგან დემოკრატია სოციალიზმის საშუალებაც არის და მიზანიც.

ლენინური მარქსიზმი თავის მოძღვრებას აფუძნებდა როგორც ლიბერალიზმის შეგნებულ ანტითეზას, ლ. ბერნშტეინი და მისი მომხრეები კი თავიანთ მოძღვრებას განიხილავდნენ როგორც სოციალიზმის გარკვეულ სინთეზს ლიბერალიზმთან, როგორც „ორგანიზატორულ ლიბერალიზმს“.

ე. ბერნშტეინმა მთლიანად უარყო კლასიკური მარქსიზმის პრინციპული დებულება კლასთა ბრძოლის უნივერსალური ხასიათის შესახებ და დაასაბუთა, რომ დემოკრატია გამორიცხავს ნებისმიერი კლასის პრივილეგირებულ ფუნქციას საზოგადოებაში. სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობა დემოკრატიული პროცესების სრულყოფის, პარლამენტარიზმისა და პლურალიზმის პირობებში შეიძლება განხორციელდეს. მხოლოდ ქვეყნის დემოკრატიზაცია შეიძლება იყოს იმის წინაპირობა, რომ ლიბერალიზმის ფუძემდებლური პრინციპები ორგანულად შეერწყას სოციალიზმს. ასეთ პრინციპებად კი ე. ბერნშტეინს მიაჩნდა თავისუფლება, თანასწორობა, სოლიდარობა.

მისი ფორმირების საწყისი ეტაპიდან დემოკრატიული სოციალიზმის უმთავრესი მახასიათებელი ნიშანი არის კონკრეტული, ეტაპობრივი მიზნის პრიორიტეტი საბოლოო მიზანთან. ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს ე. ბერნშტეინის ფორმულამ „საბოლოო მიზანი არაფერია, მოძრაობა ყველაფერია“ (რამაც ვ.ი. ლენინის უკიდურესი აღშფოთება და მისი „რა ვაკეთოთ?“ გამოიწვია), შემდგომი განვითარება პოვა თავად მის და მთლიანად სოციალ-დემოკრატიის მოღვაწეობაში. მაშინაც, XIX საუკუნის ბოლოს და

დღესაც XXI საუკუნის დასაწყისში დასაელური სოციალ-დემოკრატიისათვის მიუღებელია აბსტრაქტული, ილუზიორული, „დიადი მომავლის“ მიზნებისათვის ბრძოლა, რადგან ყოველდღიური მუშაობა მიმართული უნდა იყოს მეტი კეთილდღეობისაკენ, მეტი სამართლიანობისაკენ, მეტი თავისუფლებისაკენ და არა ამ ღირებულებების აბსოლუტური ფორმით განხორციელებისაკენ. ეს არის პროგრესისაკენ მიმავალი ერთადერთი სწორი გზა, მართალია, რუტინული, ხშირად გარეგან ეფექტებს მოკლებული, ყოველდღიური მძიმე შრომით დატვირთული, მაგრამ საბოლოო შედეგების მომტანი. ხანმოკლე პერიოდისათვის გამიზნული კონკრეტული პროგრამები კონკრეტული მიზნების მისაღწევად მოსახლეობის ფართო მასებისათვისაც უფრო გასაგები და მისაღები აღმოჩნდა, ვიდრე დროში გაწელილი, რეალურ გათვლებსა და პროგნოზირებას მოკლებული, უტოპიის სფეროში გადასული დაპირებები. ასეთი კონკრეტიკაა იმის საფუძველი, რომ სოციალ-დემოკრატები გამოირჩევიან მობილურობით და მოქნილობის მაღალი უნარით, ყოველთვის ადვილად პოულობენ კომპრომისს როგორც პარტიის შიგნით დაპირისპირებულ, ასევე განსხვავებული ორიენტაციის პოლიტიკურ ძალებთან.

თანამედროვე ევროპული სოციალ-დემოკრატიის პოლიტიკური იდეოლოგიის უმნიშვნელოვანესი პრინციპები ჩამოყალიბდა უკვე არსებულ თეორიულ ბაზაზე მეორე მსოფლიო ომისშემდგომ პერიოდში და ყველაზე სრულყოფილად აისახა სოციალისტური ინტერნაციონალის 1951 წელს მიღებულ ფრანკფურტის დეკლარაციაში. ეს პრინციპებია თავისუფლება, სამართლიანობა, სოლიდარობა, თანასწორობა, დემოკრატია და მათ საფუძველზე სამართლებრივი, სოციალურად ორიენტირებული, პოლიტიკურ პლურალიზმზე დაფუძნებული სახელმწიფოს მშენებლობა.

სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის პრინციპებზე მდგომი პარტიები XX საუკუნის 80-იანი წლებიდან ბევრ ქვეყანაში გახდნენ გავლენიანი საპარლამენტო პოლიტიკური ძალები, ხოლო ზოგ წამყვან ევროპულ ქვეყნებში ხელისუფლების სათავეშიც მოექცნენ. მათ მოსახლეობის ფართო მასების და მათი ინტერესების გამომხატველი პროფკავშირების მხარდაჭერით ბევრი მნიშვნელოვანი რეფორმის ჩატარება მოახერხეს, რომელთა ძირითადი მიმართულებები ეკონომიკის რიგი დარგების ნაციონალიზაცია, სახელმწიფოს სოციალური პროგრამების უმაგალითო გაფართოება, უმუშევრობისადმი დახმარება, სამუშაო დროის შემცირება და სხვა იყო.

თანამედროვე სოციალ-დემოკრატიის თეორიისა და პრაქტიკისათვის დამახასიათებელია აქცენტების გადატანა ინდივიდუალურ თავისუფლებაზე, კერძო საკუთრებასა და საბაზრო ეკონომიკაზე, თავისუფალ კონკურენციაზე და სახელმწიფოს პოზიტიური როლის გადასინჯვაზე ეკონომიკის რეგულირების კეინსიანური რეკომენდაციებით. ნეოკონსერვატიზმის შემოტევის პირობებში სოციალ-დემოკრატებს მოუხდათ საკუთარი პრინციპების გარკვეული ზომით გადასინჯვა, განსაკუთრებით იმ პარტიებს, რომლებიც ხელისუფლების სათავეში იმყოფებოდნენ. ამ პარტიებში შემარჯვენე დაჯგუფებების გამარჯვებამ განაპირობა ტრადიციულ სოციალიზმთან შეუთავსებელი დენაციონალიზაციის, დეცენტრალიზაციის პრინციპების აღიარება, რაც ნეოკონსერვატიზმთან მათი დაახლოების მაჩვენებელი იყო. ამ პროცესებს ასტიმულირებდა სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში და უპირველესად საბჭოთა კავშირში განხორციელებული ტოტალური განსახელმწიფოებრიობა, კერძო საკუთრების მოსპობა, ცენტრალიზებული, გეგმიური ეკონომიკა და როგორც ყოველივე ამის შედეგი „რეალური სოციალიზმი“ –

არც კეთილდღეობა, არც თავისუფლება, არც თანასწორობა, არც სამართლიანობა.

სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპია სახელმწიფოს როლის გაძლიერება ეკონომიკაში და სოციალურ სფეროში. სახელმწიფომ დემოკრატიული პრინციპების დაცვით უნდა უზრუნველყოს ეკონომიკის რეგულირების ფუნქცია იმგვარად, რომ საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებამ შეუქცევადი ხასიათი მიიღოს. ამასთან საზოგადოების შემადგენელი ყველა სოციალური ფენის ინტერესები უნდა გაითვალისწინოს ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, გარემოს დაცვისა და კულტურის სფეროებში. სოციალ-დემოკრატების განსაკუთრებული ზრუნვის საგანს წარმოადგენენ უმუშევრები, დროებით უმუშევრები, ინვალიდები, საზოგადოების უქონელი სოციალური ჯგუფები.

იმ ქვეყნებში, სადაც სოციალ-დემოკრატები გასული საუკუნის მეორე ნახევარში ხელისუფლების სათავეში აღმოჩნდნენ, მოახდინეს ეკონომიკის მნიშვნელოვანი დარგების – ტრანსპორტის, ტელეკომუნიკაციების და სხვა – ნაციონალიზაცია (დიდი ბრიტანეთი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, შვედეთი). ამ ქვეყნებში, სოციალური სახელმწიფოს პრინციპებიდან გამომდინარე, საგადასახადო პოლიტიკის რეგულირებით მოახდინეს შემოსავლების გადანაწილება, დასაქმების სახელმწიფო პროგრამების ამუშაებით უმუშევრობის მინიმალური დონის მიღწევა, ფასების პრობლემების დარეგულირება და პრაქტიკულად განახორციელეს „სოციალური პარტნიორობის“ ეფექტური ეროვნული მოდელები („შვედური სოციალიზმი“). ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სოციალ-დემოკრატიის ამ ინიციატივებმა მხოლოდ გარკვეულ ეტაპზე განაპირობა მათი წარმატებები, რასაც შემდგომ პერიოდში წარუმატებლობები ცვლიდა.

სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგია, ისევე როგორც სხვა მოქმედი სერიოზული პოლიტიკური იდეოლოგიები, ყოველ ახალ ისტორიულ რეალობებს განახლებული კონცეფციებით ხვდებოდა და ამაშიც იყო იმის საფუძველი, რომ ეს იდეოლოგია არ დაძველდა, მოდიდან არ გავიდა. გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან სახელმწიფოს უმთავრესი ფუნ-ქციებიდან პირველ პლანზე წამოიწია პიროვნების ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვამ, მოქალაქეთა მხრიდან სახელმწიფოზე კონტროლის და სახელმწიფოს სოციალური ფუნქციის გაძლიერებამ, დემოკრატიზაციის პროცესის გაღრმავებამ, სოციალუ-რი სამართლიანობის დაცვამ.

სოციალ-დემოკრატია იცავს და ასაბუთებს დემოკრატიული, სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს მშენებლობის იდეას. იმ ქვეყნებში, სადაც სოციალ-დემოკრატია გავლენიან და ძლიერ პოლიტიკურ მიმდინარეობად ჩამოყალიბდა, აღნიშ-ნული პრინციპები კონსტიტუციურ მოთხოვნად იქცა (გერმანია). მათი უდიდესი დამსახურების სფეროშია საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს პრინციპ-ების ჩამოყალიბება, მათი პრაქტიკული რეალიზაცია და ინსტიტუციონალიზაცია.

კულტურის სფეროში კეთილდღეობის სახელ-წიფომ უნდა უზრუნველყოს მისი მრავალფეროვნება, შექმნას პირობები მათი განვითარებისათვის, მაგრამ არ ჩაერიოს პიროვნული ხასიათის საკითხებში.

თანამედროვე პოლიტიკური და სოციალური პროცესების რეალობიდან გამომდინარე და მათი გათვალისწინებით სოციალ-დემოკრატები არც მათი იდეოლოგიის საწყისი ეტაპისათვის დამახასიათებელ ლოზუნგებს – სოლიდარობა, თავისუფლება, თანას-წორობა – ივიწყებენ, თუმცა აქცენტს უფრო კონკრე-ტული პრობლემების მოგვარებაზე აკეთებენ.

სოლიდარობის პრინციპის აღიარება, სრულიად ბუნებრივი და გასაგებია, რადგან კაპიტალიზმის პირობებში ლიბერალური პრინციპების განხორციელება ამის გარეშე შეუძლებელია. სოლიდარობაშია მშრომელთა ძლიერების წყარო. მაგრამ თავისუფლებასა და თანასწორობასთან დაკავშირებით სოციალ-დემოკრატიის ფუძემდებლებისა და შემდგომი თაობის თეორეტიკოსებისა და პოლიტიკოსების წინაშე მწვავე დილემა აღიმართა: როგორ შეიძლება ერთმანეთს შეუსამონ თავისუფალი, ეკონომიკურად ეფექტიანი საზოგადოება სოციალიზმის ერთ უძველეს და პოპულარულ პრინციპს – თანასწორობას. თანასწორობა ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში ხომ პრინციპულად ეწინააღმდეგება თავისუფალი ბაზრისა და კონკურენციის ფუძემდებლურ პრინციპებს. სოციალ-დემოკრატიის მთელი ისტორია ამ წინააღმდეგობების დაძლევის გზების ძიებაა და თუმცა ამ წინააღმდეგობის დაძლევის უნიკალური მოდელი ვერ მოინახა (ვერც მოინახებოდა!), იმას კი მიაღწიეს, რომ თავისი სოციალურად ორიენტირებული რეფორმატორული პოლიტიკით არსებითად შეარბილეს, საზოგადოებისათვის ნაკლებად მტკივნეული გახადეს.

სოციალ-დემოკრატია არც მისი წარმოშობის საწყის ეტაპზე და არც მისი გაძლიერების პერიოდში არ იყო მთლიანი, ერთიანი მიმდინარეობა და არც დღეს არის ასეთი. ზოგიერთ სოციალისტურ და სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ბევრი საერთო აქვს ნეოკონსერვატორებთან და ნეოლიბერალებთან, რაც მათ მარჯვნივ გადახრასაც განაპირობებს. დიდი ბრიტანეთის (ლეიბორისტები), გერმანიის, ავსტრიის, სკანდინავიის ქვეყნების სოციალ-დემოკრატიის მემარჯვენეობას ხელი შეუწყო ხელისუფლებში ხანგრძლივმა ყოფნამ. ისინი იძულებული იყვნენ კომპრომისზე წასულიყვნენ განსხვავებული იდეოლოგიის პოლიტიკურ ძალებთან.

სოციალ-დემოკრატიაში რევოლუციურ (ლენინურ) და რეფორმისტულ ფრთებს შორის გააფრთებული ბრძოლის პირობებში თავიდან გამოიკვეთა ისეთი ეროვნული მიმდინარეობები, რომლებსაც საკამათო ამ მიმართებით არაფერი ჰქონდათ — მათ არასოდეს არ განუცდიათ მარქსიზმის არსებითი გავლენა, ხოლო ლენინიზმი თავიდანვე მთლიანად, პრინციპულად მიუღებელი იყო. ასეთებს მიეკუთვნება ინგლისური ლეიბორიზმი და სკანდინავიური სოციალიზმი. მათთვის, ისევე როგორც შემდგომში დემოკრატიული სოციალიზმის ყველა რაზმისათვის მიუღებელი აღმოჩნდა „კომუნისტური პარტიის მანიფესტის" უაღრესად კოსმოპოლიტური და შეურაცხმყოფელი თეზისი იმის შესახებ, რომ „მუშას არა აქვს სამშობლო".

სოციალ-დემოკრატიის თანამედროვე თეორიები და მათი სახელისუფლებო პრაქტიკა მოწმობს, რომ მათ ბევრი იდეა ისესხეს სხვა პოლიტიკური იდეოლოგიებისაგან და მნიშვნელოვნად დაუახლოვდნენ ნეოლიბერალებსა და ნეოკონსერვატორებს. იმ დონემდე, რომ დღეისათვის ძალიან გაძნელებულია მკაცრი გამყოფი ხაზის გავლება სოციალ-დემოკრატიისა და სხვა იდეოლოგიის პარტიებს შორის, რადგან ბევრი პრინციპი, ღირებულება, დებულება, რაც ადრე მათ შორის გამწვავებული ბრძოლის საგანი იყო, გახდა მათი საერთო მიღწევა.

სოციალ-დემოკრატების უდიდესი წარმატების მიუხედავად, „საყოველთაო კეთილდღეობის" სახელმწიფოს ეროვნული მოდელების ზოგიერთი პრინციპული პოსტულატის განუხორციელებლობამ ან ნაწილობრივ შესრულებამ, აგრეთვე ტექნიკისა და ტექნოლოგიური პროცესების დაჩქარებული განვითარებით გამოწვეულმა სოციალურმა და პოლიტიკურმა პროცესებმა, ხელისუფლებაში მყოფი სოციალ-დემოკრატების პოლიტიკური გავლენა გარკვეულ ეტაპზე საგრძნობლად შეამცირა, თუმცა დღესაც,

ევროპაში მაინც, ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პოლიტიკური იდეოლოგიაა. ამერიკის შეერთებულ შტატებში შესაბამისი მხარდაჭერა და გავრცელება ამ იდეოლოგიამ ვერ პოვა.

წარმატებული საშინაო სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის პარალელურად სოციალ-დემოკრატიამ უმნიშვნელოვანესი პოზიტიური როლი შეასრულა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის „ცივი ომის" პირობებში არსებული დაპირისპირების შერბილებაში, საერთაშორისო პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღებაში. ამ მხრივ უაღრესად დიდია სოციალ-დემოკრატების გამოჩენილი ლიდერების, ხელისუფლების უმაღლესი პირების ვ. ბრანდტის (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), ფ. მიტერანის (საფრანგეთი), ბ. კრაისკის (ავსტრია), უ. პალმეს (შვედეთი) ღვაწლი.

4. თავისუფლების პრობლემა პოლიტიკურ იდეოლოგიებში

თავისუფლების პრობლემა, განსაკუთრებით მისი მიმართება დემოკრატიული საზოგადოების სხვა ძირითად ღირებულებებთან, სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპებთან, მხოლოდ სოციალ-დემოკრატიის იდეოლოგების თავის ტკივილის საგანი არ იყო. მას შემდეგ, რაც კაცობრიობის ყველაზე ინტელექტუალურმა ელიტამ მისი დამუშავება დაიწყო, მათი ურთიერთშეხამება მუდმივი დილემაა. XX საუკუნეში ყველაზე პოპულარული და ავტორიტეტული ავტორებიდან, ვინც აღნიშნული დილემის გადაწყვეტას შეეცადა, აუცილებელია ისაია ბერლინის დასახელება, რომელსაც უკავშირდება თავისუფლების კლასიფიკაცია „პოზიტიურ" და „ნეგატიურ" თავისუფლებებად.

როდესაც ი. ბერლინი პოლიტიკური იდეოლოგიების და დოქტრინების შესაძლო ზეგავლენის შესახებ საუბრობს საზოგადოებრივ აზრზე და მის შესაძლო შედეგებზე, ჩვენი აზრით, უაღრესად საგულისხმო ისტორიულ პარალელებს ავლებს, რომლებსაც არც მაშინ (XX საუკუნის შუა ხანებში) და არც დღეს თავისი აქტუალობა არ დაუკარგავს. ის აღნიშნავს, რომ თანამედროვე ისტორიაში არ ყოფილა მეორე ისეთი პერიოდი, როდესაც ასეთი დიდი რაოდენობის ადამიანებს როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთში რადიკალურად შეეცვალა თავისი შესედულებები და ცხოვრების წესიც კი, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში მოქცეულიყო ფანატიზმამდე მისული სოციალური და პოლიტიკური დოქტრინების გავლენის ქვეშ. ეს ტენდენცია ი. ბერლინს სახიფათოდ მიაჩნია, რადგან იდეები ასეთ პირობებში იძენენ ადამიანთა მასებზე ბატონობის ძლევამოსილ იმპულსს და დაუოკებელ ენერგიას, რაც შეიძლება იმდენად შორს წაგიდეს, რომ უბრალოდ მიუწვდომელი გახდეს რაციონალური აზროვნების მხრიდან კონტროლისათვის. ასზე მეტი ხნის წინ აფრთხილებდა გერმანელი პოეტი ჰ. ჰაინე ფრანგებს, რომ მათ ანგარიში გაეწიათ იმ ძალისათვის, რომლებიც შეიძლება მასებს დაუფლებულ იდეებს აღმოაჩნდეთ და სწორედ პროფესორების კაბინეტების სიმყუდროვეში დამუშავებულ ფილოსოფიურ კონცეფციებს შეუძლიათ დაანგრიონ ცივილიზაცია. იგი საუბრობდა კანტის „წმინდა გონების კრიტიკაზე", როგორც მახვილზე, რომლითაც თავი მოკვეთეს ევროპულ დეიზმს, ხოლო რუსოს შრომებს ადარებდა სისხლიან იარაღს, რომელმაც რობერსპიერის ხელით მიწასთან გაასწორა ძველი რეჟიმი საფრანგეთში. მანვე იწინასწარმეტყველა, რომ ფიხტესა და შელინგის რომანტიკული იდეალები ერთ მშვენიერ დღეს შეიძლებოდა კოშმარულ სიზმრად გადაქცეულიყო დასავლეთის

ლიბერალური კულტურისათვის, მათი ფანატიკოსი გერმანელი მიმდევრების წყალობით. ფაქტებმა მთლიანად დაადასტურეს ეს წინასწარმეტყველება. მაგრამ, თუკი პროფესორებს მართლა უპყრიათ ხელთ ამგვარი ძალაუფლება, განა არ შეიძლებოდა ისე მომხდარიყო, რომ სხვა პროფესორებს, ან უბრალოდ სხვა მოაზროვნეებს... შეძლებოდათ მათიეე განიარაღება? – მრავალმნიშვნელოვნად სვამს შეკითხვას ი. ბერლინი.

პოლიტიკური ცივილიზაციის ერთ-ერთ უპირველეს ნიშნად ი. ბერლინს, ისევე როგორც ლიბერალური ტრადიციის გამგრძელებელ ბევრ მოაზროვნეს, კანონებსა და საზოგადოებაში დამკვიდრებული ზნეობრივი ნორმების დაცვა მიაჩნდა.

კანონი ყოველთვის „ბორკილებია", მაშინაც კი, როდესაც ის გიცავთ უფრო მძიმე ბორკილებისაგან. ამის გამო თავისუფლება არ შეიძლება იყოს შეუზღუდავი, რადგან ამის შედეგად მივიღებდით ისეთ ვითარებას, რომლის დროსაც ყველა ადამიანს ექნებოდა სხვა ადამიანების პირად საქმეებში ჩარევის შესაძლებლობა, რაც მივიყვანდა სოციალურ ქაოსამდე, როცა სუსტი ადამიანების თავისუფლება გაცამტვერდებოდა ძლიერთა ამა ქვეყნისათა მიერ, – აღნიშნავს ი. ბერლინი. თავისუფლების ადეპტებს თავიდანვე შეგნებული ჰქონდათ, რომ ადამიანთა მიზნები და ინტერესები ყოველთვის არ ეთანხმება ერთმანეთს და თავისუფლების გარდა ისინი სხვა ღირებულებებსაც – სამართლიანობა, ბედნიერება, კულტურა, უსაფრთხოება, თანასწორობა (სხვადასხვა ხარისხის) დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ამის გამო ისინი მზად იყვნენ შეეკვეცათ თავისუფლების საზღვრები სხვა ღირებულებების და თვით თავისუფლების სასარგებლოდ. მაგრამ ამავე დროს ლოკისა და მილის, კონსტანისა და ტოკვილის მიერ მრავალგზის დასაბუთდა, რომ პიროვნული თავისუფლებების გარკვეული საზღვრების დაცვის

გარეშე ცივილიზებული საზოგადოება ვერ აშენდება. პრობლემის არსი და მისი სირთულე ის არის, სად უნდა გაევლოს ზღვარი პიროვნებისა და საზოგადოების (სახელმწიფოს) ინტერესებს შორის, რადგან „მსხვილი თევზების თავისუფლება მცირე თევზების სიკვდილს ნიშნავს“. ამასთან თვით თავისუფლების შინაარსშიც ბევრი საკამათოა, რადგან „ოქსფორდის პროფესორის თავისუფლება სრულიად განსხვავებულია ეგვიპტელი გლეხის თავისუფლებისაგან“.

ის, რაც აწვალებს დასავლეთის ლიბერალების სინდისს, აღნიშნავს ი. ბერლინი, არის არა ის, რომ თავისუფლება, რომლისკენაც ილტვიან ადამიანები, განსხვავდება მათი სოციალური ან ეკონომიკური მდგომარეობის შესაბამისად, არამედ ის, რომ უმცირესობას, რომელსაც გააჩნია თავისუფლება, მოპოვებული აქვს უმრავლესობის (რომელსაც ის არ გააჩნია) ექსპლოატაციის, ან, უკეთეს შემთხვევაში, სხვისი ინტერესების გაუთვალისწინებლობის ხარჯზე. თანასწორობა თავისუფლებაში აუცილებლად გულისხმობს იმას, რომ არავინ მოეპყრას სხვას ისე, როგორც თვითონ არ ისურვებდა, რომ სხვა მოეპყრას მას. მე შემიძლია რუსი კრიტიკოსის ბელინსკის მსგავსად განვაცხადო, აღნიშნავს ი. ბერლინი, რომ თუ სხვებს ართმევენ თავისუფლებას, თუ ჩემი ძმები არიან გაჭირვებაში, სიდუხჭირეში და ბორკილებში საცხოვრებლად განწირულნი, მაშინ არც მე მინდა თავისუფლება მხოლოდ ჩემთვის.

თავისუფლების ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ადაპტი ჯ.ს. მილი მოითხოვდა, რომ აბსოლუტური თავისუფლება არ არსებობს და მისი გარკვეული სფეროების შეზღუდვა აუცილებელია, თუნდაც ძალის გამოყენებით, რომ არ წაერთვას თავისუფლება სხვა ადამიანებს. სახელმწიფოს და კანონის მთელი ფუნქცია დაიყვანებოდა იქამდე, რომ როგორც ლასალი ზიზღით ამბობდა, ღამის დარაჯის და საგზაო პოლიციის

ინსპექტორის დანიშნულების ანალოგიური გახდა, აღ-
ნიშნავს ი. ბერლინი.

თავისუფლებისათვის ბრძოლა არის „ნეგატიური“ მიზანი აღვკვეთოთ გარედან ჩარევის მცდელობები. ადამიანის დაშინება და დევნა, მათი იძულება იცხოვრონ თავისუფალი არჩევანის გარეშე, მათ წინა-შე ყველა კარის ჩარაზვა ერთის გარდა, რაოდენ კეთილშობილურ მიზანსაც არ უნდა ემსახურებოდეს ყოველივე ეს, ვინც ამას ჩადის, სხვა არაფერია, თუ არა ცოდვა, ჩადენილი იმ ჭეშმარიტების მიმართ, რომელიც აცხადებს: რადგან მე ადამიანი ვარ, მე მაქვს უფლება ჩემი ცხოვრებით ვიცხოვრო. სწორედ ასე ესმოდა თავისუფლება თანამედროვე სამყაროს ყველა ლიბერალს, დაწყებული ერაზმ როტერ-დამელით და დამთავრებული ჩვენით, – აღნიშნავს ი. ბერლინი.

სურვილი, ვმართოთ ჩვენი თავი, ან ყოველ შემთხვევაში, მონაწილეობა მივიღო ჩემი ცხოვრების კონტროლირების პროცესში, შეიძლება იმდენადვე ღრმა აღმოჩნდეს, როგორც თავისუფალი მოქმედების სურვილი და, ალბათ, ისტორიულად უფრო ძველიც. მაგრამ ეს სულ სხვა რამის სურვილია. განსხვავება იმდენად დიდია, რომ საბოლოო ჯამში სწორედ მან მიიყვანა თანამედროვე მსოფლიოში გაბატონებული იდეოლოგიები ერთმანეთთან შეჯახებამდე, რადგან „პოზიტიური“ თავისუფლების იდეა შემდეგში მდგო-მარეობს: თავისუფლება არა რაღაცისაგან, არამედ თავისუფლება რაღაცისათვის, ანუ იმისათვის, რომ იცხოვრო ცხოვრების დადგენილი წესით, რომლებსაც მნიშვნელოვანი „ნეგატიური“ თავისუფლების ადაპტები ზოგჯერ როგორც ულმობელი ტირანიის ერთგვარ საფარველად წარმოადგენენ.

ი. ბერლინი აღნიშნავს, რომ ის არ აპირებს გადმოსცეს თავისუფლების ორასზე მეტი (იმ დროი-სათვის ო.გ.) განსაზღვრების მნიშვნელობა, რომლებიც

იდეათა ისტორიკოსებს აქვს დაფიქსირებული. მის მიზანს შეადგენს თავისუფლების მხოლოდ ორი, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი „ნეგატიური“ და „პოზიტიური“ დახასიათების ანალიზი.

ჩვეულებრივ, ჩემზე იტყვიან, რომ მე თავისუფალი ვარ იმდენად, აღნიშნავს ი. ბერლინი, რამდენადაც ჩემზე არავინ – არც გარეშე ადამიანი და არც ორგანიზაცია – არ ერევა ჩემს საქმეში. ამ მნიშვნელობით პოლიტიკური თავისუფლება არის უბრალოდ ის სივრცე, სადაც ადამიანი შეუბოჭავად გრძნობს თავს სხვა ადამიანების მხრიდან. იძულება ნიშნავს გარეშე ადამიანთა მხრიდან წინასწარი განზრახვით ჩარევას იმ სფეროში, სადაც მე შემიძლია სხვაგვარად მემოქმედნა. თქვენ არა გაქვთ პოლიტიკური თავისუფლება მხოლოდ მაშინ, როდესაც თქვენ სხვა ადამიანები ხელს გიშლიან მიზნების მიღწევაში. მაგრამ თუკი მე ვამბობ, რომ არ შემიძლია გადავხტე სამ მეტრზე მაღლა, ან არ შემიძლია კითხვა იმიტომ, რომ ბრმა ვარ, ან არ ძალმიძს გავიგო ჰეგელის ურთულესი პასაჟები, ჩემი მხრიდან ექსცენტრიულობა იქნებოდა იმის თქმა, რომ მე ამ მასშტაბით შებოჭილი ვარ – მიაჩნია ი. ბერლინს. თუ ადამიანი იმდენად ღარიბია, რომ არა აქვს საშუალება შეიძინოს საგზური მსოფლიოს ირგვლივ სამოგზაუროდ, მაშინ ის იმდენადვეა არათავისუფალი, რამდენადაც იმ შემთხვევაში, ამას რომ კანონი კრძალავდეს. ის, რომ ყოველი განუხორციელებელი მიზანი არ შეიძლება ჩაითვალოს თავისუფლების ხელყოფად, ი. ბერლინი იყენებს ჰელვეციუსის ფრთიან თეზისს – თავისუფალია ის ადამიანი, ვინც არ არის დაბმული რკინებით, ვინც არ ზის ციხეში, ვინც არ არის ტერორიზებული სასჯელის შიშით, მსგავსად მონისა. ის, რომ თქვენ არ დაფრინავთ ცაში არწივივით, ან არ ცურავთ ზღვაში ვეშაპივით, არ ნიშნავს, რომ თავისუფალი არ ხართ, – აღნიშნავს ი. ბერლინი თავისუფლების „ნეგატიური“

მნიშვნელობის დახასიათებისას. ამასთან მიუთითებს, რომ თავისუფლების „ნეგატიური“ შინაარსი ჯერ კიდევ კანტმა გადმოსცა: ადამიანთა მოდგმის წინაშე მდგარი უდიდესი პრობლემა, რომლის გადაწყვეტას მას თვით ბუნება ავალდებულებს, არის სამოქალაქო საზოგადოების დაფუძნება, რომლის მართვა განხორციელდება კანონის საფუძველზე. მხოლოდ და მხოლოდ მაღალი დონის თავისუფლების მქონე საზოგადოებაში, სადაც მკაცრად არის განსაზღვრული და გარანტირებული თითოეული ინდივიდის თავისუფლების ზღვარი, ისე, რომ შესაძლებელი იყოს მისი თანასწორობა სხვა, ასევე თავისუფლების უფლების მქონე ადამიანებთან შეუძლია კაცობრიობას მიაღწიოს ბუნების უზენაეს მიზნებს, რომლებიც მისი შესაძლებლობების სრულად გამოყენებას გულისხმობს.

„პოზიტიური“ თავისუფლების ცნებაში ი. ბერლინი ბიროვნული ავტონომიის უაღრესად ფართო არეალს დებს: მე მსურს, რომ ჩემი ცხოვრება და ჩემი გადაწყვეტილებები ჩემზე იყოს დამოკიდებული და არა ნებისმიერ სხვა ძალაზე; მე მსურს, რომ ჩემივე იარაღი ვიყო და არა სხვა ადამიანების, ვიყო სუბიექტი და არა ობიექტი, ვმოქმედებდე ჩემი გონების შესაბამისად, შეგნებულად, მიზანდასახულად; მე მსურს წარმოვადგენდე „რაღაცას“ და არ მსურს ვიყო „არავინ“, თავად გადავწყვიტო რა ვაკეთო და არა ვინმემ გადაწყვიტოს ჩემს მაგიერ; მე მსურს თვითონ ვიმოქმედო და არ მსურს ვიღაცამ ან რაღაცამ იმოქმედოს ჩემზე, როგორც საგანზე, ცხოველზე ან მონაზე. ეს არის სულ მცირე ნაწილი იმისა, აღნიშნავს, ი. ბერლინი, რასაც ვგულისხმობ, როდესაც ვამბობ, რომ მე რაციონალური არსება ვარ, მაქვს გონება, რომელიც განმასხვავებს დანარჩენი სამყაროსაგან. მე ვალდებული ვარ ანგარიშს ვუწევდე ჩემს თავს, როგორც მოაზროვნე, საკუთარი ნების მქონე აქტიურ არსებას, რომელსაც აქვს პასუხისმგებლობა

საკუთარი არჩევანის გამო და აქვს უნარი განმარტოს საკუთარი არჩევანი საკუთარი იდეებისა და მიზნების მოშველიებით.

როგორ ესმოდათ ლიბერალური იდეოლოგიის მამამთავრებს თავისუფლების შინაარსი, მისი საზღვრები და მასშტაბები. ამის გასარკვევად და უფრო საკუთარი კონცეფციების გასამყარებლად ი. ბერლინს მათი ნააზრევი მოაქვს, რაც ჩვენი მკითხველისათვისაც არ უნდა იყოს ინტერესმოკლებული. თავისუფლებაში ისინი გულისხმობდნენ სხვა პირთა ჩაურევლობას პიროვნების საქმეებში და რაც უფრო მეტია ჩაურევლობის არეალი, მით მეტია თავისუფლების ხარისხიც. თავისუფალია ის ადამიანი, ამბობდა ბ. ჰობსი, რომელსაც არაეინ უშლის ხელს განახორციელოს ის, რაც მას სურს.

ჯ. ლოკს მიაჩნდა, რომ იქ, სადაც არ არის კანონი, არ არის თავისუფლება, ხოლო ბ. სპინოზა თვლიდა, რომ ჭეშმარიტად თავისუფალი სახელმწიფოს ქვეშევრდომი არ არის მონა, რადგან საერთო ინტერესებში მისი საკუთარი ინტერესებიც იგულისხმება და რაციონალური კანონები სწორედ იმისათვის არსებობენ, რომ იხრუნონ ადამიანთა „სათანადო ინტერესებისათვის“ და „საერთო სიკეთისათვის“.

შ.ლ. მონტესკიე, მიუხედავად თავისი ლიბერალური მსოფლმხედველობისა, გვაფრთხილებს, რომ პოლიტიკური თავისუფლება იმის ნებართვა კი არ არის, რაც ჩვენ გვინდა, ან თუნდაც რის უფლებასაც კანონი გვაძლევს, არამედ „ძალაუფლება, ვაკეთოთ ის, რაც უნდა გვინდოდეს“. ჟ.ჟ. რუსო გვეუბნება, რომ თუ თითოეული ჩვენგანი დათმობს თავისი ცხოვრების ნაწილს საზოგადოების სასარგებლოდ, შეიქმნება ისეთი ორგანიზმი, რომელიც არავისთვის იქნება საზიანო, რადგან მისი თითოეული წევრი თანაბრად გაიღებს შესაწირს საერთო სარგებლობისათვის.

ი. ბერლინის დამოწმებით, ერთადერთი გამონაკლისი ამ მოაზროვნეებიდან იყო ბენტამი, რომელიც ჯიუტად იმეორებდა, რომ კანონი იმისათვის კი არ არსებობს, რომ ჩვენ თავისუფლება გვიბოძოს, არამედ იმისათვის, რომ შეგვზღუდოს: ყოველი კანონი არის თავისუფლების დარღვევა.

ი. ბერლინის თავისუფლების კატეგორიის „დიხოტომური“ კლასიფიკაცია ბევრმა ავტორმა გაიზიარა, ბევრმა საკამათოდ ჩათვალა, ზოგმა კი უარყო. მის ოპონენტთაგან მეორე, არანაკლებ ცნობილი და პოპულარული მეცნიერი ჯერარდ ჯ. მაკკალამი (უმცროსი) მიიჩნევს, რომ თავისუფლების ამგვარი დაყოფის პრეროგატივა ი. ბერლინს არ ეკუთვნის, ამის ცდები მანამდეც იყო, მან მხოლოდ ამ კლასიფიკაციის სისტემატიზაცია მოახდინა და შესაბამისი არგუმენტირება სცადა, რომლის უმნიშვნელოვანეს ნაწილს ჯ.კ. მაკკალამი არ ეთანხმება. ის ანალიტიკური ფილოსოფიის ტიპური წარმომადგენელია და ამ პოზიციებიდან არკვევს თავისუფლების პრობლემას. თავის პოპულარულ გამოკვლევაში „ნეგატიური და პოზიტიური თავისუფლება“ (1991 წ.) ეთანხმება იმ ავტორებს, რომლებსაც თავისუფლება უპირველეს ღირებულებად მიაჩნია, მაგრამ ამავე დროს ასაბუთებს (ჩვენი აზრით, სრულიად საფუძვლიანად), რომ ის ყოვლისმომცველი არ შეიძლება იყოს. ბევრი მათგანი, აღნიშნავს ჯ.კ. მაკკალამი, ვისაც მიაჩნია, რომ თავისუფლება დიდი სიკეთეა, უნდა დამეთანხმონ იმაში, რომ არ არის ერთადერთი სიკეთე, რომლითაც საზოგადოებამ უნდა უზრუნველყოს თავისი მოქალაქეები. სხვა უმნიშვნელოვანეს სიკეთეებს შორის ის ჩამოთვლის ეკონომიკურ და სამხედრო უსაფრთხოებას, ტექნოლოგიურ ეფექტიანობას, განსხვავებულ ესთეტიკურ და სულიერ ღირებულებებს. შედეგად ძალიან რთულია იმ ლოგიკური და მიზეზ-შედეგობრივი კავშირურთიერთობების დადგენა, რომე-

ლიც არსებობს თავისუფლებისა და სხვა სიკეთეების მიღწევის ფორმებსა და გზებში. გონიერმა ადამიანებმა ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება უპირატესობა მისცეს სხვა სიკეთეებს თავისუფლების საზიანოდ. ეს მართლაც ძალიან სერიოზული, წინააღმდეგობრივი პრობლემაა, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში, ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, განსხვავებულად წყდებოდა. შემთხვევითი არ იყო, რომ ჯერ კიდევ 1856 წელს, ჯ.ს. მილი, როცა დემოკრატიული საზოგადოების უმთავრესი ღირებულებების დაცვაზე მსჯელობდა, მიუთითებდა, რომ სოციალური რეფორმატორების ყველა პროექტი რეალობაში სასიკვდილოა თავისუფლებისათვის.

იმ დებულებას, რომ აბსოლუტური ინდივიდუალური თავისუფლება მიუღწევადია და რომ ის არ შეიძლება იყოს ერთადერთი, ყოვლისმომცველი, უნივერსალური ღირებულება, დასავლეთის ბევრი ავტორიტეტული მეცნიერი აღიარებს. ადამიანებს კონკრეტულ ცხოვრებაში ამასთან დაკავშირებით ბევრი ეჭვი უჩნდებათ და არა მხოლოდ ჩვენნაირ ტრანსფორმირებად საზოგადოებაში. ამ ეჭვებმა კი მიგვიყვანა ისეთი დონის გაუცხოებამდე თვით ყველაზე დემოკრატიულ და სოციალურად სტაბილურ ქვეყნებში, რასაც ერიხ ფრომი „თავისუფლებიდან გაქცევას“ უწოდებს.

უახლესი პერიოდის ლიბერალური მიმართულების ავტორიტეტებიდან ამ პრობლემის თავისებური გააზრება სცადა ამერიკელმა ფილოსოფოსმა, ოქსფორდისა და ნიუ-იორკის უნივერსიტეტების პროფესორმა რიჩარდ დვორკინმა. გასული საუკუნის 70-იან წლებში, როცა ლიბერალური თეორია ახალი მიმართულებების ათვისებას ცდილობდა, მან გამოაქვეყნა ნაშრომი „რისი უფლება გვაქვს ჩვენ“, რომელიც მოკლე ხანში სხვადასხვა ენაზე ითარგმნა და პოპულარული გახდა.

რ. დვორკინი, ისევე როგორც ლიბერალური ტრადიციის მიმდევარი ყველა თანამედროვე მეცნიერი, მიიჩნევს, რომ სამართლიანი საზოგადოება თავის ყველა წევრს თანასწორ და ავტონომიურ სუბიექტად უნდა განიხილავდეს. სამართლიანი განაწილების თეორია, თუკი თანასწორობის ზოგად იდეაზეა დაფუძნებული, ერთმანეთისაგან უნდა განასხვავებდეს ინდივიდის ზნეობრივი ბატონობის „მე“ სფეროს და იმ სფეროს, რომელშიც ამის გარეთ შემთხვევითი მოვლენების კომპლექსს მოიცავს. რადგან რ. დვორკინი პიროვნებებს განიხილავს თანასწორ ავტონომიურ ინდივიდებად, რომლებსაც აქვთ სიკეთის განაწილების შესახებ საკუთარი შეხედულებები და უფლებები, მათზე ვრცელდება ასევე ზნეობრივი მოვალობა – პასუხი აგონ საკუთარ კონკრეტულ ქმედებაზე და საერთოდ ცხოვრების წესზე. მაგრამ სხვა ნეოლიბერალების მსგავსად, რ. დვორკინიც თვლის, რომ ადამიანებს არ შეიძლება მოვთხოვოთ პასუხი შემთხვევითი და მისგან დამოუკიდებელი მოვლენების, ე.ი. იმ მოვლენების გამო, რაც მათი არჩევანისა და საქციელის შედეგი არ არის. ჩვენი პასუხისმგებლობის საფუძველი სხვა ადამიანების წინაშე ის არის, მიაჩნია რ. დვორკინს, რომ ჩვენი მისწრაფებებისა და ინტერესების დაკმაყოფილება სხვებისათვის შანსის შემცირების ან დაკარგვის ტოლფასია, რადგან შეზღუდული რესურსების პირობებში ერთი ადამიანის წილის ზრდა, ჩვეულებრივ მეორეს წილის შემცირებას იწვევს. ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საფუძველი სწორედ ის არის, რომ ანგარიში გავუწიოთ ამ ფაქტს და სხვებზე მეტი პრეტენზია არ გვქონდეს საზოგადოებრივი სიკეთის მიმართ. ადამიანების უფლებაა გადაწყვიტონ საკუთარი ცხოვრების წესი, მაგრამ ამასთან ერთად აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ, რა უჯდებათ სხვებს მისი ცხოვრებისეული არჩევანი და რა შედეგი მოაქვს მას საზოგადოებრივი

რესურსების სამართლიანი განაწილებისათვის. რ. ნოზიკისაგან განსხვავებით, რომლისთვისაც მთავარია განსაზღვროს ინდივიდის უფლებები და მასშტაბები სხვა ინდივიდების ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესების გაუთვალისწინებლად, რ. დვორკინი საზოგადოებას განიხილავს როგორც კოლექტიურ ფენომენს და ინდივიდებს არა აქვთ უფლება საზოგადოებას იმაზე მეტი მოთხოვონ, რაც მათ სამართლიანად ეკუთვნით.

რ. დვორკინი აღნიშნავს, რომ თავისუფლების იდეა მარადიულია და პოპულარულია ყველა პოლიტიკურ ძალასა და მიმდინარეობაში. თავისუფლების რიტორიკით იკვებება ყველა რადიკალური მოძრაობა, ისიც, ვინც ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას ეწევა მთელ მსოფლიოში და ისინიც, ვინც იბრძვის ქალების უფლებებისა - და სექსუალური რევოლუციისათვის.

სოციალური რეფორმების ისეთი მოკრძალებული ფორმებიც კი, როგორიც ანტიმონოპოლიური კანონმდებლობაა, პროფკავშირული მოძრაობა და „ახალი კურსის" საწყისი ეტაპი, თავის დროზე წინააღმდეგობას ხვდებოდა, როგორც თავისუფლების ხელყოფა. ამავე მიზეზით გააფორებული წინააღმდეგობებია დღევანდელ აშშ-ში სამართლიანი რასობრივი ურთიერთობების დამკვიდრებაში (მაგალითად, „თეთრი" და „შავი" ბავშვების სწავლება ერთ სკოლაში) ან დიდ ბრიტანეთში კერძო საგანმანათლებლო სექტორის შეზღუდვის გზით სოციალური სამართლიანობის დამყარებაში.

ამ და სხვა ხასიათის სოციალური პრობლემები ფოკუსირდება რასობრივ პრობლემატიკაში, რომელიც განიხილება როგორც კონფლიქტი თავისუფლებასა და თანასწორობას შორის. ასეთ შემთხვევაში უქონელი (ღარიბი) ნაწილი მოსახლეობის, ფერადკანიანები, განათლებისა და პროფესიის არმქონე პირები

ასაბუთებენ და ამტკიცებენ თავის აბსტრაქტულ უფლებას სამართლიანობაზე. ამავე დროს მოსახლეობის შეძლებული ფენა, თეორები და მაღალგანათლებულები ამტკიცებენ, რომ მათ აქვთ თავისუფლების უფლება და ნებისმიერმა რეფორმამ მოსახლეობის პირველი ჯგუფის ინტერესების სასარგებლოდ უნდა გაითვალისწინოს ამ მეორე ჯგუფის ინტერესებიც. ამრიგად, დაასკვნის რ. დვორკინი. კომპრომისის აუცილებლობა თავისუფლებასა და თანასწორობას შორის უნდა გაითვალისწინოს ყველამ, თუ ის ექსტრემისტულ პოზიციებზე არ დგას, განსაკუთრებით ხელისუფლებამ, ნებისმიერი მეტნაკლებად მნიშვნელოვანი სოციალურ-სამართლებრივი აქტის შექმნისა და ცხოერებაში გატარების პირობებში, დაწყებული საგადასახადო კანონმდებლობით და დამთავრებული დესეგრეგაციის პროგრამებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, რ. დვორკინს მიაჩნია, რომ თავისუფლება მისი ტრადიციული გაგებით უნდა გვესმოდეს, როგორც შეზღუდვების უარყოფა, რომელსაც ხელისუფლება ქმნის ადამიანების მისწრაფებაზე იმოქმედოს თავისი სურვილების გათვალისწინებით. ამასთან ერთად ის მიუთითებს, რომ ნამდვილი ლიბერალი ყოველთვის უნდა წუხდეს თვისუფლების ყოველგვარ შეზღუდვაზე, რომელსაც სახელმწიფო ანორციელებს იმ მინიმალური ზომით, რომელიც ნამდვილად აუცილებელია მისი მოქალაქეების სხვა უფლებების უზრუნველყოფისათვის.

იქნებ ვცდებით, მაგრამ თანამედროვე მეცნიერების განსხვავებულმა იდეებმა, დოქტრინებმა, სქემებმა ამ დილემის საბოლოო გადაწყვეტა ვერ შეძლეს, თუმცა საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში განხორციელებულმა სოციალურად ორიენტირებულმა პოლიტიკამ თავისუფლებისა და თანასწორობის დაპირისპირების ხასიათი და მასშტაბები არსებითად შეარბილა. კლასიკური პოლიტიკური იდეოლოგიების წარ-

მომადგენლები ამ პრობლემას უფრო მარტივად და გასაგებად წყვეტდნენ. მაგალითად, ლორდ ექტონს მიაჩნდა, რომ თავისუფლების კანონი გულისხმობს იმას, რომ გავაუქმოთ ერთი რასის ბატონობა მეორეზე, ერთი რწმენისა მეორეზე, ერთი წოდებისა მეორეზე.

თეორიულად ბოლომდე გადაუწყვეტელ და პრაქტიკულად გადაუჭრელ პრობლემად რჩება დემოკრატიული საზოგადოების ორი უმთავრესი ღირებულების სამართლიანობისა და თანასწორობის პრობლემაც. დღემდე ვერ შემუშავდა ყოვლისმომცველი პრინციპი, რომელიც გაზიარებული იქნებოდა თუ ყველასი არა, უმრავლესობის მიერ მაინც; ამის გამო ეს პრობლემა დღესაც ისევე აქტუალურია, როგორც მთელი ისტორიული ეპოქის, XVII–XX საუკუნეების განმავლობაში იყო. შემთხვევითი არ არის, რომ თანამედროვე პოლიტიკის თეორიისა და პოლიტიკური ფილოსოფიის გამოჩენილი სწავლულები დღესაც ცდილობენ ამ რთული თეორიული პრობლემის გადაწყვეტას, ყოველ შემთხვევაში, ნოვაციური თვალსაზრისის შემუშავებას, რომელიც ლიბერალურ–დემოკრატიული საზოგადოებისათვის ამ ორი უმთავრესი ღირებულების „ბედნიერ მორიგებას“ (ილია) თუ ვერ შეძლებდა, წინააღმდეგობას მაინც შეარბილებდა. ერთი ასეთი ყველაზე გახმაურებული და პოპულარული ცდა მოახდინა ამერიკელმა ფილოსოფოსმა ჯონ როულსმა თავის წიგნში „სამართლიანობის თეორია“, რომელიც 1971 წელს გამოიცა (არსებობს მისი 1995 წელს გამოცემული რუსული თარგმანი).

1997 წელს კემბრიჯის უნივერსიტეტის მიერ გამოცემული კოლექტიური მონოგრაფიის „პოლიტიკური თეორია, ტრადიცია და მრავალფეროვნება“ რედაქტორის, უელსის უნივერსიტეტის პროფესორის ენდრიუ ვინსენტის დამოწმებით, 1970–იანი წლებიდან სამართლიანობა და თანასწორობა გახდა ყველაზე

გამორჩეული ჰიპერ-კონცეფცია, ხოლო ჯონ როულსი, ყველაზე გამორჩეული ჰიპერ-თეორეტიკოსი.

როულსის მონოგრაფიის უმთავრესი პრობლემა, განსხვავებით უფროსი და მისი თაობის მეცნიერებისაგან, ლიბერალური დემოკრატიისა და მისი კონფრონტაციული ალტერნატივის, ტოტალიტარიზმთან იდეოლოგიური ომი არ ყოფილა. მისი უმთავრესი ამოცანა იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში მიმდინარე ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების ფონზე თვით ლიბერალური ტრადიციის წიაღში მიმდინარე ურთიერთდაპირისპირებული ტენდენციების გაანალიზება.

სამართლიანობის თეორიას როულსი წარმოგვიდგენს როგორც რაციონალური არჩევანის თეორიის შემადგენელ ნაწილს. საზოგადოებაში ინდივიდებს, ბუნებრივია, საკუთარი და განსხვავებული ინტერესები გააჩნიათ და ასეთ პირობებში მნიშვნელოვანია მოიძებნოს თანამშრომლობის ისეთი მოდელი, რომელიც თითოეულისათვის მაქსიმალურად მომგებიანი იქნება. მაგრამ რადგან საზოგადოება კორპორაციული წარმონაქმნია, ადამიანები თავიანთი საქმიანობის კოორდინაციით უფრო მეტს ქმნიან, ვიდრე ისინი ამის გარეშე ინდივიდუალურად შეძლებენ. აქ უკვე დგება წარმოებული სიკეთის (მხოლოდ მატერიალურ-ვიტალური არ ოულისხმება) დისტრიბუციის პრობლემა. მაგრამ რა მოდელზეც არ უნდა იყოს პრიორიტეტი დაფუძნებული, როულს სავალდებულოდ მიაჩნია, რომ ყველა სხვა ღირებულება სამართლიანობის პრინციპთან იყოს შეთანხმებული. სხვა სიტყვებით, სამართლიანობის ფარგლებში უნდა მოექცეს ნებისმიერი მიზანი, რომლისკენაც სწრაფვა ნებადართულია.

რადგან სამართლიანობის თეორია რაციონალური არჩევანის თეორიის ნაწილია, ის აუცილებლად გულისხმობს შეთანხმებას და მორიგებას მაქსიმალური

სარგებლის მიღების მიზნით. მისი შედეგები დამოკიდებულია მხარეების მორიგების უნარზე, თანამშრომლობის წესებზე, სუბიექტურ თვისებებზე და ობიექტურ რესურსებზე (მატერიალურ და ფინანსურ შესაძლებლობებზე).

ი. კიშის ინტერპრეტაციით როულსისეული სამართლიანობის თეორია ორაზროვან მსჯელობაზეა დაფუძნებული: ერთი მხრივ, სამართლიანობის პრინციპებს ისეთი ინდივიდები ირჩევენ, რომლებიც ინდიფერენტული არიან ერთმანეთის ინტერესების მიმართ, ე.ი. „არ აინტერესებთ სხვისი ინტერესები", მაგრამ, მეორე მხრივ, ასეთი არჩევანი მკაცრ მორალს უნდა ეფუძნებოდეს, რაც სამართლიანობას უზრუნველყოფს.

„სამართლიანობის თეორია" თითოეულ ადამიანს განიხილავს როგორც თავისუფალ და თანასწორ რაციონალურად მოაზროვნე არსებას. ისინი თავისუფალი და თანასწორნი არიან იმდენად, რამდენადაც აქვთ უნარი ჩამოაყალიბონ და მიზნად დაისახონ საკუთარი სიკეთის იდეა სამართლიანობის ფარგლებში. როულს მიაჩნია, რომ ასეთ ადამიანებს აქვთ რეფლექსური უნარი ამაღლდნენ მყისიერ იმპულსებზე და გააანალიზონ, ღირს თუ არა მიზნის ობიექტი იმად, რომ ის სურდეთ და საკუთარი მიზანი ხომ არ ლახავს სხვის ინტერესებს; ყოველივე ამის შემდეგ თავიანთი ქცევა კრიტიკული ანალიზის შედეგებს დაუქვემდებარონ.

სამართლიანობის თეორიის მიხედვით, რადგან საზოგადოებრივი ხელშეკრულების აქტიორები მოაზროვნე ინდივიდები არიან, მათ შეიძლება პასუხი მოვთხოვოთ მოქმედების შედეგებისადმი. მორალის პოზიციებიდან დანაშაულად არ უნდა ჩაითვალოს თუ რომელიმე ინდივიდი რაიმე უპირატესობას მიაღწევს სხვა ინდივიდებთან შედარებით, რადგან ეს მისი არჩევანის და ძალისხმევის შედეგია. მაგრამ, იგივე მორალის პოზიციებიდან, როულს გაუმართლებლად

მიაჩნია ის მდგომარეობა, როცა უპირატესობა ან დისკრიმინაცია პირადი არჩევანისა და ძალისხმევისაგან დამოუკიდებლად, სხვა ფაქტორების, მაგალითად, კლასობრივი მდგომარეობის ან სოციალური სტატუსის შედეგია. არავის არ უნდა ჩაეთვალოს დაუმსახურებლად და პრივილეგიების საფუძვლად ის ეკონომიკური ან კულტურული კაპიტალი, რომელიც მას მემკვიდრეობით ერგო. „დაუმსახურებელი უთანასწორობა" არ შეიძლება გავლენას ახდენდეს სამართლიანობის პრინციპის განსაზღვრის პროცესზე და რესურსების განაწილებისას არავინ უნდა ისარგებლოს ან იზარალოს მისი მოქმედების შედეგების გაუთვალისწინებლად. ამასთან, ბუნებრივია, რომ სოციალური მდგომარეობის ან თანდაყოლილი ნიჭის გათვალისწინებით მორიგების (ხელშეკრულების) მხარეებმა საკუთარი ინტერესების ცოდნის გამო დაარღვიონ სამართლიანობის პრინციპი. ამ სიტუაციიდან ერთადერთ გამოსავლად როულს მიაჩნია ჰიპოთეტური საწყისი სიტუაციის სამართლიანობის მოთხოვნებთან მისადაგება, რაც არსებითად საინფორმაციო შეზღუდვებს გულისხმობს. შეთანხმების მონაწილეთა ცოდნაზე დაწესებული შეზღუდვები მათ „უმეცრების საბურველში" გაახვევს. საწყის პოზიციაში მყოფ მხარეებს რაც არ ეცოდინებათ, ის, ბუნებრივია, ვერ მოახდენს გავლენას მათ გადაწყვეტილებაზე.

„უმეცრების საბურველი" მხარეებს აბსოლუტურად ერთმანეთის მსგავს სუბიექტებად აქცევს იმ თვალსაზრისით, რომ ყველა მათგანს აბსოლუტურად მსგავსი ინტერესები გააჩნია (რადგან მათ ერთი და ოგივე ცოდნა აქვთ საკუთარი და სხვისი ინტერესების შესახებ). აქედან გამომდინარე, თუკი ჩვენ შევძლებთ დავასაბუთოთ, რომ „უმეცრების საბურველში" გახვეული ერთი კონკრეტული ინდივიდი ნამდვილად ირჩევს მისთვის მაქსიმალური სარგებლის მომტან პრინციპებს, ასეთივე არჩევანს გააკეთებენ სხვა

ინდივიდებიც. ამ მოდელისათვის საკმარისია, რომ მხოლოდ ერთმა ინდივიდმა მიიღოს გადაწყვეტილება ყველა სხვა ადამიანის მაგივრად. საწყის პოზიციაში გაკეთებული არჩევანის შეფასება ჩვენ მხოლოდ ერთი, შემთხვევით შერჩეული ინდივიდის პოზიციიდან შეგვიძლია, – მიაჩნდა ჯ. როულს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სამართლიანობის თეორიის ძირითადი კონსტრუქცია მხარეთა შორის კომპრომისი კი არა, კონსენსუსის პრინციპია.

„უმეცრების საბურველი", რა თქმა უნდა, ხელოვნურად შექმნილ პირობებზეა დაფუძნებული, მიაჩნია როულს. რეალურ ცხოვრებაში ინდივიდები არასდროს მსჯელობენ საკუთარი ინტერესების შესახებ ინფორმაციის სრული უქონლობის პირობებში. ამის გამო სამართლიანობის თეორია ვერ იქნება სრული, თუკი ის არ გაითვალისწინებს იმ გავლენას, რომელსაც ჰიპოთეტური შეთანხმება და მისი შედეგები ახდენს ადამიანებზე რეალურ ცხოვრებაში. მას შემდეგ, რაც თავდაპირველი შეთანხმება მიღწეულ იქნება და „უმეცრების საბურველი" ჩამოცილებული, ადამიანები აღარ იქნებიან ერთმანეთის ინტერესების მიმართ ინდიფერენტული. რეალურ ცხოვრებაში სამართლიანობა ავტომატურად არ მიიღწევა, მაგრამ როულს სჯერა, რომ თავისუფლებისა და თანასწორობის ინტუიციურ იდეებს ადამიანების დიდი უმრავლესობა იზიარებს და სათანადო მორალური პრინციპების საფუძველზე უნდა იმართებოდეს სოციალური თანამშრომლობა. ამ მოდელით ჩამოყალიბებული საზოგადოება დაეფუძნება სამართლიანობის ორ პრინციპს: 1. ყოველ ერთეულ პიროვნებას უნდა ჰქონდეს თანაბარი უფლება ძირითადი თავისუფლებების უაღრესად ფართო სპექტრთან მიმართებაში, რომელიც თავსებადია ყველა სხვა პიროვნების ანალოგიურ უფლებებთან. 2. სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობა უნდა მოწესრიგდეს

იმგვარად, რომ: ა) გონივრულად მოსალოდნელი იყოს უპირატესობა ყველასთვის; ბ) თანამდებობაზე და სხვა საზოგადოებრივ პრივილეგიებზე გზა ხსნილი უნდა იყოს ყველასათვის. უფრო გასაგები რომ გახდეს ჯ. როულსის პრინციპები, დაეხმაროთ სორბონის უნივერსიტეტის პროფესორი ალენ ბუაიე, რომელმაც მისი შინაარსი გადმოსცა გაცილებით ლაკონიურად – თანასწორი თავისუფლება, შანსების თანასწორობა და ყველაზე უმწეოთა მიმართ სოლიდარობა.

„სამართლიანობის თეორიის“ მთელი შინაარსი ისეთი საზოგადოებრივ–პოლიტიკური სისტემის ანალიზია, რომელიც ამ პრინციპების ქმედითუნარიანობას უზრუნველყოფს.

იდეა, რომ თანამდებობრივი და საზოგადოებრივი მდგომარეობა ყველასათვის ღია უნდა იყოს, ლიბერალური თეორიის უმნიშვნელოვანესი თეზაა და სიასლით არ გამოირჩევა. თანაბარი შესაძლებლობების მოთხოვნა თავის დროზე არისტოკრატიული პრივილეგიების წინააღმდეგ იყო მიმართული და მოითხოვდა, რომ დაბალ სოციალურ ფენებში დაბადებული ნიჭიერი ადამიანები გათავისუფლებულიყვნენ სოციალური სტატუსის მარწუხებიდან და თანაბარი კონკურენცია გაეწიათ არისტოკრატი თანატოლებისათვის. როულსმა ამ იდეას უფრო კატეგორიული მოთხოვნის ფორმა მისცა სამართლიანობის პოზიციებიდან და მოითხოვა „თანაბრად მოტივირებული და თანაბრად დაჯილდოებული“ ადამიანების უფლებების ფაქტიური უზრუნველყოფა, განურჩევლად მათი საწყისი სოციალური მდგომარეობისა. როულსს სჯერა, რომ კულტურული კაპიტალის მემკვიდრეობით გამოწვეული უთანასწორობის გამოსწორება კარგად ორგანიზებულ და სოციალურად ორიენტირებულ საგანმანათლებლო სისტემას ხელეწიფება.

როულსის სამართლიანობის ერთი მთავარი იდეა, რომ საზოგადოებრივი თანამშრომლობის შედეგები მისი მატერიალური გამოხატულებით თანაბრად უნდა განაწილდეს, მის საყოველთაოდ ცნობილ „განსხვავების პრინციპს“ ემყარება. „განსხვავება“ კი იმას გულისხმობს, რომ თანაბარი განაწილების პრინციპიდან გადახვევა შესაძლებელია იმ პირობით, თუ უთანასწორო განაწილების შემთხვევაში ღარიბების მდგომარეობა უკეთესი იქნება, ვიდრე მკაცრი თანასწორობის პირობებში. უთანასწორო განაწილება ამ შემთხვევაში უფრო სამართლიანია, ვიდრე თანასწორი განაწილება, მიაჩნია როულსს. სახელმწიფომ უნდა იზრუნოს იმისათვის, რომ შემოსავლების ნაწილი საზოგადოების დაუცველ ნაწილს გადაუნაწილოს და ეს იძულებითი გადანაწილება არა მხოლოდ დაშვებულია მის სამართლიანობის თეორიაში, არამედ კატეგორიულ მოთხოვნას წარმოადგენს.

ჩვენ მიერ უკვე მოხსენიებული უნგრელი ფილოსოფიის ი. კიშის დამოწმებით, „სამართლიანობის თეორიის“ გამოქვეყნების შემდეგ განვლილი მთელი მეოთხედი საუკუნის განმავლობაში, პოლიტიკურ ფილოსოფიაში როულსისეული კითხვები და შეხედულებები ბატონობს. მოგვიანებით გამოქვეყნებული ფილოსოფიური შრომების დიდი ნაწილი სხვას არაფერს წარმოადგენს, თუ არა როულსის მიერ შემოთავაზებული იდეების, მეთოდებისა თუ არგუმენტების დამუშავებასა და განვითარებას. არც ერთ მნიშვნელოვან ავტორს არ შეუძლია ჩამოაყალიბოს თავისი თეორიული პოსტულატები ისე, რომ არ განსაზღვროს თავისი დამოკიდებულება „სამართლიანობის თეორიის“ მიმართ. უფრო მეტიც, ი. კიში თვლის, რომ მეცნიერების ეს დარგი (პოლიტიკური ფილოსოფია) ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ღრმა ძილში იყო (ამასვე ამტკიცებდნენ პ. ლასლეტი, პ. ბერი) და მხოლოდ როულსის ამ ფუნდამენტურმა

მონოგრაფიამ მოახდინა ფილოსოფიის ამ თითქმის მივიწყებული დარგის ახალი აღმავლობა.

მიუხედავად იმისა, რომ როულსს აშშ-ში და ევროპაშიც ბევრი მიმდევარი და თანამოაზრე გამოუჩნდა, მისი პოლიტიკურ-ფილოსოფიური განზოგადებების უკრიტიკოდ მიღება შეუძლებელია. სამართლიანობის და თანასწორობის ურთიერთმორიგეობის როულსისეული კონცეფციის მიმართ პრეტენზიები შეიძლება მართლაც ცოტა იყოს, ან სულაც დაეთანხმო თუნდაც იმიტომ, რომ ამ პრინციპებში ჩასმული იდეები მანამდეც ბევრი ცნობილი მოაზროვნის მსჯელობისა და ანალიზის საგანი გამხდარა. მაგრამ ძირითადი, რაშიც ავტორს შეიძლება შეედავო, არის ყოველგვარი ინტერესების უგულებელმყოფელი, „უმეცრების საბურველის" რომანტიკულ-ირაციონალური მოდელი. ზოგმა ოპონენტმა კი მის სამართლიანობის პრინციპებში სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის, ველფერიზმის ამ დროისათვის უკვე უტოპიურად მიჩნეული მოდელების რეანიმაციის ცდა დაინახა. სწორედ ამის გამო, ჯ. როულსის შემდგომი ნაშრომები „პოლიტიკური ლიბერალიზმი" და „სამართლიანობა, როგორც წესიერება", მისი კონცეფციის ძირითადი დებულებების განმარტებას და ოპონენტებისათვის პასუხის გაცემას ისახავდა მიზნად.

ჯ. როულსის იმ ოპონენტთაგან, რომლებისთვისაც ბევრი რამ „სამართლიანობის თეორიაში" მისაღებია, მაგრამ განსხვავებული მოსაზრებებიც აქვთ მნიშვნელოვან პრობლემატიკაზე, უნდა აღინიშნოს რობერტ ნოზიკი, რომლის პოპულარული ნაშრომი „ანარქია, სახელმწიფო და უტოპია" 1974 წელს გამოქვეყნდა. კლასიკური ლიბერალიზმის პოზიციებიდან ისიც, როულსის მსგავსად, ინდივიდის სრული ავტონომიის ერთგულია, ისევე როგორც იმ იდეის, რომ სამართლიანი სახელმწიფო თავის ყველა წევრს თანასწორად განიხილავს. მაგრამ მათ შორის

შეხედულებათა ურთიერთდამთხვევა ამით მთავრდება და ნოზიკის ძირითადი ბრალდება როულსისადმი ის არის, რომ ის არ არის ინდივიდის დამოუკიდებლობისა თუ ავტონომიის ბოლომდე ერთგული.

ნოზიკის თვალსაზრისით, თეორია, რომელიც სერიოზულად ეკიდება ინდივიდის დამოუკიდებლობის იდეას, ვერ დაუშვებს, რომ ინდივიდმა პრეტენზიები წაუყენოს სხვა ინდივიდებს, რადგან სიკეთის განაწილებაში სხვებზე ნაკლები ერგო თანდაყოლილი ნიჭის ან განაწილების არასრულყოფილი შეთოდის გამო. მორალის პოზიციებიდან ასეთი პრეტენზიების დაცვა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, ადამიანთა გენეტიკური კომპლექსი მხოლოდ საზოგადოების საერთო საკუთრება რომ ყოფილიყო. მაგრამ ადამიანის გენეტიკური უნარ-თვისებები შეუძლებელია ერთდროულად ორივეს, მისი პიროვნული და საზოგადოების „საკუთრება" იყოს. ან ჩვენ ვართ ავტონომიური არსებები და, მაშასადამე, მხოლოდ ჩვენ ვფლობთ საკუთარ, თანდაყოლილ ნიჭზე კონტროლის განხორციელების უფლებას, ანდა ეს ნიჭი საერთო საზოგადოებრივი რესურსის ნაწილია და ამდენად საზოგადოებას ეკუთვნის. მაგრამ, თუ ეს ასეა, მაშინ ჩვენ არ ვართ ავტონომიურები, – აღნიშნავს ნოზიკი.

ფ. ჰაიეკი თავის ცნობილ ნაშრომში „თავისუფლების კონსტიტუცია" თავისუფლებისა და თანასწორობის თანაფარდობის პრობლემას დემოკრატიულ საზოგადოებაში ლიბერალური ტრადიციის პოზიციებიდან განიხილავს. მას მიაჩნია, რომ სახელმწიფოში კანონებით განსაზღვრულ თანასწორობას აუცილებლად უნდა დაემატოს ის პრინციპები, რომლებსაც ადამიანები ნებაყოფლობით იცავენ ერთმანეთთან ურთიერთობაში. თანასწორობის იდეის ამგვარ გაფართოებას ზნეობრივი და მორალური ნორმების ჩათვლით ფ. ჰაიეკი დემოკრატიის სულს უწოდებს და სწორედ ეს ფენომენი მიაჩნია იმ

საუუძვლად, რომელიც თავისუფლების პირობებში გარდუვალ უთანასწორობას მეტნაკლებად ასატანს ხდის. მისთვის, ისევე როგორც ლიბერალურად მოაზროვნე სხვა მეცნიერებისათვის, მიუღებელია თანასწორობის უტილიტარისტული პრინციპი, რომლის მიხედვით არც ერთი ადამიანის სურვილი არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან და სხვებთან შედარებით არც ერთ მათგანს არ უნდა მივანიჭოთ უპირატესობა. თითოეული ინდივიდი უნდა განვიხილით როგორც ერთი სუბიექტი და არავინ ერთზე მეტი ან ნაკლები. ყველა ეს სურვილი ერთ მთელში გავაერთიანოთ და უპირატესობა იმ ნაწილს მივაკუთვნოთ, რომელიც ყველაზე დიდი აღმოჩნდება ყველა ინდივიდის გაერთიანებულ (ან საშუალო) სურვილებს შორის. ამდენად, თანასწორობა უტილიტარისტების გაგებით ნიშნავს ყველა სურვილისა და ინტერესის მოუკერძოებელ დათვლას და ერთ არითმეტიკულ მთელში გაერთიანებას, რომლისგანაც გამოითვლება შემდგომში მაქსიმალური ან საშუალო კმაყოფილება და კეთილდღეობა.

თანასწორობა კანონისა და ქცევის ზოგადი წესების დაცვით ერთადერთი გამართლებული ფორმაა თანასწორობისა, რომლებიც თავსებადია თავისუფლებასთან; ეს ერთადერთი ვარიანტია ყველა სხვას შორის, რომელიც არ აკნინებს თავისუფლების პრინციპს, მიაჩნია ფ. ჰაიეკს. ის ხელისუფლებისაგან მოითხოვს, რომ აბსოლუტურად თანასწორი დამოკიდებულება ჰქონდეს განსხვავებული ადამიანების მიმართ. იგი პროტესტს გამოთქვამს ნებისმიერი ხელისუფლების მიმართ ადამიანებისადმი განსხვავებული მოპყრობის გამო, რაც აუცილებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, სრულიად განსხვავებულ ადამიანებს რომ თანაბარი მდგომარეობა ჰქონოდათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ადამიანის ბუნების ერთ-ერთ ყველაზე დამახასიათებელ ნიშნად, რაც განასხვავებს მას ცხოველთა სამყაროსაგან, ფ. ჰაიეკს მიაჩნია ის, რომ არსებობს განუსაზღვრელი რაოდენობა პიროვნული ნიშან-თვისებებისა – ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და პოტენციალის ფართო სპექტრი, – რომლებიც ევოლუციის პროცესში გაცილებით მეტ სახესხვაობას იძლევიან, ვიდრე ნებისმიერი სხვა ცოცხალი არსება. რადგან ადამიანები ჩასახვიდანვე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ინდივიდუალური მონაცემებით, ის არ ეთანხმება გამოთქმას, რომ „ყველა ადამიანი თანასწორია დაბადებიდანვე". ის მიიჩნევს, რომ ყველა ადამიანი კანონისა და ზნეობის თვალსაზრისით უნდა იყოს თანაბარი მოპყრობის საგანი. თუკი ჩვენ გვსურს დავადგინოთ, რას ნიშნავს თანასწორობის იდეა, პირველ ყოვლისა, უნდა გავთავისუფლდეთ იმ ილუზიისაგან, რომ ადამიანები ფაქტობრივად, თანაბარნი არიან, – აღნიშნავს ფ. ჰაიეკი.

დემოკრატიული, ლიბერალური საზოგადოების ძირითად ღირებულებათა ურთიერთმიმართების პრობლემა უაღრესად რთული და საინტერესოა, მათ შორის სრული ჰარმონიის მიღწევა, როგორც ჩანს, არც ერთ პოლიტიკურ იდეოლოგიას არ ძალუძს, და ვერც ერთი პოლიტიკური მიმდინარეობა, გარდა ვულგარულ-პოპულისტურ-დემაგოგიურისა, ამის ვალდებულებას ვერ აიღებს.

მიუხედავად ჩვენ მიერ ფრაგმენტულად განხილული (ი. ბერლინი, რ. დვორკინი, რ. ნოზიკი, ჯ. როულსი) თეორიებისა, საინტერესოდ გვეჩვენება პოლიტიკური ფილოსოფიის ცნობილი კომენტატორის, თანამედროვე პოლიტიკური ფილოსოფიის ანთოლოგიის ავტორის იანოშ კიშის თვალსაზრისი იმის თაობაზე, რომ ბევრი პრობლემა ჯერ კიდევ პასუხგასაცემია. მას მიაჩნია, რომ ლიბერალიზმი ჯერაც რჩება პოლიტიკური ფილოსოფიის მთავარ ღერძად მანამდე, სანამ

კონსტიტუციურ დემოკრატიას და საბაზრო ეკონომიკას სერიოზული ალტერნატივა გამოუჩნდება. მაგრამ კითხვები უამრავია: რომელი სახის ლიბერალიზმზე უნდა იყოს დაფუძნებული ეს ჰეგემონი თეორია? ამ თეორიამ უნდა შეინარჩუნოს უნივერსალობის პრეტენზია თუ დაკმაყოფილდეს რიგითი დოქტრინი როლით, რომლის მთავარი ამოცანაა დასავლური ცივილიზაციისათვის დამახასიათებელი პოლიტიკური შეხედულებების შესახებ ახსნა–განმარტების მიცემა? კონტრაქტუალისტური მოდელის სრულყოფის მიმართულებით იაროს თუ სხვა თეორიული საფუძვლები ეძიოს? როგორი უნდა იყოს სამართლიანობის პრინციპების სტატუსი ასეთი თეორიის ფარგლებში? თუკი საზოგადოება თავის წევრებს თანასწორად აღიარებს, როგორი უნდა იყოს რესურსების განაწილების შედეგები? თუკი თანაბარი განაწილების პრინციპი ლიბერალური საზოგადოების მოთხოვნაა, როგორ უნდა შევათავსოთ იგი თავისუფლების პრინციპთან? არსებობს თუ არა წინააღმდეგობა თავისუფლებასა და თანასწორობას შორის? შესაძლებელია თუ არა მათი ჰარმონიული მორიგება? – აი, კითხვები, რომლებზეც, ი. კიშის თვალსაზრისით, ამომწურავი პასუხი ჯერ არავის გაუცია.

III. როგორი იდეოლოგიები არ გვჭირდება

1. ტოტალიტარული იდეოლოგიები და პოლიტიკური რეჟიმები

ტოტალიტარიზმის იდეოლოგია და მასზე დაფუძნებული პოლიტიკური სისტემა ნიშნავს საზოგადოების, კოლექტივებისა და პიროვნების სრულ მორჩილებას სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი, ცხოვრებისა და საქმიანობის ყველა სფეროში სახელმწიფოს ყოვლისმომცველ კონტროლს. ტოტალიტარიზმი, ტერმინი, ადრეც გამოიყენებოდა, მაგრამ როგორც თავისი მოძრაობის მახასიათებელი პირველად გამოიყენა იტალიური ფაშიზმის მამამთავარმა ბ. მუსოლინიმ 1925 წელს. ტოტალიტარიზმის არსი, მისი ფორმები და მიმართულებები საფუძვლიანად გაირკვა დასავლეთის სხვადასხვა მიმართულების ფილოსოფიური, სოციოლოგიური და პოლიტოლოგიური სკოლების მიერ (ფ. ჰაიეკი, ხ. არენტი, კ. ფრიდრიხი, კ. მანჰეიმი, ბ. ბზეჟინსკი) და თავიდანვე მიიღო კომუნისტური სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულება. განსაკუთრებით გასული საუკუნის 30–40–იან წლებში, ამ საქმიანობამ ფართო მასშტაბები მიიღო და ავტორების დიდმა ნაწილმა გაიზიარა აზრი იმის შესახებ, რომ ტოტალიტარიზმი მიმზიდველი უტოპიისა და აბსოლუტური ჭეშმარიტების მითოლოგიური ფორმის ერთმანეთთან შერწყმის შედეგია, რომელმაც უტოპიური, მაგრამ აგრესიული იდეოლოგიის ხასიათი შეიძინა.

ტოტალიტარული იდეოლოგიის ერთ–ერთი უმთავრესი ნიშანია თელეოლოგიური ორიენტაციების შეთვისების საფუძველზე ისტორიის როგორც განსაზღვრული მიზნისაკენ კანონზომიერი მოძრაობის განხილვა. ამ მიზნის მიღწევას ენიჭება განსაკუთრებული ღირებულებითი პრიორიტეტი, ხოლო მიღწევის გზები და საშუალებები მეორეხარისხოვანია (მასობრივი რეპრესიების გამართლების თეორიული არგუმენტი).

ტოტალიტარიზმის იდეოლოგებს მიაჩნიათ, რომ მათი რეჟიმი კაცობრიობის ისტორიული განვითარების ბოლო ეტაპია; ამის შემდეგ ადამიანებმა მის შეცვლაზე, ევოლუციაზე, სრულყოფაზე კი არა, იმაზე უნდა იფიქრონ, როგორ მოუტანონ ქვეყანას მეტი სარგებლობა ტოტალიტარიზმის პირობებში. ჰიტლერმა რაუშინგთან საუბარში განაცხადა, რომ გერმანული რევოლუცია (მხედველობაში ჰქონდა მისი ხელისუფლებაში მოსვლა, ო.გ.) ახალი ეტაპია, უფრო ზუსტად, საბოლოო ეტაპი, რომელიც ისტორიის მსვლელობას წერტილს დაუსვამს. ასე და ამგვარად, კაცობრიობის განვითარებამ, მისი იდეებისა და იდეალების, ადამიანური ღირებულებების უნივერსალურმა განსხეულებამ, მისი იდეოლოგების მტკიცებით, გერმანული ტოტალიტარული სახელმწიფოს პირობებში მიაღწია.

ტოტალიტარულმა იდეოლოგიამ შეისისხლხორცა კაცობრიობის რელიგიური მემკვიდრეობიდან ისტორიის ბედნიერი დასასრულისა და ადამიანის არსებობის საბოლოო მიზნის უცილობელი მიღწევის უტოპიური ტრადიციები და მათ ახალი სიცოცხლე შთაბერა – რომის იმპერიის აღდგენის მუსოლინისეული იდეა, ჰიტლერისეული ათასწლიანი რეიხის მესიანისტური იდეა, ლენინური კომუნიზმის მსოფლიოს მასშტაბით უცილობელი გამარჯვების იდეა.

ფაშიზმის თეორიის ფუძემდებელი გახდა იტალიის სოციალისტური პარტიის მემარცხენე დაჯგუფების ყოფილი ლიდერი ბ. მუსოლინი, რომელმაც თავისი ტოტალიტარული დოქტრინა ააგო ანტიკური მოაზროვნეების ზოგიერთი დებულების გამოყენებით. მისი ამოსავალი წერტილი გახდა სახელმწიფოს ყოვლისშემძლეობა, მისი ნებისმიერი მოქმედების გამართლება სახელმწიფოს ერთგული მოსახლეობის საკეთილდღეოდ. ამ თეორიის ძირითადი დებულებები იყო უკიდურესი ნაციონალიზმი, მიმართული ნებისმიერი

საშუალებებით (ომებისა და აგრესიის ჩათვლით) დიადი მიზნის, რომის იმპერიის აღდგენისაკენ.

იტალიური ტოტალიტარული რეჟიმის ძირითადი ნიშნების დასახასიათებლად, ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს თანამედროვე იტალიელი მეცნიერების თვალსაზრისი. გვიდო კარპი, პარიზის უნივერსიტეტის მეცნიერი, აღნიშნავს, რომ ცნება „ტოტალიტარიზმი" დაიბადა და ხმარებაში შემოვიდა უკვე 20-იანი წლების დასაწყისში იტალიელი ანტიფაშისტების მიერ, მაგრამ იტალია გახდა პირველი და გამონაკლისი ქვეყანა, რომელიც საკუთარ პოლიტიკურ რეჟიმს სიამაყით უწოდებდა ტოტალიტარულს. 1925 წლის ივნისში მუსოლინიმ განაცხადა ფაშიზმის „დაუოკებელი ტოტალიტარული ნების" შესახებ. ამავე ტერმინს ფაშიზმის ოფიციალური იდეოლოგი, ფილოსოფოსი ჯოვანი ჯენტილე სისტემატურად ხმარობდა თავის ნაწერებში. 1932 წლის იტალიურ ენციკლოპედიაში, რომლის რედაქტორები იყვნენ მუსოლინი და ჯენტილე, ტოტალიტარიზმი წარმოდგენილი იყო, როგორც პოლიტიკური ლიბერალიზმის ანტიპოდი. მათ მიაჩნდათ, რომ ლიბერალიზმი უარყოფდა ერთეული პიროვნების დაინტერესებას სახელმწიფო სტრუქ-ტურებით, ფაშიზმს კი სახელმწიფო მიაჩნდა ინდი-ვიდისთვის ჭეშმარიტ აუცილებლობად. ფაშისტისათვის ყველაფერი თავმოყრილია სახელმწიფოში და არავითარი ადამიანური და სულიერი არ არსებობს და არ წარმოადგენს ღირებულებას სახელმწიფოს გარეშე. ამ აზრით, მიაჩნდათ ფაშიზმის იდეოლოგებს, ფაშიზმი არის ტოტალიტარული, ხოლო მისი ძირითადი ნიშანი სახელმწიფოს ტოტალიტარული ბუნებაა.

გვიდო კარპის განმარტებით იტალიური ფაშიზმი წარმოადგენს ეკლექტიკურ იდეოლოგიას, რომელიც ეყრდნობა პრინციპულად ნეგატიურ წარმოდგენებს (ანტილიბერალიზმი, ანტისოციალიზმი) და შეიცავს სხვადასხვა თეორიის ფრაგმენტებს – ნიცშეს ირაციო-

ნალიზმს, ნაციონალიზმს, საზოგადოების მაღალი ფენების პრიმატს (ვილფრედო პარეტო), ძალადობას (ჟორჟ სორელი).

იტალიური ფაშიზმის ფენომენის გაანალიზების ერთ-ერთი პირველი ცდა მოგვცა ანტონიო გრამშიმ თავის ჩანაწერებში, რომლებიც შეასრულა 30-იანი წლების პირველ ნახევარში, ციხეში. მას მიაჩნდა, რომ იტალიური ტოტალიტარიზმი იყო ევროპული და იტალიური პოლიტიკურ-სოციალური ინსტიტუტების სერიოზული კრიზისის შედეგი XX საუკუნის პირველ ოცწლეულში. გაერთიანებული იტალია, რომელიც მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა, წარმოადგენდა სუსტ პოლიტიკურ ორგანიზმს, სოციალური და კულტურული თვალსაზრისით ჩამორჩენილ სახელმწიფოს, რომლის მმართველი ძალა გამოხატავდა უაღრესად მცირერიცხოვანი სოციალური ფენის ინტერესებს და ამრიგად, მოწყვეტილი იყო ფართო მასების მხარდაჭერას. იტალია, მიაჩნდა ა. გრამშის, იყო ევროპის სუსტი რგოლი, რომელიც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ უამრავი პრობლემებით დატვირთული საერთო დესტაბილიზაციის პირობებში აღმოჩნდა. ამას დაემატა მრეწველობის მნიშვნელოვანი დარგების სწრაფი განვითარება ეკონომიკაში და მმართველობის ავტორიტარული ფორმებისადმი დაინტერესების ზრდა ახალი დოქტრინების გამოჩენით („სახელმწიფო, როგორც წმინდა ძალა“), მოსახლეობის გაუცნობიერებელი მასების პოლიტიზირება, ეკონომიკური და სოციალური პროცესების გლობალიზაცია და ინტერნაციონალიზაცია.

ასეთ პირობებში, ა. გრამშის აზრით, პოლიტიკური დიქტატურის უმთავრესი საფუძველი მაინც მმართველი კლასის უუნარობა იყო, რომელმაც ვერ შეძლო შეექმნა სერიოზული სოციალური დასაყრდენი ქვეყანაში. ასეთ პირობებში დიქტატორულ ძალებს გაეხსნათ ხელისუფლებაში მოსვლის გზები, რომ-

ლებმაც „პასიური რევოლუციის“ გზით სცადეს ეკონომიკის მოდერნიზაცია სოციალური სტრუქტურების შეცვლის გარეშე, დაამყარეს ერთპარტიული დიქტატურა და შექმნეს ტოტალიტარული რეჟიმისათვის აუცილებელი სხვა პირობები.

გერმანული ფაშიზმის იდეოლოგებმა და, პირველ რიგში, ა. ჰიტლერმა (ა. შიკლგრუბერმა), თავისი ქვეყნის დიდი მოაზროვნეების უმდიდრესი საგანძურიდან შეარჩიეს მათთვის გამოსადეგი ავტორების (ა. შოპენჰაუერი, ი. ფიხტე, ვ. ნიცშე) შესაბამისი დებულებები, დაუმატეს ა. გობინოს რასისტული თეორიის ელემენტები და გამოძერწეს საკუთარი რეაქციული ირაციონალიზმით („გერმანული მითი“) განმსჭვალული ნაციონალ-სოციალიზმის იდეოლოგია. ამ იდეოლოგიის ამოსავალი წერტილი იყო მითიური „არიელი“ რასის სოციალური და პოლიტიკური უპირატესობა, აგრეთვე ყოველგვარი მხარდაჭერა „კულტურის შემოქმედი რასების“ მიმართ და ამ სიაში, საკუთარი ერის გარდა შეიყვანეს ბრიტანელები, ჩრ. ევროპის ზოგი ერი. ამ რასობრივი იერარქიის უფრო დაბალ საფეხურებზე დააყენეს „კულტურის მხარდამჭერი“ ერები (ამ კატეგორიაში უფრო მეტი ერი და ხალხი მოხვდა) და ბოლოს „კულტურის დამანგრეველი“ ერები (ზანგები, ებრაელები, ბოშები), რომლებიც შეიძლება უმოწყალოდ განადგურებულიყო.

უმაღლესი რასებისათვის ყოველგვარი პირობების შექმნა სახელმწიფოს უზენაეს მიზანს წარმოადგენდა, რომელიც ტოტალიტარული ორგანიზაციის გაცილებით მაღალი დონით გამოირჩეოდა (იტალიურ ფაშიზმთან შედარებით), ასევე აგრესიის, ექსპანსიისა და ტერორის აშკარა, დაუფარავი მხარდაჭერით საკუთარი მიზნების მიღწევისათვის.

ჰიტლერის მიერ შექმნილი ნაციონალ-სოციალისტური პარტიის სახელწოდებიდანაც ჩანს, რომ მისთვის

პოპულიზმი არ იყო უცხო. მას შეუქმნეს უმაღლესი ხარისხის ქარიზმა, რომ გერმანელი ხალხის უზენაესი ინტერესების გამომხატველია და მას ამ ინტერესების დაცვა შეუძლია გაცილებით უკეთ, ვიდრე ნებისმიერ დემოკრატიულ სახელმწიფოებრივ ინსტიტუტებს, ან გნებავთ, ამ ინსტიტუტების მთელ სისტემას. ეს რაც ნაციონალიზმს და პატრიოტიზმს შეეხება. ამავე დროს ისინი ერთდროულად სოციალისტებიც არიან. პარტიის აბრევიატურაში ატანილი ამ იდეოლოგიური დატვირთვის კომპონენტს იმაზე უნდა ემუშავა, რომ ის მშრომელი ხალხის ინტერესების დამცველია. კაპიტალიზმს ჰიტლერი განიხილავდა როგორც ებრაულ – ე.ი. სიონიზმის შეთქმულებას დანარჩენი ხალხების წინააღმდეგ.

ნაცისტური იდეოლოგიით სახელმწიფო განიხილებოდა როგორც საზოგადოებრივი სიკეთის მომტანი მთავარი ინსტრუმენტი და პასუხისმგებელი ეკონომიკაზე, სოციალურ პოლიტიკაზე, სწავლების, აღზრდისა და კულტურის ორგანიზაციაზე, ერთი წინადადებით, მთელი საზოგადოების მატერიალური და სულიერი ცხოვრების ყველა ასპექტზე. ამის გამო, სახელმწიფო მთელი ამ მრავალმხრივი და მრავალფეროვანი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ნიუანსის საქმის კურსში უნდა ყოფილიყო, უფრო მეტიც, ყველა პროცესი მისი პოლიტიკური ხელმძღვანელობით უნდა წარმართულიყო, თუნდაც ის პოლიტიკის კლასიკური გაგებიდან ძალიან შორს ყოფილიყო. ამ მიზნით, ნაცისტური იდეოლოგია პრინციპული თვალსაზრისით არ განსხვავდებოდა ლენინურ–საბჭოური იდეოლოგიისაგან, მხოლოდ ხელმძღვანელობის მეთოდებით.

ნაცისტური იდეოლოგიის პრიორიტეტები ნაციონალიზმზე, რასიზმზე და ქსენოფობიაზე კარგად თავსდებოდა და ეხმაურებოდა დამარცხებული და ვერსალის (1919) ხელშეკრულებით დაჩაგრული დიდი

გერმანელი ერის სულიერ განწყობილებას საარსებო არესა და დისკრიმინაციული მუხლების გაუქმებისათვის.

პოლიტიკურ მეცნიერებაში გამოთქმული და გაზიარებულია თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ გასული საუკუნის 20-30-იან წლებში ევროპის ქვეყნებში – იტალიაში, გერმანიაში, ესპანეთში გამარჯვებული დიქტატორული რეჟიმები განპირობებული იყო პირველი მსოფლიო ომისშემდგომი კრიზისიდან ქვეყნების გამოყვანის საშუალებების ძიებით. ნაციონალ-სოციალიზმის იდეოლოგიის ბელადებმა კარგად დაიჭირეს მოსახლეობის უმეტესობის ეს ფსიქოლოგიური დისკრიმინაციული ეფექტი და მკაცრ დოქტრინად ჩამოაყალიბეს „არიული" რასის ბუნებრივი უფლება სასიცოცხლო სივრცის მოპოვებისათვის და საკუთარი რასის უცხო ელემენტებისაგან (ებრაელები და ბოშები) გაწმენდისათვის, აგრეთვე გერმანელი რასის გონებრივად და ფიზიკურად დეფექტური წარმომადგენლების განადგურებისათვის.

საბჭოთა საზოგადოებათმცოდნეობა იდეოლოგიას განსაზღვრავდა როგორც იდეებისა და თეორიების, ღირებულებებისა და ნორმების, მოქმედების იდეალებისა და დირექტივების სისტემას, რომელიც განსაზღვრული კლასის საზოგადოებრივ ინტერესებს, მიზნებსა და ამოცანებს გამოხატავს და ხელს უწყობს არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობების განმტკიცებას ან მის შეცვლას. ამ განმარტებიდან გამომდინარეობს, რომ ნებისმიერი იდეოლოგია პოლიტიკური, ეკონომიკური, სამართლებრივი იდეების ერთიანობაა, რომელიც, მარქსიზმის ფუძემდებლური პრინციპებიდან გამომდინარე, საბოლოო ანგარიშით ობიექტური ეკონომიკური ურთიერთობების ასახვაა. იდეოლოგიის ამ ლენინური განსაზღვრებიდან და მისი მაკონსტრუირებელი ელემენტებიდან თუ ამოვიღებთ მის კლასობრივ ხასიათს და დირექტიულ სისტემას, აგრეთვე იმას, რომ მხოლოდ ეკონომიკური ურთი-

ერთობების ასახვაა საზოგადოებრივ ცნობიერებაში, შეიძლება სადავო ბევრი აღარ დარჩეს. მაგრამ სწორედ ამ ასპექტების შეტანა იდეოლოგიის საზღვრებში ხდის მას აგრესიულს, რადიკალურს, ცალმხრივს და ილუზიორულს.

საბჭოურმა, ბოლშევიკურმა ტოტალიტარიზმმა, განსხვავებით ტოტალიტარიზმის სხვა ფორმებისაგან, მოსახლეობის მასობრივი ლუმპენიზაცია მოახდინა. მთლიანად მოსპო კერძო საკუთრება, რაც პიროვნული ავტონომიის საფუძველია და ადამიანები ყოველმხრივ (სამსახური, ბინა, მატერიალური ანაზღაურება, დასვენება, ჯანმრთელობა, განათლება და სხვ.) დამოკიდებული გახადა სახელმწიფო (პარტიულ) სტრუქტურებზე. შედეგად ფორმირდება სახელმწიფოსა და მისი ბელადებისადმი ერთგული, შემსრულებელი „ახალი ადამიანი", რომელიც სისტემისადმი ლოიალობის გამო კომპენსირდება მართალია იდეოლოგიზირებული, მაგრამ მაინც უფასო განათლებით, მართალია უხარისხო, მაგრამ მაინც უფასო ჯანმრთელობის დაცვით, მინიმალური, მაგრამ გარანტირებული სოციალური დაზღვევის ფორმებით, პირადი უსაფრთხოებით და სხვა „სოციალიზმის მონაპოვრით". სწორედ ამის გამო აღმოჩნდა საბჭოური ტოტალიტარიზმი შედარებით გამძლე და სიცოცხლისუნარიანი, შეიძინა ზემოქმედების ძალა ზოგიერთ ჩამორჩენილ ქვეყნებზე, რადგან მათმა ლიდერებმა სოციალისტურ იდეოლოგიასა და პრაქტიკაში დაინახეს ზოგი ჰუმანიტარული, სოციალურ-ემანსიპალური, გათანაბრებითი, ეგალიტარული და პოპულისტური იდეები და პრინციპები. ზემოაღნიშნული გარემოებებია იმის საფუძველი, რომ პოსტსაბჭოური სივრცის ზოგ ქვეყანაში მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში პასიური ნოსტალგიის სახით მაინც ცოცხლობს დანგრეული ტოტალიტარული სისტემის იდეები (მათ შორისაა საქართველო), ხოლო ზოგ ქვეყანაში, პირველ

ყოველისა, რუსეთში, ბელორუსიაში ტოტალიტარიზმის რესტავრაციისათვის მებრძოლი პოლიტიკური ძალები საკმაოდ ძლიერი და ანგარიშგასაწევია.

ტოტალიტარული სახელმწიფო სტრუქტურების, პოლიტიკური კულტურის ფორმირებისა და დამკვიდრების პროცესი აუცილებლად გულისხმობს ერთი ძირითადი, პრიორიტეტული (ან რამდენიმე, მაგრამ ამ ერთთან ორგანულად დაკავშირებული და მასზე დაქვემდებარებული) იდეის განმსაზღვრელ როლს.

ლენინურ-ბოლშევიკურ იდეოლოგიაში ასეთი იდეური საფუძველი იყო კლასთა ბრძოლის და პროლეტარიატის მსოფლიო ისტორიული, ინტერნაციონალური როლის აგრესიული დოქტრინები. მარქსიზმის ლენინური ინტერპრეტაციისათვის უცხო და მიუღებელია ყველაფერი, რაც არ ჯდება მუშათა კლასის მითოლოგიურ ინტერესებში, რაიმე ფორმით არ ეთანხმება ან უპირისპირდება პროლეტარიატის პოლიტიკური, იდეოლოგიური, სოციალური, სულიერი ინტერესების დამცველ ინსტიტუტებს. ამასთან ნებისმიერი ქვეყნების პროლეტარიატის მისია განიხილება არა კონკრეტული სახელმწიფოს ეროვნულ მასშტაბებში, არამედ საკაცობრიო განზომილებებით და ინტერნაციონალიზმის ასეთივე ყალბი ინტერპრეტაციით. მისთვის მიუღებელია ყოველი ეროვნული, გამომჟღავნების ნებისმიერი ფორმით. საზოგადოების სტრუქტურული კლასის, სოციალური ფენის, ცალკეული ინდივიდის მატერიალური და სულიერი ინტერესები აუცილებლად უნდა უკავშირდებოდეს დაქვემდებარების ფორმით მუშათა კლასის ინტერესებს, რომელიც ილუზიორული საზოგადოებრივი ინტერესების განზოგადებული სახით წარმოგვიდგება. ასეთ პირობებში სრულიად ზედმეტი და გამორიცხულია პიროვნების თავისუფლების, ინდივიდუალიზმის და სხვა უმთავრესი ღირებულებების შესახებ საუბარი.

ამრიგად, საბჭოური ბოლშევიზმის იდეოლოგიის საყრდენი პოსტულატი კლასთა ბრძოლის ფუნდამენტალური იდეა იყო, რამაც განსაზღვრა კიდეც ამ ბრძოლის ძირითადი მიმართულება. ტოტალიტარიზმის აგრესიული მახვილი უპირველესად და უპირატესად საკუთარი ქვეყნის შიგნით „მტრული" კლასებისა და სოციალური ჯგუფების წინააღმდეგ წარმართა და შედეგიც შესაბამისი იყო – მთელი სოციალური ფენების, ბურჟუაზიის ყველა სტრატის (მსხვილი, საშუალო, წვრილი, ქალაქის, სოფლის, სამრეწველო, სავაჭრო და ა.შ.), სამღვდელოების, ინტელიგენციის დიდი ნაწილის ფიზიკური განადგურება, გადასახლება, მასობრივი ემიგრაცია.

ტოტალიტარიზმის მეორე ისტორიულმა ფორმამ, გერმანულმა ნაციზმმა, რასიზმი და ნაციონალიზმი აქცია თავისი იდეოლოგიის იმ საყრდენ ქვაკუთხედად, რასაც რუსული ბოლშევიზმის იდეოლოგიაში კლასთა ბრძოლა და პროლეტარიატის დიქტატურა ასრულებდა.

თავისი ფორმირების საწყისი ეტაპიდან ფაშიზმი ერს (ნაციას) განიხილავდა მატერიალური და სულიერი ღირებულებების უნივერსალურ სინთეზად, რომელსაც უნდა დაემორჩილოს საზოგადოების ყველა წევრის აზროვნება და მოქმედება. აქედან გამომდინარე, ერთეული ინდივიდის, სოციალური ჯგუფის თუ კლასის მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებებისა და ინტერესების ჭეშმარიტება და შესაბამისად კანონიერება უნდა შეფასდეს იმის მიხედვით, რამდენად პასუხობს ის ერის (სსრკ-ში საზოგადოების) უმაღლეს ინტერესებს. ასეთ უმაღლეს ინტერესებად კი გერმანიის ნაციზმმა იმპერიის გაფართოება, დამოუკიდებელი სახელმწიფოების ტერიტორიების მიტაცება გამოაცხადა, რადგან გერმანელ ერს „სასიცოცხლო სივრცე" არ ყოფნიდა. შედეგად, თუ საბჭოური ტოტალიტარიზმის პირობებში აგრესია ჯერ შინაური

„მტრების“ წინააღმდეგ წარიმართა და მხოლოდ ამ პრობლემების მოგვარების შემდეგ გამომჟღავნდა მისი აგრესიული საერთაშორისო ბუნება, გერმანულმა ნაციზმმა თავისი მრისხანე მახვილი უპირველესად შეზობელი ქვეყნების დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის წინააღმდეგ მიმართა. გერმანელი ტოტალიტარიზმის საერთაშორისო პრიორიტეტებმა მათ იდეოლოგიაში სრულიად ჩამოყალიბებული ფორმა მიიღო – მსოფლიო გაიყო ორ ნაწილად, ერთი მხრივ, გერმანელი და მასთან კულტურულად „ახლოს მდგომი“ ერები (რეალური და პოტენციური მოკავშირეები) და, მეორე მხრივ, დანარჩენი კაცობრიობა.

ტოტალიტარიზმის იდეოლოგიის აუცილებელი ნიშანია მტრის პერმანენტული ძიება ქვეყნის შიგნით და მის გარეთ. გერმანულმა ნაციზმმა, რომელსაც მსოფლიო ბატონობის იდეა ჰქონდა, მტერი უპირველესად ქვეყნის გარეთ მოძებნა, მაგრამ ქვეყნის შიგნითაც უკუმპრომისო, ფიზიკურ განადგურებამდე ბრძოლა გამოუცხადა არასრულყოფილ რასებს და მოწინააღმდეგე პოლიტიკურ ძალებს – ებრაელებს, ბოშებს, სოციალ-დემოკრატიას, ლიბერალურ ინტელიგენციას, მათ შორის საქვეყნოდ ცნობილ მეცნიერებს.

იმის გამო, რომ ბოლშევიზმ-ლენინიზმი მუშათა კლასის იდეოლოგია იყო და მის პრიმატს ასაბუთებდა, ძირითადი აგრესია ქვეყნის შიგნით, სხვა კლასებისა და სოციალური ჯგუფების წინააღმდეგ წარიმართა, თუმცა ეს არ უშლიდა ხელს საბჭოურ ტოტალიტარიზმს, როცა საამისო პირობები იქმნებოდა, საგარეო აგრესიაც განეხორციელებინა, თავისი არსებობის პირველ წლებში დაეპყრო რუსეთის იმპერიაში შემავალი ქვეყნები (მათ შორის საქართველოც), ხოლო შემდეგ 30-40-იანი წლების მიჯნაზე საგრძნობლად გაეფართოებინა დასავლეთის საზღვრები. მეორე მსოფლიო ომის ძლევამოსილად დამ-

თავრების შემდეგ კი შეექმნა ტოტალიტარული ბოლშევიკური რეჟიმების იდენტური სახელმწიფოების ჯგუფი, რომლებსაც სოციალისტური ბანაკის ქვეყნებს უწოდებდნენ.

ტოტალიტარული ცნობიერების ამ, შეიძლება ითქვას, ყველაზე მანკიერმა მახასიათებელმა, რომელიც განსაზღვრავდა მის სხვა ნიშნებს – მტრის ხატის პერმანენტულმა ძიებამ, რომელიც ყოველმხრივ შეიძლება დაამცირო, ლანძღო და თუ ხელი მიგიწვდება, ფიზიკურად გაანადგურო, გადამწყვეტი როლი ითამაშა თვით ამ რეჟიმების განადგურებაში. ადამიანის ცნობიერების ასეთი ბოროტი დანაგვიანების ზნეობრივი მიზანი იყო მოეხსნა ყოველგვარი მორალური და იურიდიული პასუხისმგებლობა აგრესიისა და ანექსიისათვის საკუთარი თუ სხვა ხალხების წინააღმდეგ. „მე ადამიანს ვათავისუფლებ იმ ქიმერისაგან, რომელსაც სინდისი ეწოდება“ (გებელსი). კონფრონტაცია უკიდურესი ფორმით საზოგადოებრივი ცხოვრების და სახელმწიფოებრივი იერარქიის ყველა სფეროსა და დონეზე, საკუთარი მოსახლეობისა და მთელი მსოფლიოს გაყოფა სიკეთისა და ბოროტების საწყისებად იყო იმ აურაცხელი მსხვერპლის იდეოლოგიური საფუძველი, რაც ტოტალიტარიზმმა კაცობრიობას მოუტანა.

ერთიანი უნივერსალური მიზანი ერის ან საზოგადოებრივი ინტერესების პრიმატის ნიშნით განაპირობებს მონოიდეოლოგიის, სახელმწიფო იდეოლოგიის ფორმით გაბატონებას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ტოტალიტარიზმის პირობებში იდეოლოგიური მონიზმის ძირითადი მახასიათებლებია მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის ძლიერი და განშტოებული ქსელი, ოჯახი, განათლების მთელი იერარქიული სისტემა, ეკლესია, კულტურის მთლიანი სპექტრი, რომლებიც ადამიანების ცნობიერებაში ნერგავენ უკომპრომისობას,

ანტიპლურალიზმს, შეურიგებლობას ყოველგვარი თავისუფალი აზრისა და თვითმოქმედებისათვის. ყველა და ყველაფერი, რაც ეწინააღმდეგება ერთიან სახალხო აზრს საბოლოო მიზნის მისაღწევად, უნდა მოისპოს. ნებისმიერი გადახვევა ოფიციალური იდეოლოგიის ნებისმიერი პოსტულატიდან, თუნდაც უმნიშვნელო, ნიშნავს მტრული იდეოლოგიის შემოტანას საზოგადოებრივ ცნობიერებაში და მკაცრად ისჯება.

ტოტალიტარიზმის იდეოლოგიის თეორიისა და პრაქტიკის უმნიშვნელოვანესი ნიშანია სახელმწიფოს ტოტალური დომინირება საზოგადოებაზე, საზოგადოების სულიერი ცხოვრების კონტროლის მიზანმიმართული და ყოვლისმომცველი სისტემის ჩამოყალიბება, განსხვავების წაშლა სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის. უფრო მეტიც, მონოიდეოლოგიის ფუნქციონირების პირობებში მოქმედმა მონოპარტიამ, რომელმაც არ შეიძლება საზოგადოების მთელი შემადგენელი სოციუმის ინტერესები გაითვალისწინოს, მიიტაცა სახელმწიფოსა და საზოგადოების ფუნქციები და თანდათანობით გახდა ხელისუფლების ერთადერთი, რეალური უმაღლესი ორგანო. ტოტალიტარული სისტემის პოლიტიკური ატრიბუტიკის მთავარი ელემენტია მრავალრიცხოვანი, ძლიერი, მდიდარი, ყოვლისმომცველი, მკაცრად ცენტრალიზებული ერთადერთი პოლიტიკური პარტია, რომელიც შეირწყავს სახელმწიფო სტრუქტურებს და ხდება გადამწყვეტი პოლიტიკური ძალა.

მონოპარტიული იერარქიული სტრუქტურები გახდნენ პოლიტიკური სისტემის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების განმსაზღვრელი ელემენტები, ხოლო მათი ლიდერები ქვეყნის ფაქტობრივი ხელისუფლები. ამრიგად, ტოტალიტარული რეჟიმი შეიძლება განვიხილოთ როგორც პარტიული დიქტატურის პოლიტიკური სისტემა, სადაც პარ-

ტიული იერარქიის უმაღლეს საფეხურზე მყოფ ფუნქციონერის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ძალაუფლება მონარქის ძალაუფლებას უტოლდება აბსოლუტიზმის პირობებში.

ამრიგად, ტოტალიტარულ საზოგადოებებში თავდაპირველად კლასის ან ნაციის დიქტატურა პერმანენტულად გადაიზარდა პარტიულ-ბიუროკ-რატიულ დიქტატურაში, ხოლო მისი სტრუქტურები გახდნენ პოლიტიკური სისტემის განმსაზღვრელი ელემენტები. თავის დიქტატორულ ფუნქციას პარტია ბელადების საშუალებით ახორციელებდა, რომელთა აზრი და შეხედულებები ისეთივე „წმინდა" და „ხელშეუხებელი" იყო, როგორც ტოტალიტარული იდეოლოგიების მამამთავრების მიერ საუკუნის წინათ გამოთქმული დებულებები და დოქტრინები. სწორედ ეს ბელადები განსაზღვრავდნენ და ახორციელებდნენ ქვეყნის (და ქვეყნების) საშინაო და საგარეო პოლიტიკის მთავარ ორიენტირებს, თამაშობდნენ გადამწყვეტ როლს ორი დაპირისპირებული ბანაკის ურთიერთობის ხასიათსა და პრიორიტეტებში.

საბჭოურ ტოტალიტარულ საზოგადოებაში ლე-ნინის მიერ დამახინჯებული მარქსიზმი და ბოლ-შევიზმი განიხილებოდა როგორც კაცობრიობის აზ-როვნების მწვერვალი და დამამთავრებელი ეტაპი, რომელიც არ ექვემდებარებოდა მეცნიერებაში მიღე-ბულ რაციონალური, კრიტიკული ანალიზის საერთო წესს, ხოლო ა. ჰიტლერის საპროგრამო „ჩემი ბრძო-ლა"-ს გერმანიაში სასიძოსა და საპატარძლოს ჩუქ-ნიდნენ, ის ყველა ოჯახში იყო გამოფენილი თვალ-საჩინო ადგილას და სკოლადამთავრებულებსაც ამ წიგნით ასაჩუქრებდნენ.

ობრად სავიჩი, იუგოსლავიელი პოლიტოლოგი, გერმანული ტოტალიტარიზმის პირობებში ლიდერის, ჰიტლერის როლის დახასიათებისას ერთ, ჩვენი თვალ-საზრისით საინტერესო ასპექტზე ამახვილებს ყურად-

ღებას. ის წერს, რომ საკმარისი ისტორიული დისტანციიდან ვისაც სურს გაიგოს ფიურერის ეფექტი, უნდა ეცადოს მოიძიოს დიქტატორის პირადი დემონიზმის ნიშნები. მას მიაჩნია, რომ გერმანულ ფსიქოდრამაში ჰიტლერის წარმატება ეფუძნებოდა არა განსაკუთრებულ მონაცემებს ან ბრწყინვალე ხარიზმას, არამედ აშკარა ვულგარიზმსა და უნარს აიძულებინა ადამიანების დიდი მასა ეყვირა, ეღრიალა მოელი ძალით. ჰიტლერმა შეძლო თავისი მიმდევრები დაებრუნებინა იმ დროში, როცა ყვირილი პოლიტიკური პროცესების წარმართვის გადამწყვეტი ფაქტორი იყო. ამ თვალსაზრისით, ის იმ საუკუნეში აკუსტიკური ხელოვნების დარგში ყველაზე წარმატებული მხატვარი გახდა. თავად ამ დახასიათების ავტორს, ობრად სავიჩს მიაჩნია და სრული საფუძველი გვაქვს ჩვენც გავიზიაროთ, რომ დიქტატორის რანგში აყვანილი ლიდერის ამ უმნიშვნელოვანეს მახასიათებელს არც ჩვენს დროში გასვლია ყავლი და ბევრის მხრივ დამაფიქრებელია . . .

ტოტალიტარული საზოგადოების უზრუნველმყოფელ შესაბამის იდეოლოგიაში ჰუმანიტარულ და განსაკუთრებით საზოგადოებრივ მეცნიერებებს განსაზღვრული როლი უნდა შეესრულებინა.

ილუზიორული, ხელოვნური კონსტრუქციებით შექმნილი სინამდვილე, ფიქტიური მენტალობა დაფუძნებული იყო აბსურდის ლოგიკასა და უტოპიურ დოგმებზე. უარყოფილია და ანათემას გადაცემული ყველა და ყველაფერი, რაც ამ აბსურდული ლოგიკის ფარგლებში არ ჯდება. ეს ეხება არა მხოლოდ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, არამედ წარსულსაც, ისტორიასაც. ტოტალიტარიზმის განათლებულმა იდეოლოგებმა ამას „მეცნიერული“ დასაბუთებაც მოუძებნეს – ისტორია არის პოლიტიკა, გადასროლილი წარსულში (მ. პოკროვსკი). ისტორიისადმი, როგორც მეცნიერებისადმი ასეთი ნიჰი-

ლისტური, ლიკვიდატორული დამოკიდებულება განპირობებული იყო იმით, რომ ტოტალიტარული იდეოლოგიისადმი მხოლოდ თანადროულობა კი არ უნდა მოერგოთ, ისტორიის მსვლელობაც განიხილებოდა ტოტალიტარიზმისაკენ, როგორც კაცობრიობის განვითარების უმაღლესი საფეხურისაკენ სელის ბუნებრივ-ისტორიული პროცესი.

ტოტალიტარულმა პოლიტიკურმა იდეოლოგიამ სრული იდენტიფიკაცია მოახდინა ინდივიდუალური, კოლექტიური და საზოგადოებრივი ინტერესების და ერთეული ინდივიდის სულიერი და მატერიალური მოთხოვნილებები შეურწყა ქვეყნის, სახელმწიფოს ინტერესებს. ამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილება მჭიდროდ დაუკავშირა სახელმწიფოს მიზნებსა და ამოცანებს და ამით სცადა პიროვნების ძალისხმევა სახელმწიფოს ამ სტრუქტურებისა და ინსტიტუტების რეფორმირებისა და სრულყოფისაკენ კი არა, მათ გასამტკიცებლად წარემართა. სწორედ ამას ქადაგებდნენ მონოპოლისტი პარტიის ბელადები, რადგან იცოდნენ, რომ მასობრივი დასაყრდენის გარეშე ტოტალიტარული საზოგადოება ვერ იარსებებს.

ტოტალიტარული იდეოლოგიის საყრდენი პოსტულატია იმის მტკიცება, რომ ეს არის ერთადერთ ჭეშმარიტ იდეაზე აგებული იდეოლოგია, რომელიც ყველაფრის, ეკონომიკის, პოლიტიკის, მეცნიერების, ხელოვნების, რელიგიის და ა.შ., გასაღებია.

ტოტალიტარული იდეოლოგიის ერთ უმთავრეს ფუნქციას ადამიანის ტრანსფორმაცია, მის ცნობიერებაზე, იდეებზე, აზრებსა და ოცნებებზე, მთელ შინაგან სამყაროზე, მატერიალურ და სულიერ ცხოვრებაზე მკაცრი კონტროლის დამყარება წარმოადგენს. განათლების, აღზრდისა და საქმიანობის კონტროლის უზარმაზარი, განშტოებული აპარატი პიროვნების ფორმირების ყველა ეტაპზე ზემოქმედებდა ადამიანის ცნობიერებაზე იმ მიზნით, რომ ინდი-

ვიდუალური საწყისების უნიფიკაციით და შემდგომ მისი სტანდარტიზაციით რეჟიმისათვის სასურველი პიროვნება ჩამოყალიბებულიყო. პიროვნებების მოქცევა საშუალო სტატისტიკურ ნიშნულზე, ინდივიდუალური საწყისების სტერილიზაცია ემსახურებოდა ე.წ. „ახალი ადამიანის“ აღზრდას, რომლის განმსაზღვრელი ნიშანი უნიფიცირებული ფსიქიკური წყობა, აზრობრივი და ქცევითი მახასიათებლები იყო. ყოველივე ამის მიზანი კი რეჟიმისადმი ერთგული საერთო სტატიკური ადამიანების ხვედრითი წილის ზრდა იყო საზოგადოებაში. „ახალი ადამიანის“ შემდგომი ტრანსფორმაცია გულისხმობდა მის გადაზრდას „საბჭოთა ადამიანში“, რომელშიც ტოტალიტარიზმის იდეებისადმი ერთგულება უფრო მაღალ ხარისხში იქნებოდა აყვანილი და შესაბამისად მინიმუმამდე დაქვეითებული, ან, რაც უფრო სასურველი იყო, მოსპობილი ინდივიდუალიზმი, დამოუკიდებელი აზროვნება (როცა სხვები ფიქრობენ ჩემს მაგივრად) და, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, ეროვნული ცნობიერება, ფესვები, მემკვიდრეობითობა, რომელიც ეროვნების არმქონე, აბსურდული კონგლომერატის, „საბჭოთა ხალხის“ საფუძველი გახდებოდა.

ტოტალიტარიზმს, მისი ლენინურ-ბოლშევიკური ფორმით, ერთი განმასხვავებელი არსებითი ნიშანთვისება ჰქონდა, რაც მის მრავალეროვნულობაში გამოიხატებოდა. საბჭოთა იმპერია წარმოადგენდა განსხვავებული ერებისა და ეროვნებების, კულტურისა და სუბკულტურების, სარწმუნოებისა და კონფესიების, ტრადიციებისა და ადათ-ჩვევების ძალისმიერი მეთოდებით შექმნილ გაერთიანებას. ტოტალიტარული სახელმწიფოს იდეოლოგიური სტრატეგია ამ მიმართულებითაც სტანდარტიზაციასა და უნიფიციაზე იყო დაფუძნებული. ასეთი ჭრელი „მოზაიკის“, ხშირ შემთხვევაში, ერთმანეთისათვის მიუღებელი ან დაპირისპირებული ისტორიის, კულტურის, განათლებისა და

ინტელექტის, სარწმუნოების, ერებისა და ეროვნებებისაგან უნდა შეექმნათ ერთი, სტანდარტული „საბჭოთა ხალხი“, რომელიც ადვილად შეითვისებდა და შეისისხლხორცებდა მონოიდეოლოგიის ძირითად პრინციპებს და სამართავადაც ადვილი იქნებოდა. პიროვნების ასეთი, ყალბი ინტერნაციონალიზმის მკაცრ ჩარჩოებში მოქცევა გამორიცხავდა ყოველივე ეროვნულის (რუსულის გარდა) გამომჟღავნებას საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში, განიხილავდა ასეთ მოვლენებს როგორც იდეოლოგიურად უცხოს, ინტერნაციონალიზმის პრინციპების ღალატს და უკომპრომისო ბრძოლას უცხადებდა უკიდურესი რეპრესიების ჩათვლით. თუმცა ისიც აუცილებელია აღინიშნოს, რომ ამ ძირითადი სტრატეგიული ხაზის განხორციელებას საბჭოთა იმპერიის სხვადასხვა ერებში განსხვავებული წარმატება ჰქონდა. იმ ქვეყნებში, სადაც ეროვნულ კულტურას ძლიერი მასაზრდოებელი ფესვები და სახელმწიფოებრიობის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება ჰქონდა და ძლიერი იყო მისი ტრადიციები, სადაც ინტელიგენციის ძირითადი და ყველაზე ავტორიტეტული ნაწილი, მიუხედავად იძულებითი რევერანსებისა რეპრესიული რეჟიმის მიმართ არსებითად ეროვნულ პოზიციებზე იდგა, ეროვნული მენტალიტეტის „საბჭოთა ხალხად“ ტრანსფორმაციის პროცესს დიდი წინააღმდეგობები ხვდებოდა და წარმატებებიც უმნიშვნელო იყო. ასეთ ქვეყნებს, საბჭოური ტოტალიტარიზმის სივრცეში, პირველ ყოვლისა, საქართველო განეკუთვნებოდა და ამით იყო განპირობებული ის დიდი მსხვერპლი, რაც ქვეყანამ და მისმა ინტელიგენციამ მასობრივი ტერორისა და რეპრესიების პირობებში გაიარა. თუმცა ეროვნულობისათვის ბრძოლაში ზოგჯერ, უფრო ტოტალიტარიზმის შერბილებულ ეტაპზე უსისხლოდაც აღწევდა წარმატებებს (გავიხსენოთ 1978 წელს

ახალი კონსტიტუციის პროექტში სახელმწიფო ენასთან დაკავშირებული ბატალიები).

სრულიად ბუნებრივია, რომ იმ ქვეყნებმა და ერებმა, რომლებშიც ეროვნული ტრადიციებისა და კულტურის მწვავე დეფიციტი იგრძნობოდა (ზოგი მხოლოდ ქმნიდა თავის დამწერლობას), სადაც სუსტი იყო ის ეროვნულ-კულტურული ბაზა, რომელიც „საბჭოთა ხალხად" (ფაქტობრივად რუსული კულ-ტურის ექსპანსიას იდეოლოგიზირებული ფორმით) ტრანსფორმაციას, საკუთარს, ხალხის ცნობიერებაში გამჯდარს არსებითს ვერაფერს უპირისპირებდა, წარ-მატებები ტოტალიტარულ იდეოლოგიას საგრძნობი ჰქონდა. ზოგადისტორიული და თუ გნებავთ ზოგად-სოციოკულტურული კანონზომიერება იმის შესახებ, რომ კულტურული (ფართო გაგებით) დამპყრობი სწრაფად იმორჩილებს ნაკლები კულტურის მქონე ხალხებს და არა მხოლოდ ძალის საშუალებით, ისევე როგორც ის, რომ უკულტურო დამპყრობი შეიძლება თავად მოექცეს კულტურული ერის ზეგავლენის სფეროში (ასე მოუვიდათ მონგოლებს საქართველოში), ტოტალიტარული საზოგადოების პირობებშიც მუშა-ობდა. ამრიგად, მიუხედავად დიდი მცდელობისა, არ იქნება სწორი ვილაპარაკოთ ცნობიერების საყოველ-თაო ტოტალიზაციაზე. ეს რომ საყოველთაო, ყოვ-ლისმომცველი ყოფილიყო, მაშინ ამდენი რეპრესიები, სისხლისღვრა, დახვრეტა, გადასახლება საჭირო აღარ იქნებოდა. როგორც ყველა სხვა მოვლენა, ცნობიე-რების მასობრივი ტოტალიტარიზაცია რეალურ ცხოვ-რებაში გაცილებით რთული და მრავალმხრივი იყო.

საბჭოთა იმპერიის ამ ზოგადი სტრატეგიული მიზნების მიღწევაში განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა მშრომელი მასების საშუალო ინტელექ-ტისა და მონაცემების, მაგრამ პროპაგანდისტული მანქანის მიერ დახატული „უმაღლესი ადამიანური ღირსების" წარმომადგენელთა წარმოჩინებას სახელი-

სუფლებო და პარტიულ სტრუქტურებში. საბჭოურ-ტოტალიტარულმა სისტემამ ასეთი მოღვაწეების შექმნის ინკუბაციური სისტემა ჩამოაყალიბა. აქ გათვალისწინებული იყო ყველაფერი – პარტიულობა, ეროვნება, ოჯახური წარმომავლობა, განათლება, სქესი, ასაკი, პიროვნული მახასიათებლები. ამ უკანასკნელში იგულისხმებოდა რუსული ენის ცოდნა არარუსი ფუნქციონერებისათვის; გარკვეული ორატორული მონაცემები (განსაკუთრებით უმაღლეს ინსტანციებში წარსადგენი კანდიდატურების); ესთეტიკური და ჰიგიენური აღზრდის ელემენტარული დონე; თავდაჭერილობა, რაც, პირველ რიგში, გულისხმობდა იმას, რომ ფორმალურ ხელისუფალს ფაქტიური ხელისუფლებისათვის მეტისმეტი პრეტენზიები არ წაეყენებინა (თუმცა გარკვეული პრივილეგიები განათლების მიღებაში, სოციალური პრობლემების მოგვარებაში მათთვის გათვალისწინებული იყო) და, რაც მთავარია, ერთგულება თავგანწირვის დონეზე არსებული რეჟიმის დასაცავად. ასეთი პიროვნება, რომელიც თავიდან შეიძლება პოპულარული და მისაღები ყოფილიყო თავის წრეში, როგორც კი ტოტალიტარული სისტემის „ჭანჭიკი“ ხდებოდა, კარგავდა ამ პოპულარობას და „ღამურის კომპლექსში“ იჩენდა თავს. სხვადასხვა შეკრებაში პრეზიდიუმში სისტემატური ყოფნა და საინფორმაციო საშუალებების მომაბეზრებელი ყურადღება, მაღალფარდოვანი, ხშირად უადგილო და მშრომელთა წრეში ნაკლებადპოპულარული ტერმინოლოგიის, მენტორულ-მბრძანებლური ტონის არაბუნებრივი გამოყენება და, რაც მთავარია, მისი უშუალო სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობა (ხშირად სხვები ასრულებდნენ მის სამუშაოს) იწვევდა გაუცხოებას მშრომელთა წრეში. პარტიულ-სახელმწიფოებრივ ბიროკრატიაში კი ის თავიდანვე უცხო სხეული იყო, არავითარ რეალურ სახელისუფლებო ბერკეტებს არ

ფლობდა და მხოლოდ ფასადის შელამაზებას ემსახურებოდა.

ტოტალიტარული რეჟიმების აგრესიული, რადიკალური, უკომპრომისო დამოკიდებულება განსაკუთრებული სიმწვავით გამომჟღავნდა რელიგიასა და მის მსახურებთან დამოკიდებულებაში.

ხელისუფლებაში მოსვლისთანავე გერმანულმა ტოტალიტარულმა რეჟიმმა მასობრივი რეპრესიების განხორციელება დაიწყო ქრისტიანული რელიგიის ყველა კონფესიის მიმართ, მაგრამ მისი ბრძოლა კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ განსაკუთრებული რადიკალიზმით ხასიათდება. ამ ბრძოლაში გამოყენებული იყო ყველა რეპრესიული მეთოდი, რელიგიური გამოცემების დახურვა და წიგნების განადგურება, რელიგიური ორგანიზაციების კანონგარეშე გამოცხადება. ეკლესიის მსახურების მასობრივი დაპატიმრება და მღვდელმთავრების ფიზიკური განადგურება.

ჰიტლერის რეჟიმის ქრისტიანულ ეკლესიასთან დამოკიდებულება ძოკლედ ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: მის იდეოლოგებს მიაჩნდათ, რომ ქრისტიანობა ხრწნის გერმანულ რასას; მისი ძირითადი პრინციპები, პატიება, მორჩილება და სხვ. გერმანული სულისათვის, მამაცთა და ნიჭიერთა რასისათვის მიუღებელია, რადგან ის ებრაელების მონაგონია; საფუძველშივე გამორიცხულია, რომ ერთდროულად იყო გერმანელიც და ქრისტიანიც. მათ მიუღებლად მიაჩნდათ იტალიელი ფაშისტების შემრიგებლური დამოკიდებულება ეკლესიასთან. ერთი სიტყვით, გერმანული ტოტალიტარიზმის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა ქრისტიანული მორალის, საერთოდ ქრისტიანული ცნობიერების ამოძირკვა საზოგადოების სულიერი ცხოვრებიდან და აქ თავისთავად დგება ლოგიკური დილემა – რას უნდა შეევსო ეს სიცარიელე. ამ შემთხვევაში, ისევე როგორც

საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტში, მათი თვალსაზრისი ძირითად ნაციონალისტურ კონცეფ-ციებში ჯდებოდა. ახალი რელიგიის ფუნდამენტი უნდა ყოფილიყო ძველი გერმანული, ქრისტიანობამდელი ადათ-წესები და ჩვეულებები, რომლებიც მიწის შვილების, ე.ი. გლეხების, ბუნებასა და სისხლშია შემონახული. მათ ახალი, მსოფლიო რელიგიის შექმნა ჰქონდათ გადაწყვეტილი, რომელიც ყველა არსებულ რელიგიას დაუპირისპირდებოდა და უზრუნველყოფდა კაცობრიობის ღვთაებრივი ერთიანობის მიღწევას. მა-ნამდე კი, სანამ გერმანული ტოტალიტარიზმი ამას მიაღწევდა, ბიბლიის როლს ჰიტლერის „ჩემი ბრძო-ლა“ შეასრულებდა.

ტოტალიტარიზმის დამოკიდებულება სარწმუ-ნოებასა და ეკლესიასთან განსაკუთრებული აგრე-სიულობითა და რადიკალიზმით ხასიათდება და აქ არც რელიგიურ და არც კონფესიურ მახასიათებლებს მნიშვნელობა არა აქვს. ტოტალური იდეოლოგიის ასეთი გააფრთებული შეტევა სარწმუნოებაზე იმით აიხსნება, რომ თავისი იდეოლოგია რელიგიის რანგში აიყვანა და იმისათვის, რომ ადამიანების ცნობიერების გაბატონებული და ერთადერთი მპყრობელი ყოფი-ლიყო, უნდა გამოეძევებინა ყველაფერი, რაც მანამდე კაცობრიობას გაუაზრებია ამ სფეროში. ტოტა-ლიტარული იდეოლოგია სახელმწიფომ რელიგიად აქცია თავისი პოსტულატებით და დოგმებით, წმინდა წიგნებით, წმინდანებით, ბელადებით, კაც-ღმერთებით, რომელთა მემკვიდრეობა არ ექვემდებარებოდა რაციონალური კრიტიკული ანალიზის საერთოდ მიღებულ წესებს. ქვეყნებისა და საზოგადოების წინაშე მდგომი მწვავე პრობლემების გადაწყვეტის გზები უნდა გვეძებნა არა რეალურ სინამდვილეში სხვა ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, არამედ 50–100 წლის წინათ სრულიად განსხვავებულ პირობებში დაწერილ კლასიკოსების ნაშრომებში.

ტოტალიტარულმა სახელმწიფო მანქანამ მის ხელთ არსებული მთელი შესაძლებლობები გამოიყენა საკუთარი მითოლოგიზირებული იდეოლოგიის შესაქმნელად, რომელიც განიხილებოდა როგორც ერთადერთი და სწორი რწმენა.

თანამედროვე დასავლეთის პოლიტიკურ და პუბლიცისტურ ლიტერატურაში, განსაკუთრებით იტალიაში, გერმანიაში, ესპანეთში მეცნიერები და მაღალი რანგის სახელმწიფო ჩინოვნიკების ერთი ნაწილი კულტურის ცნობილ მოღვაწეებთან ერთად ცდილობს ტოტალიტარული რეჟიმის გარკვეული ფორმების ან მთლიანად მისი არსებითი ნიშნების შერბილებული ინტერპრეტაცია მოგვცეს. ისინი ამტკიცებენ, რომ იტალიური ფაშიზმი გერმანულ ნაციზმთან და საბჭოთა ტოტალიტარიზმთან შედარებით უფრო რბილი, ნაკლებ კონფრონტაციული და ანტაგონისტური იყო ქვეყნის შიგნით და გარეთ. იტალიური ფაშიზმის გარკვეული ზომით რეაბილიტაციის ასეთი ცდები გამოჩნდა თანამედროვე იტალიის ორი დიდი წარმომადგენლის, ისტორიკოს რენცო დე ფელიჩეს და ფილოსოფოს აუგუსტო დელ ნოჩეს შრომებში. მუსოლინის მონუმენტალური ბიოგრაფიის (რომელიც 30 წლის განმავლობაში იბეჭდებოდა) ავტორი დე ფელიჩე ცდილობს ფაშიზმთან შემრიგებლური სურათი დახატოს და ამასთან დაასაბუთოს, ძირეული განსხვავება იტალიურ, ერთი მხრივ, და რუსულ-გერმანულ ტოტალიტარულ რეჟიმებს შორის. მისი არგუმენტაცია, პირველ რიგში, ეყრდნობა იმას, რომ ფაშიზმი მას წმინდა იტალიურ და არა საერთაშორისო ფენომენად მიაჩნდა. ამასთან, თუ გერმანული ნაციზმი „მემარჯვენე დიქტატურა“ იყო, რომელიც მიწას და რასას ეფუძნებოდა, იტალიური რეჟიმი „მემარცხენე დიქტატურას“ წარმოადგენდა, რომლის ფესვები საფრანგეთის რევოლუციის იდეალებიდან მომდინარეობდა და თვითგანვითარების და

თეითსრულყოფის ტენდენციებს შეიცავდა. დე ფელიჩეს მიაჩნდა (ის ცოტა ხნის წინ გარდაიცვალა), რომ იტალიური ფაშიზმი გამოხატავდა საზოგადოების ახალი ფენების ინტერესებს და ამის გამო ჰქონდა მოდერნიზაციის და ამ პროცესში ფართო მასების ჩაბმის უნარი, ქმნიდა საზოგადოებაში სახელმწიფოსა და სამოქალაქო მოვალეობის პატიეისცემის განწყობას. მყარ საზოგადოებრივ თანხმობაზე დამყარებული პოლიტიკური რეჟიმის დამხობა მხოლოდ გარეგანი ფაქტორების დახმარებით მოხდა (დამარცხება ომში), რასაც მოჰყვა სამოქალაქო ომი ორ, რაოდენობრივად შეზღუდულ ექსტრემისტულ ჯგუფებს, პარტიზან-ანტიფაშისტებსა და ფაშისტურ რესპუბლიკა სალოს შორის (სალო-მარიონეტული პროფაშისტური რესპუბ-ლიკა ჩრდილოეთ იტალიაში 1943-45 წლებში, ო.გ.).

დე ფელიჩეს ამ ისტორიულ-პოლიტოლოგიურ ანალიზს პრინციპულად ეთანხმება კათოლიკური ინტეგრალიზმის დიდი წარმომადგენლის, დელ ნოჩეს კულტუროლოგიური კონცეფციები. ისიც განასხვავებს იტალიურ ფაშიზმს გერმანული ნაციზმისაგან და ამ უკანასკნელს უპირისპირებს საბჭოურ კომუნიზმს. მას მიაჩნია, რომ ნაციზმი პირდაპირ წინააღმდეგობაშია კომუნიზმთან, რადგან ის წარმოადგენს მის სარკი-სებურ ასახვას. დელ როჩეს XX საუკუნის „თავ-დაპირველ ცოდვად" მიაჩნია კომუნიზმი, რომელთან შედარებითაც ნაციზმი წარმოადგენს პარაზიტულ, მეორეხარისხოვან და შეზღუდულ ფენომენს, რადგან ნაცისტური მხეცობები იმ ჯაჭვის რგოლებია, რომ-ლებიც სათავეს ბოლშევიზმიდან იღებენ.

დაახლოებით ანალოგიური თვალსაზრისი იტა-ლიურ ფაშიზმზე, სულ ახლახანს, 2003 წლის სექტემბერში, ინგლისელ ჟურნალისტთან ინტერვიუში გამოთქვა იტალიის მთავრობის პრემიერმა ბერლუსკონიმ.

ცნობილ იტალიელ მეცნიერებთან და ხელი-სუფლების წარმომადგენლებთან კამათს არ ვაპირებთ. არც ბოლშევიზმის ტოტალიტარული სისტემის მი-მართ გვაქვს დადებითი ილუზიები. უბრალოდ, ისევ იტალიური წყაროებიდან მკითხველს განსჯისათვის რამდენიმე ციფრს შევთავაზებთ იმის გასარკვევად, რამდენად ჰუმანური იყო იტალიური ფაშიზმის საგარეო პოლიტიკა საბჭოთა ბოლშევიზმთან და გერმანულ რასიზმთან შედარებით. საგარეო აგრესიისა და გენოციდის მასშტაბები შეიძლება მართლაც თვალშისაცემად ნაკლებია, მაგრამ ჩვენ უპირველესად პოლიტიკური რეჟიმის ბუნება გვაინტერესებს და მხედველობაში გვაქვს მისი შესაძლებლობებიც.

1911 წლიდან 1932 წლამდე 20000 ლიბერიელი მოსპეს იტალიის ჯარებმა აფრიკაში. იგივე კონტინენტზე 1941 წლამდე მოსპეს 300000–400000 ეთიოპიელი, მათგან 12000 ქრისტიანული კოპტური ეკლესიის ღვთისმსახური. უფრო მეტი მასშტაბები ჰქონდა მათ მიერ განადგურებულ ხალხებს მეორე მსოფლიო ომის პერიოდში მთელს ევროპაში, მად-რიდიდან სტალინგრადამდე. იუგოსლავიაში მიმდინარე საომარი ოპერაციებით მთელი მსოფლიოსათვის ცნობილი კოსოვო, იტალიელებმა დაიკავეს მეორე მსოფლიო ომის დროს, რაც მუსოლონის ბალკანური გეგმის შემადგენელი ნაწილი იყო. ნიშანდობლივია, რომ იტალიის დღევანდელი ხელისუფლება ცდილობს თავის ხალხს, განსაკუთრებით ახალგაზრდობას, დაუ-მალოს. მათი წინაპრების მიერ ჩადენილი სამხედრო დანაშაულობანი. 1989 წელს ინგლისელების მიერ გა-დაღებული დოკუმენტური ფილმი, რომელიც იტა-ლიელების მხეცობას ეხებოდა ეთიოპიასა და იუგოსლავიაში, სპეციალურად ითარგმნა იტალიურად, მაგრამ დღემდე ვერ გავიდა ეთერში.

საფრანგეთში ორი, გერმანული და რუსული ტო-ტალიტარული სისტემის მსგავსების საკითხი დააყენა

ალენ ბენზანსონმა, რომელსაც შემდგომ მიმდევრები გამოუჩნდნენ. მათ შორის აღსანიშნავია ფრანსუა ფიურეს ნაშრომები „ერთი ილუზიის წარსული“, რომელიც რუსულადაც ითარგმნა და განსაკუთრებით „კომუნიზმის შავი წიგნი“.

ამ ნაშრომებში ფ. ფიურემ დააყენა კომუნიზმისა და ნაციზმის ურთიერთშეპირისპირების პრობლემა მათი მიზეზით გამოწვეული საკაცობრიო მსხვერპლის ანალიზის საფუძველზე. „შავი წიგნის“ ძირითადი პრობლემა არის იმ დანაშაულობების მხილება, რომლებიც ჩაიდინეს ტოტალიტარულმა რეჟიმებმა. დიდი ფაქტობრივი და სტატისტიკური მასალის მოშველიებით ავტორი ასკვნის, რომ კომუნიზმის დანაშაულობები დროისა და სივრცის განზომილებებით მისი ნებისმიერი ფორმით (რუსულ-საბჭოური, მაოისტური, კუბური და სხვ.) გაცილებით დიდი იყო, ვიდრე ნაციზმის დანაშაულები.

იქნებ ზედმეტიც იყოს ფრანგ ისტორიის პროფესორთან შეპასუხება, არც რუსულ-საბჭოური ტოტალიტარიზმის აპოლოგეტობა გვმართებს, მით უმეტეს იმ ერის წამომადგენლებს, რომლებმაც საკუთარ თავზე გამოსცადეს ამ რეჟიმის „მშვენიერებანი“, მაგრამ სამართლიანობისათვის ერთი რამ აუცილებლად უნდა ითქვას – შედარებითი ანალიზისას აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ ერთმა პოლიტიკურმა რეჟიმმა 70 წელი გაძლო, მეორემ მხოლოდ 12 და აქედან ნახევარი დიდ ომებს მოანდომა. ეს გარემოება არც ფრანგ მკვლევრებს გამორჩათ და არც საკუთარი ქვეყნის „დიადი საქმეების“ მიჩქმალვა უცდიათ. როგორც ფრანგი მკვლევარი ჟილ პერო მიუთითებს, კოლონიური საფრანგეთის მიერ წარმოებულ ომებში თუ მსხვერპლთა რაოდენობას დავითვლით (სეფიტში – 6000-დან 45000-მდე 1945 წელს, მაგადასკარზე – 80000 1947 წელს, ინდოჩინეთში 800000-დან 2 მილიონამდე 1945-1954 წლებში, ალჟირ-

ში 300000-დან მილიონამდე) და შევუფარდებთ ამ ქვეყნების მოსახლეობის საერთო რაოდენობას, საფრანგეთი აღმოჩნდა პირველი მეოცე საუკუნის ჯალათებს შორის, მიუხედავად მისი პოლიტიკური რეჟიმისა.

მაგრამ შევეშვათ სტატისტიკას და დაეუბრუნდეთ ტოტალიტარიზმის არსებით ნიშნებს.

ტოტალიტარიზმის პირობებში ცალკეული პიროვნება რჩება უზარმაზარი ძალადობის, ტერორის პროპაგანდისტული აპარატის პირისპირ, ერთი-ერთზე, რაც საყოველთაო კონფორმიზმის საფუძველი ხდება. ხალხი იქცევა ერთგვაროვან მასად, იღებს ბრბოს ატრიბუტებს, რასაც აძლიერებს მისი გლობალური დამოკიდებულება მმართველობის ინსტიტუტებზე, რაც ყოველდღიურ პოლიტიკაში მოქალაქეებზე ზრუნვის დემაგოგიური ფორმით ხორციელდება. ასეთი ტოტალური დამოკიდებულება მმართველობითი რეჟიმის სტრუქტურებზე პიროვნებაში კლავს ენერგიისა და საქმიანობის სტიმულებს, უკარგავს დამოუკიდებლობისა და პასუხისმგებლობის გრძნობას, მის ინტელექტუალურ ნაწილს ეუფლება ირონიულ-სკეპტიკური დამოკიდებულება რეალური სინამდვილისადმი და ნიჰილისტური აპათიის სხვა ნიშნები.

საყოველთაო ძალადობა, მასობრივი ტერორი დამახასიათებელია საბჭოთა ტოტალიტარული საზოგადოების ადრეული ეტაპისათვის და გამომჟღავნდა მთელი სოციალური ფენების, ჯგუფების, ერთეული პიროვნებების, ერებისა და ეროვნებების ფიზიკურ განადგურებაში, გადასახლებებში, ემიგრაციაში. ტოტალიტარიზმის განვითარების შემდგომ ეტაპზე, როცა ტოტალიტარული იდეოლოგია და პოლიტიკური კულტურა გახდა საზოგადოებრივი მენტალიტეტის განმსაზღვრელი ელემენტი, მასობრივი ფიზიკური ტერორი, როგორც პოლიტიკური კონტროლის ინსტრუმენტი, ძირითადად კარგავს თავის მნიშვნელობას. ამ ეტაპზე, როცა დამყარებულია და

განმტკიცებული მონოპარტიის, მისი ბელადების სახელმწიფოსა და საზოგადოებაზე ყოვლისმომცველი დიქტატი, მოსახლეობის დიდ ნაწილს წმინდად სწამს დასახული მიზნების მიღწევაში მათი ყოვლისშემძლეობა, „იძულებით მონა უკვე გახდა რწმენით მონა". მაგრამ ამ პირობებშიც მოსახლეობის, განსაკუთრებით მისი მოაზროვნე ნაწილის ცნობიერება გაორებულია – ის იძულებულია გარეგნულად ლოიალური იყოს არსებული რეჟიმის მიზნების მიმართ, მაგრამ რწმენით კრიტიკულია, ნეიტრალური ან ეწინააღმდეგება როგორც არარეალურს და უტოპიურს. როცა ასეთი განწყობა ვიწრო (ინტელიგენციის) სოციალური ჯგუფებიდან მოსახლეობის ფართო მასებისაკენ იკაფავს გზას, ეს უკვე ტოტალიტარიზმის დასასრულის დასაწყისია.

დასავლეთის პოლიტოლოგები და ისტორიკოსები, საბჭოთა სისტემის კრახის შემდეგ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ამ სისტემის ისტორიულ, პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ასპექტებს. მის უმნიშვნელოვანეს მახასიათებლებად მიაჩნიათ ერთპარტიული დიქტატურა, იდეოკრატია (კომუნისტური იდეოლოგიის ბატონობა), რეპრესიული განშტოებული აპარატი და საზოგადოებრივი ინიციატივის ჩახშობა. ამ პარადიგმის მკაფიო მაგალითია ცნობილი ისტორიკოსის მარტინ მალის ნაშრომი, რომელშიც საბჭოთა ისტორიის მთავარი შინაარსი განსაზღვრულია, როგორც „ჩვენი ასწლეულის დიდი უტოპიური ავანტიურა". რიჩარდ პაიპსი, რომელიც „ტოტალიტარული" პარადიგმის სათავეებთან იდგა, მთლიანად იზიარებს მ. მალის თვალსაზრისს იდეოლოგიისა და სახელმწიფო რეპრესიული აპარატის მნიშვნელობის შესახებ საბჭოთა ისტორიისათვის, მაგრამ ავსებს იმით, რომ საბჭოთა ტოტალიტარიზმის სათავეებს (წანამძღვრებს) ხედავს რუსული თვითმპყრობელობის უნიკალურ-ნაციონალურ ტრადიციებში და ასევე რუსული

ინტელიგენციის ტრადიციულ ორთოდოქსალურ თვისებებში, რამაც განაპირობა კიდეც 1917 წლის ოქტომბრის აქტიური უმცირესობის მიერ ორგანიზებული პოლიტიკური გადატრიალება.

შესაძლებელი იყო თუ არა საბჭოური ტოტალიტარიზმის თანდათანობითი ტრანსფორმაცია ლიბერალური ღირებულებების დამკვიდრებისაკენ – ამ პრობლემაზეც არ არის დასავლეთის პოლიტოლოგებში ერთიანი თვალსაზრისი.

1953 წლის შემდეგ დასავლეთში მეცნიერთა ერთმა ნაწილმა შესაძლებლად მიიჩნია საბჭოთა კავშირის რეფორმირება შიგნიდან მისსავე წიაღში და ამ მიზნით წამოაყენეს ორი მსოფლიო სისტემის კონვერგენციის ჰიპოთეზა, რასაც შეიძლებოდა შედეგად მოჰყოლოდა საბჭოური რეჟიმის დემოკრატიზაცია და საბაზრო ეკონომიკის ორიენტაციების გაძლიერება. ეს ჰიპოთეზა რეალობად მიიჩნიეს უფრო მოგვიანებით, პერესტროიკის პერიოდში, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ „მოდერნიზაციის“ საერთო თეორიის პრაქტიკული ხორცშესხმა, განსაკუთრებით მისი კონვერგენციის სეგმენტში ბევრში ეჭვს იწვევდა, მეცნიერულ აქტუალობას მაინც ინარჩუნებდა. ჯერი ჰაუ, ამ თვალსაზრისის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური პროპაგანდისტი, აღნიშნავს, რომ 1980-იან წლების შუა ხანებიდან, არა მხოლოდ პერესტროიკის ლიდერები, არამედ პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების ლიდერების უმრავლესობა იყვნენ საბჭოური „გაბურჟუებული“ პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები, რომლებმაც ბოლო მოუღეს სტალინიზმის „მაღალ ტოტალიტარიზმს“ და მასთან ერთად საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური მართვის სოციალისტურ მოდელს, კომუნისტური იდეოლოგიის და ერთპარტიულობის ბატონობის რეჟიმს პერესტროიკის პერიოდში.

მეცნიერთა მეორე ნაწილის ნაშრომებში „ტოტალიტარული“ პარადიგმების ჩარჩოებში საბჭოთა კავ-

შირის კრახი წარმოდგენილია როგორც საზოგადოების და სახელმწიფოს გარდაუვალი შედეგი, რადგან დაფუძნებული იყო მცდარ (ანტილიბერალურ) პრინ-ციპებზე. საბჭოთა რეჟიმის იდეოკრატიული ხასიათი და უმცირესობის (ნომენკლატურის) დიქტატურა მკვლევრების ერთ ნაწილს საფუძველს აძლევს დაასკვნას, რომ საბჭოთა კავშირის რეფორმირება პრინციპულად შეუძლებელი იყო აბსოლუტურად არაადეკვატური შეიარაღების ზრდისა და საინფორ-მაციო რევოლუციის პირობებში. ამ თეზისიდან გამომდინარეობს ისიც, რომ შეუძლებელი იყო საბ-ჭოთა ხელმძღვანელობას უარი ეთქვა რეპრესიულ სისტემაზე (უმცირესობა სხვანაირად ვერ დაიმორ-ჩილებს უმრავლესობას), შეუძლებელი იყო კომუნიზმის ეკონომიკური პრინციპების შეხამება ეკონომიკის ლიბერალიზაციასთან, მრავალპარტიულობასთან და პოლიტიკურ პლურალიზმთან. ყოველივე ამის საფუძველზე მიაჩნიათ, რომ საბჭოთა პოლიტიკური რეჟიმის ტრანსფორმაცია ლიბერალურ-დემოკრატიუ-ლი ღირებულებების დამკვიდრებისაკენ აღემატებოდა ამ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკური სისტემის სხვა სისტემებთან კონვერ-გენციის შესაძლებლობას მათი პოლარული კონფრონ-ტაციულობის გამო.

გარდა კლასიკური ტოტალიტარული სახელ-მწიფოებისა (იტალია, გერმანია, სსრ კავშირი) მისი ნიშნები XX საუკუნეში სხვადასხვა ზომით შეინიშ-ნებოდა ესპანეთში (თუმცა ზოგი მეცნიერი ფრანკოს რეჟიმს უფრო ავტორიტარულად თვლის); 30-40-იანი წლების იაპონიაში, პორტუგალიაში (ა. სალაზარის რეჟიმსაც ზოგი ავტორიტარულად მიიჩნევს); არგენ-ტინაში (პერონის რეჟიმი – 40-50-იან წლებში); საბერძნეთში („შავი პოლკოვნიკების" მმართველობა 60-იან წლებში), სამხრეთ აფრიკის, უგანდის, ნიგერიის,

კონგოს, ბრაზილიის, ჩილეს მმართველი რეჟიმების ცალკეულ პერიოდებში.

ავტორიტარიზმი. პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენში ჯერ კიდევ ხშირია შემთხვევები, როცა მასმედიის წარმომადგენლები, ზოგჯერ პოლიტიკოსებიც კი, განსხვავებული შინაარსის ცნებებს ერთმანეთისაგან ვერ ასხვავებენ.

პოლიტიკური ტერმინოლოგიის ასეთ რიგს განეკუთვნება ტოტალიტარიზმი და ავტორიტარიზმი, რომლებიც გარკვეული პოლიტიკური რეჟიმის დახასიათებისას ხშირად გამოიყენება როგორც ერთმნიშვნელოვანი ცნებები.

XX საუკუნის 80-90-იან წლებში არსებითად გაიზარდა პოლიტიკური და სამეცნიერო წრეების ინტერესი ავტორიტარიზმისადმი, რადგან ზოგმა სერიოზულმა ავტორმა მასში დაინახა ტოტალიტარიზმიდან დემოკრატიაზე თანდათანობითი გადასვლის ისტორიული ფორმა. დემოკრატიის სწრაფმა იმპორტმა მისთვის აუცილებელი წანამძღვრებისა და წინაპირობების გარეშე, მართლაც ბევრი გაუთვალისწინებელი შედეგი და ანარქიული სიტუაცია შექმნა.

„პერესტროიკის" პერიოდში საბჭოურ შედარებით დამოუკიდებელი პრესის ფურცლებზე დაიწყო მსჯელობა ტოტალიტარიზმის თანდათანობითი, ევოლუციური დემოკრატიზაციის შესახებ. ერთდროულად ამერიკელი ნეოკონსერვატიზმის ცნობილმა იდეოლოგებმა (ჯ. კირპატრიკი და სხვ.) ტოტალიტარული საზოგადოებების დემოკრატიზაციის საწყის ეტაპად „განათლებული" ავტორიტარიზმის ფორმა მიიჩნიეს. ამ მოდელით გარდამავალ პერიოდში ჩამოყალიბდებოდა დემოკრატიული ინსტიტუტები, სამოქალაქო სექტორის წანამძღვრები, მოსახლეობის მენტალიტეტი გარკვეულწილად შეივსებოდა დემოკრატიულ-ლიბერალური ორიენტაციებით და საფუძველი შეექმნებოდა დემოკრატიზაციის შემდგომ პრო-

ცესს. თუ ტოტალიტარიზმის რადიკალური ნგრევის კატასტროფულ შედეგებს გავითვალისწინებთ, უნდა ვაღიაროთ, თუნდაც ჩვენი ქვეყნის მაგალითზე, რომ ამერიკელი პოლიტოლოგების შიში ტოტალიტარიზმიდან მმართველობის დემოკრატიულ ფორმაზე გადასვლის გარდამავალი პერიოდის გაუთვალისწინებელი და უმართავი პროცესების შესახებ, საფუძველს მოკლებული არ ყოფილა.

ავტორიტარული რეჟიმების ისტორიული ფორმები ურთიერთგანსხვავებულია და ძრავალფეროვანი: აბსოლუტური მონარქიები, დესპოტური, დიქტატორული რეჟიმები, სამხედრო ხუნტები, „ეროვნული ხსნის საბჭოები, კომიტეტები“ და სხვ. ათასწლეულების მანძილზე ავტორიტარული სისტემები ეყრდნობოდნენ ლეგიტიმაციის ტრადიციულ ფორმებს (მეფე, იმპერატორი, შახი და სხვა), რომლებსაც ქარიზმის მაღალი ხარისხიც პქონდათ. ამის გამო ასეთ მმართველობას ძალის გამოყენება არ სჭირდებოდა. XX საუკუნის მეორე ნახევარში, განსაკუთრებით კოლონიური იმპერიების რღვევის პროცესში ლეგიტიმაციის საფუძველი გახდა ნაციონალისტური იდეოლოგიები აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ბევრ ქვეყანაში. ავტორიტარულ-დიქტატორული რეჟიმები თავიანთ არსებობას დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში საკუთარი დამსახურებისა და ქვეყნის აღორძინების საბაბით ამართლებდნენ.

ავტორიტარული პოლიტიკური რეჟიმები უკანასკნელ პერიოდში ხშირად იყენებენ დემოკრატიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელ ინსტრუმენტებს – არჩევნებს, რეფერენდუმს, პლებისციტს, რომ რესპექტაბელურობა შეიძინონ საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში და ამით თავიდან აიცილონ უარეს შემთხვევაში ეკონომიკური სანქციები ან უკეთეს შემთხვევაში უცხოური ინვესტიციების შემცირება. ასეთი დემოკრატიული ფასადის შექმნა მათ საკუთარი

ხალხის წინაშე თავის მართლებისათვისაც სჭირდებათ. ავტორიტარულმა ან ნახევრადავტორიტარულმა რეჟიმებმა ასეთი მეთოდები გამოიყენეს მექსიკაში, ბრაზილიაში, სამხრეთ კორეაში, ჩილეში, თურქმენეთში და სხვ. სრულიად სამართლიანად მიუთითებს ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პოლიტიკური ანალიტიკოსი ფარიდ ზაქარია, რომ გერმანიაში დემოკრატიის გზით ტოტალიტარული რეჟიმის შექმნა გამონაკლისი არ არის და არსეენები არ შეიძლება ამ მხრივ პანაცეა იყოს. ფარიდ ზაქარია ამის თაობაზე აღნიშნავს, რომ დემოკრატიული პრინციპების ეფორმალურმა დაცვამ ხელი არ შეუშალა ს. მილოშევიჩს ავტოკრატიული რეჟიმის დამყარებაში ევროპის ცენტრში.

რა არსებითი განსხვავებაა ტოტალიტარულ და ავტორიტარულ პოლიტიკურ იდეოლოგიებსა და რეჟიმებს შორის? ესეც მრავალმხრივი და სერიოზული პრობლემაა, რომელიც, ბუნებრივია, განსხვავებული მიდგომებითა და ანალიზით ხასიათდება, მაგრამ ერთი, რაშიც მკვლევრები არ დაობენ, არის ის, რომ თუ ტოტალიტარიზმი გულისხმობს სახელმწიფოს შეღწევას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და მის ერთ თარგზე გადაწყობას, ავტორიტარული რეჟიმი პიროვნების განსჯისა და არჩევანის სფეროს აკუთვნებს სარწმუნოებას, ეკონომიკურ საქმიანობას, კერძო ოჯახურ საკითხებს, პროფესიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში საქმიანობას, ოღონდ ერთი პირობით, ეს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს, მით უფრო არ უნდა უპირისპირდებოდეს არსებულ პოლიტიკურ რეჟიმს. თუ ეს პირობა დაცულია, თუ პიროვნების პროფესიულ ან საზოგადოებრივ საქმიანობას არ აქვს ანტისახელმწიფოებრივი ხასიათი, ავტორიტარიზმი ნეიტრალურია არა მხოლოდ პირადი და ოჯახური ცხოვრების, შრომისა და დასვენების რეჟიმის, არამედ უფრო რთული ინფრასტრუქტურების

– ეკონომიკური ურთიერთობების, სოციალურ–კლასობრივი კუთვნილების, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის სტრუქტურების საქმინობის მიმართ.

ავტორიტარიზმის პოლიტიკური რეჟიმისათვის დამახასიათებელია ერთი პიროვნების ან პიროვნებათა ჯგუფის განუსაზღვრელი ძალაუფლება არა პოლიტიკურ სფეროებში პიროვნების ავტონომიის გარკვეული შენარჩუნებით.

სახელისუფლებო ვერტიკალის ორგანიზაციაში ავტორიტარული სისტემები ერთმანეთისაგან თავისუფლების მეტ–ნაკლები ხარისხით განსხვავდებიან. გენერალ პინოჩეტის სამხედრო–პოლიტიკური რეჟიმი ჩილეში, რეპრესიულ აპარატზე დაუფარავი დაყრდნობით და შესაბამისად ტერორისა და დევნის მასშტაბებით გაცილებით მკაცრი იყო, ვიდრე, ვთქვათ, ჩონ–დუ–ხვანის ან „შავი პოლკოვნიკების“ ავტორიტარული რეჟიმები სამხრეთ კორეასა და საბერძნეთში. ფრანკისტულ ესპანეთში კი ავტორიტარიზმის ელემენტების სპეციფიკური შესამებით ტოტალიტარიზმთან განსაკუთრებული ჰიბრიდული რეჟიმი ჩამოყალიბდა, რომელიც ძირითად ნიშნებში განსხვავდებოდა მანამდე არსებული ავტორიტარული და ტოტალიტარული რეჟიმებისაგან.

ტოტალიტარიზმის და ავტორიტარიზმის საერთო ნიშნები იმდენია, რომ მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა ხშირად მხოლოდ პირობითად არის შესაძლებელი. მათი ერთგვაროვნების საფუძველია ის, რომ ორივე პოლიტიკური რეჟიმის პირობებში პიროვნებას ან პიროვნებათა ჯგუფს უნდა ჰქონდეს განუსაზღვრელი, ყოვლისმომცველი და აუცილებლად უკონტროლო ძალაუფლება. ხელისუფლების უზურპაციის განსაზღვრული დონე (მაღალი ან უმაღლესი) ორივე პოლიტიკური რეჟიმის უმთავრესი საფუძველია და ამ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა არ აქვს ასეთი

რეჟიმი არჩევნებში გამარჯვებით (ნაცისტური გერმანია) თუ სამხედრო-პოლიტიკური გადატრიალებით დამყარდა (საბჭოთა რუსეთი). უმაღლესი ხელისუფლების პერსონიფიცირებაც ორივე დიქტატორული რეჟიმის არსებითი დამახასიათებელი ნიშანია. გერმანიის ნაცისტური რეჟიმი, რუსეთის ბოლშევიკური დიქტატურა წარმოუდგენელია ჰიტლერის, ლენინის, სტალინის გარეშე. ასევე ფრანკოსა და სალაზარის გარეშე ესპანეთისა და პორტუგალიის ავტორიტარული დიქტატურები. ავტორიტარული პოლიტიკური სისტემა იმდენად დატვირთულია ტოტალიტარული პოლიტიკური ინფრასტრუქტურისათვის აუცილებელი მახასიათებლებით, რომ ხშირ შემთხვევაში პოლიტიკურ მეცნიერებაში საკამათო ხდება იმის დადგენა, რომ, მაგალითად, სალაზარისდროინდელი პორტუგალია ავტორიტარული იყო თუ ტოტალიტარული. აზრთა სხვადასხვაობა ამ შემთხვევაში სრულიად ბუნებრივია, რადგან ორივე პოლიტიკურ რეჟიმს ერთიანი, დიქტატორული ტიპის პოლიტიკური კულტურა, მონოპოლიტიკური იდეოლოგია უდევს საფუძვლად და არსებითად ერთი პოლიტიკური სისტემის ორი მოდელია.

დასავლეთში ისტორიკოსების და პოლიტოლოგების ნაწილი იმასაც ამტკიცებს, რომ უკანასკნელი სამი ათეული წლის განმავლობაში საბჭოური პოლიტიკური სისტემა უფრო ავტორიტარიზმის ნიშნებით ხასიათდებოდა, ვიდრე ტოტალიტარიზმის.

ავტორიტარული პოლიტიკური სისტემის ანალიზისას, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ რიგმა სახელმწიფოებმა (სამხრეთ კორეა, ჩილე, ჩინეთი, ვიეტნამი და სხვ.) პრაქტიკულად დაამტკიცეს თავისი სისტემების ეკონომიკური და სოციალური ეფექტიანობა, ეკონომიკურ სერიოზულ მიღწევებთან ერთად უზრუნველყვეს ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობა, ძლიერი ხელისუფლების პირობებში

ეკონომიკური თავისუფლების და სოციალური უზრუნ-
ველყოფის გარკვეული დონე. ეს რეჟიმები შეთავ-
სებადი აღმოჩნდა ეკონომიკურ, სოციალურ, კულტუ-
რულ პლურალიზმთან და ბევრ ქვეყანაში მართლაც
შეამზადა საფუძველი დემოკრატიული საზოგადოების
საფუძვლების დაჩქარებული მშენებლობისათვის.

ტოტალიტარული, ან ტრადიციულ-ლეგიტიმური
ტოტალიტარული (მესამე სამყაროს ქვეყნებში) რე-
ჟიმების დემოკრატიზაციის ფორმებისა და ტემპების
შესახებ დავა დღესაც გრძელდება. ამ მხრივ
მკითხველისათვის საინტერესო უნდა იყოს ფარიდ
ზაქარიას თვალსაზრისი, რომელიც აშშ-ს პოლიტიკის
ერთ-ერთ ყველაზე ორიგინალურ ანალიტიკოსად
ითვლება და გავლენიანი ჟურნალის „ნიუსიუკის"
მთავარი რედაქტორია. სულ ახლახან გამოცემულ
თავის ნაშრომში „თავისუფლების მომავალი" (2003 წ.)
ტოტალიტარული საზოგადოებიდან და მესამე სამ-
ყაროდან გამოსული ქვეყნებისათვის საინტერესო
(თუმცა ბევრისთვის საკამათო) მოსაზრებებს გამო-
თქვამს. მას მიაჩნია, რომ მსოფლიოს პერიფერიებში
დემოკრატიული საზოგადოებების მშენებლობა არ
უნდა ატარებდეს „დაუყოვნებლივი დემოკრატიზაციის"
ხასიათს. ტრადიციული გაგებით, მიაჩნია ფ. ზაქარიას,
უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ეკონო-
მიკური წარმატებები იმ ქვეყნებში, სადაც ჭარბობს
მმართველობის ავტორიტარული მეთოდები, გაცილე-
ბით უფრო შთამბეჭდავია, ვიდრე იმ ქვეყნებში, სადაც
პოლიტიკური სფეროების რეფორმირება სწრაფი
ტემპით წარიმართა, მაგრამ მხოლოდ ეკონომიკაში არ
არის „სწრაფი დემოკრატიზაციის" საფრთხე. მას
მიაჩნია, რომ არაბული სამყაროს სწრაფ დემოკ-
რატიზაციას შეიძლება ძალიან სახიფათო პოლიტი-
კური შედეგები მოჰყვეს, რადგან დემოკრატიული
არჩევნების ჩატარებას ბევრ ქვეყანაში ისლამისტების
(შეიძლება ფუნდამენტალისტების) ხელისუფლებაში

მოსვლა და ის მცირე ვესტერნიზაციის ტენდენციებიც უჩერდეს, რომლებიც დღეს სახეზეა.

ასევე კატეგორიული, ორიგინალური და საკა-მათოა თვით აშშ-ში მიმდინარე პოლიტიკური პროცე-სების ფ. ზაქარიასეული ანალიზი დემოკრატიასთან მიმართებაში. ის არსებითად განასხვავებს მე-20 საუკუნის დასაწყისის და დასასრულის პერიოდებში ამერიკული დემოკრატის არსებით ნიშნებს. მეოცე საუკუნის დასაწყისში ძირითადი მიზანი იყო „მსოფლიო გაეხადათ უფრო უსაფრთხო დემოკრატიისათვის", ხოლო საუკუნის ბოლოს „დემოკრატია გახდეს ნაკლებ სახიფათო მსოფლიოსათვის". ამ ორიგინალური თეზისის არგუმენტია ის, რომ ამერიკაში სწრაფად ვითარდება და გაბატონებულ მდგომარეობას აღწევს რაღაც არალიბერალური ტიპის დემოკრატია, ძლიერდება „დემოკრატიის მინიმუმის" პრინციპები და ამის გამო ამერიკას არ აქვს უფლება დანარჩენ სამყაროს ასწავლოს დემოკრატია, – მიაჩნია ფ. ზაქარიას.

ავტორიტარიზმის ისტორიული ფორმებისა და მოდელების გაანალიზების საფუძველზე პოლიტიკურ ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი მისი შესაძლო ტრანსფორმაციის ვარიანტებზე. ავტორიტარიზმი ახ-დენს პოლიტიკური სისტემის ნაწილობრივ ლიბერა-ლიზაციას, რაც გამოიხატება ხელისუფლების გან-საზღვრულ გადანაწილებაში ოპოზიციის სასარ-გებლოდ და ასეთ მოდელს ნახევრადშეჯიბრებითს უწოდებენ. ასეთ შემთხვევაში ქვეყანაში იქმნება დემოკრატიზაციის გარკვეული საფუძვლები. ავტორი-ტარიზმის პოლიტიკურმა რეჟიმმა შეიძლება მიიღოს „ჩინური ლიბერალიზაციის" ფორმა, როცა მკაცრი მმართველი თაეიდან ოპოზიციასთან დიალოგზე და გარკვეულად კომპრომისზეც მიდის, შემდეგ ამკაცრებს რეპრესიულ ზომებს ოპოზიციის მიმართ და ამყარებს მკაცრ დიქტატურას, რამაც საბოლოო ანგარიშით

რეოლუციურ გადატრიალებამდე და სამოქალაქო ომამდე შეიძლება მიგვიყვანოს.

ტოტალიტარიზმისა და ავტორიტარიზმის რეალური გამოცდილება მიუთითებს ერთ, ჩვენი აზრით, უნიშვნელოვანეს ყურადსაღებ გარემოებაზე, რაც დღეისათვისაც აქტუალურია. კერძოდ ის, რომ ტოტალიტარული იდეოლოგია იმარჯვებს იქ, სადაც ხალხი (ქვეყანა) დამარცხებულია, შეურაცყოფილია, შეგინებულია; სადაც რევანშის წყურვილი ფარული თუ აშკარა ფორმით მოსახლეობის ფართო მასებს არის დაუფლებული; სადაც შელახული ეროვნული ღირსების აღსადგენად, მკაცრი ორგანიზაციისა და ერის გაერთიანების მიღწევის საბაბით დემოკრატიის მოთოკვა არის აუცილებელი. შემთხვევითი არ არის, რომ ფაშიზმი (ისევე, როგორც საბჭოური ტოტალიტარიზმი) ყველაზე მეტად იმ დოქტრინებსა და თეორიებს იყენებს, რომლებიც რასობრივ, ეთნიკურ, კლასობრივ ან რელიგიურ უპირატესობებს აღიარებენ. აქედან ერთი დასკვნა გამომდინარეობს – არც ნაციონალისტური, არც მარქსისტულ-ლენინური, არც რელიგიური იდეოლოგიები, რომლებიც სახელმწიფოებრიობის და საზოგადოების პოლიტიკური მოწყობის პრინციპად ერთი რომელიმე კლასის, ეთნოსის, ერის, რელიგიის („პროლეტარიატის", „არიელი" რასის, „ჭეშმარიტი მორწმუნეების", „ძირძველი მოსახლეობის" და სხვა) უპირატესობას აღიარებენ, თავისუფლად შეიძლება ტოტალიტარული იდეოლოგიის ნიშნები შეიძინოს. ფაშიზმის ისტორია, მისი აღმოცენება, აღმასვლა და დამარცხება სწორედ იმის გაფრთხილებაა, რომ მსოფლიო პოლიტიკურ ბაზარზე ამოუწურავი და უმდიდრესი იდეებიდან არ უნდა ავიღოთ ჩვენს შეირაღებაში აგრესიული, ექსტრემისტული იდეები, კონკრეტულ ისტორიულ ეპოქაში როგორი მომგებიანიც არ უნდა ჩანდეს. იდეები, რომლებიც ქვეყნის წარმატებას აფუძნებენ ქვეყნის შიგნით ერთი

სოციალური ჯგუფის სრული პრიორიტეტის და შესაბამისად სხვა ჯგუფების ინტერესების სრული იგნორირების, ან სხვა ქვეყნებისა და ხალხების ექსპანსიის, მათი დამარცხების ხარჯზე. ასეთი სიფრთხილე განსაკუთრებით საჭიროა სუსტი დემოკრატიული ინსტიტუტებისა და დეფიციტური პოლიტიკური კულტურის საზოგადოებებში (მათ რიცხვში, რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, საქართველოც ფულისხმება), რომ არ დაუშვას ძალადობის ზრდა, ერეოსული მილიტარიზმი, შოვინიზმი და სხვა გამოვლინებები იმ აგრესიული იდეოლოგიების, რომელთაც შეუძლიათ დაანგრიონ საზოგადოების ცივილიზირებული სტრუქტურები.

გაძწვავებული, უკუმპრომისო პოლიტიკური ბრძოლის პირობებში უნდა გვახსოვდეს, რომ ფროიდის ფსიქოანალიზურ თეორიაში დასაბუთებულია პიროვნებაში არსებული ძლიერი შეამბანე პოტენცია, რომელიც უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ ნაწილობრივ მუნრუჭდება საზოგადოებრივი ღირებულებების ათვისებით.

ტიტოიზმი. ლიტერატურაში ტოტალიტარიზმის ისტორიულ ნაირსახეობად განიხილავენ ტიტოიზმს, რომელმაც სახელწოდება იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის გენერალური მდივნის, ხოლო შემდეგ პრეზიდენტის იოსიფ ბროზ ტიტოსაგან მიიღო. განსხვავებით ტოტალიტარიზმის გერმანულ-საბჭოური მოდელებისაგან, ტიტოიზმი რბილი, ნაკლებად აგრესიული პოლიტიკური სისტემაა, რომელიც არ გამორიცხავდა კაპიტალისტურ სამყაროსთან მშვიდობიან თანაარსებობას და თანამშრომლობას.

იმ გარემოებამ, რომ იუგოსლავიამ თავიდანვე უარი განაცხადა მის ტერიტორიაზე საბჭოთა კავშირის ჯარების განლაგებაზე, საშუალება მისცა ეწარმოებინა დამოუკიდებელი საშინაო და საგარეო პოლიტიკა, უარი ეთქვა ტოტალიტარული იდეო-

ლოგიის განსაკუთრებულ აგრესიულ პოსტულატებზე. სოციალიზმის იუგოსლავიური მოდელი არ იყო მიმართული საგარეო მტრების ან ქვეყნის შიგნით სოციალურ კლასებთან დაპირისპირების, მათი განადგურების იდეოლოგია. მაგრამ რადგან მას მოწინააღმდეგე სოციალიზმის მშენებლობაში მაინც სჭირდებოდა, ასევად გამოცხადდა ქვეყნის ბიუროკრატია ზოგადად. ამ მოდელის მნიშვნელოვანი კომპონენტებიდან იმის აღნიშვნაც შეიძლება, რომ დაშვებული იყო საბაზრო ეკონომიკის ზოგი სეგმენტი და სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნებთან შედარებით შეზღუდული ფუნქცია ეკისრებოდა კომუნისტურ პარტიას.

სოციალიზმის იუგოსლავურმა გზამ, მისმა კომპრომისულმა ხასიათმა, აგრეთვე გარკვეულ პირობებში ტიტოს პიროვნულმა აუტორიტეტმა, რაშიც მნიშვნელოვანი როლი მისმა საერთაშორისო-პოლიტიკურ ბლოკებისადმი მოუმხრობლობამ ითამაშა, საშუალება მისცა მიეღო სერიოზული კრედიტები დასავლეთისაგან, აგრეთვე გარკვეულ პერიოდში (ნ. ხრუშჩოვის ეპოქა), ურთიერთობის დროებით დათბობის პირობებში საბჭოთა კავშირისაგანაც. ამ დახმარებებმა, აგრეთვე გარკვეული ზომით საბაზრო ეკონომიკის დაშვებამ, შესაძლებლობა მისცა იუგოსლავიაში მიეღწიათ მოსახლეობის უფრო მაღალი კეთილდღეობის დონისათვის, ვიდრე სოციალიზმის ბანაკის სხვა ქვეყნებში, თუმცა ვერ მიუახლოვდა განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებს ყველა პარამეტრით.

მაოიზმი. ტოტალიტარული პოლიტიკური რეჟიმის ნაირსახეობა, რომელიც მოქმედებს ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, მაო-ძე-დუნის მიერ შექმნილი სოციალიზმის სახელწოდებიდან.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ჩინეთში ჩამოყალიბებული მაოისტური იდეოლოგია არსებითად გან-

სხეავდებოდა საბჭოურისაგან იმით, რომ უარყოფდა სოციალიზმის მშენებლობის საერთო კანონზომიერებებს და უპირატესობას ანიჭებდა ქვეყნის სპეციფიკიდან გამომდინარე მათ მიერ შემუშავებულ ჩინურ გზას.

მაოიზმის იდეოლოგიის უმნიშვნელოვანესი განმასხვავებელი ნიშანი იმაშიც მდგომარეობს, რომ სოციალისტური რევოლუციისა და შემდგომ სოციალიზმის მშენებლობის ისტორიული ძალა, ამ ისტორიული პროცესის ჰეგემონი იყო გლეხობა. მარქსიზმ-ლენინიზმი უმთავრესი პრინციპების ასეთი რეფიზია სრულიად ბუნებრივი და გასაგები იყო, რადგან არც სოციალისტური რევოლუციის (ფაქტობრივად სამოქალაქო ომის) და არც სოციალიზმის მშენებლობის საწყის ეტაპზე ამ ქვეყანაში გლეხობის გარდა სხვა მნიშვნელოვანი სოციალური კლასი ან ფენა არ არსებობდა. იმისათვის, რომ გლეხობამ სოციალიზმის მშენებლობის თავისი ისტორიული მისია შეასრულოს, ვალდებულია ხელი შეუწყოს ინტელიგენციისა და სხვა კონტრრევოლუციური ძალების ხელახალ აღზრდას, ჩანერგოს მათში რევოლუციური სულისკვეთება და ამ მიზნის მისაღწევად მაოიზმი სრულ სოლიდარობაშია კლასიკური მარქსიზმ-ლენინიზმის მთავარ სულისკვეთებასთან. შინაური მტერი მოძებნილია – გლეხობამ, როგორც რევოლუციის შემოქმედმა და ორგანიზატორმა ან თავიდან უნდა აღზარდოს, ან გაანადგუროს სხვა კლასები და სოციალური ფენები, რადგან სოციალიზმის მშენებლობას აუცილებლად თან სდევს კლასთა ბრძოლის უაღრესი გამწვავება.

კიდევ ერთი ასპექტი, რაც მაოიზმმა ისესხა ტოტალიტარული სოციალიზმისაგან, საგარეო აგრესია და ექსპანსიაა. ამ სფეროში მაოიზმის „დამსახურება“ ისაა, რომ რევოლუციის ექსპორტის ყველაზე ეფექტურ საშუალებად პარტიზანული ბრძოლის გააქტიურება გამოაცხადა და სადაც ხელი მიუწვდებოდა, არც მოქმედება დააკლო ამ მიმარ-

თულებით. სოციალიზმის ექსპორტის „პარტიზანული ბრძოლებით“ შელამაზებულმა მაოისტურმა დოქტრინამ ერთი პერიოდი გარკვეული რომანტიკული ელფერი შეიძინა და პოპულარული გახდა მსოფლიოს მრავალ რეგიონში მოქმედ ექსტრემისტთა, რევოლუციონერთა წრეებში. თუმცა ბოლო ხანებში მათი გავლენა და ბრძოლისუნარიანობა საგრძნობლად შემცირდა, მაგრამ მაინც არ შეიძლება ჩაითვალოს ისტორიის მიერ ჩამოწერილ მოძრაობად, რადგან ბევრ არასტაბილურ რეგიონებში მათი მომხრეები შემორჩენილია.

უკანასკნელ პერიოდში ჩინეთში მიმდინარე ღრმა ეკონომიკურმა და სოციალურმა ძვრებმა, აგრეთვე ქვეყნის ეკონომიკაში საბაზრო ელემენტების მომძლავრებამ (დენ-სიაო-პინის ხაზის გამარჯვებამ) და სეროიზულმა წარმატებებმა, მაოისტური იდეოლოგიის ზოგიერთი ასპექტის გარეგნულად' მოკრძალებული, მაგრამ არსობრივად სერიოზული რევიზია განიცადა. თუმცა ისიც ცხადია, რომ საბაზრო ეკონომიკის გამარჯვებამ ქვეყანაში ჯერჯერობით არსებითი ცვლილებები ვერ გამოიწვია პოლიტიკური ინსტიტუტებისა და რეჟიმის დემოკრატიზაციაში. ჩინეთის პოლიტიკური და სოციალური სტაბილურობა ბევრად არის დამოკიდებული ხელმძღვანელობის უნარზე, ისევე შედარებით უმტკივნეულოდ გადაჭრას პოლიტიკური პრობლემები, როგორც ეს წარმატებით განხორციელდა ქვეყნის ეკონომიკაში.

IV. სხვა იდეოლოგიები და მოძრაობები

სპეციფიკურად წმინდა ამერიკულ იდეოლოგიას და შესაბამისად მოძრაობას წარმოადგენს ლიბერტარიზმი.

ლიბერტარიზმი ეკონომიური, სოციალური, იდეურ-პოლიტიკური, მორალურ-ეთიკური იდეებისა და კონცეფციების ნაკრები იდეოლოგიაა, რომელსაც არც განსაკუთრებული ისტორია აქვს და არც ისეთი უდიდესი მოაზროვნეები ჰყოლია, როგორც სხვა იდეოლოგიებს. ამ იდეოლოგიაში მოხვდა სხვადასხვა, უძველ ჩამოყალიბებული და მრავალ ქვეყანაში აპრობირებული იდეები, პრინციპები და ამის გამო ამორფულ შთაბეჭდილებას ტოვებს. მისი საფუძველია კლასიკური ლიბერალიზმის დროინდელი უმთავრესი პრინციპი იმის შესახებ, რომ ადამიანი, როგორც თავისი ბედის ერთპიროვნული განმკარგავი ცხოვრების ყველა სფეროში შეიძლება საკუთარი სურვილებისა და შეხედულებების მისედვით საქმიანობდეს იმ დონემდე, რომ ძალადობრივად არ შეიჭრას მეორე ადამიანის ცხოვრებაში. ამ იდეოლოგიის გამჭოლი პრინციპიდან გამომდინარე, მათ რადიკალური იერარქია განსაზღვრეს პიროვნების დამოკიდებულების დონე და ხარისხი სახელმწიფო ინსტიტუტებთან. უფრო მეტიც, განსხვავებით ლიბერალებისაგან და ნეოკონსერვატორებისაგან, მათი დაპირისპირება სახელმწიფოსთან მტრულად შეიძლება შეეფასდეს. ისინი აკრიტიკებენ თანამედროვე კაპიტალიზმის საფუძვლებს. მათი მოთხოვნებია ინდივიდუალიზმისა და თავისუფლების აღდგენა, დამანგრეველი თავისუფალი ბაზრისა და კონკურენციის მისი თავდაპირველი, წმინდა სახით რეანიმირება და ასეთ მსჯელობებში არც სახელმწიფოს, მისი ინსტიტუტების ყოფნა-არყოფნის საკითხის დასმას გაურბიან.

ლიბერტარიანელებს ბევრი ავტორი ნეოკონსერვატორების ბანაკში განიხილავს (ან ნეომემარჯვენეებთან), მაგრამ მათი მოთხოვნები მეტად რადიკალურია და ზოგ ასპექტში, განსაკუთრებით სახელმწიფოსთან დამოკიდებულებაში სხვადასხვა ანარქიულ მიმდინარეობებს უახლოვდება. არ შეიძლება იმის თქმა, რომ ეს იდეოლოგია და მოძრაობა განსაკუთრებული პოპულარობითა და მასობრივობით სასიათდება. 1992 წელს კონგრესის არჩევნებში ლიბერტარული პარტიიდან 50-ზე მეტი კანდიდატი იყრიდა კენჭს, მაგრამ ვერც ერთი ვერ მოხვდა საკანონმდებლო ორგანოში.

ამერიკელები განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენენ იდეების და იდეალების პოლიტიკურ მენტალიტეტზე ზემოქმედების თვალსაზრისით. სხვა ქვეყნების ხალხების იდეალები წარმოადგენენ მათი ნაციონალური იდენტურობის საფუძველს და მისი წყაროა საერთო წინაპრები, რაც გარკვეული განვითარების ეტაპზე ხელს უწყობს მათ გაერთიანებას. ისტორიულად, სანამ ერები, ეროვნებები და სახელმწიფოები შეიქმნებოდა, არსებობდნენ მოსახლეობის გარკვეული ტერიტორიით შემოსაზღვრული მონათესავე ჯგუფები, რომლებიც შემდგომში გარკვეული ისტორიული, გეოგრაფიული, ეკონომიკური ფაქტორებისა და თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების ნიშნით ერთ ერად ყალიბდებოდნენ ხანგრძლივი ისტორიული ეპოქის მანძილზე. ამერიკის მოსახლეობა სრულიად განსხვავებული ეროვნებების ნაჯაარს, ერთობას წარმოადგენს, რომელთაც საკუთარი ქვეყნის სიძლიერე და პირადი მატერიალური კეთილდღეობის გრძნობა აერთიანებს. ამ ერთიანობის პოლიტიკური საფუძველი კი 1776 წელს დაფუძნებული იდეალებია, რომლებმაც შეაკავშირა, გააერთიანა და დასაბამი მისცა ამერიკელი ერის ჩამოყალიბების ხანგრძლივ,

მაგრამ უაღრესად დინამიკურ და წარმატებულ პროცესს.

პოლიტიკურ იდეოლოგიებზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით ქალთა უფლებების დამცველ მოძრაობებს, რომლებსაც თავისი თეორეტიკოსებიც ჰყავდათ და გარკვეულ დოქტრინებად ჩამოყალიბდნენ.

ფემინიზმი არის ქალებისა და მამაკაცების უფლებების გათანაბრებისათვის წარმოებული ყართო მოძრაობისა და სოციალურ-პოლიტიკური თეორიის საერთო სახელწოდება. ფემინისტური მოძრაობის პირველ ეტაპზე დასახული იყო ქალებისათვის საარჩევნო უფლებების მოპოვება, ამიტომ მოძრაობის მონაწილეებს სუფრაჟისტებს (ინგლისურიდან – ხმის უფლება) უწოდებდნენ. სუფრაჟიზმი აღმოცენდა ინგლისში XIX საუკუნის მეორე ნახევარში, მოგვიანებით კი გაერცელდა აშშ-ში, გერმანიაში, საფრანგეთში და მსოფლიოს მრავალ სხვა ქვეყანაში. საარჩევნო უფლებებისათვის ბრძოლაში წარმატება პირველად სკანდინავიელმა ქალებმა მოიპოვეს XX საუკუნის დასაწყისში.

სერიოზული ნაბიჯი გადაიდგა წინ 1918–1929 წლებში, როცა ქალებს საარჩევნო უფლება მიეცათ ბელგიაში, გერმანიაში, პოლონეთში, კანადაში, აშშ-ში და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში. სუფრაჟიზმის წარმატებებმა დროებით შეაჩერა ქალთა პოლიტიკური მოძრაობის საერთო განვითარება და მომდევნო თითქმის ორმოცი წლის განმავლობაში იგი ძილქუშის მდგომარეობაში იყო. გამოღვიძება ანუ „ქალთა აღორძინება“ 60-იან წლებში დაიწყო. მისი ეპიცენტრი გახდა აშშ, სადაც სწორედ ამ წლებში შეინიშნებოდა დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმის, პირველ რიგში კი, რასიზმის ლიკვიდაციისაკენ მიმართული დემოკრატიული პროცესების გააქტიურება. ქალთა მოძრაობამ ახალი, ხშირად რადიკალური ფორმები შეიძინა, რაც

მის სახელწოდებაშიც „ქალთა გამათავისუფლებელი მოძრაობა“ აისახა.

დღეს ბევრი ფიქრობს, რომ ფემინისტური იდეები ჯერ კიდევ აღორძინების ეპოქაში ჩაისახა. ზოგიერთ მკვლევარს პირველ ფემინისტად ძველი ბერძენი ფილოსოფოსი პლატონი მიაჩნდა. აღორძინების ეპოქაში შეიქმნა ქრისთინა დე ლიზანის და კორნელიუს აგრიპას პირველი ტრაქტატები, რომლებშიც აშკარად იყო საუბარი ქალის პიროვნების დათრგუნვაზე და მისდამი საზოგადოების უსამართლო დამოკიდებულებაზე.

ფემინიზმის განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპი საფრანგეთის დიდ ბურჟუაზიულ რევოლუციასა და მის შემდგომ პერიოდთან არის დაკავშირებული. 1792 წელს ოლიმპია დე გუჟმა, შეადგინა „ქალისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია“, რომელიც შეიცავდა ქალებისათვის სამოქალაქო, საარჩევნო უფლების მინიჭებისა და სახელმწიფო თანამდებობების დაკავების შესაძლებლობის მოთხოვნას. დაარსდა ქალთა ორგანიზაციები და კლუბები, რომლებიც კონვენტმა სულ მალე აკრძალა. თავად ოლიმპია დე გუჟი კი სიკვდილით დასაჯეს.

ფემინისტური თეორიების ჩასახვა და ჩამოყალიბება მნიშვნელოვანწილად მომზადებული იყო სოციალურ-ფილოსოფიური და პოლიტიკური კონცეფციებით. ამასთან დაკავშირებით, პირველ რიგში, აღსანიშნავია ჯონ ლოკის, ჟან-ჟაკ რუსოს და ჯონ სტიუარტ მილის ლიბერალური ფილოსოფია, რომლის ფარგლებში ვითარდება ადამიანის უფლებათა ძირითადი თეორიები.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს მე-20 საუკუნის შუა ხანებისა და დასასრულის თეორიები, რომლებიც სოციალურ და პოლიტიკურ კონტექსტში შეიძლება მათში სექსუალურობისა და ადამიანის სექსუალური ქცევის პრობლემების განხილვის საფუძველზე გავაერთიანოთ (ელის ჰავერლოქი, ზიგმუნდ ფროიდი, ვილ-

ჰელმ რაიხი, ჰერბერტ მარკუზე, ფრანკფურტის სკოლა, დერიდა, ფუკო და სხვ.) დღეს დასავლური ცივილიზაციის ყველა ქვეყანაში ქალების პოლიტიკური უფლებები, მათ შორის საარჩევნო ხმის უფლება დაკანონებულია, მაგრამ ფემინისტური მოძრაობა მაინც სიცოცხლისუნარიანი და აქტუალურია, რადგან პოლიტიკურ უფლებებში მამაკაცებთან გათანაბრებამ არ მოუტანა მათ ასეთივე თანაბარი პირობები სოციალურ სფეროებში – თანამდებობებში, ხელფასებში და სხვ.

ფემინიზმის განვითარების ახალი ეტაპი მე-20 საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო. ამ პერიოდში ფემინიზმის შიგნით ჩამოყალიბდა სამი ძირითადი მიმართულება: ლიბერალურ-რეფორმატორული, სოციალისტური და რადიკალური (ბეტი ფრიდმანი და მისი მიმდევრები).

ლიბერალურ-რეფორმატორული მიმართულება ძირითადად განაგრძობდა იდეებს, რომლებიც განმანათლებლობის ეპოქაში, მოგვიანებით კი მ. უოლსტონკრაფტის და ჯ.ს. მილის მიერ ყოთარდებოდა. ქალთა არათანასწორუფლებიანობის მიზეზს ფემინისტები გარკვეული სამოქალაქო და ოურიდიული უფლებების უქონლობაში ხედავდნენ. შესაბამისად, ამ პრობლემის გადაჭრის საშუალებად ისინი სოციალურ-ეკონომიკურ და სამართლებრივ რეფორმებს მიიჩნევდნენ.

სოციალისტურმა მიმდინარეობამ (ზალ აიზენსთანი, ლინდა გორდონი, მერი ო ბრაიენი და სხვ.), მარქსისტული და ფემინისტური შეხედულებების სინთეზი მოახდინა. ქალთა დისკრიმინაციის ძირითად მიზეზებად აქ კერძო საკუთრება და საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურა იყო მიჩნეული. ამგვარ იდეებს გამოთქვამდა ფ. ენგელსი ნაშრომში „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“. თუმცა ენგელსისაგან განსხვავებით, რომელიც დაუშვებლად თვლიდა პროლეტარულისაგან განცალ-

კევებულ, ქალთა მოძრაობის არსებობას, სოციალისტი ფემინისტები დაჟინებით მოითხოვდნენ ქალთა პრობლემების კლასობრივი და ზოგადი სოციალური პრობლემებიდან ცალკე გამოყოფას. დღესაც მომარქსისტო ფემინისტების ჯგუფი ქალების დისკრიმინაციას განიხილავენ როგორც კაპიტალიზმის საერთო ექსპლოატატორული ბუნებიდან გამომდინარე მოვლენას, რომ ქალები სამუშაო ძალის სარეზერვო არმიაა და მას იყენებენ იმისათვის, რომ მორჩილებაში იყოლიონ და სოციალური შანტაჟი განახორციელონ უფრო ორგანიზებული და აგრესიული ადამიანების „მეორე ნახევრის“, მამაკაცების მხრიდან. ამიტომ ქალების სრულ და ყოველმხრივ ემანსიპაციას ისინი უკავშირებენ სოციალურ რევოლუციებს და კაპიტალიზმის რევოლუციურ შეცვლას სოციალიზმით.

საზოგადოებაზე ზემოქმედების თვალსაზრისით ყველაზე გავლენიანია რადიკალური მიმართულება ფემინიზმში, რომელიც ეძიებს ზოგად, სიღრმისეულ საფუძვლებს. მათი აზრით, ისტორიული პატრიარქალური სისტემის, ქალებზე მამაკაცების დომინირების ბევრი ასპექტი კვლავ ძალაშია, მათი უფლებები შეკვეცილია და დარღვეული ბევრ ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში – სამსახურში მიღების და დაწინაურების, განათლების, პიროვნული ღირსებების დაცვისა და ზოგადად, საზოგადოებაში ქალის როლის და მნიშვნელობის დაკნინებით. დასავლური სოციუმების დომინანტური ძალა აგრესიული და თავკერძა უფროსი ასაკის მამაკაცები არიან, რომლებიც ექსპლოატაციას უწევენ მშვენიერ სქესს.

ფემინისტების გარკვეული ნაწილისათვის მიუღებელია ლიბერალური ტრადიცია და მისი ძირითადი ღირებულებები. ლიბერალიზმის სამართლიანობის თეორია, მიაჩნია სიუზან მოლერ ოკინს, ბრმაა იმ უსამართლობის მიმართ, რომელიც ოჯახში მამაკაცისა და ქალის შრომის დანაწილებაში არსებობს. მათი

კრიტიკის ობიექტია აგრეთვე ლიბერალიზმის მიერ დამკვიდრებული სხვაობა „შინაურსა“, ე.ი. კერძო ცხოვრების სფეროსა და „საზოგადოებრივს“, ე.ი. პოლიტიკური ცხოვრების სფეროებს შორის. მათ მიაჩნიათ, რომ „შინაური“ და „საზოგადოებრივი“, ისევე როგორც „პიროვნული“ და „პოლიტიკური“, არაფერით განსხვავდება ერთმანეთისაგან, რადგან ყველა ამ სფეროში ერთნაირად აქტუალურია ძალაუფლების პრობლემა. ფემინიზმის ზოგიერთი წარმომადგენელი საერთოდ უარყოფს სამართლიანობის ზნეობრივ ასპექტებს, როგორც მხოლოდ მამაკაცებზე ორიენტირებულ ღირებულებას და მას უპირისპირებს თანაგრძნობაზე დამყარებულ ფემინისტურ ეთიკას, რომელიც მათი რწმენით, წმინდა ქალურ ფენომენს წარმოადგენს.

ფემინისტური მოძრაობის ეფექტიანობაზე მეტყველებს საზოგადოებრივი ცნობიერების არსებითი ცვლილებები და დასავლეთის ქვეყნების პოლიტიკურ სტრუქტურებში მომხდარი რეალური ძვრები: ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში (პარლამენტების, მთავრობების და ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების ჩათვლით) და წარმოების მართვის სფეროში ქალთა წარმომადგენლობის ზრდა.

ფემინისტების გარკვეული ჯგუფის მიერ თავისი საპროტესტო აქციების გამოხატვის ექსტრავაგანტური და ნატურალურად გაშიშვლებული (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებითაც) ფორმის, აგრეთვე ლესბიანური ურთიერთობების გარკვეული პროპაგანდის გამო ქალთა უფლებებისათვის მებრძოლი აქტივისტების ზომიერი ნაწილი უკადრისობს ამ მოძრაობისადმი საკუთარ კუთვნილებას. მათი უმთავრესი მოთხოვნები საერთო დემოკრატიული და ლიბერალური ღირებულებების ჩარჩოებში ჯდება – ქალებისათვის პოლიტიკური უფლებების დაკანონების შემდეგ მათი პრაქტიკული რეალიზაციის მიღწევას, საზოგადოებრივი

ცხოვრების ნებისმიერ სფეროში მოსაქმეობას არჩევისა და კარიერის უფლებას დისკრიმინაციის გარეშე, ერთნაირი სამუშაოსათვის ერთნაირ ანაზღაურებას.

გენდერი. XX საუკუნის 70-იან წლებში წარმოიშვა საზოგადოებაში ქალთა ჩაგვრისა და დისკრიმინაციის მიზეზებისადმი სოციალურ-კულტურული ანუ ე.წ. გენდერული მიდგომის ტრადიცია. ამ მიმართულებით თეორიულ მუშაობას, როგორც დასავლეთში მიაჩნიათ, საფუძველი ჩაუყარა ფრანგმა ფილოსოფოსმა-ეგზისტენციალისტმა სიმონა დე ბოვუარმა თავის ნაშრომში „მეორე სქესი". სწორედ აქ დაისვა პირველად საკითხი კულტურაში ფემინურის - ქალურის დათრგუნვის შესახებ. მასში ნაჩვენებია, რომ საზოგადოება აკანონებს მამაკაცურს (მასკულინურს), როგორც პოზიტიურ კულტურულ ნორმას, ხოლო ქალურს (ფემინურს ანუ ნეგატიურს), როგორც ნორმიდან გადახრას ანუ რაღაც სხვას.

ქეით მილეთი თავის ნაშრომში „სექსუალური პოლიტიკა" ავითარებდა ბოვუარის ნააზრევს და წერდა კულტურაში ფემინურის დათრგუნვაზე, როგორც პატრიარქატის სოციალურ პოლიტიკაზე. ტერმინი „პატრიარქატი" ქეით მილეთის ნაშრომზე ბევრად უფრო ადრე მოიხსენიება, მაგრამ სწორედ მან მიანიჭა კულტურის ანალიზში ამ ტერმინს ძირითადი ცნების დატვირთვა. ქეით მილეთის გაგებით პატრიარქატი მამათა ძალაუფლება გახლავთ. ეს არის ოჯახური, იდეოლოგიური, პოლიტიკური სისტემა, რომელშიც ქალური ყოველთვის მამაკაცურს არის დამორჩილებული. ქალების დათრგუნვა მიმდინარეობს არა ბიოლოგიური განსხვავებებიდან, არამედ ფემინურის, როგორც მეორადის, სოციალურად დაკანონებიდან. პოლიტიკა სოციალური ძალაუფლების პარადიგმაა, რომელიც მოწოდებულია პატრიარქატის წესების შესაბამისად გააკონტროლოს ქალური სუბიექტურობა.

ცნება „გენდერი“ მომდინარეობს ბერძნული სიტ-ყვიდან „გენოს“ – წარმოშობა, გვარი, მემკვიდრე-ობითობის მატერიალური მატარებელი, დამბადებელი. აქედან გამომდინარე, მამაკაცების, ქალების და გარე-მოს ურთიერთკავშირის ანალიზს, უპირველეს ყოვლისა, საფუძველად უნდა დაედოს არა სქესის, არამედ გვარის გამოცდილება, სადაც ქალის სოციუმი მთლიანად სა-ზოგადოებრივი სისტემის ინტეგრალურ ნაწილად განიხილება. ამასთან სოციალური გამოკვლევების მე-თოდოლოგიის პოზიციიდან, ცნება „გენდერული ურთი-ერთობის“ შინაარსს ერთმნიშვნელოვანი განმარტება არა აქვს.

დასავლეთის ქვეყნებში „გენდერულ გამოკვლე-ვებს“ ხშირად აიგივებენ ცნებასთან „ქალთა პრობ-ლემების გამოკვლევები“. ფართო მნიშვნელობით ცნება „გენდერული ურთიერთობა“ სქესთა სოციალურად ორგანიზებულ ურთიერთობას ნიშნავს. გენდერი, როგორც პროცესი და მოვლენა, გულისხმობს სქესობ-რივი განსხვავების ნიადაგზე მამაკაცის მხრიდან ქალის ყოველგვარი ჩაგვრის ლიკვიდაციას. ფაქტობრივად ეს ტერმინი ასახავს სოციალურ–ეკონომიკურ ფონზე ქალთა და მამაკაცთა ურთიერთობის ფენომენს და შესაბამისად, მსოფლიოში. დამკვიდრდა, როგორც გარკვეული დირექტიული მიმართულება ქალთა უფ-ლებების დაცვის სფეროში. გენდერის მიზანია ქალის დაცვა სექსიზმისაგან, რაც სქესობრივ დისკრიმინაციას, ანუ ერთი სქესის მეორეზე ბატონობას ნიშნავს.

გენდერული გამოკვლევები სულ უფრო დიდ ადგილს იკავებს საზოგადოებრივ–პოლიტიკურ თეორი-ებში. მსოფლიოში უკვე ჩამოყალიბდა მეცნიერული და პოლიტიკური მიდგომები ქალთა მოქალაქეობრივი და პოლიტიკური მონაწილეობისადმი, რომლებიც გენდე-რული გამოკვლევების და გენდერული პოლიტიკის სახელით არის ცნობილი. გენდერული გამოკვლევების და გენდერული ტექნოლოგიების ინსტიტუციონალი–

ზაცია საერთაშორისო აქტებით გამყარებულია გაეროს კომისიისა და გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებათა დონეზე.

სადღეისოდ გენდერული გამოკვლევები ერთ-ერთი თვალსაჩინო მიმართულებაა ქალის პოზიციიდან საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების შესწავლა. სოციოლოგიაში, პოლიტოლოგიასა და ისტორიაში ცნება „გენდერი" მუშავდება როგორც ფუნდამენტური მასტაბილიზებელი პრინციპი. გენდერული პოზიციიდან სოციალურ-პოლიტიკური პროცესების ინტერპრეტაციისათვის გამოიყენება სოციოლოგიური მოდელები, რომლებითაც აიხსნება სოციალური იდენტურობის ჩამოყალიბების პროცესი და მისი დროითი ცვლილებები, სოციალური ჯგუფების წარმოშობა და დაშლა უთანასწორობის პირობებში, გაბატონებული ჯგუფების კულტურული ჰეგემონიის დამყარება და შერყევა და სხვ.

ნორბერტ ელიასის და ნატალი ზენონ დევისის ნაშრომები საკმაოდ მრავალმხრივ წარმოდგენას ქმნის ახალ დროში ქალებსა და მამაკაცებს შორის დამყარებული ურთიერთობის მოდელის შესახებ. ამავე პრობლემას ეძღვნება ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსის ჯონ ჰაჯნალის სტატიები. მეტად მნიშვნელოვანია აგრეთვე სხვადასხვა რელიგიაში ქალის როლისა და სტატუსის გამოკვლევები, რომლებიც ჩაატარეს ნენსი შუსტერმა, სემუელ ჰელმანმა, ჯინა და ჯონ ბოუერებმა და სხვ.

გენდერის კონცეფციაში, როგორც სოციალურად კონსტრუირებულ, სიმბოლურად ინტერპრეტირებულ, ისტორიულად ცვალებად მოდელში, აშკარად ჩანს ფრანგი ფილოსოფოს პოსტმოდერნისტის ჟაკ დერიდას დეკონსტრუქციის თეორიის გავლენის კვალი. ტერმინი „დეკონსტრუქცია" ნიშნავს მეტაფორების ამოცნობის პროცესს, მათი იმ ფარული ლოგიკის გამომზეურებას, რომელიც ჩვეულებრივ არსებობს როგორც ცნებათა

ბინარული ოპოზიცია (მამაკაცი – ქალი, სუბიექტი – ობიექტი, კულტურა – ბუნება და ა.შ.). დერიდა გვიჩვენებს, რომ არ არსებობს წმინდა განსხვავებები დომინაციის გარეშე, ვინაიდან ამგვარ ოპოზიციაში ერთი მხარე ყოველთვის მეორეს არის დაქვემდებარებული. ტერმინი „დეკონსტრუქცია“ აღნიშნავს ზოგადად, ნებისმიერი ცნებისათვის, როგორც იდეოლოგიურად ან კულტურულად კონსტრუირებულისათვის ფარდის ახდას და არა უბრალოდ ბუნებრივი რეალობის ასახვას.

დერიდას თეორიამ დიდი გავლენა მოახდინა ფრანგული პოსტმოდერნისტული ფემინიზმის წარმომადგენლების – ჰოლენ სისუს, ლუსი ირიგარეის, იულია ქრისთევოის შეხედულებებზე. ფრანგულ ფემინიზმში გენდერის კატეგორიის ანალიზი დეკონსტრუქციის საშუალებით უფრო ეგზისტენციალური და მეტაფორული ხასიათისაა მაშინ, როცა ამერიკულ ფემინიზმში გენდერის კატეგორია სოციალურ და მეთოდოლოგიურ ფუნქციას ასრულებს. გენდერის კონსტრუქციულ კატეგორიაში სქესი კულტურული მეტაფორა ხდება და, როგორც ე. ფი აღნიშნავს, სულისა და ბუნების ურთიერთობას გადმოსცემს. სული მამაკაცია, ბუნება – ქალი, ხოლო შეცნობა აღმოცენდება როგორც ფლობის გარკვეული აგრესიული აქტი: პასიური ბუნება განიცდის განსხვულებას. ადამიანი მის სიღრმეებში შეაღწევს და დაიმორჩილებს. ადამიანის გაიგივება მამაკაცური სახის მქონე შემცნობ სულთან, ბუნებისა კი – დაქვემდებარებულ მდგომარეობაში მყოფ ქალთან ყოველთვის იყო და დღესაც არის დასავლეთის კულტურის მთავარი თემა.

*
* *

რა თქმა უნდა, ზემოაღნიშნული იდეოლოგიები არ ამოწურავს თანამედროვე პოლიტიკური ცხოვრების მთელ სულიერ სამყაროს. ადამიანების განწყობილებებზე ზემოქმედებას საკუთარ პოლიტიკურ პრინციპებზე ესწრაფვიან ის დოქტრინებიც, რომლებიც აშენებულია რელიგიური პოსტულატებისა და მარადიული ღირებულებების საფუძველზე. მათ შორის არის იდეოლოგიები, რომლებიც სამყაროს პოლიტიკურ სურათს დემოკრატიულ იდეალებს უკავშირებენ – ქრისტიანულ–დემოკრატიული, ქრისტიანულ–სოციალური (თავისი შინაარსით კონსერვატიულ–ლიბერალური) და ისეთებიც, რომლებიც ფუნდამენტალისტურ რწმენასა და პრინციპებზეა აგებული – ისლამური ფუნდამენტალიზმი, ორთოდოქსალური იუდაიზმი, სიქხიზმი და სხვ. დასავლეთისა და აღმოსავლეთის პოლიტიკურ სპექტრში, მართალია პატარა კუნძულის სახით ჯერ კიდევ შემორჩენილია ტოტალიტარული მარქსიზმის, ნეოტროცკიზმის, მაოიზმის, ანარქიზმის იდეოლოგიური რეციდივები.

პოლიტიკურ კონტინიუმზე ანარქიზმი მდებარეობს ტოტალიტარიზმის საწინააღმდეგო მხარეს, ანარქიზმი ეწინააღმდეგება ნებისმიერ ხელისუფლებას, როგორიც არ უნდა იყოს იგი. როგორც პოლიტიკური ფილოსოფია, ანარქიზმი ყველაზე მაღლა აყენებს თავისუფლებას იმის გამო, რომ ნებისმიერი ხელისუფლება გულისხმობს პიროვნული თავისუფლების რაღაც შეზღუდვას.

ამ ზოგადი და არასრული ჩამონათვალიდანაც აშკარაა, რომ დღეს ცივილიზებულ და არცთუ ასეთ სამყაროში მრავალი იდეოლოგიური მიმდინარეობა არსებობს და ეს ზოგ შემთხვევაში თანაარსებობაა, ხშირად კი ბრძოლა არსებობისათვის. ამოსარჩევი

სახელმწიფოებრივი ფორმირების პროცესში მყოფი საზოგადოებისათვის საკმარისზე მეტია, მაგრამ იმისათვის, რომ ეროვნული იდეალები სისხლხორ-ცეულად შეერწყას ზოგადსაკაცობრიოს და ზომაზე მეტად არ გაგვიტაცოს „უცხო ბაძის“ (ილია) მომძლავრებულმა კერპთაყვანისმცემლობამ, საჭიროა სრულად გავაცნობიეროთ ის ეროვნული ფესვები, პრინციპები და იდეალები, რომლებიც თანამედროვე იდეოლოგიის „ბალავრის ქვად“ (ილია) შეიძლება გამოდგეს.

V. პოლიტიკური იდეოლოგიების ტრანსფორმაცია და ტენდენციები

1. დეიდეოლოგიზაცია

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ „ცივი ომის“ პირობებში ანტიკომუნიზმი დასავლეთ ევროპის და ამერიკის პოლიტიკური მეცნიერების მთავარი თემა გახდა თეორიაშიც, სასწავლო-პედაგოგიურ პროცესშიც, გლობალურ პროპაგანდისტულ მუშაობაშიც. ტოტალიტარულ იდეოლოგიაზე და პოლიტიკურ სისტემაზე შეტევა თეორიულ ასპექტში რამდენიმე მიმართულებით ხორციელდებოდა და ამ მიზანს ემსახურებოდა „ერთიანი ინდუსტრიული საზოგადოების“, „კეთილდღეობის სახელმწიფოს“, „სოციალური პარტნიორობის“, „მესამე კლასის“ და სხვა თეორიები. ამ კონტექსტში განიხილებოდა „დეიდეოლოგიზაციის“ თეორიის ფართომასშტაბიანი პროპაგანდა დასავლეთში, რომელმაც 60-70-იან წლებში იდეოლოგიური დოქტრინების წინააღმდეგ ბრძოლის ხასიათი მიიღო. მართალია „დეიდეოლოგიზაცია“ იდეოლოგიის ყველა მიმართულების წინააღმდეგ იბრძოდა, როგორც ყალბი, ილუზიორული, ცრუ ცნობიერების გამომხატველის, მაგრამ რეალურად, თავიდანვე ანტიკომუნიზმის აქტიური შემადგენელი ელემენტი გახდა. ანტიკომუნიზმი ამ პერიოდში ახალ, გამძაფრებულ შეტევას იწყებს ტოტალიტარული სახელმწიფოების წინააღმდეგ და ამ ბრძოლის სათავეში პოლიტიკური მეცნიერების წარმომადგენლები გვევლინებიან. მათი დარტყმის მთავარი სამიზნე სწორედ კომუნიზმის ტოტალიტარული იდეოლოგია აღმოჩნდა, რადგან არცთუ უსაფუძვლოდ მიაჩნდათ, რომ კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლა სწორედ ვ.ი. ლენინის მიერ მრავალგზის შესწორებული და დამახინჯებული მარქსისტული იდეოლოგიის, როგორც სახელმწი-

ფეოერრიობის თეორიული საფუძვლების უარყოფით უნდა დაეწყოთ. უკვე გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში ამერიკის უნივერსიტეტებში მოღვაწე პოლიტიკური მეცნიერებების პროფესორებმა (ფ. შვარცი, კ. ჯანდა, ჯ. გიბსონი და სხვ.) დასავლეთის საზოგადოების წინაშე დააყენეს კომუნიზმის თეორიისა და პრაქტიკის ამომწურავი, ყოველისმომცველი კრიტიკის ამოცანა და თავადვე დაიწყეს ამ ამოცანის განხორციელება.

შემთხვევითი არ არის, რომ „დეიდეოლოგიზაციის" ერთ-ერთი აქტიური თეორეტიკოსი და ცნობილი მეცნიერი ე. ტოპიჩი „დეიდეოლოგიზაციის" აქტიურ პროპაგანდასთან ერთად ანტიკომუნიზმის პირველ რიგებში აღმოჩნდა 60-იან წლებში და მარქსისტულ-ლენინურ იდეოლოგიას უწოდებდა „რევოლუციურ მესიანიზმს", „იდეოლოგიურ ფანატიზმს", „ტირანიისა და ძალადობის ინსტრუმენტს".

„დეიდეოლოგიზაცია", პირველ ყოვლისა, მიმართული იყო მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების გავლენის შესუსტებისაკენ მთელ მსოფლიოში; მისი სტრატეგიული მიზანი იყო დაეჩლუნგებინა მშრომელთა მასების კლასობრივი ცნობიერება და ერთდროულად წარმოადგენდა იდეოლოგიური ექსპანსიის იარაღს - ასეთი იყო ამ მოვლენის შეფასება საბჭოთა საზოგადოებათმცოდნეობაში.

„დეიდეოლოგიზაციის" თეორიამ ფართო გავრცელება პოვა კაპიტალიზმის ეკონომიკური სტაბილიზაციისა და რიგ ქვეყნებში წარმატებული ტექნიკური და ტექნოლოგიური პროგრამების განხორციელების პირობებში. ამან საშუალება მისცა „დეიდეოლოგიზაციის" თეორეტიკოსებს (დ. ბელი, რ. არონი, კ. პოპერი, ე. ტოპიჩი და სხვები) ემტკიცებინათ, რომ „ინდუსტრიულ საზოგადოებაში" სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა, მისი არნახული ტემპებით განვითარებამ იდეოლოგიური ეპოქის დასასრული განაპი-

რობა, ხოლო იდეოლოგიებმა (ნებისმიერმა) დაკარგეს დარწმუნების ძალა და ავტორიტეტი ადამიანებზე; მასა გახდა ინდიფერენტული პოლიტიკური თეორიების მიმართ, რადგან თავიანთი მოთხოვნილებებისა და ინტერესების დაკმაყოფილების საშუალებები სხვა სფეროებში დაინახეს. „დეიდეოლოგიზაციის“ პროცესს ე. ტოპჩი უკავშირებს სამეცნიერო–ტექნიკურ და ტექნოლოგიურ პროცესს, სერიოზულ ცვლილებებს საბაზრო ეკონომიკის წამყვანი ქვეყნების სოციალურ–ეკონომიკურ განვითარებაში. მას მიაჩნდა, რომ მეორე მსოფლიო ომისშემდგომმა პროცესებმა, მშომელთა მატერიალური კეთილდღეობის განუხრელმა აღმავ–ლობამ შეამცირა დაძაბულობა სოციალურ კლასებს შორის საზოგადოებაში და საფუძველი გამოაცალა ყოველგვარ იდეოლოგიას.

უფრო მოგვიანებით, „დეიდეოლოგიზაციის“ პრობ–ლემატიკის დამუშავებაში ჩაერთო ამერიკის და ევროპის პოლიტიკური მეცნიერებების ელიტა, მისი ყველაზე ავტორიტეტული წარმომადგენლები. ევრო–პაში „დეიდეოლოგიზაციის“ თეორიის ძირითადი პრინციპები გადმოსცა გამოჩენილმა ფრანგმა პოლი–ტოლოგმა რ. არონმა თავის წიგნში „ოპიუმი ინტელექტუალებისათვის“, ხოლო ამერიკის შეერთე–ბულ შტატებში – მისი კონცეპტუალური პრინციპები ასევე დასავლური პოლიტიკური მეცნიერების ერთმა დიდმა ავტორიტეტმა დ. ბელმა. ამ ორი, „დეიდეოლოგიზაციის“ ევროპული და ამერიკული მიმართულებების შემდგომი დამუშავება, მისი მრავალ–მხრივი ასპექტების ანალიზი მოგვცა პოლიტიკური და სოციალური მეცნიერებების წარმომადგენელთა დიდმა ჯგუფმა (ს. ლიპსეტი, ე. შილსი, ჯ. გელბრეიტი, ა. შლეზინგერი, ზ. ბჟეზინსკი, გერმანული „ცოდნის ფილოსოფიის“ წარმომადგენლები და სხვები).

„დეიდეოლოგიზაციის“ თეორიის ამოსავალი წერტილი არის იდეა იდეოლოგიის დასასრულის შესა–

ხებ, რადგან იდეოლოგიამ, როგორც მომწიფებული საზოგადოებრივი პრობლემების დაყენებისა და გადაჭრის საშუალებამ, თავისი დრო მოჭამა. მათ მიაჩნიათ, რომ სამეცნიერო-ტექნიკური და ტექნოლოგიური რევოლუციების ეპოქაში ამ პრობლემების მოგვარება მეცნიერ-ექსპერტთა მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს უნდა ემყარებოდეს და არა იდეოლოგიურ დოგმებს. მათ გამოაცხადეს და ახალი არგუმენტებით გაამდიდრეს ჯერ კიდევ საუკუნის 20-იანი წლებიდან დაწყებული ანტიიდეოლოგიური არგუმენტები, მისი უტოპიურობის, ილუზიორულობის, კლასობრივი ბუნების, ყალბი ცნობიერების შესახებ. ამასთან ამ არგუმენტაციას საფუძვლად უდებდნენ ამ დროისათვის პოპულარულ პოზიტივისტურ მსოფლმხედველობას იმის შესახებ, რომ ადამიანებს დასკვნები უნდა გამოქონდეთ იმ ემპირიული მონაცემების საფუძველზე, რომლებიც მოპოვებულია საბუნებისმეტყველო და ტექნიკური მეცნიერებების მიერ. პოზიტივისტური შეხედულებების გაძლიერებამ, სამეცნიერო-ტექნიკური და ტექნოლოგიური წარმატებების არნახულმა დონემ, წმინდა პოლიტიკურ-პრაგმატისტულ მიზნებთან (ბრძოლა ანტიკომუნიზმის წინააღმდეგ) ერთად განაპირობა ბევრი ცნობილი მეცნიერის მისწრაფება, გადაეწიათ იდეოლოგიური სეგმენტი ადამიანების და საზოგადოების სულიერი ცხოვრების იერარქიის შორეულ პერიფერიაში.

იდეოლოგიის გავლენის შემცირება საზოგადოებრივ აზრზე, ტექნოკრატიული წარმოდგენების გავრცელება, რომლებიც უარყოფს სოციალური ღირებულებების ზეგავლენას პოლიტიკურ და ეკონომიკურ კავშირებსა და ურთიერთობებზე, მივყავართ პოლიტიკის დეიდეოლოგიზაციამდე.

„დეიდეოლოგიზაციის" პრაქტიკული შედეგებიდან, პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია ის, რომ პოლიტიკურმა ელიტამ ევროპასა და ამერიკის შეერთებულ

შტატებში პარტიულ საპროგრამო დოკუმენტებსა და წინასაარჩევნო პლატფორმებში იდეოლოგიურ პრინციპებთან და კონცეფციებთან დისტანცირება და უფრო პრაგმატულ სოციალურ და ეკონომიკურ ასპექტებზე სიმძიმის ცენტრის გადატანა დაიწყეს. შესაბამისად ასეთი ხასიათის დოკუმენტებისა და ლიდერების გამოსვლებში ნაკლებად იყო და არის ლაპარაკი ზოგად თეორიულ პროპლემებზე, საზოგადოების რადიკალური გარდაქმნის პროგრამებზე და აქცენტი გადატანილია არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და პოლიტიკური პროცესების მართვის გაუმჯობესების, სრულყოფის, რეფორმირების, მოდერნიზაციის არარევოლუციურ მეთოდებზე. განვითარებული დემოკრატიის, მაღალი ეკონომიკური დონისა და შესაბამისი მატერიალური უზრუნველყოფის ქვეყნებში მხოლოდ გამონაკლისი სახით შეიძლება სერიოზული პოლიტიკური ამბიციისა და საფუძვლიანი პრეტენზიის მქონე პოლიტიკურმა ლიდერმა თავისი პოლიტიკური კარიერა დაუკავშიროს მარქსისტების, ლენინელ-ბოლშევიკების, ტროცკისტების, ანარქისტების, ფაშისტების, რელიგიური ფუნდამეტალისტების, რადიკალი ფემინისტების ან ეკოლოგისტების პოლიტიკურ დოქტრინებს. ამგვარმა ტენდენციამ განაპირობა ის გარემოება, რომ 50-60-იანი წლების მიჯნაზე და უფრო შემდგომ პერიოდში დასავლურ პოლიტიკურ ლიტერატურაში ინტენსიურად დაიწყო „იდეოლოგიის დასასრულზე" საუბარი. ინდიფერენტიზმი ყოვლისმომცველი და ყოვლისამხსნელი იდეოლოგიებისადმი ამ პერიოდის არსებითი დამახასიათებელი ნიშანია.

მიუხედავად ყოველივე ზემოაღნიშნულისა, დღესაც დასავლეთის პოლიტიკოსთა უმრავლესობა თავისი მიდგომებით, სიმპათია-ანტიპათიებით ხასიათდებიან როგორც ლიბერალები, კონსერვატორები, სოციალ-დემოკრატები, ქრიატიან-დემოკრატები და ა.შ. ასეთი

კლასიფიკაციის კრიტერიუმი, ეჭვგარეშეა, არის იდეოლოგიური საფუძვლები. ამის გამო გარდამაყალი პოლიტიკური სისტემისა და ტრანსფორმირებადი პოლიტიკური კულტურის ქვეყნებში, როგორსაც დღეევანდელი ჩვენი ქვეყანა წარმოადგენს, უმჯობესია ვილაპარაკოთ არა ახალ, დეიდეოლოგიზაციაზე, არამედ იდეურ-პოლიტიკური მიმდინარეობების, მიდგომების, მეთოდოლოგიური პრინციპების პლურალიზმზე, მათ თანაარსებობაზე, ურთიერთმოთმინებასა და ურთიერთშეღწევაზე, ღია პოლემიკაზე.

ასეთი მიდგომა თავისთავად გულისხმობს, რომ თუმცა პოლიტოლოგთა ერთი ნაწილი უარყოფს იდეოლოგიას, როგორც კვლევის ინსტრუმენტს ან მის ამოსავალ საფუძველს, მაინც აუცილებლად თვლის იდეოლოგიის, როგორც პოლიტიკური სამყაროს განუყოფელი ნაწილის შესწავლას. თუმცა, როგორც შემდგომ ვნახეთ, ეს არ არის ერთადერთი და გაბატონებული თვალსაზრისი.

პოსტსაბჭოური მენტალიტეტის საზოგადოებისათვის, განსაკუთრებით კი საშუალო და უფროსი ასაკის თაობებისათვის პოპულარული და აპრობირებული იდეოლოგიების ძიება უფრო მისაღები და ბუნებრივია, ვიდრე დეიდეოლოგიზაციის ეს უკვე მოძველებული მოთხოვნები, რასაც ჩვენში ჰქონდა და აქვს ადგილი.

2. რეიდეოლოგიზაცია

„რეიდეოლოგიზაციის" ტენდენციებმა, რომელმაც დასავლეთის პოლიტიკურ, სოციალურ და ფილოსოფიურ მეცნიერებებში გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან მზარდი ტენდენციის ფორმა მიიღო, აქტუალური გახადა მნიშვნელოვანი პრობლემა – რამდენად სწრაფად და მოქნილად შეუძლია პოლიტიკურ

თეორიას რეაგირება მოახდინოს ცვალებად რეალურ პირობებზე, რომელიც უფრო რთულია და მრავალ-მხრივი, ვიდრე კონკრეტული იდეოლოგიის ჩარჩოები. აქ აუცილებლად დგება სხვა იდეოლოგიური მიმართულებებიდან არსებული ვითარების ადეკვატური იდეების ინტეგრირებისა და გათავისების პრობლემა. „დეიდეოლოგიზაციის“ პროცესისადმი დამახასიათებელი ლიბერალურ-კონსერვატიული კონსენსუსის არსებული ფორმები ახალ ვითარებაში არასაკმარისი აღმოჩნდა, პირველ რიგში, პოზიტივისტური მეთოდოლოგიის კრიზისის გამო. „ბიხევიორისტულმა რევოლუციამ“ დათმო თავისი პოზიციები რეალური სოციალური და პოლიტიკური პრობლემების კვლევაში და ახლებური მეთოდოლოგიური მიდგომები მოითხოვა. ბიხევიორის-ტული თეორიის მიმდევრებისაგან გასხვავებით, რომლებიც პრეტენზიას აცხადებდნენ ობიექტური ჭეშმარიტების დადგენაზე ღირებულებებისაგან დისტანცირებით, პოსტბიხევიორიზმისათვის დამახასია-თებელია გარკვეული სიმბიოზი პოზიტივისტურ დებულებებსა, ღირებულებით და იდეოლოგიურ მიდგომებთან პოლიტიკური პროცესების კვლევაში. დასავლური პოლიტიკური მეცნიერების ამ გზით განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა 1969 წელს ამერიკის პოლიტიკური მეცნიერების ასოციაციის ყრილობის გადაწყვეტილებებმა და ამ ყრილობაზე ცნობილი პოლიტოლოგის დ. ისტონის გამოსვლამ. მან აღნიშნა, რომ პოსტბიხევიორისტული რევოლუციის მთავარი ნიშანია პოლიტიკური მეცნიერების ახალი მიმართულებებით განვითარება, რომლის პროცესშიც ახალი კონცეფციების შემუშავებაში ყველაზე დიდი მნიშვნელობა ღირებულებების პრობლემას დაეთმობა. შემდგომ წლებშიც და განსაკუთრებით უკანასკნელ ათწლეულში, ამ ავტორიტეტული, პოლიტიკური „მოდის განმსაზღვრელი“ ასოციაციის რეკომენდაციებში ხაზგასმულია, რომ პოლიტიკური მეცნიერების საგანი

მჭიდროდ უკავშირდება ღირებულებებისა და იდეოლოგიის სფეროებში მის პარადიგმულ და კონცეპტუალურ ტრანსფორმაციებს.

გასული საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან დასავლურ სამყაროში მნიშვნელოვანი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროცესები მიმდინარეობდა. ეკონომიკაში თავი იჩინა სტაგნაციის, ინფლაციის პროცესებმა, ენერგეტიკულმა კრიზისმა, სხვა არასასურველმა მოვლენებმა, რომლებმაც ეჭვქვეშ დააყენა ეკონომიკური, სახელმწიფო და პოლიტიკური ინსტიტუტების ეფექტიანობა და დღის წესრიგში დასვა მათი რეფორმირების აუცილებლობა. ასევე ეჭვქვეშ დადგა ლიბერალურ-კონსერვატიული იდეოლოგიური კონსენსუსის შეცვლილ ვითარებებთან საკმარისობა, მოითხოვა ახალი იდეების, კონცეფციების, არგუმენტების მოძიების აუცილებლობა საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში უახლესი ნოვაციების შესამუშავებლად და დასანერგად. დასავლეთის პოლიტიკურ და სოციალურ მეცნიერებებში დაიწყო ხანგრძლივი და საინტერესო დისკუსია, რომელიც, ერთი მხრივ, საბაზრო ეკონომიკის ახალი რეალიების ნეგატიური პროცესების ახსნა-გაანალიზებას, მეორე მხრივ კი, მისი რეფორმირებისათვის ოპერატიული რეკომენდაციების შემუშავებას ემსახურებოდა. ეს იყო საკმაოდ რთული და მრავალგანზომილებიანი ამოცანა, რადგან გულისხმობდა საზოგადოებაში გამჯდარი, აპრობირებული და გარკვეულ პერიოდში სერიოზული წარმატებების მომტანი კონცეფციების გადასინჯვას, მისი ახალი რეალიების შესატყვისი ფორმით წარმოდგენას და სოციალიზაციას. ამ მოთხოვნების გათვალისწინებით გასული საუკუნის 70-იანი წლების შუა ხანებიდან გამოიკვეთა „რეიდეოლოგიზაციის" ტენდენციები, რამაც თანდათან შეაეიწროვა „დეიდეოლოგიზაციის" პოზიციები.

ბევრი ავტორიტეტული მკვლევარი, რომელიც ცოტა ხნით ადრე საზოგადოებას არწმუნებდა „იდეოლოგიის დასასრულზე", ალაპარაკდა იდეოლოგიის აუცილებლობაზე საზოგადოებაში თუნდაც იმის გამო, რომ მასობრივი ცნობიერების ორგანული მოთხოვნილებაა მიდრეკილება სოციალური მითების, უტოპიებისადმი და ამ განწყობას ვერ შეარყევს ვერავითარი სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრესი. „რეიდეოლოგიზაციის" კონცეფციები დაამუშავეს და წარმოადგინეს ევროპელმა და ამერიკელმა მეცნიერ-პოლიტოლოგთა მრავალრიცხოვანმა ჯგუფებმა (ა. ვინერი, ლ. ფოიერი, ჯ.კ. ლოჯი, კ. მენერტი და სხვ.). მათი ძირითადი მიზანი და ამოცანა იყო დასავლეთის პოლიტიკური აზრის განახლება, ახალი კონცეფციების, დოქტრინების დამუშავება და ამ მოთხოვნებს, რაც განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია, შეუერთდნენ და „რეიდეოლოგიზაციის" ძირითადი პრინციპები გაიზიარეს „დეიდეოლოგიზაციის" მამამთავრებმა ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში რ. არონმა და დ. ბელმა. „რეიდეოლოგიზაციის" იდეოლოგები იდეოლოგიის „უკვდავებაზე" ალაპარაკდნენ და ამტკიცებენ, რომ უსუსურია და ფუჭი იმის ცდა, რომ პოლიტიკა ღირებულებებისაგან თავისუფალ სივრცედ წარმოადგინო. მათ მიაჩნიათ, რომ პოლიტიკის სრულყოფილი ანალიზი და პროგნოზირება იდეოლოგიისაგან დამოუკიდებლად შეუძლებელი, ან უნაყოფო შრომაა. რ. არონმა პოზიციების შეცვლა იდეოლოგიასთან მიმართებაში იმით გაამართლა, რომ თანამედროვე საზოგადოებაში იდეოლოგიური დისკუსიების დასასრულამდე ჯერ კიდევ ბევრია დარჩენილი და ოდესმე შეიძლება ეს დისკუსიები ზედმეტიც იყოს, მაგრამ ეს დრო ჯერ არ დამდგარა. ამასთან რ. არონს მიაჩნია, რომ საზოგადოებრივ-პოლიტიკური კონცეფციები, რომლებსაც ასაბუთებენ მეცნიერები, კონკრეტული

სოციალურ-პოლიტიკური რეალობის გარდა განპირობებულია კონკრეტული მეცნიერის (ან სკოლის) კელევის მეთოდზე, პრობლემატიკისადმი მიდგომაზე და ბოლოს კონკრეტული მეცნიერის იდეოლოგიურ სიმპათია-ანტიპათიებზე. პოლიტიკა, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, განისაზღვრება უამრავი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების ერთობლიობით, ხოლო კონკრეტული პოლიტიკური რეალობა ხასიათდება უკიდურესი სირთულით, მრავალმხრივობით და მრავალსპექტრობით. ამის გამო პოლიტიკური პროცესები და პოლიტიკური რეალობა, მით უმეტეს დღევანდელი, არ ეტევა მკაცრ იდეოლოგიურ ჩარჩოებში და მისი ხელოვნური გამარტივება და „იდეოლოგიური სიწმინდის" დაცვა აბსოლუტურად ხელოვნურია.

„დეიდეოლოგიზაციის" სისუსტე, დასავლურმა პოლიტიკურმა მეცნიერებამ, პირველ ყოველისა, მის პასიურ, ინდიფერენტულ, ზოგჯერ კი თავდაცვით ხასიათში დაინახეს. მათ საჭიროდ ჩათვალეს აქტიური იდეოლოგიური კონცეფციების დამუშავება, რომელსაც გამწვავებულ იდეოლოგიურ ბრძოლაში ორ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სისტემებს შორის შეტევითი სტრატეგია ექნებოდა. „რეიდეოლოგიზაციის" არსებითი ნიშანი სწორედ ის არის, რომ მისთვის ადამიანების მასობრივ ცნობიერებაზე უფრო აქტიური ზემოქმედების ბერკეტების გამოყენებაა დამახასიათებელი და დაპირისპირებულ იდეოლოგიებთან მიმართებაშიც გარკვეული ინდიფერენტიზმი შეცვლილია აქტიური შეტევითი საქმიანობით, რაც კომუნიკაციების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და „სხვაგვარად მოაზროვნეების" აქტიურ გამოყენებასაც გულისხმობდა.

იდეოლოგიისადმი ახლებური მიდგომის თეორეტიკოსებმა აღიარეს, რომ ანტიიდეოლოგიური განწყობა, რომელიც ყოველგვარ იდეოლოგიას განიხილავს, როგორც ყალბ ცნობიერებას გამწვავებული იდეოლოგიური ბრძოლის პირობებში, დასავლეთისათვის წამ-

გებიანი პოზიციაა, რადგან ის განიარაღებას ნიშნავს ამ დაპირისპირებაში. იდეოლოგიის ნეგატიური მხარეების და ტოტალიტარული იდეოლოგიების კრიტიკა დასავლურ პოლიტიკურ და სამეცნიერო წრეებში პერმანენტულად ვითარდებოდა, მაგრამ ამასთან ერთად „რეიდეოლოგიზაციის“ მომხრეებს მიაჩნიათ, რომ აუცილებელია გამოიკვლიონ იდეოლოგიის ფუნქციური როლი და მისი სოციალური მნიშვნელობა პლურალისტური საზოგადოების პირობებში. მათ სჯერათ, რომ იდეოლოგია არის აუცილებელი გზისგამკვლევი იდეურად ქრელ სამყაროში, ადამიანის ორიენტაციის შემუშავებაში, მისი პოლიტიკური და სოციალური განწყობის განსაზღვრაში. უფრო მეტიც, „რეიდეოლოგიზაციის“ ზოგი ადაპტი (ე. ლემბერგი და სხვები) დასავლეთში იმის მტკიცებასაც იწყებენ, რომ ერთიანი, მონოლითური მარქსიზმ-ლენინიზმის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლისათვის უნდა მოხდეს დასავლეთის ინტეგრირება, მისი სულიერი ძალების პოტენციის გაერთიანება და იდეოლოგიური პლურალიზმიდან მისი ძირითადი ღირებულებების სინთეზის გზით ერთიანი იდეოლოგიური პოზიციების დაპირისპირება (გარკვეული დოზით იდეოლოგიური მონიზმის პოზიციებზე დგომა).

„რეიდეოლოგიზაციის“ ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანი იყო დასავლური პოლიტიკური მეცნიერების მცდელობა, მიეცათ ახლებური ინტერპრეტაცია სახელმწიფოსა და პოლიტიკური ინსტიტუტების ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლებისათვის ცვალებად სამყაროში, რაც ნიშნავდა სახელმწიფოს როლის ამაღლებას სოციალური და პოლიტიკური პრობლემების მოგვარებაში. როდესაც იდეოლოგიური თეორიებისადმი ორ განსხვავებულ მიდგომაზე ვსაუბრობთ, ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ „დეიდეოლოგიზაცია“, რომელმაც ფართო გავრცელება პოვა XX საუკუნის 60-70-იან წლებში, შეცვალა

„რეიდეოლოგიზაციამ“ მომდევნო პერიოდში. ეს თეორიები, კონცეფციები არსებობენ ერთდროულად, ერთმანეთის გვერდით და მხოლოდ განსაზღვრული ისტორიული რეალიების ფონზე ხდება ერთ-ერთი მათგანი აქტუალური. ესეც დასავლური პოლიტიკური სისტემისა და კულტურის არსებითი ნიშანია, რაც დემოკრატიის ერთ უმთავრეს პრინციპს, პოლიტიკურ პლურალიზმს ემყარება.

3. კონვერგენციის პროცესი პოლიტიკურ იდეოლოგიებში

აღმოცენებისა და განვითარების საწყის ეტაპზე ნებისმიერი იდეოლოგია და მისი წარმომადგენლები აგრესიულობითა და უკუმპრომისობით გამოირჩეოდნენ, ხოლო მოთხოვნები გადმოცემული იყო მკაცრი, ულტიმატური ფორმით. ისტორიის მსვლელობის შემდგომ ეტაპზე, ალტერნატიულ ძალებთან და იდეოლოგიებთან ურთიერთობებში, თუნდაც ეს ურთიერთობა კონფლიქტური ყოფილიყო, თითოეული პოლიტიკური დოქტრინა ფართოვდებოდა, მდიდრდებოდა არა მხოლოდ საკუთარი შესაძლებლობებით ერთი პოლიტიკური კონცეფციის ჩარჩოებში, არამედ არსებული რეალიების გათვალისწინებით, ალტერნატიული იდეოლოგიებიდან მისთვის მისაღები დებულებებისა და იდეების გაზიარებით, თუნდაც გარკვეული მოდიფიკაციით. ერთადერთი პოლიტიკური ძალა და მისი იდეოლოგია, რომელმაც პოლიტიკური ცივილიზაციის ამ მაგისტრალური ხაზის გარეთ თავისი ნებით ჩაიყენა თავი და ყველას ერთად კონფრონტაციულად დაუბრისპირდა, იყო მარქსიზმის რუსული მოდიფიკაცია ლენინიზმ-ბოლშევიზმის სახით, რამაც საბოლოო ანგარიშით განაპირობა კიდევ მისი თეორიული და პოლიტიკური კრახი.

არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ დღევანდელი დასავლური პოლიტიკური ცივილიზაცია და უმაღლესი სოციალურ-ეკონომიკური მიღწევები ერთი რომელიმე იდეოლოგიის და პრინციპების გამარჯვებაა, ეროი ალტერნატივის რეალიზაციაა. სრულიად ნათელია, რომ მასში მეტნაკლებად ხილულად, დიდი ან პატარა ზომით, განსხვავებულ კომბინაციებში, ეროვნულ მოდიფიკაციაში აისახა ყველა მნიშვნელოვანი იდეოლოგიის კომპონენტები. ვერავინ ვერ მისცემს პრიორიტეტს რომელიმე იდეოლოგიურ ალტერნატივას კაცობრიობის უდიდესი მონაპოვრის – საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს კონცეფციის ჩამოყალიბებაში. ერთი შეხედვით ის სოციალ-დემოკრატიული კონცეფციის ფარგლებში ჯდება, მაგრამ ლიბერალიზმის ფუძემდებლური პრინციპების გამოყენების გარეშე (რაც სოციალ-დემოკრატიამაც გაიზიარა), დიდი კონსერვატორი პოლიტიკოსების (ო. ბისმარკი, ბ. დიზრაელი, კ. ადენაუერი, მ. დე-გოლი, რ. რეიგანი, მ. ტეტჩერი და სხვ.) მოდგაწეობის გარეშე მისი პრაქტიკული ხორცშესხმა დღევანდელი ფორმით ვერ განხორციელდებოდა. XX საუკუნის მეორე ნახევარში ცხადი გახდა, რომ ვერც ერთმა არსებულმა ძირითადმა პოლიტიკურმა იდეოლოგიამ, დამოუკიდებლად ვერ შეძლო შეექმნა საზოგადოებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სხვა პროცესების ახსნისა და სრულყოფის უნივერსალური მოდელი, რომელიც მისაღები იქნებოდა ცივილიზებული სამყაროს უმრავლესობისათვის.

ჩვენში თარგმნილი და გამოცემული სახელმძღვანელოს „ამერიკული დემოკრატიის“ ავტორებს მიაჩნიათ, რომ ლიბერალები მხარს უჭერენ „მეტ ხელისუფლებას“, კონსერვატორები – „ნაკლებს“. ეს „მეტ-ნაკლებობა“ ხელშესახებად ვლინდება მაშინ, როცა საქმე ეხება სახელმწიფოს ხარჯებს საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

ლიბერალები უპირატესობას ანიჭებენ სახელმწიფოს ფართო მხარდაჭერას განათლების, ჯანმრთელობის, ბუნების დაცვის, საზოგადოებრივი ტრანსპორტის და სხვა სოციალური პროგრამების მოგვარებაში. ამით ისინი უახლოვდებიან სოციალ-დემოკრატიის პოზიციებს. კონსერვატორების პრიორიტეტია ნაკლები სოციალური ხარჯები სახელმწიფო ბიუჯეტის მხრიდან და სრული მხარდაჭერა თავისუფალ მეწარმეობას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის სახელმწიფო პროგრამებს. ეს „მეტ-ნაკლები" ხელისუფლება დღეს-აც ძალაშია, მაგრამ უკვე აღარ ქმნის მათ შორის პრინციპულ დაპირისპირებას.

ცივილიზებული კაცობრიობის დღევანდელი სიტუაციისათვის იდეოლოგიებთან მიმართებაში დამახასიათებელია მსოფლმხედველობითი უთანხმოების საზღვრების შევიწროება და ამას უკანასკნელ პერიოდში ჩამოყალიბებულმა სამხედრო-პოლიტიკურმა ბალანსმა, მზარდმა ეკოლოგიურმა კატასტროფებმა, დემოგრაფიულმა, რელიგიურმა და სხვა ფაქტორებმა შეუწყვეს ხელი. გლობალური და უკომპრომისო იდეოლოგიური დაპირისპირება შეცვალა კომპრომისების საფუძველზე ურთიერთმისაღები კონსენსუსის ძიებამ და ამის მაგალითის მიმცემნი, პირველ ყოვლისა, ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური იდეოლოგიები აღმოჩნდნენ. მსოფლიო პოლიტიკური ცივილიზაცია მიდის იმის შეგნებამდე, რომ დღევანდელ პირობებში დასაშვებია იდეოლოგიური დაპირისპირების ისეთი ხარისხი, რომელიც აუცილებლობის შემთხვევაში არ გამორიცხავს კომპრომისის შესაძლებლობას. ადრეული პერიოდისათვის დამახასიათებელი პოლარიზაციის შესუსტებამ მათი ჩარჩო-საზღვრების მნიშვნელოვანი სეგმენტების გადარეცხვა გამოიწვია და ამ პოზიტიური პროცესების ცენტრში მთავარი ღირებულება „ადამიანი" აღმოჩნდა თავისი სოციო-კულტურული მოთხოვნილებებითა და ინტერესებით.

ადრეული, დაპირისპირებული იდეოლოგიების ურთიერთშეღწევის და ურთიერთგაპირობებულობის ხარისხის გასაგებად თანამედროვე პირობებში ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგი დ. ბელი სმარობს ტერმინების ასეთ თანწყობას – „ლიბერალური კონსერვატორი“ და „კონსერვატიული ლიბერალი“, ხოლო ასევე ცნობილი გერმანელი რ. დარენდორფი – „სოციალ-ლიბერალს“, რომელიც გერმანიის პოლიტიკურ ლექსიკონში საკმაოდ მიღებული ტერმინთა კომბინაციაა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე გერმანიის ხელისუფლების სათავეში ხშირად (დღესაც) სოციალ-დემოკრატებისა და ლიბერალების (თავისუფალი დემოკრატები) ორპარტიული კოალიციაა, მათი იდეური ნათესაობის საკითხი ნათელი გახდება.

ჯერ კიდევ 50-იან წლებში ამერიკელმა მეცნიერებმა (კ. როსისტერი) აღნიშნეს გარკვეული კონვერგენციის ტენდენციები კონსერვატიულ და ლიბერალურ იდეოლოგიებს შორის. შემდგომში, როცა ამ ტენდენციებმა მკვეთრად გამოხატული ხასიათი მიიღო, მეცნიერები (ე. გოლდმანი, ე. სტივენსონი) უკვე ალაპარაკდნენ ლიბერალურ-კონსერვატიულ კონსენსუსზე.

ამერიკელმა მეცნიერმა რ. ჰოფსტედტერმა, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა მიუთითა კონსენსუსის ტენდენციებზე და აღნიშნა მისი პოზიტიური როლი საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების ახსნასა და წარმართვაში, მიუთითა, რომ ამერიკის ისტორიის არსს შეადგენდა ბრძოლა კონსერვატიულ და ლიბერალურ ტრადიციებს შორის, მაგრამ ამის მიუხედავად ლიბერალიზმი იყო „კონსერვატიული“, ხოლო კონსერვატიზმი – „ლიბერალური“. ბუნებრივია, ამ ქვეყანაში ასეთ კონსენსუსს ყველაზე ნაკლები პრობლემები და წინააღმდეგობები დახვდებოდა.

ფ. ჰაიეკის თვალსაზრისით, ევროპასთან შედარებით აშშ-ში სრულიად განსხვავებული იდეოლოგიური სიტუაცია შეიქმნა. ევროპისაგან განსხვავებით, აქ ლიბერალურ და კონსერვატიულ იდეოლოგიებს შორის ორთაბრძოლას არ აქვს არავითარი საფუძველი, რადგან ის, რასაც ევროპაში „ლიბერალს“ უწოდებენ, აშშ-ში იყო საერთო ეროვნული ტრადიცია, რომელიც საფუძვლად დაედო სახელმწიფოებრიობის შშენებლობას. ამრიგად, ევროპული კრიტერიუმებით, ამერიკული ტრადიციის ძიმდევარი უკვე „ლიბერალია“.

ფ. ჰაიეკის ეს თვალსაზრისი ამერიკის მეცნიერულ წრეებში საკმაოდ ფესვგადგმულია. ბ. კრიკი მიუთითებს, რომ ამ ლოგიკით, „ნორმალური ამერიკელი“, რომელიც თავს კონსერვატორს უწოდებს, სინამდვილეში „ლიბერალია“.

ფ. ჰაიეკი აღნიშნავს, რომ ვიგების იდეალებმა შთააგონა ევროპას ის ღირებულებები, რამაც შემდგომ ლიბერალური იდეოლოგიის სახელწოდება მიიღო. სწორედ ეს იდეები ჩაიტანეს შემდგომ ოკეანის გაღმა ამერიკის კონტინენტზე ევროპელმა კოლონისტებმა, რაც საფუძვლად დაედო მათ ბრძოლას ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის და გახდა კონსტიტუციის საფუძველი.

ვიგების საზოგადოებაში ჩამოყალიბდა ახალგაზრდების ჯეიმს მედისონისა და ჯონ ადამსის იდეალები. ვიგების პრინციპები ასაზრდოებდა იმ ახალგაზრდა იურისტებს, რომლებმაც ხელი მოაწერეს თავისუფლების დეკლარაციას და კონსტიტუციურ კონვენტს. ვაშინგტონის ჯარისკაცებიც კი ჩაცმული იყვნენ ტრადიციულ ვიგურ „ლურჯ და კამეჩის ტყავის“ ფერებში.

ფ. ჰაიეკი აღნიშნავს, რომ იმ ქვეყანაში, სადაც ეს მოძრაობა დაიბადა, მისი სახელი მოკვდა და ამის მიზეზებსაც მიუთითებს – ნაწილობრივ იმის გამო, რომ პრინციპები, რომლებთანაც ეს მოძრაობა იყო

ასოცირებული, აღარ ასახავდა კონკრეტული პოლი-ტიკური პარტიის განმასხვავებელ ნიშანს. ნაწილობრივ კი იმის გამო, რომ ადამიანებმა, რომლებიც ამ სახელწოდებით იწოდებოდნენ, უღალატეს ტრადი-ციულ პრინციპებს. სწორედ ეს არ მოსწონს ჰაიეკს, რომ ვიგიზმის ადგილი დაიკავა თანამედროვე ლიბე-რალიზმმა და თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეას ჩაენაცვლა საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუ-ციიდან მომდინარე უხეში და კონფრონტაციული რაციონალიზმი. თავის მთავარ ამოცანას ჰაიეკი იმაში ხედავს, რომ ვიგების ტრადიცია გაათავისუფლოს მისი დამახინჯებული ჰიპერრაციონალისტური, საციონალის-ტური და სოციალისტური ზეგავლენისაგან. რაც უფრო მეტს ვიგებ იდეების ევოლუციის შესახებ, უფრო ვრწმუნდები, რომ ვარ გამოუსწორებელი „ძველი ვიგი" და თავად ტერმინი „ვიგიზმი" ადეკვატურად ასახავს ჩემს რწმენას, – აღნიშნავს ჰაიეკი. ეს ტერმინი, მიაჩნია ჰაიეკს, ასევე ადეკვა-ტურად გადმოსცემს ლიბერალ-გლადსტონიანელების, ექტონისა და ბრაისის თაობის რწმენას, მათ იდეალებსა და მენტალიტეტს, რომლებისთვისაც მთავარ ღირებულებას წარმოადგენდა თავისუფლება და არა თანასწორობა და დემოკრატია. რაც შეეხება ლიბერალიზმის და სოციალ-დემოკრატიის იდეოლო-გიების ურთიერთშეღწევის ხარისხს, ფ. ჰაიეკი აღნიშ-ნავდა, რომ ევროპაში რაციონალისტური ლიბე-რალიზმის გაბატონებული მიმდინარეობა უკვე დიდი ხანია შეერწყა სოციალისტების მოძღვრებას.

მიუხედავად იმისა, რომ ლიბერალიზმი და კონსერვატიზმი წარმოადგენენ სოციალურ-პოლი-ტიკური პრობლემებისადმი ორ განსხვავებულ მიდ-გომას, თანამედროვე პარლამენტური დემოკრატია იმის საშუალებას იძლევა, რომ ეს დაპირისპირებული იდეოლოგიები დასავლეთის ქვეყნებში მშვიდობიანად თანაარსებობდნენ. ელექტორატი ამ ქვეყნებში ხან

ერთს აძლევს უპირატესობას და ხან მეორე იდეოლოგიის წარმომადგენლებს. ამიტომ დასავლური დემოკრატიის ტრადიციული ქვეყნების ეკონომიკაში, სოციალურ, ინსტიტუციონალურ პოლიტიკაში და პოლიტიკურ კულტურაში ორივე იდეოლოგიის არსებითი პრინციპებია დამკვიდრებული. ორი განმასხვავებელი იდეოლოგიის პრინციპების ასეთი თანაარსებობისა და ხშირ შემთხვევაში თანხვედრის საფუძველზე დღეს ზოგ მეცნიერსა და პოლიტიკურ მოღვაწეს ახასიათებენ როგორც ლიბერალ-კონსერვატორს ან, პირიქით (ფრანგი ისტორიკოსი და პოლიტიკური მოღვაწე ალექსის დე ტოკვილი; ინგლისელი ფილოსოფოსი და სოციოლოგი კარლ პოპერი და სხვ.). დღეისათვის, დასავლეთში უკვე ჩამოყალიბებულ და გამოკვეთილ ტენდენციად შეიძლება ჩაითვალოს საზოგადოების კლასობრივი და სოციალური პოლარიზაციის მზარდი შერბილების პროცესი, რაც, როგორც შედეგი, იწვევს იდეოლოგიური დიფერენციაციის შესუსტებას. ეს, პირველ ყოვლისა, აისახება პრაგმატული პოლიტიკური ცნობიერების გაძლიერებაში, რაც აუცილებლად გულისხმობს მკაცრი იდეოლოგიზირებული პარტიების პოლიტიკური ცხოვრებიდან განდევნას ან მათ საზოგადოების უმრავლესობისათვის მისაღები ან დასაშვები საკაცობრიო ღირებულებების პრინციპებზე გარდაქმნას.

ძირითადი პოლიტიკური იდეოლოგიების პოზიტიური ღირებულებების ინტეგრირების ერთ-ერთ ფორმად მიჩნეულია ქრისტიანულ-დემოკრატიული იდეოლოგია, რომელიც დასავლეთის ბევრ ქვეყანაში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ეს იდეოლოგია აქტიურად იყენებს სხვადასხვა პოლიტიკური იდეოლოგიიდან ნასესხებ თავისუფალი ინდივიდის ზნეობრივ-ეთიკურ და სოციო-კულტურულ არგუმენტაციას, შეხამებულს რელიგიურ მორალთან. ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების ასეთი ინტერპრეტაცია ეფექტურად მოქმე-

დებს თანამედროვე დასავლეთის ბევრ ქვეყანაში მო-სახლეობის განწყობილებაზე და აყალიბებს ახალ პოლიტიკურ მენტალიტეტს, სადაც კეთილნაყოფიერად თანაარსებობენ სხვადასხვა პოლიტიკურ იდეოლო-გიებში არგუმენტირებული და პრაქტიკაში აპრო-ბირებული განსხვავებული იდეები, ღირებულებები, ნორმები, წარმოდგენები ადამიანის ინდივიდუალურ თავისუფლებაზე, სახელმწიფოს როლზე და ფუნქ-ციებზე, ძალაუფლების ფორმებზე, მართვა-გამგეობის საშუალებებზე, პოლიტიკისა და სარწმუნოების ურთიერთმიმართებაზე და სხვა.

ამ იდეოლოგიის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ ქრიატიან-დემოკრატები თავიანთი საქმიანობის უზენაეს პრინციპად ქრისტიანული ზნეობისა და ეთი-კის განხორციელებას ისახავენ მიზნად დემოკრატიული მეთოდების გამოყენებით. ევროპის ბევრ ქვეყანაში ზომიერი მემარჯვენე-ცენტრისტული პოზიცია, რაც დიდ ბრიტანეთში კონსერვატორებს უკავიათ, ევროპის ბევრ ქვეყანაში ქრისტიან-დემოკრატებით არის წარ-მოდგენილი. პოლიტიკოსების დაახლოებას რელიგიასა და ეკლესიასთან იმანაც შეუწყო ხელი, რომ მეოცე საუკუნეში ზნეობრივ-მორალური პრობლემების აქტუ-ალურობის გაძლიერების ფონზე კათოლიკურმა ეკ-ლესიამ სპეციალური ენციკლიკებით მორწმუნეებში განამტკიცა იმ პოლიტიკური ჯგუფების პოზიციები, რომლებმაც საზოგადოების „მორალური უმრავ-ლესობის“ ღირებულების დაცვასთან ერთად, სოცია-ლურ პრობლემებზეც გადაიტანეს აქცენტი. მაგა-ლითად, შრომის ზნეობრივი კეთილშობილების საყო-ველთაო იდეა შეივსო გადაწყვეტილებების მიღებაში მშრომელთა წარმომადგენლობის ჩართვის აუცილებ-ლობით. ისიც საგულისხმოა, რომ კათოლიკურმა ეკ-ლესიამ თავისი უფლებებისა და გავლენის სფეროების გარკვეული შემოსაზღვრით და თვითშეზღუდვით პო-ლიტიკურ ძალებს ეკლესიისადმი მეტი მხარდაჭერისა

და მანევრირების საშუალება მისცა. ზოგ ქვეყანაში პროტესტანტიზმის გავლენა კათოლიციზმისა და საერო ხელისუფლების შეთანხმებული მოქმედებით საგრძნობლად შეიზღუდა, თუმცა ბევრ ქვეყანაში, მაგალითად, გერმანიაში ქრისტიან-დემოკრატებს, პროტესტანტების გარკვეული ნაწილი უჭერს მხარს.

ძირითადი პოლიტიკური იდეოლოგიების კონვერგენციის ხასიათს და მის პერსპექტიულობას ისიც განაპირობებს, რომ უკვე დღეს სოციალ-დემოკრატიას (ან დემოკრატიულ სოციალიზმს), ლიბერალიზმს, მის მრავალგვარ გამოხატულებასა და მიმდინარეობებში ქრისტიან-დემოკრატებს, ნეოკონსერვატორებს შორის განსხვავება პრინციპულ დოქტრინებში უფრო ნაკლებია, ვიდრე მათი მთლიანობაში აღებული დაპირისპირება სხვადასხვა ჯურის რადიკალურ-რევოლუციურ, რელიგიურ, სექსუალურ, სოციალურ ალტერნატივებთან.

VI. პოლიტიკური კულტურა და იდეოლოგიური სიტუაცია საქართველოში

ყველა ჩვენ მიერ გაანალიზებული პოლიტიკური იდეოლოგიები და მათ პრინციპებზე მოქმედი პარტიები პოლიტიკურ ლიტერატურაში იყოფა მემარჯვენე, მემარცხენე და ცენტრისტულ პოლიტიკურ ძალებად.

პოლიტიკური მოძრაობებისა და პოლიტიკური ლიდერების საკმაოდ აპრობირებული, ტრადიციული და დღესაც ფართოდ გამოყენებული კლასიფიკაცია მემარჯვენეებისა და მემარცხენეების შესახებ მომდინარეობს პირველი ფრანგული ეროვნული ასამბლეიდან, სადაც პრომონარქისტულ კონსერვატორებს ეკავათ დარბაზის ნახევარწრის მარჯვენა ნაწილი, ხოლო ანტიმონარქისტულ რესპუბლიკელებს – მისი მარცხენა ნაწილი. დეპუტატების განლაგების ეს წესი პარლამენტში დღემდე დაცულია საფრანგეთის ეროვნულ კრებაში და ევროპის ბევრი ქვეყანა იცავს ამ პოლიტიკურ ტრადიციას.

დღეისათვის მრავალფეროვანი პოლიტიკური ელიტის ასეთი ფართო კლასიფიკაცია ორ დიდ ჯგუფად დიდ კამათს იწვევს და შეიძლება ბევრ ასპექტში არც იყოს ადეკვატური, რადგან პოლიტიკური სპექტრის საგრძნობი ნაწილი, შეიძლება ზოგ შემთხვევაში უმეტესობაც, უფრო მომგებიანად თვლის დაიკავოს ცენტრისტული პოზიციები, რომელიც პოლიტიკური მანევრების საშუალებას იძლევა. სწორედ მანევრირების დიდი ველის დატოვების სურვილითაა გამოწვეული ისიც, რომ ზოგიერთი პარტიის ლიდერი საკუთარი პარტიის იდეოლოგიას განიხილავს როგორც ცენტრიდან მარჯვნივ ან ცენტრიდან მარცხნივ, რაც ორი პოლიტიკური მიმართულების მნიშვნელოვანი ღირებულებების პარტიულ

დოკუმენტებში სინთეზის შესაძლებლობას იძლევა და გათვალილია ორივე ორიენტაციის ელექტორატის ფართო მასებზე. არც იმაშია არაბუნებრივი არაფერი, რომ გამოკვეთილი პოლიტიკური ორიენტაციის, ვთქვათ, მემარცხენე მიმართულების პარტიას კონკრეტულ პრობლემასთან დაკავშირებით ჩამოუყალიბდეს მემარჯვენე თვალსაზრისი ან დაემთხვეს განსხვავებული ზოგადი ორიენტაციის პოლიტიკური პარტიის თვალსაზრისს. არაბუნებრივი და ზნეობასთან კომპრომისული უფრო ის შემთხვევებია, როცა პოლიტიკური პარტია პარლამენტში ან სხვა წარმომადგენლობით ორგანოში შესვლის მიზნით ალიანსში შედის გარკვეული ორიენტაციის პოლიტიკურ ძალასთან, ხოლო არჩევნების შემდეგ პარლამენტში თანამშრომლობს სრულიად განსხვავებულ, მასთან დაპირისპირებულ პოლიტიკურ პარტიასთან ან ალიანსთან.

თუმცა დღეს პოლიტიკური იდეოლოგიების ურთიერთგამდიდრებისა და ურთიერთშეღწევის ტენდენციები იმდენად ძლიერია, რომ მათ შორის ზღვარი ბევრ ასპექტში იშლება, ზოგადად მაინც მემარჯვენეობა განიხილება როგორც პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ცვლილებებისადმი ნეგატიური დამოკიდებულებების იდეოლოგია. მემარჯვენეობის კლასიკური დოქტრინები მონარქისტულია (დღეს კონსტიტუციურ-მონარქისტული), კლერიკალური, მესაკუთრეთა, უფრო მსხვილ მესაკუთრეთა ინტერესების დამცველი. მემარცხენეობა საზოგადოებრივი პროცესების დაჩქარებული განვითარების მომხრეა, რაც ოპონირების თვალსაზრისით ხშირად ექსპერიმენტის ხასიათს ატარებს და საზოგადოებისათვის საშიშია. მემარცხენეები შეუროგებელი არიან მონარქიზმთან (მაგრამ არა მის ყველა გამოვლინებაში), ახასიათებთ ანტიკლერიკალიზმი, მოსახლეობის ყველაზე ნაკლებად უზრუნველყოფილი ფენების ინტერესების დაცვა ან ამ დაცვით მანიპულირება.

პოლიტიკური სპექტრის ჩვენ მიერ მოცემული კლასიფიკაცია, რომელიც უფრო ისტორიული ტრადიციიდან მომდინარეობს, აუცილებლად უნდა შეივსოს მძლავრი „ცენტრის“ არსებობით, რომელიც ყველა ქვეყანაში საკუთარი შემადგენლობის და შეფერილობისაა, მაგრამ არის კონსტიტუციური პრინციპების ერთგული, აღიარებს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროგრესის აუცილებლობას ამ სფეროების თანდათანობით რეფორმირების გზით.

მემარჯვენეობა – მემარცხენეობის თვალსაზრისით ქართული პოლიტიკური სპექტრი გამოუკვეთელი და დაუწყობელია, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე (მათ შორის გავლენიანი) პოლიტიკური ძალა თავს მემარჯვენეებს აკუთვნებს და შესაბამის დეკლარირებასაც ახდენს, მისი პოლიტიკური საქმიანობის მიმართულებები და შინაარსი, პრაგმატული მოსაზრებებით, მაინც მემარცხენე მოთხოვნების ჩარჩოებში ჯდება.

პოლიტიკური იდეოლოგიების ზემოქმედების ძალა მოსახლეობის ფართო ფენების განწყობასა და ორიენტაციებზე თანამედროვე საქართველოში, ძალიან სუსტია. ამას რამდენიმე სერიოზული ობიექტური და სუბიექტური მიზეზი აქვს, რომელთაგან ზოგი ტოტალიტარიზმიდან ახლად გამოსული სახელმწიფოების საერთო ნიშანია, ზოგი კი მხოლოდ ჩვენი ქვეყნისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური.

ე.წ. პერესტროიკის დამამთავრებელი ეტაპისა და დამოუკიდებლობის მოპოვების პირველ წლებში საყოველთაო ნაციონალურ-პატრიოტული აღმავლობის პერიოდში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის აღდგენის იდეა გახდა ერთადერთი, ყოვლისმომცველი, რომელმაც თანაბრად მოიცვა ქართული საზოგადოების ყველა სოციალური ფენა, ასაკობრივი ჯგუფი. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა, საყოველთაო ანარქიამ, სამოქალაქო დაპირისპირებამ, კრიმინალების

გაბატონწებამ საზოგადოებაში, კრიმინალების პოლიტი-ზაციამ და პოლიტიკოსების კრიმინალიზაციამ, ხელი-სუფლების ბერკეტების სრულიად შემთხვევითი, ავან-ტურისტული ბუნების პიროვნებების ხელში ჩაგდებამ ქვეყნის პოლიტიკურ-იდეოლოგიური პრობლემები სა-ზოგადოების ცნობიერებაშიც და პრაქტიკულ ცხოვრე-ბაშიც უკიდურეს პერიფერიაში გადაისროლა.

ლენინურ-კომუნისტური იდეოლოგიის, როგორც ოფიციალური, ერთადერთი სახელმწიფო იდეოლოგიისა და მასზე აშენებული პოლიტიკური რეჟიმის მყისიერმა მსხვრევამ, საქართველოში არსებითი ხასიათის ცვლი-ლებები განაპირობა. იდეოლოგიური მტკიცე ერთი-ანობის და ერთპარტიულობის ადგილი დაიკავა პარ-ტიების, მიმდინარეობების, მოძრაობების ფართო სპექ-ტრმა, რამაც განაპირობა ძლიერი დაქუცმაცებულობა. საქართველოში არსებული პოლიტიკური ელიტა (თუ ეს ხმამაღლა ნათქვამი არ არის) მოუმზადებელი შეხვდა ამ ისტორიულ ცვლილებებს თეორიულადაც და პოლიტიკურადაც. ათი წლის წინაც და გარ-კვეულწილად ახლაც მხოლოდ პირობითად შეიძლება გარკვეული იდეოლოგიის პოლიტიკურ ლიდერებსა და პარტიებზე საუბარი.

ტოტალიტარიზმის პირობებში მასას არ შეიძლება ჰქონდეს დემოკრატიული პოლიტიკური კულტურა, რადგან მოსახლეობის დიდ უმრავლესობას „წმინდად სწამს" ძირითადი მიზნები, დებულებები, ორიენტაციები, რასაც პარტია და მისი ბელადები ქადაგებდნენ. ტოტალიტარიზმის იდეოლოგებს კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული, რომ არსებული საზო-გადოებრივ-პოლიტიკური სისტემის სიცოცხლისუნარი-ანობა მასობრივი დასაყრდენი ბაზის გარეშე შეუძ-ლებელი იყო, მონოპოლისტი პარტია, მისი ბელადები და ხალხის მასა განუყოფელ ერთიანობაში უნდა ყოფილიყო შედუღაბებული.

საერთოდ, ტოტალიტარული პოლიტიკური კულ-ტურა დაფუძნებულია პოსტულატზე, რომლის თანახმად პოლიტიკაში არის ერთი ჭეშმარიტება, რომელიც ყველაფრის – პოლიტიკის, ეკონომიკის, მეცნიერების, ხელოვნების, მორალის, სარწმუნოების და სხვა გასაღებია. ბუნებრივია, რომ დინამიკური საზო-გადოებრივი ცხოვრებისადმი ასეთი მიდგომა, საფუძ-ველშივე მოაზროვნე ადამიანის შეურაცყოფა იყო.

საკმარისია პოლიტიკური კულტურის შემადგე-ნელი სეგმენტების ზოგადი დახასიათება, რომ ნათელი გახდეს – საქართველოს ტრანსფორმირებად საზოგა-დოებას და სახელმწიფოებრიობას არ შეიძლება ჰქონდეს ჩამოყალიბებული დემოკრატიული პოლიტი-კური კულტურა. პოლიტიკური კულტურა ფორმირ-დება და გულისხმობს ხანგრძლივი ისტორიული პე-რიოდის განმავლობაში მრავალი თაობის მიერ შექმნილ პოლიტიკურ ტრადიციებსა და პრაქტიკის მოქმედ ნორმებს, იდეებს, კონცეფციებს სხვადასხვა პოლიტიკურ ორგანიზაციებთან, ინსტიტუტებთან, სა-ზოგადოებასა და სახელმწიფოსთან მიმართებაში; მის დამოკიდებულებას და განწყობას როგორც მთლიანად არსებული პოლიტიკური სისტემის, ასევე მისი შემად-გენელი ინსტიტუტების მიმართ. პოლიტიკური კულ-ტურა ღირებულებით – ნორმატიული სისტემაა, რო-მელიც გაზიარებულია მოსახლეობის უმრავლესობის თუ არა, მისი მნიშვნელოვანი სეგმენტის მიერ. ბა-ზისული რწმენების, ორიენტაციების, გარკვეული კონ-ცეფციების, დოქტრინების გარდა, მისი ინტეგრალური კომპონენტია პოლიტიკური იდეოლოგია. პოლიტიკური კულტურის არსებითი კომპონენტები, გაპირობებული სოციალურ-ეკონომიკური, ტრადიციონალისტურ-მემ-კვიდრეობითი, სულიერი სფეროს ხანგრძლივი მოქმე-დების ფაქტორებით, ხასიათდება გარკვეული მდგრა-დობით, თუმცა შეცვლილი საზოგადოებრივ-პოლი-ტიკური და სოციალურ-ეკონომიკური რეალიები მასში

მუდმივად აისახება, მაგრამ ამ ასახვასაც თაკისი სპეციფიკა აქვს – ამ ბაზისური კომპონენტების რადიკალური, კარდინალური, რევოლუციური უარყოფა საზოგადოებაში ნეგატიურ, ხშირად კი კატასტროფულ შედეგებს იწვევს, ხოლო დინამიკური რეალიების გათვალისწინებით თანდათანობითი ევოლუციის პროცესი საზოგადოებრივი პროგრესის საფუძველია.

აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ პოლიტიკური კულტურის ერთგვაროვანი კომპონენ-ტები განსხვავებული პიროვნებებისა და სოციალური ჯგუფების კონკრეტულ პოლიტიკურ მოქმედებაში განსხვავებულად გამომჟღავნდება და რეალიზდება. ამის გამო, პოლიტიკური კულტურის კონკრეტული მახასიათებლების ანალიზისას აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ დღეისათვის ფუნქციონირებს მისი რეგიონალური და ნაციონალური ვარიაციები.

ნებისმიერი ქვეყნის (ხშირად რეგიონის) პოლი-ტიკური კულტურა ყალიბდება როგორც საკაცობრიო ცივილიზაციის მიერ მიღწეული ბაზისური ღირებულე-ბების, ასევე ეროვნულ-სპეციფიკური, ეთნოკულტუ-რის, რელიგიური, სახელმწიფოებრივი ტრადიციების, ხალხური სამართლის, ადათ-ჩვევების და სხვა უმნიშვნელოვანესი ფაქტორის ერთობლიობით, ამის გამო, ნებისმიერი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სის-ტემისათვის, თვით ყველაზე დემოკრატიულად სრულ-ყოფილისთვისაც დამახასიათებელი პოლიტიკური კულ-ტურა მჟღავნდება ეროვნულ-სპეციფიკურ ფორმაში. პოლიტიკური კულტურის არქიტექტონიკაში ეროვ-ნულ-სპეციფიკურისა და საბაზო უნივერსალური ღი-რებულებების სინთეზი კანონზომიერებას წარმოადგენს, რადგან ნებისმიერი ერის პოლიტიკური მენტალიტეტი ამ ორი საწყისის ერთიანობაა.

პოლიტიკურ მეცნიერებაში გაზიარებულია აზრი იმის შესახებ, რომ პოლიტიკური სისტემა ვერ იქნება სტაბილური, თუ ის არ ეფუძნება საკუთარი ქვეყნის

და ერის წიაღში დაბადებულ თვითშემეცნების ფორ-მებსა და სტადიებს. საზოგადოების განვითარების ხანგრძლივი ისტორიული პროცესი, ეროვნული, კულ-ტურული, რელიგიური, გეოგრაფიული და სხვა გარე-მოებანი ყოველი ერის ცნობიერებაში ტოვებს ღრმა კვალს პოლიტიკური კულტურის შინაარსზე.

პოლიტიკური კულტურის მაკონსტრუირებელ სეგმენტებში ეროვნული ღირებულებების უცილობელი გათვალისწინება, რაც კონსერვატიული იდეოლოგიისა და პრაქტიკის ამოსავალი პრინციპია, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტრანსფორმირებადი საზოგადოების ქვეყნებისა და ერებისადმი, მით უმეტეს, იმ ქვეყნებისა და ერებისადმი, რომელთა სულიერი, ეროვნული ღი-რებულებები ეჭვგარეშეა, თუმცა დემოკრატიული პოლიტიკური კულტურის დეფიციტიც აშკარაა. გასა-გებია, რომ ამ შემთხვევაში ჩვენს ქვეყანას ეგუ-ლისხმობთ და იმის თქმა გვინდა, რომ „უცხო ბაძის“ (ილია) სენით მეტისმეტად არ დავიავადმყოფოთ თავი და იგივე ჩვენი დიდი ერისკაცის სიტყვები რომ მოვიშველიოთ, არც საქართველო და არც ქართვე-ლობა არ ყოფილა იმ დიდი შარაგზიდან გაძევებული, რასაც საკაცობრიო ცივილიზაცია ჰქვია. თუმცა აქვე სრული კატეგორიულობით უნდა ითქვას, რომ ქარ-თული პოლიტიკური კულტურის ფორმირებაში არა-ვითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს იმ ბაზისური, უნივერსალური პრინციპების როლის შემცირება, რომ-ლებიც დასაბუთებული და აპრობირებულია საუ-კუნეების მანძილზე დასავლეთის ქვეყნებში და რომ-ლებმაც, სრული საფუძვლით შეიძლება ითქვას, ბევ-რად განაპირობა ამ ქვეყნების წარმატებები ეკო-ნომიკაში, პოლიტიკაში, სოციალურ სფეროებში, დე-მოკრატიასა და მოსახლეობის კეთილდღეობაში.

დღეს ამ პრობლემებზე მომუშავე სპეციალისტთა დიდ უმრავლესობაში ეჭვს არ იწვევს ის, რომ ფორმირების პროცესში მყოფი ქართული პოლიტიკური

კულტურის ძირითადი სეგმენტები დასავლურია, მაგრამ, როდესაც ქართული პოლიტიკური კულტურის დასავლურ ორიენტაციებზე ვსაუბრობთ, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ ტოტალიტარიზმიდან გამოსული მენტალიტეტისათვის უცხო არ არის კოლექტიური ცხოვრების წესის დომინირება, თვითმმართველობისა და თვითორგანიზაციის უმნიშვნელო პოლიტიკური როლი და ეს ყველაფერი თავის კვალს ტოვებს გარდამავალი პოლიტიკური კულტურის განმსაზღვრელ ნიშნებზე. XX საუკუნის პოლიტიკური ცნობიერებისა და კულტურის ხასიათზე და მის მასშტაბებზე უდიდესი გავლენა მოახდინა ტოტალიტარული რეჟიმის მიერ მთელი სოციალური ფენების (ბურჟუაზია, ვაჭრები, კულაკობა, სამღვდელოება, მაღალი რანგის ოფიცრობა, ჰუმანიტარული და ტექნიკური ინტელიგენცია), ე.ი. ფაქტობრივად, მოსახლეობის „ინტელექტუალური ნაღების" მნიშვნელოვანი ნაწილის სულიერმა და ფიზიკურმა განადგურებამ, კომუნისტურ-ტოტალიტარული იდეოლოგიის განსაკუთრებული სიმკაცრით ძალდატანებითმა დანერგვამ. ამან არა მარტო დაარღვია ქართული ტრადიციების ბუნებრივი, ჰუმანიტარული მექანიზმი და თაობების მემკვიდრეობითობის ბუნებრივ-ისტორიული პროცესი, არამედ ისევე როგორც საბჭოთა კავშირში შემავალი სხვა ქვეყნები საკუთარ (საბჭოურ) ნაჭუჭში ჩაკეტა და მოუსპო სხვა ცივილიზებულ ქვეყნებთან კულტურათაშორისი ურთიერთობანი.

შედეგად საზოგადოების პოლიტიკური კულტურის მთავარი მახასიათებელი გახდა კომუნიტარიზმი, ჯგუფური ან უფრო განზოგადებულად საზოგადოებრივი სამართლიანობის უტოპიური პრიორიტეტით პიროვნების ინდივიდუალური თავისუფლების პრინციპების საწინააღმდეგოდ, საბოლოო ანგარიშით კი სახელმწიფოს წამყვანი როლით პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების ყველა ასპექტში.

ამავე დროს ხელისუფლების უაღრესად პერსონიფიცირებულმა აღქმამ, წარმომადგენლობითი ორგანოების როლის ფორმალურ დონემდე დაცემამ და შესაბამისად აღმასრულებელი ხელისუფლების აბსოლუტიზაციამ შეზღუდული პასუხისმგებლობითა და არარსებული კონტროლით განაპირობა „მამულის გადამრჩენი" ქარიზმატული ლიდერის ძებნისაკენ ხალხის მისწრაფება. ზოგადად, თუ ტრანსფორმირებადი ქართული პოლიტიკური კულტურის დასავლურ ღირებულებებში აღმოსავლური პოლიტიკური კულტურის რომელიმე ნიშანს რაიმე დისონანსი შეაქვს, ყველაზე გამოკვეთილად ეს ერის გადამრჩენი ქარიზმატული ლიდერის პერმანენტული ძიებაა.

ძველი საბჭოური კანონმდებლობის სრული გაუფასურების და ახლის შექმნის ხანგრძლივმა და გარკვეულ პერიოდში საკანონმდებლო ორგანოების მეტისმეტი პოლიტიზაციით გაპირობებულმა გაჭიანურებულმა პროცესმა გამოაღვიძა საქართველოში ერთი შეხედვით თითქმის მივიწყებული, მაგრამ ხალხის ისტორიულ მეხსიერებაში, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ შემორჩენილი, ერთი ცნობილი ფილმის ზოგადპოლიტოლოგიური აზრით მნიშვნელოვანი პერსონაჟის გამოთქმით „აქაური წესი"-ს სინდრომი.

ახლო წარსულში თავისი პრინციპების სისწორისა და სამართლიანობის შეურყეველმა რწმენამ, შეხამებულმა მრავალ (ძირითად პატრიოტულ-ნაციონალისტურ) რადიკალურ იდეურ ორიენტირებთან, პოლიტიკური ლიდერების პირადმა დაპირისპირებამ და ზოგჯერ მტრობაში გადასულმა ურთიერთობებმა გამორიცხა კომპრომისისა და კონსენსუსის შესაძლებლობები, მრავალგვაროვანი ურთიერთოპონირებული სუბკულტურების არსებობის პირობებში საზოგადოება შინაგანად გახლიჩა და ბარიკადების საპირისპირო მხარეს დააყენა.

მიუხედავად იმისა, რომ მწარე ისტორიული გამოცდილების და პოლიტიკური ხელისუფლების ძალისხმევით ეს დამღუპველი წინააღმდეგობანი დღეს შერბილებულია, უმნიშვნელო დესტაბილიზაციის პირობებშიც კი მისი კატასტროფული შედეგები არ დააყოვნებს. მით უმეტეს, რომ დღევანდელი საქართველოს საზოგადოებრივ აზრში ჯერ კიდევ ძლიერია პიროვნების დაბალი სამოქალაქო სტატუსისათვის დამახასიათებელი ნიშნები: სახელმწიფო რეგულირების ფორმების დომინანტური როლი თვითმმართველობის და თვითორგანიზაციის მექანიზმთან შედარებით; პოლიტიკური პროტესტის არასანქცირებული ფორმებისადმი მიდრეკილება; ლოიალიზმი კონფლიქტური სიტუაციების ძალისმიერი მეთოდებით გადაჭრაში; კონსენსური მეთოდებით სახელმწიფოს მართვაში მოქალაქეების არასაკმარისი დაინტერესება და გამოცდილება და სხვა. მიუხედავად შედარებით, ძველი, ტოტალიტარული სახელმწიფოებრიობის აღდგენის ნაკლები მისწრაფებისა, პოლიტიკური მენტალიტეტის ზემოაღნიშნულმა ნიშნებმა, მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის მკვეთრი დაცემის პირობებში, უაღრესად არასასურველ შედეგებამდე შეიძლება მიგვიყვანოს.

საქართველოს შიდაპოლიტიკური სიტუაცია დღესაც დაუწყობელია და დიდი მრავალფეროვნებით ხასიათდება, რაც დაბალი პოლიტიკური კულტურის, შესაბამისი ტრადიციების არქონის და ერთეული პიროვნებების დიდი პოლიტიკური ამბიციების (ხშირად სრულიად დაუმსახურებელი) შედეგია. ქვეყნის ტერიტორიული მასშტაბებისა და მოსახლეობის რაოდენობის სრულიად არაადეკვატური პარტიებისა და მოძრაობების რაოდენობა (150-მდე) ისეთ ჭრელ პოლიტიკურ მოზაიკას ქმნის, რომ შეუძლებელია მათი კლასიფიკაცია პოლიტიკური იდეოლოგიების თვალსაზრისით. მით უმეტეს, რომ ამ პარტიების არა

მხოლოდ რიგით წევრებს, ლიდერების უმრავლესობასაც უკეთეს შემთხვევაში ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს პოლიტიკურ იდეოლოგიებზე და არც მისი გამოკვეთილი დეკლარირება ხდება შესაბამის პარტიულ დოკუმენტაციაში.

ლიბერალიზმის კლასიკური დასავლური ვარიანტი გულისხმობს საშუალო ფენებზე დაყრდნობას, საქართველოში კი მოსახლეობის ეს ფენა დღეს უმცირესობას წარმოადგენს. ის სოციალური ჯგუფები, რომლებიც საშუალო კლასში იგულისხმება, ჩვენთან მოსახლეობის ღარიბ და უღარიბეს ნაწილს ავსებს. განვითარებულ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ეს ფენა, რომელსაც მეორენაირად „მესამე კლასსაც" უწოდებენ, ყველაზე მრავალრიცხოვანია და 60–70% აღწევს. ლიბერალური ღირებულებების პროპაგანდას და ამ პოზიციებზე პოლიტიკური პარტიების საქმიანობის აგების კონსტატირებას პოლიტიკური პარტიის ლიდერები ნაკლებად პრაგმატულად თვლიან (გაუგებარია რატომ). ამის გარეშე, პოსტტოტალიტარული საზოგადოების ტრანსფორმირება შეუძლებელია. სხვა ქვეყნების გამოცდილება გვასწავლის, რომ ყველა სერიოზული პოლიტიკური გავლენის მქონე პარტია ლიბერალურ პრინციპებსა და მოთხოვნებს გვერდს ვერ აუვლის, თუმცა კონკრეტული სოციალური პირობებიდან გამომდინარე, ჩვენში ურჩევნიათ აქცენტი ყოველდღიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე გადაიტანონ.

საქართველოს პოლიტიკურ სპექტრში მხოლოდ ბოლო პერიოდში გამოჩნდნენ ახალი პოლიტიკური პარტიები, რომლებმაც ლიბერალიზმი თავიანთი საქმიანობის იდეოლოგიურ საფუძვლად გამოაცხადეს და ეს პარტიის აბრავიატურაშიც ასახეს.

კონსერვატიზმის იდეოლოგიის დასაყრდენი დასავლეთში არის მოდერნიზებული არისტოკრატიის, მსხვილი საბანკო, საფინანსო, სამრეწველო კაპიტალის

წარმომადგენლები და აკადემიური ელიტის მნიშვნელოვანი ნაწილი. საქართველოში საზოგადოების ეს ნაწილი ჯერ კიდევ მცირერიცხოვანია და ამის გამო კონსერვატიზმის სოციალური ბაზა არ იძლევა ძლიერ პოლიტიკურ მიმდინარეობად ჩამოყალიბების საფუძველს. მართალია, ევროკავშირი მოძრაობის აღმავლობის ნაწილის ეტაპზე კონსერვატიზმის ზოგიერთი დებულება გაელენიანმა პოლიტიკურმა ლიდერებმა და ძალებმა გაიზიარეს, მაგრამ შემდგომ პოლიტიკური პროცესების განვითარებამ მათი აქტუალურობა შეამცირა. ამავე დროს თავიდანვე შეიმჩნეოდა გარკვეული სიჭრელე და კონსერვატიზმის არსის თვითნებური ინტერპრეტაციები. დღესაც, საქართველოს პოლიტიკურ სპექტრში არის რამდენიმე პოლიტიკური ძალა, რომელიც კონსერვატიული დოქტრინის რომელიმე ასპექტს – ტრადიციონალიზმს, მემარჯვენეობას პოლიტიკური მოღვაწეობის იდეოლოგიურ საფუძვლად მიიჩნევს, მაგრამ არსებული სოციალური რეალობა და მისდამი პრაგმატული მიდგომა ხშირად აიძულებს მემარცხენე, სოციალისტურ ლოზუნგებსა და მოთხოვნებს დაუჭიროს მხარი.

სოციალ-დემოკრატიის ტრადიციულ სოციალურ ბაზას განაკუთვნებენ მშრომელთა ძირითად მასებს, დაქირავებულთა ჯგუფებს, ინტელიგენციას. საქართველოში ჩამოყალიბებული პოლიტიკური რეალობის ერთ-ერთი სპეციფიკური ნიშანია ის, რომ დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე ეს იდეოლოგია და მასზე დაფუძნებული მოძრაობა ვერ გახდა გავლენიანი პოლიტიკური ძალა. პოსტტოტალიტარული სივრცის ზოგიერთ ქვეყანაში, განსაკუთრებით აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, სოციალიზმის მარქსისტულ-ლენინური ვარიანტიდან შედარებით უმტკივნეულო გადასვლა მოხდა სოციალ-დემოკრატიის დასავლურ ვარიანტზე და ამით პარტიებმა შეინარჩუნეს პოლიტიკური გავლენა იმ დონემდე, რომ

ასეთი ფორმით ტრანსფორმირებული პარტიები კვლავ ხელისუფლების სათავეში აღმოჩნდნენ. საქართველოში სხვადასხვა მიზეზის გამო, ძირითადად კი ალბათ იმის გამო, რომ დაბალი პოლიტიკური მომზადების შედეგად ყოველგვარი სოციალისტური ლენინიზმთან და ბოლშევიზმთან ასოცირდებოდა, დასავლური სოციალიზმის და სოციალ-დემოკრატიულმა იდეებმა ვერ პოვეს სათანადო ასახვა ქართულ პოლიტიკურ ცნობიერებაში.

რაც შეეხება სოციალისტური იდეოლოგიის ლენინურ-ბოლშევიკურ ვარიანტს, ეს, ვფიქრობთ, ერთადერთი სფეროა ქართული პოლიტიკური ცნობიერებისა და აზროვნების მრავალფეროვან სპექტრში, სადაც თანადროულობის დონეზე აღმოჩნდით.

საქართველოშიც აგრძელებს საქმიანობას რამდენიმე კომუნისტური პარტია, მაგრამ პოსტსაბჭოური ზოგიერთი ქვეყნისაგან განსხვავებით (რუსეთი, უკრაინა, ბელორუსია, სომხეთი და სხვა), სადაც ისინი გავლენიან პოლიტიკურ ძალას წარმოადგენენ და პარლამენტებში მრავალრიცხოვან ფრაქციებს ქმნიან, საქართველოში მათი პოლიტიკური გავლენა უმნიშვნელოა. ბევრ სხვა მიზეზთან ერთად, რაც თავისთავად საინტერესო საკვლევი თემა შეიძლება იყოს, აქ ძირითადი ალბათ ის არის, რომ საბჭოური, ტოტალიტარული პოლიტიკური რეჟიმის დაბრუნება მხოლოდ ინდივიდუალური თავისუფლებისა და სხვა ღირებულებების დაკარგვას კი არა, სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის და დამოუკიდებლობის დაკარგვასთან ასოცირდება.

რუსეთში და პოსტსაბჭოურ სივრცის ზოგ სახელმწიფოში მემარცხენეობა და მისი უკიდურესი რადიკალური ფორმა, კომპარტიები დაუკავშირდა რუსული სახელმწიფოს აღორძინების ამოცანებს. შეიქმნა პარადოქსული სიტუაცია – კომუნისტური ინტერნაციონალის მიერ გამოზრდილმა პოლიტიკურმა

ძალებმა უცბად პატრიოტების მანტია მოისხეს, კარგად გამოიყენეს რუსულ მენტალიტეტში ფესვგადგმული დერეფაგული ტრადიციები და საზოგადოების თვალში წარმოჩინდნენ (რაოდენ ალოგიკურიც არ უნდა იყოს), როგორც ყველაზე თავგამოდებული პატრიოტები და ნაციონალისტები.

ლიბერალური რეფორმების მტკივნეულმა სოციალ-პოლიტიკურმა შედეგებმაც ხელი შეუწყო ამის მოწინააღმდეგე ძალების გაძლიერებას, რომლებმაც „რუსული იდეების" წინ წამოწევით, პატრიოტული და ნაციონალისტური ლოზუნგების გამოყენებით, სხვა პოსტსაბჭოური ქვეყნების (მათ შორის №1 მტრის, საქართველოს სახით) ხალხისა და პოლიტიკური ლიდერების აშკარა ლანძღვისა და დამამცირებელი ეპითეტების გამოყენებით, გაღიზიანებული და შეურცხყოფილი ხალხის ნაწილი მიიმხრეს.

საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ სოციალური ფონი არანაკლებ მძიმეა სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან შედარებით და ტერიტორიული პრობლემებიც მწვავედ დგას, კომპარტიის მოღვაწეობა ასოცირდება როგორც უკან გადადგმული ნაბიჯი, რუსეთის პატრონაჟში დაბრუნება და გარკვეულწილად ეროვნული სუვერენიტეტის მთლიანი ან ნაწილობრივი დაკარგვა. ამის გამო მათი გავლენა საზოგადოების პოლიტიკურ ცნობიერებაზე უმნიშვნელოა.

საერთოდ, თუ სოციალურად სტაბილურ ქვეყნებში საზოგადოებრივ ცნობიერებაზე იდეოლოგიის ზემოქმედება ძირითადად მცირდება, იმ ქვეყნებში, რომლებიც მოდერნიზაციის პროცესს განიცდიან, მომავალი განვითარების გზების არჩევაში სულიერი მობილიზაციის ეს იარაღი სულ უფრო მზარდ როლს ითამაშებს ხელისუფლების მოპოვებასა და მის განმტკიცებაში.

როგორც მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, ეკონომიკურად ჩამორჩესილი ქვეყნებისათვის, რომლებსაც

აქვს ტერიტორიული პრობლემები, პოლიტიკურად არასტაბილური სიტუაცია გამწვავებული სოციალური ფონით, ნებისმიერი იდეოლოგია შეიძლება გადაიქცეს ჯგუფური ან კლანური ეგოისტური ინტერესების ინსტრუმენტად, პოლიტიკური ირაციონალიზმის, რადიკალიზმისა და ექსტრემიზმის წყაროდ. ტოტალიტარიზმის გამოვლილ ქვეყნებში, რომლებიც მოიცვა სოციალურმა და პოლიტიკურმა კონფლიქტებმა, სადაც არ არის პოლიტიკური დემოკრატიისა და კულტურის ტრადიციები, სუსტია პოლიტიკური ინსტიტუტები და გაუცნობიერებელია საკაცობრიო ღირებულებები, ნაციონალური შეფერილობის სხვადასხვა იდეოლოგიამ შეიძლება მიიღოს ახალი შინაარსი, რომელიც თავისი არსით იქნება შოვინისტურ-ნაციონალისტური, რელიგიურ-ექსტრემისტული და სხვა. საზოგადოების და, პირველ რიგში, პოლიტიკური ელიტის უპირველესი ვალია არ მოწამლოს გაჭირვებული ადამიანების პოლიტიკური ცნობიერება პარტიული ან პირადი ეგოისტური პრაგმატული მოსაზრებებით, დაუპირისპიროს ასეთ ცდებს იდეოლოგიური პლურალიზმი და საყოველთაოდ მიღებული ჰუმანიტარული პრინციპები.

დ ა ს კ ვ ნ ე ბ ი

I. უკანასკნელ პერიოდში ტრანსფორმირებადი ქართული საზოგადოებრივი აზრის ყურადღების ცენ-ტრში, ბევრ სხვა ურთულეს პრობლემატიკასთან ერ-თად, მოექცა პოლიტიკური იდეოლოგიების (ზოგადად იდეოლოგიის) საკითხები, რაც სრულიად ბუნებრივია. ახალი სახელმწიფოებრიობის შუენებლობის პროცესში ზოგადსაკაცობრიო და ეროვნულ-მემკვიდრეობითი ღირებულებების, პრინციპებისა და პრიორიტეტების ურთიერთშეხამებისა და სოციალიზაციის პროცესი მტკივნეული და ხანგრძლივია. აქ გაუგებარი და სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ ამ ურთულეს პრობლემატიკაზე თავისი აზრის გამოთქმა საჭიროდ ჩათვალეს ხშირ შემთხვევაში სრულიად არაკომ-პეტენტურმა პიროვნებებმა, რაც გარკვეულ წილად ასახავს ჩვენი ეროვნული მენტალიტეტის დღევანდელ სპეციფიკას და პოლიტიკური კულტურის დონეს. სწო-რედ ამ დისკუსიის გარკვეული გამოძახილია მონოგ-რაფიის პირველი თავი, რაც სათაურშიც აისახა – გვჭირდება თუ არა იდეოლოგია? ნაშრომში იდეოლოგიის მცირე ისტორიაში (წარმოშობა, ნაპოლეონის ეპოქა, მარქსისა და ენგელსის ბრძოლა ახალჰეგელიანელების წინააღმდეგ) მოტანილია იმ მეცნიერთა არგუმენტაცია (კ. იასპერსი, კ. პოპერი და სხვ.), რომლებსაც იდეოლოგია მხოლოდ ტოტალი-ტარული აზროვნებისა და პრაქტიკის ატრიბუტად მიაჩნდათ. ავტორიტეტულ მეცნიერთა დიდი ჯგუფი ადრეც და ახლაც იდეოლოგიას მეცნიერების გარეთ აყენებს, რადგან ის აზროვნების დახურული სისტემაა, ერთადერთი სწორი და გამზადებული პასუხი აქვს საზოგადოების ცნობიერებასა და ყოფიერებაში მიმდი-ნარე პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, სოციალურ, ეკონომიკურ, სულიერ და ზნეობრივ პრობლემებზე.

ანტიიდეოლოგიური განწყობის ძირითადი არგუმენტია ის, რომ არ ექვემდებარება მეცნიერულ ძიებას, კვლევას, ცდას, ექსპერიმენტს, არ არის შემოწმებადი და ამის გამო ყალბი, ილუზიორული ცნობიერების შედეგია. ის უფრო რწმენის სფეროა და არა სინამდვილის ადეკვატური ამსახველი მეცნიერებაა. ნაშრომის შემდეგ ნაწილში გაანალიზებულია იმ მეცნიერთა თვალსაზრისი, რომლებიც პოლიტიკურ იდეოლოგიას ნებისმიერი პოლიტიკური სისტემის აუცილებელ ატრიბუტად თელიან ან მისი მეცნიერულობის უარყოფასთან ერთად ასაბუთებენ მის დიდ ფუნქციურ მნიშვნელობას საზოგადოების ორგანიზაციაში (რ. მოსკა, რ. მიხელსი, ვ. პარეტო, ფ. უოტკინსი, ტ. პარსონსი, ო. ლამბერგი, გ. ლოჯი და სხვ.). აღნიშნული და სხვა ავტორები იდეოლოგიას განიხილავენ როგორც იდეებისა და წარმოდგენების ერთიან სისტემას, რომლებიც ქმნიან კოლექტიურ ცნობიერებას, ფორმირდება საზოგადოებრივი თანხმობა და ხდება საზოგადოებრივი ნების მობილიზება. მათი ინტერპრეტაციით იდეოლოგია საზოგადოებრივი ან კორპორაციული ცნობიერების კონცენტრირებული გამოხატულებაა და ამის გამო თავისი ინტეგრაციული ფუნქციით ორიენტირებულია სოციალურ პრაქტიკაზე. იდეოლოგიის ინტეგრაციული ფუნქცია უპირველესად მეცადინეობდა იმის უნარში, რომ გააერთიანოს, შეაკავშიროს გარკვეული მრწამსის პოლიტიკური ელიტა და შემდგომ მისი საშუალებით მოსახლეობის დიდი ჯგუფები გარკვეული მიზნების მისაღწევად. ინტეგრაციული (შემაკავშირებელი, გამაერთიანებელი) ფუნქციის გარდა გარკვეული შინაარსის იდეოლგიამ შეიძლება შეასრულოს საზოგადოებრივ ძალთა გამთიშველი, დამაპირისპირებელი, კონფლრონტაციული ფუნქცია და ასეთი იყო დღემდე არსებული ყველა ტოტალიტარული იდეოლოგია.

იდეოლოგიის შესახებ ამ ორი დაპირისპირებული ჯგუფის გარკვეულ შუალედურ პოზიციად, რომელსაც შემრიგებლურიც შეიძლება ეწოდოს, ავტორი მიიჩნევს ამ პრობლემების აღიარებული ავტორიტეტის კ. მანჰეიმის თვალსაზრისს. კ. მანჰეიმისათვის პოლიტიკური იდეოლოგია ყალბი, ილუზიური წარმოდგენების ერთობლიობაა, ის არასასურველი ზნეობრივი კატეგორიაა, მაგრამ, ისევე როგორც ბევრი სხვა არასასურველი ასპექტი პოლიტიკური ცხოვრების, სახელმწიფოებრიობის მნიშვნელოვანი და აუცილებელი კომპონენტია, რადგან აქვს უნარი შეაკავშიროს ადამიანები, ადამიანთა ჯგუფები, სოციალური ფენები და მათი ენერგიის აკუმულირებით წარმართოს აქტიური მოქმედება რაიმე მიზნის მისაღწევად.

შეუძლებელია გაიგო და შეაფასო პიროვნების, სოციალური ჯგუფის, პოლიტიკური პარტიის, ელიტის პოლიტიკური მოღვაწეობა, თუ არ გაირკვა შეხედულებათა და ღირებულებათა როგორი ერთობლიობით ხელმძღვანელობენ ისინი. იდეები, პრინციპები, საზოგადოებრივი თუ კორპორაციული იდეალები და ღირებულებები ერთიანობაში ქმნიან მწყობრ სისტემას, რომელიც ამა თუ იმ იდეოლოგიის საფუძველია. პოლიტიკური იდეოლოგია მოწოდებულია დაასაბუთოს და მნიშვნელობა მიანიჭოს ადამიანების, როგორც პოლიტიკის სუბიექტებს შორის ინსტიტუციონალურ ურთიერთობებს: ახსნას, გაამართლოს ან უარყოს არსებული პოლიტიკური სინამდვილე და მისი განვითარების ტენდენციები. ამ თვალსაზრისით პოლიტიკა ყოველთვის იყო და არის განსხვავებული იდეების, მიმდინარეობების, კონცეფციების, ერთი სიტყვით, იდეოლოგიების დაპირისპირებისა და ბრძოლის არენა. ამის გამო, ნებისმიერ იდეოლოგიას აქვს პოლიტიკური ხასიათი, მაგრამ ცნება „პოლიტიკური იდეოლოგია“ გამოიყენება როგორც პოლიტიკური ინტერესებით გაპირობებული შეხედულებების ერთობლიობა. ამასთან

არსებული პოლიტიკური რეალიები გარკვეულ ზღვარს უწესებს პოლიტიკის იდეოლოგიზაციას, ხოლო იდეოლოგია აწესებს გარკვეულ ჩარჩოებს, რომლებშიც პოლიტიკური პარტია ან ხელისუფლება თავისი კურსის გატარებისას უნდა „ჩაჯდეს“.

პოლიტიკური იდეოლოგია პოლიტიკური ცნობიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფორმაა, რომელიც აქტიურ ზემოქმედებას ახდენს, გარკვეულწილად განსაზღვრავს ხელისუფლების ხასიათს, მის შინაარსს და პოლიტიკური ინსტიტუტების ფუნქციონირებას. მეცნიერთა უმრავლესობა პოლიტიკურ იდეოლოგიას ხსნის როგორც განსაზღვრულ დოქტრინას, რომელიც ამართლებს ადამიანების ამა თუ იმ ჯგუფის მისწრაფებას ძალაუფლებისაკენ (ან მისი გამოყენებისაკენ) და რომლებიც ცდილობენ ამის შესაბამისად დაუმორჩილონ საზოგადოებრივი აზრი საკუთარ იდეებს.

ცალკეული პოლიტიკური იდეოლოგიის უკან განსაზღვრული პოლიტიკური ჯგუფების ინტერესებია და სწორედ ამ თვისების გამო, რომ ის ნაძდვილად არ გახდეს ხელისუფლების მსახური და მისი სულიერი ექსპანსიის იარაღი, აუცილებელია დემოკრატიულ, პლურალისტურ საზოგადოებაში ერთდროულად ფუნქციონირებდეს პოლიტიკური იდეოლოგიის რამდენიმე ნაირსახეობა და ეს განასხვავებს ასეთ საზოგადოებას, უპირველეს ყოვლისა, ტოტალიტარიზმისაგან.

II. ნაშრომის შემდგომი თავი, „როგორი იდეოლოგიები გეჭირდება“, სწორედ ცივილიზირებულ მსოფლიოში ყველაზე გავრცელებულ და აპრობირებულ პოლიტიკურ იდეოლოგიებს, ლიბერალიზმს, კონსერვატიზმს და სოციალ-დემოკრატიას ეთმობა.

ლიბერალიზმის ადრეული ეტაპის (კლასიკური) უმთავრესი პრინციპებიდან უმნიშვნელოვანესია ინდივიდუალური თავისუფლების იდეალი, როგორც ახალი

პოლიტიკური იდეოლოგიის უნივერსალური მიზანი. ინდივიდუალიზმზე და პირად თავისუფლებაზე დამყარებული იდეოლოგია საყოველთაო კეთილდღეობის იდეას და მისი მიღწევის გზებსაც განიხილავს ცალკეული ინდივიდების კეთილდღეობის პრიზმაში და არა აბსტრაქტული საზოგადოებრივი ინტერესების პრიმატის კუთხით. ლიბერალიზმმა თავისუფლება და კერძო საკუთრება ორ ურთიერთდაკავშირებულ ღირებულებად აღიარა და ამავე დროს დაასაბუთა, რომ ისინი ერთმანეთს განაპირობებენ; მხოლოდ კერძო საკუთრებაა ინდივიდუალური თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საფუძველი, მხოლოდ კერძო საკუთრება ხდის პიროვნებას თავისუფალს და აყალიბებს ინდივიდუალიზმს.

სახელმწიფოთა და პიროვნების ურთიერთდამოკიდებულების რთულ პრობლემატიკაში, ლიბერალიზმმა მკაცრად შემოსაზღვრა ის სფეროები, სადაც სახელმწიფოს უფლება არ ჰქონდა ჩარეულიყო პიროვნების საქმეებში. ამ უმთავრესი, ლიბერალური იდეოლოგიის საყრდენი დებულების რეალიზაციისათვის მისმა თეორეტიკოსებმა ჩამოაყალიბეს რიგი სამართლებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პრინციპები, რომლებიც აუცილებლად ერთიანობაში განიხილება.

ლიბერალურმა იდეოლოგიამ ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა კონსტიტუციონალიზმის, პარლამენტარიზმისა და სამართლებრივი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი პრინციპების დამუშავებასა და დანერგვაში. მისი არსებითი ნიშანი, რომელმაც განსაზღვრა მრავალი თაობის, სოციალური ჯგუფის, სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკური ელიტის დამოკიდებულება როგორც ყველაზე ჰუმანური, ლოიალური და ამის გამო მისაღები პოლიტიკური იდეოლოგიისადმი, იყო ის, რომ მისთვის უცხოა რადიკალიზმი, კონფრონტაციულობა

როგორც ერთი ქვეყნის სოციალურ ჯგუფებს შორის, ისე სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაში.

ლიბერალიზმის იდეოლოგიის განვითარების ახალი ეტაპის, „ნეოლიბერალიზმის“ თეორიული ნოვაციებიდან უმნიშვნელოვანესია სახელმწიფოს პოზიტიური როლის გაძლიერების პრინციპი მოსახლეობის ყველა ფენის სოციალური და ეკონომიკური პრობლემების მოგვარებაში. ნეოლიბერალიზმმა უკვე აპრობირებული და ბევრი ქვეყნის მოსახლეობის მასობრივ ცნობიერებაში ფესვგამდგარი კლასიკური ღირებულებების შენარჩუნებით აქცენტები გადაიტანა სამართლიანობაზე, სოციალურ დაცვაზე, მთავრობის საქმიანობაში მორალური პრინციპების პრიმატზე, მასების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის გაფართოებაზე და გადაწყვეტილებების მიღებაში უმცირესობის უფლებების გაფართოებაზე.

III. კონსერვატიზმის ადრეული, კლასიკური ეტაპი ხასიათდება როგორც ფრანგი განმანათლებლებისა და საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის ბელადების პრინციპული დებულებებისა და პოლიტიკური პრაქტიკის ალტერნატივა. ევროპის მოაზროვნეთა ერთი ნაწილი შეაშფოთა რადიკალური, რევოლუციური გარდაქმნების მეთოდებმა, რომელსაც ხანგრძლივი სამოქალაქო ომი, პოლიტიკური ანგარიშსწორებისა და დამარცხებულთა დასჯის საშინელი, მასშტაბური შედეგები მოჰყვა.

კონსერვატიზმის იდეოლოგები შეეცადნენ საზოგადოებისათვის ჩაენერგათ იმის რწმენა, რომ სოციალურ-პოლიტიკური სისტემის ასეთი მყისიერი, რევოლუციური მსხვრევა არაბუნებრივი და ზიანის მომტანია; რომ ისტორიის პროცესის ბუნებრივი მსვლელობა, მემკვიდრეობითობა და ახლის ძველის საფუძველზე აშენება მისი კატასტროფული სგრევის გარეშე, საზოგადოების განვითარების მაგისტრალური ხაზია. ამრიგად, კონსერვატიზმის იდეოლოგია თავი-

დანვე ჩამოყალიბდა, როგორც დამცავი მექანიზმი საზოგადოების იმ ნაწილისათვის, რომელიც განიცდის შუდმივ (არცთუ უსაფუძვლო) შიშს გაურკვეველი, არაპროგნოზირებადი მომავლის გამო და არ არის საკალდებულო, რომ ის მატერიალურად ყველაზე შეძლებული იყოს.

ლიბერალიზმისაგან განსხვავებით სოციალური ფორმები და, განსაკუთრებით, სოციალური დახმარების სამთავრობო პროგრამები ხშირად ხდება კონსერ-ვატორების კრიტიკის საგანი (განსაკუთრებით თუ ოპოზიციაში არიან). მათ მიაჩნიათ, რომ მეტისმეტი ორიენტირება სოციალურ დახმარებებზე არყევს ინდივიდის თვითრწმენას, მისი თავისუფლების საფუძ-ვლებს, ეჭვქვეშ აყენებს მის შესაძლებლობებს და ზრდის მუქთახორობისა და სიზარმაცის განწყო-ბილებას.

კონსერვატიზმის, როგორც ჩამოყალიბებული და უაღრესად მიმზიდველი მოძღვრების მნიშვნელობა დღეანდელი პოლიტიკური ცივილიზაციის მიღწევებში სრულიად აშკარა, ნათელი და დასაბუთებულია. მაგრამ ცნობილმა მეცნიერებმა მისი სუსტი მხარეებიც დაინახეს და ამ კუთხით უაღრესად საინტერესოა ფ. ჰაიეკის თვალსაზრისი, რომელიც კონსერვატიული იდეოლოგიის მთავარ ნაკლს ხედავდა იმაში, რომ ამ იდეოლოგიას არ შეუძლია საზოგადოებას მისცეს სერიოზული, დასაბუთებული ალტერნატივა მისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. შედეგად კონსერ-ვატიზმს შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს მხოლოდ პოლიტიკური განვითარების ტემპებზე და არა მაგისტრალურ მიმართულებაზე.

როცა კონსერვატიზმს პოლიტიკური და სოცი-ალური სტაბილურობის ტრადიციული ღირებულებე-ბისა და ცხოვრების ნორმების იდეოლოგიად ვახასიათებთ, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჭეშმარიტი კონსერვატორისათვის უცხო არ არის

შეცვლილ ისტორიულ რეალიებში იდეური ლაკონიზმისა და ნოვაციების ძიების მისწრაფება.

ნეოკონსერვატიზმმა საზოგადოებას შესთავაზა ის, რის ნაკლებობასაც ყველაზე მეტად განიცდიდა მისი ტექნიკურ და ტექნოლოგიურ ცელილებებზე ტოტალური დამოკიდებულების, ცხოვრების პირობების გამრავალფეროვნებისა და ტემპების დაჩქარების პირობებში – სოციალური სტაბილურობა, რომელიც ემყარება სულიერი სფეროს პრიმატს, ოჯახურ, სარწმუნოებრივ ტრადიციებს, მოქალაქესა და სახელმწიფოს შორის მორალური პასუხისმგებლობის განაწილებას. ამასთან, პასუხისმგებლობის ძირითადი ტვირთი უნდა იკისროს პიროვნებამ საკუთარ ძალებზე დაყრდნობით და, ჯგუფური თუ კორპორაციული სოლიდარობის გამოყენებით, უზრუნველყოს საკუთარი წარმატება. ნეოკონსერვატიზმმა კლასიკური კონსერვატიზმის ზოგი დებულების გადასინჯვის საფუძველზე ახლებურად ჩამოაყალიბა სახელმწიფოსა და ინდივიდის ურთიერთდამოკიდებულების პრობლემა და პრაქტიკულად განახორციელა სახელმწიფოს მინიმალური ჩარევის პრინციპი ეკონომიკაში.

ნეოკონსერვატიზმმა შეძლო საკუთარი იდეოლოგიის ფარგლებში მოექცია ლიბერალიზმის, სოციალ-დემოკრატიის, სხვა მიმართულებების მნიშვნელოვანი სოციალური და ჰუმანიტარული იდეა და ამით სერიოზულად გაიმდიდრა საკუთარი თეორიული ბაზა და პრაქტიკული საქმიანობის მიმართულებები, რამაც განაპირობა ამ იდეოლოგიურ პოზიციებზე მდგომი პოლიტიკური ძალების მნიშვნელოვანი წარმატებები XX საუკუნის უკანასკნელ ათწლეულებში.

IV. დღევანდელი მსოფლიოს პოლიტიკური სამყარო მნიშვნელოვანწილად ჩამოყალიბდა კომუნისტური, სოციალისტური (სოციალ-დემოკრატიული) იდეების ზემოქმედებით. მაგრამ, თუ კომუნისტურმა იდეოლოგიამ ჩვენს თვალწინ ტოტალური კრახი

განიცადა, სოციალ-დემოკრატიული იდეები და მასზე დაფუძნებული მოძრაობა ერთი ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური ძალაა დასავლეთშიც და პოსტსოციალისტურ ქვეყნებშიც. სოციალ-დემოკრატიული იდეალების შეშუშავება და მისი ტრიუმფი ევროპის მთელ კონტინენტზე იყო ლენინურ-ბოლშევიკური იდეოლოგიისაგან თანდათანობითი ჩამოცილების და შემდეგ მასთან დაპირისპირების ასწლიანი ევოლუციის შედეგი.

დასავლურმა სოციალ-დემოკრატიამ გამოიყენა სოციალისტური ტრადიციები (თავისუფლება, სოციალური სამართლიანობა, თანასწორობა, სოლიდარობა) და თანამედროვე ცივილიზაციის აღიარებულ ნორმებთან შეხამებით შექმნა საკუთარი იდეოლოგია, რომლის ამოსავალი დებულება იყო კაპიტალიზმის თანდათანობითი ევოლუციისა და რეფორმების გზით მშრომელთა მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების მაქსიმალური დაკმაყოფილება.

რეფორმატორები კაპიტალიზმის განვითარების რეალურმა პროცესებმა და მისმა ჯერ კიდევ გამოუყენებელმა შესაძლებლობებმა დაარწმუნა, რომ სახელმწიფოს ნგრევა და მისგან გამომდინარე პოლიტიკური კატაკლიზმები მიუღებელია მთელი საზოგადოებისათვის და მათ შორის მუშათა კლასისათვის; რომ მათი ბევრი მოთხოვნა შეიძლება რეალიზებული იყოს მშვიდობიანი გზით, ყოველდღიური და თანდათანობითი მოდერნიზაციის პირობებში. მათ პროლეტარიატის დიქტატურის დამანგრეველ ლენინურ-ბოლშევიკურ თეორიებს დაუპირისპირეს პარლამენტში სახალხო წარმომადგენლობის საკანონმდებლო მოღვაწეობა არსებული სოციალურ-პოლიტიკური სისტემის ევოლუციური ტრანსფორმაციისათვის. მთავარი პოსტულატი, რომელმაც ძირითადი წყალგამყოფის როლი ითამაშა დემოკრატიულ სოციალიზმსა და ლენინურ სოციალიზმს შორის, იყო ე. ბერნშტეინის მიერ იმის აღიარება, რომ სოციალიზმი არა მხოლოდ დროით,

არამედ არსითაც წარმოადგენს ლიბერალიზმის კანონიერ მემკვიდრეს.

ლენინური მარქსიზმი თავის მოძღვრებას აფუძნებდა როგორც ლიბერალიზმის შეგნებულ ანტითეზას, ლ. ბერნშტეინი და მისი მომხრეები კი თავიანთ მოძღვრებას განიხილავდნენ როგორც სოციალიზმის გარკვეულ სინთეზს ლიბერალიზმთან, როგორც „ორგანიზატორულ ლიბერალიზმს".

თანამედროვე სოციალ-დემოკრატიის თეორიისა და პრაქტიკისათვის დამახასიათებელია აქცენტების გადატანა ინდივიდუალურ თავისუფლებაზე, კერძო საკუთრებასა და საბაზრო ეკონომიკაზე, თავისუფალ კონკურენციასა და სახელმწიფოს პოზიტიური როლის გაძლიერებაზე საზოგადოების ყველა ფენის სოციალური პრობლემების მოგვარებაში. სახელმწიფომ დემოკრატიული პრინციპების დაცვით უნდა უზრუნველყოს ეკონომიკის რეგულირების ფუნქცია იმგვარად, რომ საზოგადოების მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებამ შეუქცევადი ხასიათი მიიღოს. მისი ზრუნვის განსაკუთრებული სუბიექტები არიან უმუშევრები, დროებით უმუშევრები, ინვალიდები, დაუცველი და უქონელი სოციალური ჯგუფები. სოციალ-დემოკრატიის უდიდესი ძალისხმევით მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული „სოციალური პარტნიორობის" პრინციპების შემუშავებასა და დანერგვაში, რაც ბევრ ქვეყანაში სოციალური და პოლიტიკური სტაბილურობის გარანტი გახდა. ასევე მათი უმნიშვნელოვანესი აქტივია საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს პრინციპების ჩამოყალიბება, დანერგვა და ინსტიტუციონალიზაცია.

მკითხველს არ უნდა შეექმნას შთაბეჭდილება, რომ ზემოაღნიშნულმა, ცივილიზებულ სამყაროში ყველაზე პოპულარულმა პოლიტიკურმა იდეოლოგიებმა ყველა თეორიულ-იდეოლოგიური დილემა გადაწყვიტეს ან მათ მიერ დეკლარირებული და

საპროგრამო დოკუმენტებში ასახული ყველა ეკონომიკური და სოციალური პრობლემა მაქსიმალურად მოაგვარეს. გადაუწყვეტელ, ან ნაწილობრივ გადაუწყვეტელ დილემათა რიგს განეკუთვნება თავისუფლებისა და თანასწორობის, ამ ორი უმნიშვნელოვანესი კატეგორიის ურთიერთმიმართულებისა და ურთიერთშეხამების პრობლემა. როგორც არაერთი ქვეყნის, მათ შორის ყველაზე განვითარებულის ხანგრძლივი პერიოდის გამოცდილება გვიჩვენებს, შეუძლებელია ჰარმონიულ ერთიანობაში მოაქციო კონკურენციაზე დაფუძნებული ეფექტური საბაზრო ეკონომიკა და სოციალიზმის ერთი უმთავრესი პრინციპი, თანასწორობა. ან ყველა პოლიტიკური იდეოლოგიის მაკონსტრუირებელი კატეგორია, თავისუფლება, როგორ შეიძლება შეუხამდეს მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვან პრინციპს, სამართლიანობას. ამ ურთულეს პრობლემატიკაზე კაცობრიობის ინტელექტუალურმა ელიტამ მას შემდეგ დაიწყო ფიქრი და განსჯა, რაც პოლიტიკური იდეოლოგიების კონტურები თავდაპირველად მოიხაზა და დღემდე გრძელდება. უახლესი პერიოდის ყველაზე პოპულარული ავტორებიდან ამ პრობლემის გადაწყვეტა სცადა ი. ბერლინმა, რომელმაც თავისუფლება „პოზიტურ“ და „ნეგატიურ“ კატეგორიებად დაყო. უადრესად საინტერესოა მისი ოპონენტის, ასევე დასავლეთში პოპულარული ჯ. მაკკალუმის (უმცროსი) თვალსაზრისი, რომელიც ანალიტიკური ფილოსოფიის პოზიციებიდან ამტკიცებს, რომ თავისუფლება უპირველესი ღირებულებაა, მაგრამ არ არის ერთადერთი სიკეთე და გონიერმა ადამიანმა შეიძლება უპირატესობა მისცეს სხვა სიკეთეებს თავისუფლების სასიანოდ.

XX საუკუნის მეორე ნახევრის ავტორიტეტული ავტორებიდან საინტერესოა ამერიკელი ლიბერალი პროფესორის რიჩარდ დვორკინის თვალსაზრისი თავისუფლებაზე. მას მიაჩნია, რომ თავისუფლება უნდა

გვესმოდეს მისი ტრადიციული გაგებით, როგორც შეზღუდვების უარყოფა, რომელსაც ხელისუფლება უქმნის ინდივიდებს მისი მისწრაფებების რეალიზაციაში. ამასთან, ის აღიარებს სახელმწიფოს უფლებას, შეზღუდოს საკუთარი მოქალაქეების ზოგიერთი უფლება იგივე მოქალაქეების, ან სხვების სხვა უფლებების უზრუნველყოფისათვის.

სამართლიანობისა და თანასწორობის „ბედნიერი მორიგების" ერთ ყველაზე გახმაურებულ ცდას წარმოადგენს ამერიკელი პროფესორის ჯონ როულზის პოპულარული ნაშრომი „სამართლიანობის თეორია". ამ თეორიის უმთავრეს პრინციპებს ფრანგი პროფესორი ალენ ბუაიე ლაკონიურად გადმოგვცემს – თანასწორი თავისუფლება, შანსების თანასწორობა, ყველაზე უმწეოთა მიმართ სოლიდარობა.

V. ტოტალიტარიზმის იდეოლოგია და მასზე დაფუძნებული პოლიტიკური რეჟიმი ნიშნავს საზოგადოების, კოლექტივებისა და პიროვნების სრულ მორჩილებას სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი, ცხოვრებისა და საქმიანობის ყველა სფეროში სახელმწიფოს ყოვლისმომცველ კონტროლს. მის იდეოლოგებს მიაჩნდათ, რომ ტოტალიტარული პოლიტიკური სისტემა კაცობრიობის განვითარების ბოლო, დამამთავრებელი ეტაპია, რადგან მისი იდეებისა და იდეალების, ადამიანური ღირებულებების უნივერსალურმა განსხვეულებამ სწორედ ასეთი სახელმწიფოს პირობებში მიაღწია.

იტალიური ფაშიზმის ფუძემდებლების მტკიცებით, ტოტალიტარული სახელმწიფო (ისინი არ მალავდნენ მათ მიერ შექმნილი სახელმწიფოს ტოტალიტარულ ხასიათს) წარმოადგენდა პოლიტიკური ლიბერალიზმის ანტიპოდს. მათ სახელმწიფო მიაჩნდათ უნივერსალურ ღირებულებად, რომლის გარეშეც არავითარი ადამიანური ღირებულება არ არსებობს. ამ სახელმწიფოს უმთავრეს ისტორიულ მისიას კი რომის იმპერიის

აღდგენაში ხედავდნენ. გერმანული ნაციზმის ამოსავალი წერტილი იყო მითიური „არიელი“ რასის სოციალური და პოლიტიკური უპირატესობა და ყოველგვარი მხარდაჭერა „კულტურის შემოქმედი რასების“ მიმართ, სადაც უპირველესად გერმანელი ერი იგულისხმებოდა. ამ იდეოლოგიის მამამთავრებმა საკუთარ ლიდერს, ჰიტლერს, შეუქმნეს უმაღლესი ხარისხის, ფანატიზმში გადასული ქარიზმა იმის მტკიცებით, რომ გერმანელი ერის უზენაესი ინტერესების გამომხატველია და ამ ინტერესების დაცვა მას შეუძლია გაცილებით უკეთ, ვიდრე ნებისმიერ დემოკრატიულ სახელმწიფოებრივ ინსტიტუტებს.

ნაცისტური იდეოლოგიით სახელმწიფო განიხილებოდა როგორც საზოგადოებრივი სიკეთის მომტანი მთავარი ინსტრუმენტი და პასუხისმგებელი ეკონომიკაზე, სოციალურ პოლიტიკაზე, სწავლების, აღზრდისა და კულტურის ორგანიზაციაზე, ქვეყნის უსაფრთხოებაზე. ნაცისტური იდეოლოგიის პრიორიტეტები ნაციონალიზმზე, რასიზმზე და ქსენოფობიაზე კარგად თავსდებოდა და ეხმაურებოდა დამარცხებული და ვერსალის ხელშეკრულებით შეურაცყოფილი დიდი გერმანელი ერის სულიერ პროტესტს შევიწროებული საარსებო არესა და დისკრიმინაციული მუხლების გაუქმებისათვის.

საბჭოურმა, ლენინურ-ბოლშევიკურმა ტოტალიტარიზმმა, განსხვავებით გერმანულ-იტალიური ფორმებისაგან, მოსახლეობის მასობრივი ლუმპენიზაცია მოახდინა. მთლიანად მოსპო კერძო საკუთრება, როგორც პიროვნული ავტონომიის საფუძველი, და ადამიანები ყოველმხრივ დამოკიდებული გახადა სახელმწიფო (პარტიულ) სტრუქტურებზე. შედეგად ფორმირდება სახელმწიფოსა და მისი ბელადებისადმი ერთგული, შემსრულებელი „ახალი ადამიანი“, რომელიც სისტემისადმი ერთგულების გამო კომპენსირდება მინიმალური სოციალური პრივილეგიებით. განათლების,

აღზრდისა და საქმიანობის კონტროლის უზარმაზარი აპარატი პიროვნების ფორმირების ყველა ეტაპზე ზემოქმედებდა ადამიანის ცნობიერებაზე იმ მიზნით, რომ ინდივიდუალური საწყისების უნიფიკაციით და შემდგომ მისი სტანდარტიზაციით რეჟიმისათვის სასურველი პიროვნება ჩამოყალიბებულიყო. „ახალი ადამიანის“ შემდგომი ტრანსფორმაცია გულისხმობდა ტოტალიტარიზმის იდეებისადმი უფრო მაღალ ხარისხს, ინდივიდუალიზმის მინიმუმამდე დაქვეითებას და, რაც მთავარია (ჩვენთვის მაინც), ეროვნული ცნობიერების, ფესვების, მემკვიდრეობითობის ნიველირებას და აბსურდული კონგლომერატის, ეროვნების არმქონე „საბჭოთა ხალხის“ ფორმირებას. ტოტალიტარული პოლიტიკური კულტურის ფორმირებისა და დამკვიდრების პროცესი აუცილებლად გულისხმობს ერთი ძირითადი, პრიორიტეტული (ან რამდენიმე, მაგრამ ძირითადზე დაქვემდებარებული) იდეის განმსაზღვრელ როლს.

ლენინურ-ბოლშევიკურ იდეოლოგიაში ასეთი იდეური საფუძველი იყო კლასთა ბრძოლის და პროლეტარიატის მსოფლიო ისტორიული როლის აგრესიული დოქტრინა, რამაც განსაზღვრა ამ ბრძოლის ძირითადი მიმართულება. ტოტალიტარიზმის აგრესიული მახვილი უპირველესად საკუთარი ქვეყნის შიგნით „მტრული“ კლასებისა და ფენების წინააღმდეგ წარმართა და შედეგიც შესაბამისი იყო – ბურჟუაზიის ყველა სოციალური ფენის, სამღვდელოების, ინტელიგენციის დიდი ნაწილის ფიზიკური განადგურება, გადასახლება, მასობრივი ემიგრაცია.

ტოტალიტარიზმის მეორე ისტორიულმა ფორმამ, გერმანულმა ნაციზმმა რასიზმი და საციონალიზმი აქცია თავისი იდეოლოგიის იმ საყრდენ ქვაკუთხედად, რასაც ლენინურ იდეოლოგიაში კლასთა ბრძოლა და პროლეტარიატის დიქტატურა ასრულებდა. რადგან გერმანელ ერს „სასიცოცხლო სივრცე“ არ ჰყოფნიდა,

მისი მახვილი წარმართა იმპერიის გაფართოებისაკენ დამოუკიდებელი სახელმწიფოების ტერიტორიების მიტაცების ხარჯზე. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ტოტალიტარული სახელმწიფოების აგრესია ერთი მიმართულებით ვითარდებოდა. მართალია, გერმანულმა ნაციზმმა მტერი უპირველესად ქვეყნის გარეთ მოძებნა, მაგრამ ქვეყნის შიგნითაც უკომპრომისო, ფიზიკურ განადგურებამდე ბრძოლა გამოუცხადა არასრულყოფილ რასებს და მოწინააღმდეგე პოლიტიკურ ძალებს. რუსული ტოტალიტარიზმიც, პირველ ყოვლისა, „შინაურ მტრებს – პროლეტარიატის მოწინააღმდეგეებს" დაუპირისპირდა, მაგრამ, როცა ამის შესაძლებლობა ეძლეოდა, არც საკუთარი და სატელიტი ქვეყნების საზღვრების გაფართოებას ერიდებოდა.

საერთოდ, ტოტალიტარული იდეოლოგიისა და ცნობიერების აუცილებელი ნიშანია მტრის ხატის პერმანენტული ძიება ქვეყნის შიგნით და გარეთ, რომელიც შეიძლება დაამცირო, ლანძღო, მაგრამ უმჯობესია, თუ ხელი მიგიწვდება, გაანადგურო.

ერთიანი უნივერსალური მიზანი, ერის ან პრივილეგირებული კლასის სასიცოცხლო ინტერესების ნიშნით, განაპირობებს მონოიდეოლოგიის, სახელმწიფო იდეოლოგიის ფორმით გაბატონებას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში; ნებისმიერი გადახვევა ოფიციალური იდეოლოგიის ნებისმიერი პოსტულატიდან, თუნდაც უმნიშვნელო, ნიშნავს მტრული იდეოლოგიის შემოტანას და მკაცრად ისჯება.

მონოიდეოლოგია განაპირობებს ტოტალიტარიზმის პირობებში მონოპარტიულ დიქტატურას, რომელიც მიიტაცებს სახელმწიფოსა და საზოგადოების ფუნქციებს და ხდება ხელისუფლების ერთადერთი, რეალური უმაღლესი ორგანო. მონოპარტიული იერარქიული სტრუქტურები გახდნენ პოლიტიკური სისტემის განმსაზღვრელი ელემენტები, ხოლო

მათი ლიდერები ქვეყნის ფაქტობრივი ხელისუფლება. ამრიგად, კლასის ან ნაციის დიქტატურა ტოტალიტარულ საზოგადოებაში გადაიზრდება პარტიულ-ბიუროკრატიულ დიქტატურაში და, ამ გაგებით, ასეთი რეჟიმი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ერთპარტიული დიქტატურის პოლიტიკური სისტემა.

ტოტალიტარული რეჟიმების აგრესიული, უკომპრომისო დამოკიდებულება განსაკუთრებული სიმწვავით გამომჟღავნდა რელიგიისა და მის მსახურებთან დამოკიდებულებაში და აქ არც რელიგიურ და არც კონფესიურ მახასიათებლებს მნიშვნელობა არ ჰქონდა. ტოტალიტარული იდეოლოგიის ასეთი გააფრთებული შეტევა სარწმუნოებასა და მორწმუნეებზე იმით აიხსნება, რომ საკუთარი დოგმები, პრინციპები, დოქტრინები რელიგიის რანგში აიყვანეს, საკუთარი „ბელადი-წმინდანები" შექმნეს და იმისათვის, რომ ადამიანების ცნობიერების გაბატონებული და ერთადერთი მპყრობელი ყოფილიყო, უნდა გამოეძევებინა ყველაფერი, რაც მანამდე კაცობრიობას გაუზიარებია ამ სფეროში.

მიუხედავად ყოველივე ზემოაღნიშნულისა, სწორი არ იქნება ვილაპარაკოთ ცნობიერების საყოველთაო ტოტალიტარიზაციაზე. ეს პროცესი რომ საყოველთაო და ყოვლისმომცველი ყოფილიყო, მაშინ ამდენი რეპრესიები, დახვრეტა, გადასახლება, იძულებით ემიგრაცია საჭირო აღარ იქნებოდა.

თანამედროვე დასავლეთის პოლიტიკურ და პუბლიცისტურ ლიტერატურაში მეცნიერები, მაღალი რანგის სახელმწიფო ჩინოვნიკების ერთი ნაწილი კულტურის ცნობილ მოღვაწეებთან ერთად ცდილობს ტოტალიტარული რეჟიმების ზოგიერთი არსებითი ნიშნის შერბილებული ინტერპრეტაცია მოგვცეს. ისინი ამტკიცებენ, რომ იტალიური ფაშიზმი გერმანულ ნაციზმთან ან რუსულ ბოლშევიზმთან შედარებით ნაკლებად კონფრონტაციული იყო ქვეყნის შიგნით და

ქვეყნის გარეთ (ა. დელ ნოჩე, რ. დე ფელიჩე) ან მსხვერპლის თვალსაზრისით გერმანულმა ნაციზმმა ნაკლები ზიანი მიაყენა კაცობრიობას, ვიდრე რუსულმა ტოტალიტარიზმმა. ტოტალიტარული სისტემის ასეთი შედარებისა და ურთიერთდაპირისპირების კუთხით მისი თუნდაც ნაწილობრივი რეაბილიტაციის ცდები საზიანო და მიუღებელია.

VI. გასული საუკუნის 80–90–იან წლებში არსებითად გაიზარდა პოლიტიკური და სამეცნიერო წრეების ინტერესი ავტორიტარიზმისადმი, რადგან ზოგმა სერიოზულმა ავტორმა მასში დაინახა ტოტალიტარიზმიდან დემოკრატიაზე თანდათანობითი გადასვლის ისტორიული ფორმა. დემოკრატიის სწრაფმა იმპორტმა, როგორც ვარაუდობდნენ, მისთვის აუცილებელი წანამძღვრებისა და წინაპირობების გარეშე, მართლაც ბევრი გაუთვალისწინებელი შედეგი და ანარქიული სიტუაცია შექმნა.

ტოტალიტარულ და ავტორიტარულ რეჟიმებს შორის ბევრი საერთო ნიშანია, მაგრამ მათ შორის სხვაობაც არსებითია. ტოტალიტარიზმი გულისხმობს სახელმწიფოს შეღწევას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და მის ერთ თარგზე გადაწყობას. ავტორიტარული რეჟიმი პიროვნების განსჯისა და არჩევანის სფეროს აკუთვნებს სარწმუნოებას, ეკონომიკურ საქმიანობას, კერძო და ოჯახურ საკითხებს, პროფესიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში საქმიანობას, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში მონაწილეობას; ოღონდ ერთი პირობით, ეს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს, მით უფრო არ უნდა უპირისპირებოდეს არსებულ პოლიტიკურ რეჟიმს.

ავტორიტარიზმისა და ტოტალიტარიზმის საერთო ნიშნები იმდენია, რომ მათი ურთიერთგამიჯვნა ხშირად შეუძლებელია. მათი ერთგვაროვნების საფუძველია ის, რომ ორივე პოლიტიკური რეჟიმის პირობებში პიროვნებას ან პიროვნებათა ჯგუფს უნდა

ჰქონდეს განუსაზღვრელი უკონტროლო ძალაუფლება, მაგრამ ავტორიტარიზმი უშვებს პიროვნების აეტონომიას არაპოლიტიკურ სფეროებში. შეიძლება ესეც არის იმის მიზეზი, რომ ზოგიერთ ქვეყანაში ავტორიტარულმა რეჟიმებმა უზრუნველყვეს ეკონომიკის სწრაფი განვითარება და სოციალური სტაბილურობა.

ტოტალიტარიზმის ისტორიული ფორმებიდან თავის დროზე საკმაო დავა და კამათი გამოიწვია იუგოსლავიის რეჟიმმა, რომელიც ისტორიაში მისი პრეზიდენტის ი.ბ. ტიტოს გვარიდან ტიტოიზმის სახელწოდებით შეიდა. განსხვავებით ტოტალიტარიზმის საბჭოური მოდელისაგან ტიტოიზმი რბილი, ნაკლებად აგრესიული პოლიტიკური სისტემა იყო, რომელიც კონფრონტაციულად არ უპირისპირდებოდა კაპიტალისტურ სამყაროს და შინაურ „მტრად" საკუთარი ბიუროკრატია წარმოედგინა.

ჩინური ტოტალიტარიზმის, მაოიზმის არსებითი ნიშნები იყო (და ნაწილობრივ შემორჩენილია) ის, რომ უარყოფდა სოციალიზმის საერთო კანონზომიერებებს და უპირატესობას ანიჭებდა ქვეყნის სპეციფიკიდან გამომდინარე ეროვნულ გზას. სწორედ ამ სპეციფიკიდან გამომდინარე, სოციალისტური რევოლუციისა და სოციალიზმის მშენებლობის ჰეგემონი გლეხობა უნდა ყოფილიყო. გლეხობამ, როგორც რევოლუციის შემოქმედმა და ორგანიზატორმა ან უნდა თავიდან აღზარდოს (განსაკუთრებით ინტელიგენცია), ან გაანადგუროს სხვა კლასები და სოციალური ფენები, რადგან სოციალიზმის მშენებლობას აუცილებლად თან სდევს კლასობრივი ბრძოლის გამწვავება (ამ ასპექტში, ჩინელი კომუნისტები სოლიდარული იყვნენ ლენინ-სტალინის თეზისთან).

მაოისტური იდეოლოგიისა და პრაქტიკის კიდევ ერთი არსებითი ნიშანია საგარეო აგრესიის სპეციფიკური ფორმა, რაც რევოლუციის ექსპორტის პარტიზანული ბრძოლის მხარდაჭერაში გამოიხატებოდა.

ჩინეთის პოლიტიკური და სოციალური სტაბილურობა ბევრად არის დამოკიდებული ხელმძღვანელობის უნარზე, შედარებით უმტკივნეულოდ გადაჭრას ქვეყნის დემოკრატიზაციის პრობლემები, როგორც ეს წარმატებით განახორციელეს ქვეყნის ეკონომიკაში.

VII. თანამედროვე პოლიტიკური სამყაროს მეტნაკლებად სრული სურათისათვის აუცილებელია ზოგიერთი იდეოლოგიური დოქტრინებისა და მოძრაობების უმნიშვნელოვანესი ასპექტების ზოგადი დახასიათება.

სპეციფიკურად წმინდა ამერიკულ იდეოლოგიას წარმოადგენს ლიბერტარიზმი, რომელშიც გაერთიანდა უკვე ჩამოყალიბებული და მრავალ ქვეყანაში აპრობირებული ეკონომიკური, სოციალური, იდეურ-პოლიტიკური და მორალურ-ეთიკური იდეები და კონცეფციები. ამ იდეოლოგიის საფუძველია კლასიკური ლიბერალიზმის უმთავრესი პრინციპი, რომ ადამიანი საკუთარი ბედის ერთადერთი განმკარგაეია და საკუთარი ნებისა და მისწრაფებების მიხედვით უნდა საქმიანობდეს. ამ ღირებულების გაფეტიშებით ლიბერტარიანელები სახელმწიფოს და მის ინსტიტუტებს უკიდურესად დაუპირისპირდნენ და ზოგიერთ ასპექტში ანარქისტულ პოზიციებს დაუახლოვდნენ. მიუხედავად გარკვეული მცდელობისა, ამ იდეოლოგიამ და შესაბამისმა მოძრაობამ აშშ-ში მასობრივობას და პოპულარობას ვერ მიაღწია.

პოლიტიკურ იდეოლოგიებზე საუბრისას გვერდს ვერ აუვლით ქალთა უფლებების დამცველ მოძრაობებს, რომლებსაც თავიანთი თეორეტიკოსებიც ჰყავთ და გარკვეულ დოქტრინებად ჩამოყალიბდნენ. ფემინიზმი სპეციფიკური სოციალურ-პოლიტიკური თეორიის საერთო სახელწოდებაა, რომლის მიზანს ქალებისა და მამაკაცების უფლებების გათანაბრება წარმოადგენს. ამ მოძრაობის პირველ ეტაპზე დასახული იყო ქალებისათვის საარჩევნო უფლებების მოპოვების ამოცანა

და ამის გამო, მათ სუფრაჟისტებს (ინგლისურად – ხმის უფლება) უწოდებდნენ. საარჩევნო უფლებებისათვის ბრძოლაში წარმატებების მოპოვების შემდეგ ფემინისტურმა მოძრაობამ დღის წესრიგში დააყენა ქალებისათვის სხვა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური პირობების მამაკაცებთან გათანაბრების პრობლემა. მიუხედავად იმისა, რომ შემდგომ პერიოდში ფემინისტური მოძრაობა რამდენიმე მიმდინარეობად დაიყო (ლიბერალურ-დემოკრატიული, სოციალისტური, რადიკალური), მათი ბრძოლის ეფექტიანობაზე მეტყველებს საზოგადოებრივ ცნობიერებასა და დასავლეთის პოლიტიკურ სტრუქტურებსა და საქმიან წრეებში მიმდინარე ქალთა წარმომადგენლობის პერმანენტული ზრდის რეალური პროცესი.

XX საუკუნის 70-იან წლებში წარმოიშვა საზოგადოებაში ქალთა ჩაგვრისა და დისკრიმინაციის მიზეზებისადმი სოციალურ-კულტურული, ე.წ. გენდერული მიდგომის ტრადიცია. მისმა თეორეტიკოსებმა პირველად დააყენეს საკითხი კულტურაში ფემინურის – ქალურის დათრგუნვის შესახებ, საზოგადოებაში რომ დაკანონებულია მამაკაცური (მასკულინური), როგორც პოზიტიური კულტურული ნორმა, ხოლო ქალური (ფემინური), როგორც ნორმიდან გადახრა.

გენდერი, როგორც პროცესი და მოვლენა, გულისხმობს სქესობრივი განსხვავების ნიადაგზე მამაკაცის მხრიდან ქალის ყოველგვარი ჩაგვრის ლიკვიდაციას და გარკვეული დირექტიული მიმართულება შეიძინა ქალთა უფლებების დაცვის სფეროში.

VIII. პოლიტიკურ იდეოლოგიებში XX საუკუნის მეორე ნახევრიდან მიმდინარე ტრანსფორმაციის ტენდენციებიდან აუცილებელია „დეიდეოლოგიზაციისა“ და „რეიდეოლოგიზაციის“ პროცესების განხილვა. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ „ცივი ომის“ პირობებში ტოტალიტარულ იდეოლოგიაზე შეტევამ გლობალური ხასიათი მიიღო და მისი ერთი უმნიშვნე-

ლოვანესი შემადგენელი ნაწილი გახდა „დეიდეოლოგიზაციის“ ფართო პროპაგანდა. მართალია, ეს ბრძოლა ყოველგვარი იდეოლოგიის წინააღმდეგ მიმდინარეობდა, როგორც ყალბი, ილუზიორული, ცრუ მეცნიერების წინააღმდეგ, მაგრამ თავიდანვე ანტიკომუნიზმის აქტიური შემადგენელი ელემენტი გახდა. დეიდეოლოგიზაციის თეორეტიკოსები (დ. ბელი, რ. არონი, კ. პოპერი, ე. ტოპიჩი და სხვები) ამტკიცებდნენ, რომ კაპიტალიზმის ეკონომიკური სტაბილიზაციის პირობებში ინდუსტრიულ საზოგადოებაში იდეოლოგიებმა დაკარგეს დარწმუნების ძალა და ავტორიტეტი ადამიანების ცნობიერებაზე. მასა ინდიფერენტული გახდა პოლიტიკური თეორიების მიმართ, რადგან თავისი მოთხოვნილებებისა და ინტერესების დაკმაყოფილების საშუალებები სამეცნიერო–ტექნიკურ და ტექნოლოგიურ მიღწევებში დაინახა; ასეთ პირობებში იდეოლოგიამ, როგორც მომწიფებული საზოგადოებრივი პრობლემების დაყენებისა და გადაჭრის საშუალებამ დაკარგა ყოველგვარი ეფექტურობა, დადგა მისი დასასრულის ეპოქა.

იდეოლოგიის გავლენის შემცირებას საზოგადოებრივ აზრზე, ტექნოკრატიული წარმოდგენების გავრცელებას, რომელიც უარყოფს სოციალური ღირებულებების ზეგავლენას პოლიტიკურ და ეკონომიკურ კავშირებსა და ურთიერთობებზე, მივყავართ პოლიტიკის დეიდეოლოგიზაციამდე.

„რეიდეოლოგიზაციის“ ტენდენციებმა, რომლებმაც დასავლეთის სოციალურ–პოლიტიკურ მეცნიერებებში გასული საუკუნის 70–იანი წლებიდან მზარდი ტენდენციის ხასიათი მიიღო, აქტუალური გახადა მნიშვნელოვანი პრობლემა – რამდენად სწრაფად და მოქნილად შეუძლია პოლიტიკურ თეორიას რეაგირება მოახდინოს ცვალებად რეალურ პირობებზე. ამ პერიოდში დასავლურ სამყაროში თავი იჩინა ეკონომიკის სტაგნაციის, ინფლაციის პროცესებმა, ენერგეტიკულმა

კრიზისმა, სხვა არასასურველმა მოვლენებმა, რომლებ-
მაც ეჭვქვეშ დააყენა პოლიტიკური ინსტიტუტების
ეფექტიანობა. დასავლეთში დაიწყო ხანგრძლივი და
საინტერესო დისკუსია, რომელიც, ერთი მხრივ,
საბაზრო ეკონომიკის ნეგატიური პროცესების ახსნა-
გაანალიზებას, მეორე მხრივ კი, მისი რეფორმი-
რებისათვის ოპერატიული რეკომენდაციების შემუშა-
ვებას ემსახურებოდა. ამ მოთხოვნების გათვალის-
წინებით გამოიკვეთა „რეიდეოლოგიზაციის" ტენდენ-
ციები, რომლის ძირითადი ამოცანა იყო ახალი
კონცეფციების, დოქტრინების დამუშავებით დასავ-
ლეთის პოლიტიკური აზრის განახლება. ამ პროცესს,
რაც განსაკუთრებით საინტერესოა, შეუერთდნენ „დეი-
დეოლოგიზაციის" მამამთავრები ევროპასა და ამერი-
კაში რ. არონი და დ. ბელი.

იდეოლოგიისადმი ახლებური მიდგომის თეორე-
ტიკოსებმა აღიარეს, რომ ანტიიდეოლოგიური გან-
წყობა გამწვავებული იდეოლოგიური ბრძოლის პირო-
ბებში დაპირისპირებულ ბანაკთან ნიშნავს დასავლეთის
განიარაღებას. „დეიდეოლოგიზაციის" სისუსტე, დასავ-
ლურმა პოლიტიკურმა მეცნიერებამ, პირველ ყოვლისა,
მის პასიურ, თავდაცვით ხასიათში დაინახეს და საჭი-
როდ ჩათვალეს აქტიური იდეოლოგიური კონცეფცი-
ების დამუშავება, რომელსაც დაპირისპირებულ იდეო-
ლოგიასთან მიმართებაში შეტევითი სტრატეგია ექნე-
ბოდა.

იდეოლოგიების სფეროში მიმდინარე რთული
პროცესები ისე უნდა წარმოვიდგინოთ, რომ „დეიდეო-
ლოგიზაცია", რომელმაც ფართო გავრცელება პოვა
ერთ ისტორიულ ეპოქაში, შეიცვალა „რეიდეოლოგი-
ზაციით" შემდგომ პერიოდში. ეს კონცეფციები არსე-
ბობენ ერთდროულად, ერთმანეთის გვერდით და მხო-
ლოდ განსაზღვრული ისტორიული რეალიების ფონზე
ხდება ერთ-ერთი მათგანი აქტუალური.

IX. აღმოცენებისა და განვითარების საწყის ეტაპზე ნებისმიერი იდეოლოგიის წარმომადგენლები აგრესიულობით და უკუმპრომისობით გამოირჩეოდნენ. ისტორიის მსვლელობის შემდგომ ეტაპზე, ალტერნატიულ ძალებთან და იდეოლოგიებთან ურთიერთობებში თითოეული პოლიტიკური დოქტრინა ფართოვდებოდა, მდიდრდებოდა არა მხოლოდ საკუთარი შესაძლებლობებით ერთი პოლიტიკური კონცეფციის ჩარჩოებში, არამედ ალტერნატიული იდეოლოგიებიდან მისთვის მისაღები დებულებებისა და იდეების გაზიარებით.

ვერავინ ვერ შეძლებს იმის მტკიცებას, რომ დღევანდელი დასავლური პოლიტიკური ცივილიზაცია და უმაღლესი სოციალურ-ეკონომიკური მიღწევები ერთი რომელიმე იდეოლოგიის გამარჯვება, ერთი ალტერნატივის რეალიზაციაა. XX საუკუნის მეორე ნახევარში ცხადი გახდა, რომ ვერც ერთმა არსებულმა ძირითადმა პოლიტიკურმა იდეოლოგიამ დამოუკიდებლად ვერ შეძლო შეექმნა საზოგადოებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სხვა პროცესების ახსნისა და სრულყოფის უნივერსალური მოდელი. მსოფლიო პოლიტიკური ცივილიზაცია მივიდა იმის შეგნებამდე, რომ დღევანდელ პირობებში დასაშვებია იდეოლოგიური დაპირისპირების ისეთი ხარისხი, რომელიც აუცილებლობის შემთხვევაში არ გამორიცხავს კომპრომისის შესაძლებლობებს.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იან წლებში მეცნიერებმა მიუთითეს იდეოლოგიური კონსენსუსის ტენდენციებზე და აღნიშნეს მისი პოზიტიური როლი საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების ახსნასა და წარმართვაში.

ძირითადი პოლიტიკური იდეოლოგიების ჩარჩოსაზღვრების მნიშვნელოვანი სეგმენტების გადარეცხვამ და ურთიერთშეღწევის თვალხილულმა ტენდენციებმა პოლიტიკურ ლექსიკონში შემოიტანა ისეთი ცნებები,

როგორიცაა „ლიბერალი კონსერვატორი“, „კონსერვა-ტიული ლიბერალი“, ან „სოციალ-ლიბერალი“. ეს ტენდენცია, როგორც მიღებულია პოლიტიკურ ლიტე-რატურაში, ყველაზე მკაფიოდ გამოხატულია აშშ-ში, სადაც „ლიბერალურის“ ცნება ეროვნულ ტრადიციას გულისხმობს, რომელიც საფუძვლად დაედო სახელ-მწიფოებრიობის მშენებლობას.

თანამედროვე პარლამენტური დემოკრატია იმის პირობებს ქმნის, რომ ალტერნატიული იდეოლოგიები დასავლეთის ქვეყნებში მშვიდობიანად თანამშრომ-ლობდნენ. იმის გამო, რომ განსხვავებული იდეო-ლოგიის პოლიტიკური ძალები მონაცვლეობით იმყო-ფებიან ხელისუფლებაში, ამ ქვეყნების ეკონომიკაში, სოციალურ ინსტიტუციონალურ ტრადიციებში, პოლი-ტიკურ კულტურაში რამდენიმე იდეოლოგიის არსები-თი პრინციპებია დამკვიდრებული. იდეოლოგიური დი-ფერენციაციის შესუსტებას ხელი შეუწყო დასავლურ საზოგადოებებში კლასობრივი და სოციალური პოლა-რიზაციის შერბილების მზარდმა პროცესმა.

ძირითადი პოლიტიკური იდეოლოგიების პოზი-ტიურ ღირებულებათა ინტეგრირების ერთ-ერთ ფორ-მად მიჩნეულია ქრისტიანულ-დემოკრატიული იდეო-ლოგია. ეს იდეოლოგია აქტიურად იყენებს სხვადასხვა პოლიტიკური იდეოლოგიიდან ნასესხებ თავისუფალი ინდივიდის ზნეობრივ-ეთიკურ და სოციო-კულტურულ არგუმენტაციას, შეხამებულს რელიგიურ მორალთან. ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების ასეთი ინტერპრე-ტაცია ეფექტურად მოქმედებს თანამედროვე დასავ-ლეთის ბევრ ქვეყანაში მოსახლეობის განწყობილებაზე და აყალიბებს ახალ პოლიტიკურ მენტალიტეტს.

ძირითადი პოლიტიკური იდეოლოგიების კონვერ-გენციის ხასიათს და მის პერსპექტიულობას ისიც განა-პირობებს, რომ ჩვენ მიერ გაანალიზებულ პოზიტიურ პოლიტიკურ იდეოლოგიებს შორის განსხვავება უფრო ნაკლებია, ვიდრე მთლიანობაში აღებული მათი დაპი-

რისპირება სხვადასხვა ჯურის რადიკალურ-რეფორმატორულ, რელიგიურ, სექსუალურ, სოციალურ ალტერნატივებთან.

X. პოლიტიკური იდეოლოგიების ზემოქმედების ძალა მოსახლეობის ფართო ფენების განწყობასა და ორიენტაციებზე თანამედროვე საქართველოში ძალიან სუსტია. აძას თავისი სუბიექტური და ობიექტური მიზეზები აქვს, რომელთაგან ზოგი ტოტალიტარიზმიდან ახლად გამოსული სახელმწიფოების საერთო ნიშანია, ზოგი კი მხოლოდ ჩვენი ქვეყნისათვის დამახასიათებელი – სპეციფიკური. ტოტალიტარიზმის პირობებში მასას არ შეიძლება ჰქონდეს დემოკრატიული პოლიტიკური კულტურა, რადგან მოსახლეობის უმრავლესობას „წმინდად“ სწამს ძირითადი მიზნების, რასაც პარტია და მისი ბელადი ქადაგებენ. დემოკრატიული პოლიტიკური კულტურა ფორმირდება ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის განმავლობაში მრავალი თაობის – მიერ შექმნილ პოლიტიკურ ტრადიციებსა და პრაქტიკის მოქმედ ნორმებში, იდეებში, კონცეფციებში, სხვადასხვა პოლიტიკურ ინსტიტუტთან, საზოგადოებასთან და სახელმწიფოსთან მიმართებაში. ამის გამო დემოკრატიული პოლიტიკური კულტურის სოციალიზაციის დონე არ შეიძლება იყოს მაღალი ტრანსფორმირებადი პოლიტიკური სისტემის მქონე საზოგადოებებში.

პოლიტიკური კულტურის მაკონსტრუირებელ სეგმენტებში ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული ღირებულებების აუცილებელი შეხამება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტრანსფორმირებადი პოლიტიკური სისტემის მქონე ქვეყნებისათვის, მით უმეტეს იმ ქვეყნებისა და ერებისთვის, რომელთა სულიერი, მემკვიდრეობითი ღირებულებები ეჭვგარეშეა, თუმცა დემოკრატიული პოლიტიკური კულტურის დეფიციტიც აშკარაა.

დღეს ამ პრობლემებზე მომუშავე სპეციალისტთა დიდ უმრავლესობაში ეჭვს არ იწვევს ის, რომ ფორმირების პროცესში მყოფი ქართული პოლიტიკური კულტურის ძირითადი სეგმენტები დასავლურია. მაგრამ, ამავე დროს, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ ტოტალიტარიზმიდან გამოსული მენტალიტეტისათვის უცხო არ არის კოლექტიური ცხოვრების წესის დომინირება, თვითმმართველობისა და თვითორგანიზაციის უმნიშვნელო პოლიტიკური როლი, საზოგადოებრივი სამართლიანობის უტოპიური პრიორიტეტი ინდივიდუალური თავისუფლების საწინააღმდეგოდ, გულუბრყვილო მინდობა სახელმწიფოს ინსტიტუტებისადმი ეკონომიკური და სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად და, რაც მთავარია, „მამულის გადამრჩენი“ ქარიზმატული ლიდერის პერმანენტული ძიება.

საქართველოს შიდაპოლიტიკური სიტუაცია დღესაც დაუწყობელია და დიდი მრავალფეროვნებით ხასიათდება. ქვეყნის ტერიტორიული მასშტაბებისა და მოსახლეობის რაოდენობის სრულიად არაადეკვატური პარტიებისა და მოძრაობების რაოდენობა ისეთ ჭრელ პოლიტიკურ მოზაიკას ქმნის, რომ შეუძლებელია მათი კლასიფიკაცია პოლიტიკური იდეოლოგიების თვალსაზრისით. არც პარტიული ლიდერები და პარტიული დოკუმენტები ახდენენ განსაკუთრებულ დეკლარირებას რომელიმე პოლიტიკური იდეოლოგიებისადმი კუთვნილებაზე. საქართველოში ძალიან სუსტია, ხშირ შემთხვევაში ფორმირების მხოლოდ საწყის ეტაპზეა, ის სოციალური ჯგუფები, რომლებსაც ესა თუ ის იდეოლოგია უნდა ეყრდნობოდეს. მძიმე სოციალური ვითარებიდან გამომდინარე, ის პოლიტიკური ძალებიც, რომლებსაც თავისი მემარჯვენეობა დეკლარირებული აქვთ, პრაქტიკულ საქმიანობაში პრაგმატული მოსაზრებებიდან გამომდინარე, მემარცხენე ლოზუნგებსა და მოწოდებებს იყენებენ, ქართული პოლიტიკური

ცნობიერებისა და აზროვნების ერთადერთი სფერო, სადაც თანადროულობის დონეზე აღმოჩნდით, არის ის, რომ ზოგიერთი პოსტსაბჭოთა სახელმწიფოსაგან განსხვავებით, სოციალისტური იდეოლოგიის ლენინურ-ბოლშევიკურ ვარიანტს სრულიად უმნიშვნელო გავ-ლენის მასშტაბები და ზემოქმედების სფერო აქვს.

Омар Гогиашвили

ПОЛИТИЧЕСКИЕ ИДЕОЛОГИИ

Резюме

I. В последнее время, наряду с другими сложнейшими проблемами, в центре внимания трансформирующей грузинской общественной мысли оказались вопросы политической идеологии (идеологии вообще), что вполне естественно.

Большая группа авторитетных ученых, как раньше, так и теперь, идеологию ставят за пределами науки, поскольку она является закрытой системой, имея единственный правильный и готовый ответ на протекающие в общественном сознании и в жизни политические, общественные, социальные, экономические, духовные и нравственные проблемы.

В работе проанализированы взгляды и тех ученых, которые политическую идеологию считают необходимым атрибутом любой политической системы, или, с отрицанием ее научности, обосновывают ее большое функциональное значение в организации общества.

Среди этих двух противоположных взглядов на идеологию примирительную точку зрения занимает признанный авторитет К. Мангейм. Для К. Мангейма политическая идеология является совокупностью ложных, иллюзорных взглядов, нежелательной нравственной категорией. Однако идеология, считает К. Мангейм, как и многие другие нежелательные аспек-

ты политической жизни, является необходимым компонентом государственности.

II. Из принципов раннего (классического) этапа либерализма значительным является идеал индивидуальной свободы как универсальная цель новой политической идеологии.

В сложнейшей проблематике взаимоотношения государства и личности либерализм строго обозначил те границы, где государство не имело права вмешиваться в дела личности.

Из теоретических новаций нового этапа либерализма – «неолиберализма», наиболее значительным является принцип усиления позитивной роли государства в решении социальных и экономических проблем всех слоев населения.

III. Ранний этап классического консерватизма характеризуется как альтернатива принципиальных положений французских просветителей и практике вождей французской буржуазной революции.

В отличие от либерализма, социальные реформы и особенно правительственные программы социальной помощи часто бывают предметом критики консерваторов (особенно если находятся в оппозиции).

Консерватизм рассматривается как идеология политической и социальной стабильности, традиционных ценностей и жизненных норм. Однако следует отметить, что истинному консерватору не чужды идеологическое лавирование и поиск новаций в изменившихся исторических реалиях.

Неоконсерватизм обществу предложил то, чего больше всего ему недоставало из-за тотального подчинения его техническим и технологическим изменениям в процессе роста разнообразия жизни и ускорения темпов развития – социальную стабильность, которая зиждится на примате духовной сферы, на семейных и вероисповедных традициях, на распределении моральной ответственности между гражданином и государством.

IV. Современный политический мир в значительной степени сформировался под воздействием коммунистических и социалистических (социал-демократических) идей. Разработка социал-демократических идеалов и их триумф на всем европейском континенте является результатом постепенного отхода от ленинско-большевистской идеологии и столетней эволюции противостояния с ней.

Реальные процессы развития капитализма и пока еще неиспользуемые его возможности убедили реформаторов в том, что разрушение государства и вытекающие отсюда политические катаклизмы неприемлемы для всего общества и в том числе для рабочего класса и что многие их потребности можно реализовать мирным путем в условиях повседневной и постепенной модернизации.

Для современной теории и практики социал-демократов характерно перенесение акцентов на индивидуальную свободу, на частную собственность, на рыночную экономику, на свободную конкуренцию, на усиление позитивной роли государства

для разрешения социальных проблем всех слоев населения.

V. Идеология тоталитаризма и основанный на ней политический режим означает полное подчинение общества, коллективов, личностей государственным институтам, контроль государства во всех сферах жизни и деятельности.

Для немецкого нацизма исходной точкой является социальное и экономическое преимущество «арийской расы» и всяческая поддержка «рас творцов культуры», под которым прежде всех подразумевалась немецкая нация. Итальянской фашистской и немецкой нацистской идеологиями государство рассматривалось как главный инструмент, приносящий общественное благо и ответственный за экономику, социальную политику, учебу, организацию воспитания и культуры, безопасности страны.

Советский ленинско-большевистский тоталитаризм, в отличие от немецко-итальянских форм, осуществил массовую люмпенизацию населения целиком, уничтожил частную собственность как основу личной автономии, и люди всецело стали зависимыми от государственных (партийных) структур. Вследствие понижения до минимума индивидуализма и, что главное (особенно для нас), нивелирования национального сознания, национальных корней и наследства, был создан абсурдный конгломерат, лишенный национальности – «советский народ».

Процесс формирования и установления тоталитарной культуры подразумевает наличие одной

основной приоритетной (или нескольких, но подчиненных основной) определяющей идеи.

В ленинско-большевистской идеологии такой идейной основой была классовая борьба и агрессивная доктрина о всемирно-исторической роли пролетариата, что и определило основное направление этой борьбы внутри страны.

Вообще, для тоталитарной идеологии и сознания характерной чертой является перманентное искание образа врага вне и внутри государства, которого можно унизить, ругать, но лучше, если возможно, уничтожить.

Единая универсальная цель нации или привилегированного класса, его жизненные интересы обуславливают господство моноидеологии в форме государственной идеологии во всех сферах жизни. Со своей стороны миноидеология определяет монопартийную диктатуру, которая присваивает государственные и общественные функции и становится единственным, реальным высшим органом власти.

VI. В 80-90-ых годах прошлого века существенно возрос интерес политических научных кругов к авторитаризму, так как некоторые серьезные авторы увидели в нем историческую форму постепенного перехода от тоталитаризма к демократии.

Между тоталитарными и авторитарными режимами много общего. Однако они существенно различаются друг от друга. Тоталитаризм подразумевает проникновение государства во все сферы общественной жизни. Авторитарный же режим позволяет человеку иметь право выбора в сферах веро-

исповедания, экономической деятельности, частной жизни, принимать участие в работе профессиональных, общественных организаций, в местных самоуправленческих органах. Но все это с одним условием: нельзя противоречить, а тем более противостоять существующему политическому режиму.

Тоталитаризм может иметь различные исторические формы. Одними из них являются так называемые национально-специфические формы, как, например, титоизм в Югославии и маоизм в Китае.

VII. При рассмотрении вопросов о политических идеологиях нельзя обойти вопрос о движениях в защите прав женщин, которые имели своих теоретиков и сформировались в определенные доктрины. Значительных успехов достигли феминистические и гендерные движения, сыгравшие серьезную роль в деле женской политической, социальной и культурной эмансипации.

VIII. Из протекающих во второй половине XX века тенденций трансформации в политических идеологиях необходимо рассмотреть процессы «деидеологизации» и «реидеологизации».

Уменьшение влияния идеологии на общественную мысль, распространение технократных представлений, отрицающих воздействие социальных ценностей на политические и экономические связи и отношения, приводят к политической деидеологизации. В дальнейшем теоретики нового подхода к идеологии признали, что антиидеологическая настройка в условиях острой борьбы с противоположным лагерем означает разоружение Запада. Сла-

бость деидеологизации западная политическая наука усмотрела в первую очередь в ее пассивном самозащитном характере. С учетом новых реалий появились тенденции реидеологизации, основной задачей которой стало обновление политической мысли Запада путем разработки новых концепций и доктрин.

IX. На начальном этапе становления и развития представители любой идеологии выделялись агрессивностью и бескомпромиссностью. На следующем этапе исторического развития во взаимоотношениях с альтернативными силами и идеологиями каждая политическая доктрина расширялась и обогащалась не только собственными возможностями в рамках одной политической доктрины, но и путем признания и усвоения из альтернативных идеологий приемлемых для нее положений и идей.

Размывание рамок-границ значительных сегментов основных политических идеологий, зримые тенденции их взаимопроникновения в политический лексикон внесли такие понятия, как «либерал-консерватор», «консервативный либерал», или «социал-либерал». Эта тенденция, как это принято в политической литературе, наиболее ярко выражена в США, где понятие «либерал» подразумевает национальную традицию, которая легла в основу строительства государственности.

Характер основных политических конвергенций и их перспективность обусловлены и тем, что разница между позитивными политическими идеологиями меньше, чем в целом взятое их противостояние

разного рода радикально-революционным, религиозным, сексуальным, социальным альтернативам.

X. Сочетание общечеловеческих и национальных ценностей в конструирующих сегментах политической культуры особенно важно для стран трансформируемых политических систем, тем более для тех стран и наций, у которых духовные и наследственные ценности вне сомнения, хотя здесь дефицит политической культуры явен.

Сегодня у большинства разрабатывающих эту проблему специалистов не вызывает сомнения, что находящиеся в процессе формирования основные сегменты грузинской политической культуры прозападные. В то же время, не следует упускать из виду, что для менталитета вышедшего из недр тоталитаризма не чужды доминирование коллективного образа жизни, незначительная политическая роль самоуправления и самоорганизации, утопический приоритет общественной справедливости против индивидуальной свободы, и, что самое главное, перманентный поиск харазматического лидера «спасителя отечества».

OMAR GOGIASHVILI

POLITICAL IDEOLOGIES

Summary

I. During the recent period of transformations in Georgian public opinion the matter of political ideologies (ideology in general) has been brought forth among the variety of other complex challenges. This is basically very normal. A large group of influential scientists always excluded ideology from science, treating it as a closed system of thought, or as if it held the only righteous and complete answer for political, societal, social, economic, spiritual and moral problems of social consciousness and existence.

This part of the work analyses those scientists who consider political ideology to be one of the indispensable components of any political system. Some of whom insist on its huge functional significance in the organization of society, while at the same time denying its presence in scientific perspectives.

The author finds a certain kind of mid position between these two contradictory groups in the fact that they all recognize the approach of K. Manheim as the authority on political ideologies, something that he refers to as *reconciliatory*. For K. Manheim political ideology is a composite of false, illusionary perceptions. It is an amoral category, but as any other distasteful aspect of political life, it is an essential and significant component of statehood.

II. One of the primary principles of early classical Liberalism was the universal goal of individual freedom.

In one of the challenging aspects, like relations between the state and the individual, Liberalism firmly determines those limits beyond which the state can not rightfully interfere in the private affairs of individuals.

Neo-Liberalism distinguishes the significance of theoretical innovations such as the state's increasing positive role in dealing with social and economic problems.

III. The early classical period of Conservatism is characterized as an alternative to the resolute dogmas and the political practice of the French enlightenment and leaders of the French bourgeois revolution.

Unlike Liberals, Conservatives (especially Conservatives in opposition) often criticize social reforms, particularly state programs for social welfare.

Conservatism is an ideology of political and social stability, traditional values, and living norms. But we also have to consider that it is not beyond genuine Conservatives to search for innovations and even maneuver their ideological perspectives.

In the face of modern living conditions, such as rapid technological changes, Neo Conservatives proffer a society that provides social stability based on spirituality, family and religious traditions, and a division of moral responsibilities between citizens and the state.

IV. The formation of today's world political life has been significantly influenced by communist and socialist (social-democratic) ideas. One hundred year evolutionary path of gradual separation between social-

democratic and Lenin-Bolshevik ideologies (finally challenging each other) elaborated social-democratic ideals that triumphed on the entire continent of Europe.

Development of capitalism and its unused potential capacities convinced the reformers that the labor class' demands could be met in a peaceful way and on a daily bases, under a gradual modernization process, instead of breaking down the state and its subsequent political cataclysms which were unacceptable to society and the labor class.

Modern social-democratic theory and practice put a particular focus on individual freedom, private property, free market principles, free market competition, and the rise of the state's role in dealing with social problems.

V. The ideology of totalitarianism and the political regime descending from it imposed an absolute social, collective, and individual conformity to the state, and created an all-encompassing control mechanism which affected all spheres of life.

The basic principle of German Nazism was the social and political superiority of the mythical "Arian" race, a complete support for "the races - culture creators", and the German nation was regarded as its top priority. According to Italian fascism and German Nazism, the state was presented as a main instrument of creating Public Welfare and responsible for economy, social policy, education, culture, and national security.

Soviet Lenin-Bolshevik totalitarianism, unlike German-Italian formations, triggered massive lumpenization of people, completely eliminated the private pro-

perty system as a base of individual freedom, and made people wholly dependent on state (party) structures. Consequently, by destroying individualism and notably (at least for us), by eradicating national consciousness, origins, and ignoring cultural heritage we received an absurd conglomerate of "Soviet People".

The process of formation and establishment of totalitarian political culture undoubtedly created a defining role of either one major prior idea, or several ideas based on a prior one.

The Lenin-Bolshevik ideology was based on an aggressive doctrine of class struggle and the historic importance of the proletariat worldwide, which determined a major direction of the struggle inside the country.

Generally, totalitarian ideology is distinguished by its indispensable feature of constantly being in search of an enemy inside and outside the country, whom you can always discriminate against abuse and destroy if possible.

The common universal objective of a nation or a privileged class precipitates the supremacy of a mono-ideology in all spheres of social life and introduces it as a ruling ideology.

Mono-ideology, on its part, hastens mono-party dictatorship, captures all functions of the state and society, and becomes a unique, supreme, governing body.

VI. During the 1980s and 1990s the interest toward authoritarianism grows significantly among politicians and academic groups, due to considering by some

famous authors authoritarianism as a historical form of the gradual transition from totalitarianism to Democracy.

Totalitarian and authoritative regimes share much in common but a difference between them is also essential. Totalitarianism sees the state as an actor in all spheres of life, while authoritative regimes award people priorities of judgment and choice among religious matters, economic dealings, private and family issues, participation in professional and social organizations or in local governing bodies; though there is a requirement under which any choice should not be in contradiction or opposition of the present political regime.

Among historic patterns of totalitarianism, we had Titoism in Yugoslavia and Maoism in China, each of which had specific national features.

VII. While discussing political ideologies we cannot ignore women's rights movements, which had their own theoreticians and were formed as specific doctrines. Feminist and gender movements reached considerable success and largely contributed to women's political, social and cultural emancipation.

VIII Among the transformational tendencies of political ideologies, ongoing since the second half of the XX century, it is essential to discuss the processes of "de-ideologization" and "re-ideologization". After World War II, the "Cold War" attack on totalitarian ideology acquired a global scale, and it included the indispensable component of widely promoting the "de-ideologization" process.

The reduced influence of ideologies over public opinion, the proliferation of technocratic images that

disregard the influence of social values over political and economic connections and relations, led us to political de-ideologization. In the subsequent period theoreticians, having a new approach to ideologies, acknowledged that anti-ideological spirit with an acute ideological struggle against the opponents could mean the "disarmament", weakening of the West. Western political scientists detected a weak point of "de-ideologization" in its passive-defensive approach. According to the present situation necessity of the re-ideologization became the dominating tendency with its goal of creating the new concepts, and doctrines of the Western political thinking.

IX. A representative of any ideology at an initial, formative and than developing stages displayed, presented an aggressiveness and irreconcilable position. On the next stage of the historical development, as a result of the interaction with alternative forces and ideologies, each political doctrine had been enriched and amplified, not alone within its own capacities and conceptual frameworks, but by sharing some acceptable for it dogmas and ideas from alternative ideologies.

A blurring line between the frameworks of major political ideologies and some obvious tendencies of incorporation produced such concepts in political vocabulary as "Liberal Conservative", "Conservative Liberal", or "Social Liberal". It is generally acknowledges in political literature, that this tendency is most evidently expressed in the USA, where the concept of "Liberal" supposes a national tradition, which became a foundation for the constructing the statehood.

Due to the tendency of the convergence, which became very successful and prospective, differentiation between positive political ideologies if much less, than their opposition to the whole assembly of radical-revolutionary, religious, sexual, social alternatives.

X. Amalgamation of the universal and national values in the constructive segment of political culture has up-most importance especially for the countries with transforming political systems, and principally for those countries and nations, whose spiritual and traditional values stand beyond doubts, but harsh deficiency of democratic political culture is evident.

Majority of the specialists, working over these issues, agree that the major segments of the forming Georgian political culture are the Western. But at the same time one should remember that for the mentality inherited from the totalitarian regime are characteristic: domination of the collective life style, insignificance of political self-governance and self-organization, utopian priority of social justice vice versa of individual freedom and most notably, permanent search of charismatic leader –"the Saver of the Motherland".

ლიტერატურა

1.აბესაძე ზ., პატარაშვილი თ., იდეოლოგია პოლიტიკური მენეჯმენტის სისტემაში. «პოლიტიკა», №13, 2003.

2.ამერიკული დემოკრატია. აუუ სელისუფლება და დემოკრატიული პროცესი (ქ. ჯანდა, ჟ. ბერი, ჯ. გოლდეენი). თბილისი. 1995.

3.ბერეკაშვილი თ., «თანამედროვე დემოკრატია: ღირებულებები და იდეალები». თბილისი. 2000.

4.ბლუშერი. ფაკ., «დემოკრატია. ანალიტიკური ნარკვევი». თბილისი. 1995.

5.ბოგვიაშვილი ო., ბატიაშვილი ე., «ქართული სახელმწიფოს იდეოლოგიები». თბილისი. 2002.

6.ქიქინოშვილი ო., «ფიქრები ეროვნულ იდეოლოგიაზე». თბილისი. 1999.

7.ფოსიკე ე., «ლიბერალიზმი - სოციალურ-ეკონომიკური პროცესებით თანამედროვე იდეურ-პოლიტიკური მიმდინარეობა». «პოლიტიკა». №3. 2002.

8.თანამედროვე პოლიტიკური ფილოსოფიის ანთოლოგია. თბილისი. 1997.

9.ჟორჟოლიანი ზ., ბერეკაშვილი თ., მუსხელიშვილი ე., «დემოკრატიზაცია». თბილისი. 2001

10.ფუძეიანა ფ., «ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი». თბილისი. 1990.

11.АРЕНДТ Х., ИСТОКИ ТОТАЛИТАРИЗМА. М., 1996.

12.БЕНЗАНСОН А., БЕДСТВИЕ ВЕКА. МОСКВА-ПАРИЖ, 2000.

13.ВЕБЕР М., ИЗБРАННЫЕ ПРОИЗВЕДЕНИЯ. М., 1990.

14.ГАДЖИЕВ К.С., ПОЛИТИЧЕСКАЯ НАУКА. М., 1995.

15.ГАДЖИЕВ К.С., ПОЛИТИЧЕСКАЯ ФИЛОСОФИЯ, М., 1999.

16.КУРС ПОЛИТОЛОГИИ (УЧЕБНИК), М., 2002.

17.МАНХЕИМ К., ДИАГНОЗ НАШЕГО ВРЕМЕНИ. М., 1994.

18.МАРКСИСТСКО-ЛЕНИНСКАЯ ФИЛОСОФИЯ ИСТОРИЧЕСКОГО МАТЕРИАЛИЗМА, М., 1976.

19.МАРКУЗЕ Г., ОДНОМЕРНЫЙ ЧЕЛОВЕК: ИССЛЕДОВАНИЯ ИДЕОЛОГИИ РАЗВИТОГО ИНДУСТРИАЛЬНОГО ОБЩЕСТВА, М., 1994.

20.НИЦШЕ Ф., СОЧ. В 2-Х Т., Т.II. М., 1990.

21.О СВОБОДЕ. АНТОЛОГИЯ МИРОВОЙ ЛИБЕРАЛЬНОЙ МЫСЛИ (I ПОЛОВИНА XX ВЕКА), М., 2000.

22.ПЛЕХАНОВ Г.В., СОЧ., Т.VIII., М., 1925.

23.ПОЗДНЯКОВ А., ФИЛОСОФИЯ ПОЛИТИКИ, 2-Е ИЗДАНИЕ, ЧАСТЬ I, М., 1994.

24.ПУГАЧЕВ В.П., СОЛОВЬЕВ А.И., ВВЕДЕНИЕ В ПОЛИТОЛОГИЮ, М., 1996.

25.РОЛЗ ДЖ., ТЕОРИЯ СПРАВЕДЛИВОСТИ, НОВОСИБИРСК, 1995.

26.СЕМЕРЕНКО Л.М., СОВРЕМЕННАЯ ЗАПАДНАЯ ПОЛИТИЧЕСКАЯ НАУКА: ФОРМИРОВАНИЕ, ЭВОЛЮЦИЯ, ИНСТИТУЦИОНАЛИЗАЦИЯ, РОСТОВ-НА ДОНУ. 1998.

27.СОЛОВЬЕВ А.Н., ПОЛИТОЛОГИЯ: ПОЛИТИЧЕСКАЯ ТЕОРИЯ, ПОЛИТИЧЕСКАЯ ТЕХНОЛОГИЯ. М., 2000.

28.ФРОМ Э., БЕГСТВО ОТ СВОБОДЫ, М., 1995.

29.ФІОРЕ Ф., ПРОШЛОЕ ОДНОЙ ИЛЛІОЗИИ, М., 1998.
30.ASHCRAFT R., "ON THE PROBLEM OF METHODOLOGY AND THE NATURE OF POLITICAL THEORY", POLITICAL THEORY 3, NO 1, 1975.
31. BERLIN I., "TWO CONCEPTS OF LIBERTY", OXFORD, 1958.
32.BERLIN I., "FOUR ESSAYS OF LIBERTY", OXFORD UNIVERSITY PRESS, 1969.
33.CHANDRAN K., "LIBERALISM, COMMUNITARIANISM AND POLITICAL COMMUNITY", SOCIAL PHILOSOPHY AND POLICY, 1996.
34.COPLESTON F.C., PHILOSOPHY AND IDEOLOGY IN A. PAREL, ED., IDEOLOGY, PHILOSOPHY AND POLITICS. WATERLOO, ONTARIO: WILFRID LAURIER UNIVERSITY PRESS, 1983.
35.CRICK B., THE STRANGE GUEST FOR AN AMERICAN CONSERVATISM //REVIEW OF POLITICS, 1955.
36.DERRIDA S., GRAMMATOLOGY. J. HOPKINS UNIVERSITY PRESS., 1976.
37.DVORKIN R., TAKING RIGHTS SERIOUSLY. LONDON: DUCKWORTH, 1977.
38.GEWIRTH A., POLITICAL PHILOSOPHY. NEW YORK AND LONDON: THE GENEALOGY OF AN AMERICAN VOCATION. CHICAGO: CHICAGO UNIVERSITY PRESS, 1965.
39.GERMINO D., BEYOND IDEOLOGY: THE REVIVAL OF POLITICAL THEORY CHICAGO: CHICAGO UNIVERSITY PRESS.
40.GIBSON S. "IDEOLOGY AND WORLD AFFAIRS". BOSTON, 1964.
41.GOLDIE M. 'IDEOLOGY", IN BALL, FARR AND HANSON. 1989.
42.HACKER A., POLITICAL THEORY TODAY, STANFORD: STANFORD UNIVERSITY PRESS, 1961.
43.HAYEK F.A., INDIVIDUALISM AND ECONOMIC ORDER. LONDON, CHICAGO, 1948.
44.HAYEK F.A., THE CONSTITUTION OF LIBERTY. CHICAGO: THE UNIVERSITY OF CHICAGO PRESS, 1960.
45.HOUGH J., DEMOCRATIZATION AND REVOLUTION IN THE USSR, 1985-1991, WASHINGTON, 1997.
46.LACCY N., "COMMUNITY IN LEGAL THEORY: IDEA, IDEAL OR IDEOLOGY", 1996.
47.LODGE G., THE NEW AMERICAN IDEOLOGY N.Y., 1976.
48.MACCAIIUM G.C., JR. "NEGATIVE AND POSITIVE FREEDOM". OXFORD UNIVERSITY PRESS, 1991.
49.MALEY M., THE SOVIET TRAGEDY:- A HISTORY OF SOCIALISM IN RUSSIA 1917-1991, 1994.
50.NEIBUHR R., ON POLITICS. EDITED BY HARRY R. DAVIS AND ROBERT G. GOOD. N.4., 1960.
51.OAKESHOTT M., RATIONALISM IN POLITICS AND OTHER ESSAYS. INDIANAPOLIS: LIBERTY PRESS, 1991.
52.PARSONS T. THE STRUCTURE OF SOCIAL ACTION. VOL. II, NEW-YORK-LONDON, 1968.
53. PIPES R. THE RUSSIAN REVOLUTION. N.Y, 1990. RUSSIA UNDER THE BOLSHEVIK REGIME., N. Y, 1993.

54.POLITICAL THEORY, TRADITION AND DIVERSITY. CAMBRIDGE UNIVERSITY PRESS, 1997.
55.RAPHAEL D.D., PROBLEMS OF POLITICAL PHILOSOPHY, REV, EDN, LONDON: MACMILLAN, 1976.
56.RAWLS J., POLITICAL LIBERALISM. NEW YORK: COLUMBIA UNIVERSITY PRESS, 1993.
57.RAWLS J., JUSTICE AS FAIRNESS. A RESTATEMENT CAMBRIGE /MASS: BELKNAP PRESS, 2001.
58.STRAUSS L., WHAT IS POLITICAL PHILOSOPHY? GLENCOE. III: FREE PRESS, 1959.
59.SUNY R., SOCIALISM, POST - SOCIALISM AND THE APPROPRIATELY MODERN: THINKING ABOUT THE HISTORY OF THE USSR / AB IMPERIO, 2002 N 1.
60.SYLVIA M. HALE., CONTROVERSIES IN SOCIOLOGY. A CANADIAN INTRODUCTION, 1990.
61.THE STUDY OF THE DISCIPLINE OF POLITICAL SCIENCE. A NEWS LETTER / BROCKROPT, N7, 1995.
62.TOYNBEE A., A STUDY OF HISTORY. LONDON; OXFORD; UNIVERSITY PRESS, 1934, VOL. I-III.
63.VINCENT A., MODERN POLITICAL IDEOLOGIES, 2-ND EDN. OXFORD: BLACKWELL, 1995.
64.ZAKARIA F., THE FUTURE OF FREEDOM. ILLIBERAL DEMOCRACY AT HOME AND ABOARD. NEW YORK: W.W. NORTON 8, CO., 2003.

ს ა რ ჩ ე ვ ი

თავი I. გვჭირდება თუ არა იდეოლოგია?.....3

1.მცირე ისტორია.....6

2.„იდეოლოგია უტოპიაა!" (კ. პოპერი) 11

3.„იდეოლოგია უკვდავია" (რ. არონი) 17

4.იდეოლოგია და პოლიტიკა, პოლიტიკური
იდეოლოგია.....27

თავი II. როგორი იდეოლოგიები გვჭირდება.....38

1.ლიბერალიზმის პოლიტიკური იდეოლოგია.....38

2.კონსერვატიზმის პოლიტიკური იდეოლოგია.....54

3.სოციალ-დემოკრატიული პოლიტიკური
იდეოლოგია.....77

4.თავისუფლების პრობლემა პოლიტიკურ
იდეოლოგიებში 99

თავი III. როგორი იდეოლოგიები არ გვჭირდება.....124

1.ტოტალიტარული იდეოლოგიები და
პოლიტიკური რეჟიმები.....124

თავი IV. სხვა იდეოლოგიები და მოკრაობები.....166

თავი V. პოლიტიკური იდეოლოგიების ტრანსფორმაცია
და ტენდენციები.....179

1.დეიდეოლოგიზაცია.....179

2.რეიდეოლოგიზაცია.....184

3.კონვერგენციის პროცესი პოლიტიკურ
იდელოგიებში.....190

თავი VI. პოლიტიკური კულტურა და იდეოლოგიური
სიტუაცია საქართველოში.....199

დასკვნები.....214

რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე.....241

ლიტერატურა.....256